


Կենսաբանություն

1

1968



ბედნიერება ჩვენს ხალხს
შიეს, ახალი წელი,
რომ გაუმარჯვდეს კვლავაც
და გაიტანოს ლელი.
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

სსსკ

128

გამოცემის მეთორმეტი წელი



იანვარი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



შინაქრონი

კოეზია და კროზა

- 3.** გიორგი ლომიძე. საცრიმღუ. აი, აბნენი და გარდაბნენი... არა, ბედურას არწივი არ შეუყვარდობა... სულ პირველი ენძელა... რაც ციცხლის ხაღლი მახელი... ზღვის ქაფისაგან... ლექსები.
- 6.** გურამ რეულიშვილი. ბევრი ბავშვი ერთად. კინო მოთხრობა.
- 24.** სიმონ ჩიქოვანი. დედის ძუძუ ხარ... თუ ვინახია... ჩემს სიყვარულში... ეს ოცდახუთი წელიც შესრულდა... ლაღო გუდიაშვილს. ლექსები.
- 28.** ოთარ ჩხეიძე. აღმართ-დაღმართი. რომანი. გაგრძელება.
- 63.** აბაჰი ვასაძე. ნახტომი. მოთხრობა.
- 72.** გივი გეგეჭორი. მეთხუთმეტი კალატა. ლირიკული პოემა.
- 78.** ჯემალ მარჩხაძე. გიბანტი. მოთხრობა.
- 97.** გიორგი კეზალაძე. ჩემი პატარა ლანდი. რომანი. დასასრული.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- 117.** გიორგი ხუხუშვილი. დაუმეგობრე ფარდის აქეთ...
- 126.** გიორგი ქველაძე. ერთი საბავშვო წიგნის თარგმანის გამო.

მწერლის არქივიდან

- 133.** ანდრია აბრამიშვილი. ბიციან ტაბიძის უცნობი წერილი ანდრეი ბელისადმი.

წიგნების სამყაროში

- 138.** გურამ მებრძელი. საუბრადღებო ნაწარმი.
- 141.** ნინო მახათაძე. „ი. კოლონსკი საქართველოში“.

იუმორი

- 143.** არლი თაყაიშვილი. სიტყვა ეპოთონის დისკრტანტს! იუმორისტული რეპორტაჟი.

„ცისკრის“ ფოსტა

- 151.** გალაღობელი სპეცე.
- 154.** შოველი მხრიდან.
- 157.** სახალწლო შარბი.

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აბაჰი გაბრაძე,
გივი გეგეჭორი,
გურამ გვარდუთელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
პარლან კალაძე,
ოტია კახკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ წულუიშვილი,
ტარიელ შანტურიძე,
სერგი ვილიანი,
თამაზ ვილიანი,
ლავა ჯანაშია.

საცრემლე

სამთავროს იყო...

გათხრები ვნახე...

გაშალეს მიწა გადამძლეული...

და არქეოლოგს ხელში ეჭირა

საცრემლე მინა ათასწლეული...

— შიგ ნესტი არის!

ცრემლს გაუძლია!

ატაცებულმა თითქოს გვახარა...

მთხრელმა მიხომ კი,

თვალი მოჭუტა

და მერე ჭეჭით გადიხარხარა...

— უკან ჩააგდე,

არ დამანახო,

განა მაქვს ცრემლი შიგ ჩასასხმელი!

ემანდ, მიპოვე ღვინის ხელადა,

ეგების ჩარჩა ძველი სასმელი!

— არა, ნუ გინდა ცრემლი, ნურც ღვინო,

ჩამონაწური ძველი ჯანღების...

— ბარით ჩაჭეჭე, გააცამტვერე,

ემმაკი იყოს მაგის წამღები!

მე კი ვფიქრობდი გაკვირვებული,

ძველი ცრემლების რადა გვრცხვენია?

ცრემლი ნამია ისტორიისა,

ჩვენი წარსულის მძიმე ძღვენია!

და რამდენადაც იგი სხვილია,

მატიანისგან აღნუსხვილია...

იგი მამულის ფესვებს გვირწყავდა,

ცრემლმა გაზარდა ყველა ყვაილი...

ქართლის ცხოვრების ამაყ ფურცლებზე

უცრემლო კითხვით განა გავივლით?

■
აი, ატენი და გარდატენი,

ცისფერ ტანაზე სადამოვდება,

თრთოლა, ლივილივი და ქრუანტელი

სიმში გროვდება.

ტანაა, როგორც საბეჭდე თვალი

და ნუთუ შენგან დამევალება,

ფარული დეღვა —

ხოხბის თვალებავ?

არა, ბელურას არწივი არ შეუყვარდება,
პატარა ფრთებით მას ბაღჩაში უყვარს ნავარდი,
არწივთან ყოფნით დაიღლება, დაიდარდება,
დიდ სიყვარულს კი ცაში უნდა ფრენა მარადის...
შენ კი, ძვირფასო, ისევ გინდა დარჩე ბელურად,
როცა არწივის დიდი ჩრდილი გადაგეხურა...

სულ პირველი ენძელა
მაშ, არ გაგხარებია?
ირმის ნაწოლ ფოთოლში
არსად დაგლამებია?
გადაწმენდილს მთვარეში,
ღიმმორეულ თვალებში
მაშ, არ ჩაგიხედია?
და იმ დიდ სიყვარულში
წილი არა გდებია?
შუქი არ შეგინიშნავს,
ნაწვიმ ღარის ნამღერში,
ვარსკვლავების ნამხელში
— აი, ჩემი ბედია!
უამისოდ სიცოცხლე,
მართლაც, ნათავხედია!

რაც ცეცხლის ხელი მახელი,
განა კიდევ ვარ ანდეზე?
დავწერე შენი სახელი
თბილისის ყველა ჭადრებზე.
მტკიცეა, შეულახველი
ყველა დაწერილ ანდერძზე.
ის უკვდავების მჭვრეტია,
ბევრია მისი მნატვრელი,
რადგანაც მონატვდია
შენი თვალების ნათელით.
მოვიდეს თითონ მედეა,
შენთან ვინ არის ჩამთვლელი,
უშენოდ რაა თბილისი? —
უდაბნო დაუწვიმარი.
გინდ მარტო შენი ღიმილით
თბილისი მუდამ წინ არი...

ზღვის ქაფისაგან
ცხენი შემდგარა,
მიწის წვეთიდან —
ნაძვი მალალი,
ზეცას მოარტყამს
ოფლი ხალხისა
ერთ საგუბარში
ჩამონადარი!
სიძლერა მინდა
ქაფებული
და მოჩეხილი
სიტყვის ლაწანი,
როცა მამითაღს
უწვება ყანა

ნამგლების ცეცხლით
გადასაწვავი!

მშვიდობით,
სოფლის ორღობებო,
აღარ შეგრჩებათ
არც ერთი ღობე
და ვედარაფერს
ვეღარ გაჰყოფენ.
გადიხსნებიან
ვიწრო ეზონი,
ვით მშობიარე
ქალის თეძონი.
როგორც მუწუკი,

ამოვარდება
დაფსევებული,
შავი ყორღანი.
რამდენი იყო
ამ ერთი ქვისთვის
მკედარი, ნაცენი,
ნაკატორღალი!

დაეყრებიან
ოფლგადენილი,
მამაპაპური
კავი, გუთანი,
როგორც მკვნესარე
პაპა, ბებია,
როცა თავს ადგათ
სულთამხუთავი!

ახალი მღვეი
გასთქერავს მინდვრებს
და ჩაულეწავს
ნეკნებს ტრამალსა,
ამოაბრუნებს საბუდრიანად
კორდებს, ხარვეზებს
და ნატამალსა!


გემშვიდობები
კალოვ, ძნიანო,
გამოფიწული
ხვავის ნიაგო,
ათასი წლობით
კეერზედ ვზუზუნებ,
ოროველათი მიტირნიაო!


მშვიდობით, ჩემო
ქორორა ჭალავ,
წისქვილის თავზე
წნორო მწუხარე,
დაჟანგებული

ფურცლები ქარსა
უკანასკნელად
გადაუყარეთ!
ჩაგაფრინდებთ
კაპასი ცული
და ნაფესვარებს
გაპგლეჯს ნიჩაფი,
ნაოხარ მიწას
რკინამ
ურქინა,
როგორც ზღვის მუცელს
ურქენს ვეშაპი!

შავო კამეჩო,
შავად დამწვარო
ჩემო ბეხია,
ეხ, მწვანიახო,
მყუდრო ალაგო!
სოფლის ლაჟვარდი
ჩამოგვეხია,
ახლა კი დროა
ჩავიქალაქოთ!

სულ სხვა ვარსკვლავი
ცაზე შემოჯდა
მიწას დააცხრა
ჯაფშანთ კრებული,
შესაცვლეღია
ჩემი სიმღერაც,
ყელის ძარღვებში
ჩაკერებული!
ნულარ ვუშველით,
და გადავარჩენთ,
სჯობს გასწყდეს იქა,
სადაც წვრილია,
ნულარ მიბღავი,
შენი ზმუილი
სხვა სიმღერებით
ხომ შეცვლილია!





ბევრი ბევრი ერთად

ანუ დღე შეაღოს შედეგ. კითხვი და პასუხი

კინოფორუმისათვის

თქვენ ახლა ნახავთ ბავშვების უსასრულოდ ბევრ, ბედნიერ, მოღიმარ სახეს, მათ თამაშობებსა და თავისებურ, ატეხილ ლხინს. ვაიგონებთ თავშეუკავებელ ხარხარს.

დაინახავთ აგრეთვე პატარების განცდათა დიდ სიღრმეს, გონების სიმახვილესა და უცნაურ, დიდებისათვის თითქმის გაუგებარ სევდას, რომელსაც მათი ბუნება ყოველთვის გართობის საფარველში ახვევს ხოლმე.

მათი უპირველესი თვისებაა ყველაფრის სიმზიარულით გამოხატვა. ჩვენც აქედან დავიწყობთ:

შეხედეთ მათ სახეებს. ეს-ეს არის დამთავრდა გაცვეთილები. ნოჩანს სკოლის განიერი კიბე. კიბე გაჭედილია ყველა ასაკის ბავშვებით; ბავშვები სხედან მოაჯირებზე, ფანჯრებზე, ჰკიდებიან საფეხურების უკან გამოშვებულ რელსებზე. ლაპარაკობენ მიმიკით.

ამ მოზღვავებული ჯგუფის შუაგულიდან დგება კოხტად თმადავარცხნილი გოგო, რუსიკო, იყურება ხელოვნური სიმკაცრით, ყელზე უკეთია პიონერის ყელსახვევი. ორჯერ ზედოხედ შემოჰკრა ტაშში. იქაურობა საშინელი ხარხარით ივსება.

კიბეზე მსხდომნი იცინიან გულის შეწყუხებამდე. სიცილისაგან დაუძლურებულნი ცურდებიან მოაჯირებიდან, ვარდებიან რელსებიდან. იცინიან მსუქნები, გამხდრები, პატარები, მოზრდილები.

უცებ რუსიკო სწრაფი მოძრაობით ისევ იმართება, თვალის დახამხამებაში იღებს აღრიდელ სახეს. ახლაც ორჯერ უკრავს ტაშს. ამჯერად სასოწარკვეთით ღრიალებენ ბავშვები, მოსთქვამენ, თვლები ასწითლებიათ.

რუსიკო ისევ უკრავს ტაშს. პატარები დგებიან ადგილებიდან და სერიოზული სახეებით დააბიჯებენ ტალანში, კიბე-



ზე; დაბიჯებენ გულხელდაკრეფილები, ზოგს ზურგსუკან დაუწყვია ხელები, ზოგს დოინჯი შემოუყრია.

შუა თამაშში დერეფნის ორივე ბოლოს ჩასაფრებული ბიჭი და გოგო ასტეხენ განგაშს.

ბავშვები ჩანთებს წამოავლებენ ხელს. გარბიან ქუჩაში. წამით ეშმაკურად ინაბებიან.

მეორე წუთს ერთმწყრივად ეწყობიან. ჩანს: დიდი კაცის ჩრდილი. მას თითის წვერებზე სათითაოდ მისდევენ ბავშვების ჩანთიანი ჩრდილები.

კაცის ჩრდილი ნელა აბრუნებს თავს. პატარების ჩრდილები იფანტებიან. დამფრთხალი ბავშვები სიცილით გარბიან ყველა მიმართულებით.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ერთად იყრიან თავს. ვიღაც მოხუცი კაცის გაცეხული, კომიკური ჩრდილის წინ უცებ ეცემა ბიჭი. ეს ბიჭი გიზოა. მას ზემოდან აყრიან ჩანთებს და ფარავენ.

წინ წამოდგება მსუქანი, თუხთუხა გოგო, თვალეზზე ცრემლი ადგება. ლაპარაკობს სასაცილოდ, თითქმის სლუკუნით: „აქ გაკვეთილების გმირულად, ხუთებზე, ჩაბარების შემდეგ დაეცა ბიჭი გიზო. მაღლიერმა კაცობრიობამ სკოლის ჩანთებით შეამკო იგი“.

ისმის სტვენა. უსტვენს ვასიკო — პატარა, დიდყურება, წრიბინა. მერე უცებ იყვირებს: — არიქა, გიზოს დედა!

ხელები ზედიზედ იტაცებენ ჩანთებს. გიზო წამოხტება, აიტაცებს თავის ჩანთას, თავქვეშ რომ ჰქონდა ამოდებული, გარბის.

ყველანი სხვადასხვა მხარეს გარბიან. ისმის ხმა: „ბავშვებო, ყველანი სახლებში!“

ჩანს: ცარიელი სკოლა, დაცარიელებული ქუჩა, ეზოები.

ტექსტი: ამ დროს ბავშვები საუნთბენ და შემდეგ იწყებენ საშინაო დავალების მომზადებას, აღარაფერ აღარა ჩანს გარეთ.

შენდეგ ვხედავთ: დიდი ეზოს კუთხეში ზის ეგრეთწოდებული ქუჩის ბიჭი სოსო, იფურთხება მზესუმზირას, ხელ-

ში უჭირავს შურდული, ესვრის კატებს და დიდებულად ერთობა მარტოკა.

ტექსტი: ოპ, უკაცრავად, ეს გამოწყლისია. თქვენ ნახავთ, რა კეთილსინდისიერად ამზადებს გაკვეთილებს გოგი.

სინამდვილეში ჩანს: გოგი ორივე ხელით იტენის პირში საჭმელს და ილუქმება.

ტექსტი: ოპ, არა, არა, სულ დავავიწყდა, რომ ეგ ღორბუცელაა, აი ახლა გაჩვენებთ ორ ფრიადოსანს, რომლებიც სულ ერთად ამზადებენ გაკვეთილებს.

ჩანს: გიგელი (მიმიკების დიდი ოსტატი) და ვასიკო.

გიგელი თითებს კეცავს და შლის, აჩენს კედელზე ჩრდილებს — ფიგურებს.

ვასიკო წრიბინა ხმით ანოვანებს.

ტექსტი: ოპ, დღეს რაღაც არ გვიმართლებს, მაგრამ მე მეგულება ერთი გოგონა, ის ყოველ მიზეზს გარეშე გაკვეთილების სწავლით იქნება გართული.

ჩანს: ირინეს ოთახი. კედლებზე ხატია ათასი უცნაური რამ და ჰკიდია სურათები: ქალები, მეკობრეები, პიონერები, პაპუასი, ჰკიდია აგრეთვე მარაოქოლა.

ტექსტი: — ხედავთ ირინეს?! ხომ გითხარით!

ჩანს: ირინე, პატარა, თხელი გოგონა, ამაყი, ჭკვიანური სახით, ზედმიწევნით ნაზი, ჩაპყურებს სახელმძღვანელოს, კედელთან გაივლის დედის აჩრდილი და გავა მეორე ოთახში.

ირინე: უცებ ხურავს სახელმძღვანელოს, რომლის ქვეშ ამოდებული წიგნიდან ჩანს რაღაც ბრძოლის სურათი — უცხო ილუსტრაცია ალბომიდან.

ტექსტი: ოი, ოი, აღარ შეხედოთ, სულ დავავიწყდა, ეგ ხომ ცნობილი თავგადასავლების მაძიებელი გოგონაა. სულ ეჩვენება, რომ იტაცებენ და ცდილობს ღირსეულად ეჭიროს თავი. სჯო-

გურამ რაფულიშვილი
ბავშვი ბავშვი ერთად



ბია, ისევ ეზოში გამოვიდეს საყოველ-
თაოდ ცნობილ ცულლუტებთან.

ჩანს: ეზოში სოსო შურდულით ქვას
ესვრის კატას.

ჩანს: დათო და მიშა სახურავზე.

დათო დიდი, დიდთავა დეფექტური
ბავშვია, მიშას მლიქვნელის სახე აქვს,
მოძრავი, შეწუხებული, მოლიმარი. ვერ
ისვენებს ვერც ერთი წამით, ჩუმად
ჩქმეტს დათოს, აწვალებს, რადგანაც
იცის, რომ იგი ვერაფერს ავნებს. სამა-
გიეროდ აღტაცებულია გურანით. გუ-
რამი წითელ თუნუქზე ცარციტ ხატავს
ბატალურ სცენებს: სოსო ახრჩობს კა-
ტას, სოსო შურდულით მისდევს კა-
ტებს, სოსო ცოცხლად აძრობს კატებს
ტყავს.

ამ დროს გაირბენს კატა, სოსო ქვას
ესვრის. ქვა სახურავზე ვარდება.

— სოსოა, სოსო! — აღტაცებულია
მიშა. დათო წაწვება და თავს გადაპ-
ყოფს, სოსოს ისევ კატა ჰგონია და ეს-
ვრის ქვას.

— სოსო, სოსო! — ყვირიან მიშა და
დათო. სოსო კისერზე ჩამოიკიდებს
შურდულს. თვითონ საწვიმარი მილით
კატასავით მიძვრება სახურავისაკენ.

ბოლოს უჭირს, მაგრამ სამივეს დახ-
მარებით მიინც აძვრება.

— შენ ეი, რა თეთრი ხარ, თეთრ პე-
რანგში, დედას ბიჭივით! — აძრომის-
თანავე ისვრის ის გურანისაკენ.

მიშა ზურგზე ჩამოუსვამს ნახშირის
ნატებს, გურამი იღიმება და თვითონაც
ეხმარება მიშას საკუთარ თავის გაჭუჭ-
ყიანებაში.

— აი აგრე, — ამბობს სოსო, — ახ-
ლა ცოტა გაშავდა.

— ეყოფა? — კითხულობს მიშა.

— ეყოფა, ნამდვილი ძველი ბიჭი ვახ-
დი. — სოსო გურამს თავზე ქუდს ჩამო-
აფხატებს, — მხატვარი ხარ და არ იცი,
ფერს რამდენი შეუძლია.

უცებ სოსო ხელით ანიშნებს ბიჭებს,
ჩაწვინენ. ბიჭები თუნუქს ეკვრიან. სახუ-
რავის თავზე მტრედები იწყებენ ტრი-
ალს. ერთი მტრედი წანით დაეშვება სა-
ხურავზე. სოსო მოხერხებულად იჭერს.

ქვევით, ეზოში, გამოდის გოგი, მტრედის
საქმლითა აქვს გამოტენილი, ხელში
მელნით მოუთხუპნია.

ჰაერში ირევინან და ტრიალებენ მტრე-
დები, გოგი ოთხივე თითს იდებს პირში.
უსტვენს. ტუჩები მელნით ეღებება.

სოსო სამტრედეში ჩამწყვდიულ მე-
ორე მტრედსაც იჭერს. გოგი ითვლის
ჰაერში მოტრიალე მტრედებს; ისევ
ითვლის, ახლა ორი აკლია.

(ან ჯერ ერთი აკლდა, შემდეგ ორი
დააკლდა). იყურება სახურავისაკენ
„ააა“ — ამბობს ხმადაბლა, იქ გაილ-
ვებს დათას თავი და გაქრება. გოგი
თუნთხით შერბის სადარბაზოში, აკა-
ქუნებს სხვადასხვა კარზე, კარებიდან გა-
წორბიან გოგოები, გამორბიან ბიჭები.
ყველას ეტყობა, რომ ეს-ეს არის, დაამ-
თავრეს გაკვეთილების მომზადება.

გოგი ხელით ანიშნებს ყველას, ჩუმად
იყვენენ, ნიშნებით აცნობს მოქმედების
გეგმას.

ვიწრო კიბით ფეხაკრებით მიიწევენ
სამტრედესაკენ.

ამ დროს სოსოს ამაღა მშვიდდება.
გოგი ეზოში აღარ არის, ყველაფერი
რიგზეა! შერჩათ მტრედების აწაფნა.
გურამი ხატავს ხალხით გაჭვდილ სტა-
დიონს, აქ მტრედები უნდა გაუშვას.
სოსო გაწოლილა და ტრახახობს:

„უჰ, ერთი ჩამავდებიანა ხელში ის მა-
ბეზლარა ხოზო!“

გურამი ხატავს, რასაც უზამდა იმ მა-
ბეზლარას სოსო — ნახატი საკმაოდ კო-
ჭიკურია. ყველანი აღტაცებით უყურე-
ბენ ნახატზე გამარჯვებულ სოსოს.

„ეს ხელოვანი მე მეკუთვნის“, —
ნხარზე ხელს არტყამს სოსო გურამს.
უბეში ორივეს მტრედები ჰყავთ ჩამა-
ლული.

უცებ გაირბენს კატა. სოსო ერთი ნა-
ხტომით დაეწევა. კატა გარბის სამტრე-
დესკენ: აქ ბავშვები არიან ჩასაფრებუ-
ლი. სოსო დაიჭერს კატას, გოგი დაი-
ჭერს სოსოს. ჩოჩქოლია.

ბავშვები დასდევენ და დანარჩენ სამ
ბავშვსაც იჭერენ. ჩაჰყავთ სხვენში. აქ,
აბლაბუდიან ოთხ ბოძზე აბამენ ოთხი-



ვეს. გოგი მტრედებს თავის ხელით ათავისუფლებს. მტრედები ირაოთი მიდიან ჰაერში.

ბავშვებს მოაქვთ და წითელი ყელსახვევებით დაფარულ ყუთზე აწყობენ მტრედის ბუმბულს, ერთ მკვდარ ჩიტს, იქვე აბამენ ერთ ფეხმოტეხილ და ერთ ყურმოჭრილ კატას, აგრეთვე სანახევროდ გაპუტულ ცოცხალ ქათამს. ეწყობა სასამართლო.

მეორე ვარიანტი: ჩანს, როგორ ეშაღებინან სასამართლოსთვის ბავშვები: ლაპარაკობს დიქტორი, განაჩენსაც თვით დიქტორი აცხადებს მოქმედების პარალელურად.

მესამე ვარიანტი: თვითონ ბავშვები საუბრობენ, გოგი მოსამართლეა, რუსიკო — პროკურორი, ვასიკო მსაჯული.

„ეგენი დამცველის ღირსნი არ არიან“, — ასეთია დარბაზის აზრი.

გოგი: თქვენს წინა ოთხი აგრესორი.

დათო: მე არა ვარ აგრესორი!

გოგი: სულერთია, მათთან ხარ შენც შეკრული, ამხელა ბიჭი!

გურამი: არც მე ვარ აგრესორი, მე მხატვარი ვარ.

რუსიკო: მოსამართლის ნებართვით ეუპასუხებ.

გოგი: გთხოვთ.

რუსიკო: ერთ-ერთი ბრალდებული ხელოვანია. აქ ვხედავთ მის ნახატებს — ჩხირით ხატია მტვერზე — თვითონაც აგრესორია, შეიძლება უარესიც.

სოსო: (ამაყად) რისი გეშინიათ? დიახ, მე ნამდვილი აგრესორი ვარ, თუ კარგია, და, აგრე გინდათ.

მიშა: მეც, მეც!

სოსო: გიხაროდეთ, აბა რა, ჩვენ, ოთხივენი აგრესორები ვართ!

დათო: (დაეჭვებით) მართლა? რა არის აგრესორი, გოგი?

გოგი: (მორცხვობს) კარგად არ ვიცი, რა არის, რუსიკომ იცის.

რუსიკო: (იბნევა, მაგრამ ისევ სწრაფად იღებს მკაცრ სახეს) ჩვენ ვალდებულები არა ვართ განვემარტოთ მა-

გათ, რა რას ნიშნავს. ერთი რამ ცხადია — აგრესორობა კარგი არ არის.

გოგი: სჯობია გავაგრძელოთ გასამართლება.

დარბაზი და ნ: გავაგრძელოთ, გავაგრძელოთ! იხილავენ დასასჯელთა „ბიოგრაფიებს“.

გოგი: რა სასარგებლო საქმეს ეწევა ბრალდებული სოსო?

სოსო: ათავისუფლებს ეზოს სხვა ეზოს კატებისაგან.

გოგი: ვისია ეს კატა? (უთითებს ფეხმოტეხილზე).

სოსო: (იმრიზება).

სხვები: ჩვენი ეზოსია!

გოგი: გაჩუმდით! (გიზოს — ისმდივანია) ჩაწერე ერთი ეს ფაქტი (გიზო წერს ჩხირით, მტვრიან კოჭზე, გურამის ნახატების ზევით).

გოგი: რატომ დაიჭირე მტრედები?

სოსო: (თავხედურად) კატები დავხოცე და მინდოდა მათი მაგივრობა გამეწია.

გოგი: აჰ, ასე პასუხობ?! (დარბაზს) აწვალბდა სოსო მტრედებს?

დარბაზი: ბურტყლს აცლიდა.

გოგი: „კბილი კბილისა წილ“, მიესაჯოს სოსოს ყოველი დამსწრისაგან თითო ღერი თმის ამოცლა.

სოსო: (ყვირის) ეს რა სამართალია! სხვები აცლიან თმას და ხარხარებენ. სოსო ატირდება.

გამოდის აქამდე ნახევრად მიძალული ირინე და დამცინავად უყურებს მას. — „მტირალა!“ — ენას უყოფს.

გოგი ანიშნებს ყველას, არავის გაუმხილონ დამნაშავეთა აქ დაბმის ამბავი; დაბმულებს კი აძლევენ დროს მოიფიქრონ, რა ურჩევნიათ: ქუჩის ბიჭობა, აგრესორობა თუ ეზოს ბიჭობა.

— ეზოს ბიჭობა, ეზოს ბიჭობა; — ზღუქუნებენ დათო და მიშა.

— ფუჰ, ეს რანაირი ქუჩის ბიჭები არიან, — გოგის გასაგონად ამბობს რომანტიულად განწყობილი ირინე და

გურამ რჩაულიშვილი
გვიწი ბავშვი ერთად



იზრახება. — აი მე ვნახე გუშინწინ ისეთი კარგი, ყოჩაღი ქუჩის ბიჭები!

გოგი ყურებს ცქვეტს. ეტყობა, ყველანაირად უნდა, ირინეს წინაშე ვაქაცო გამოჩნდეს.

— საღამომდე ყველას დაბმულს ვტოვებ, — ამბობს გოგი.

ყველანი ჩარბიან ქვევით. ვიღრე წაივლოდნენ, ემანჭებიან დაბმულებს.

— მაინც რა ბიჭები ნახე ისეთი? — ეკითხება გოგი ირინეს. გოგი ნაწყენ-გაბერილია, ორივენი ჩამოსასვლელთან დგანან.

ირინე სარგებლობს და იბრანჭება (საკმაოდ ზომიერად, ოღონდ გამომხატველად).

— შენ ვერასოდეს ვერ იქნები ისეთი.

— რატომ? — ათუხთუხდება გოგი.

— არც მინდა, არც მინდა!

აქეთ, შუა ეზოში: იწყება „მრგვალი ვირის“ თამაში. ბავშვები გაჰყვირიან ისეთ სიტყვებს, რომ სხვენი მიბმულები გააბრაზონ: „უჰ, რა ამინდია, რა სათამაშოა, რა კატამ გაირბინა“ და სხვა.

მირბის გოგი, მას სხვის მაგიერ აყენებენ „დედად“. გოგი ძალ-ღონის დაუშურებლად აქლომინებული თამაშობს.

(თამაშობენ „მრგვალ ვირს“ ყოველგვარი წესების დაცვით).

გოგის თავიდან არ შორდება ფიქრი: „აღბათ იმიტომ იყვენენ კარგი ბიჭები, რომ ყველას ერეოდნენ“.

თამაში უფრო ხმაურიანი ხდება.

„ მეც ყველას ვცემ, მეც ყველას მოვერევი“, — უტრიალებს გოგის თავში.

უცებ „დედას“ — გოგის ვასიკო წრიბინით მოახტება ზურგზე. „ესეც შენ“, გაწითლდება გოგი. „ყოჩაღ, ვასიკო, ვასიკო, ვასიკო!“, — წვრილი ხმით აქებენ ბიჭები, გოგის ზურგზე ვასიკო ჰკიდია, მისი თვალები ხვდება ირინეს დამცინავ თვალებს.

თამაშის წესების მიხედვით, გოგიმ ხაზს გარეთ უნდა გაიყვანოს ვასიკო, მაგრამ ხაზთანვე ბრაზდება და ზურგიდან მოისვრის, „აღბათ ყველას სცემდნენ ის ბიჭები, ირინეს რომ მოეწონა“, — ისეც გაუელვა გოგის.

ვასიკო დაეცემა და წრიბინით ტიბის.

— ე-ე! — გამოდის შედარებითი ბიჭი, ელიშერი, იგი აქამდე არაფერში არ ერეოდა.

თამაში ჩერდება. ყველანი გოგისა და ელიშერის გარშემო იყრიან თავს.

— რა „ე“, — თუხთუხებს გოგი.

— ხოზო! — ეუბნება ელიშერი.

„ჩემზე დიდია, თორემ ვცემდი“, —

— გოგი ირინესაკენ იხედება.

ელიშერს უკანიდან ხელს ჰკრავენ. ეჯახება გოგის. გოგი, თავის მხრივ, ოდნავ ჰკრავს ხელს ელიშერს.

— აბა, კიდევ მკარი, — იჯგიმება ელიშერი.

ახლა გოგის ჰკრავენ ხელს — ის ეჯახება ელიშერს.

— კიდევ! აბა! — გამომწვევად ამბობს ელიშერი და თან ვერ ბედავს ჩხუბის დაწყებას.

— გაგკრავ კიდევაც! — თამამდება გოგიც.

— აბა, მკარი! — იმეორებს უკვე შეშინებული ელიშერი.

— გკრავ!

გოგის ხელს ჰკრავენ. იგი ახლა უკვე მაგრად ეჯახება ელიშერს. ელიშერი ხელს ჰკრავს მკერდში.

ირინე ირონიულად იცინის. გოგი უცებ მთელი ძალით მივარდება მოწინააღმდეგეს, დააგდებს ძირს და სცემს.

ელიშერი დაბნეულია, რიგიანად ვერ უმკლავდება.

სხეები ყვირიან, ტრიალებენ, უსტვენენ, ამხნევენენ საკუთარი ძალით აღფრთოვანებულ გოგის. გოგი ირინესკენ იხედება.

„ ვითომ ჩემზე კარგი მოჩხუბარი იყო ის ქუჩის ბიჭი? “ — ისმის მისი ხმა.

— მა რა, აბა რა, — იბრანჭება ირინე.

გოგი უცებ შეუშვებს ელიშერს ხელს. ირინეს ჩააფრინდება და კიბისკენ გაარბენინებს.

ბიჭები განაგრძობენ „მრგვალი ვირის“ თამაშს.

თამაშის ფონზე მოჩანს: ელიშერი ილურსება ბოძთან. ვასიკო მარჯვედ ტრიალებს მის წინ და ენას არ აჩერებს:

— ეგ რა ცემა იყო, ვითომ მოგერიო! არც ითვლება ეგ ცემაღ, არც კბილი ჩამოუგდია, არც ტუჩი გაქვს გახეთქილი, ცხვირიდან სისხლი კი ჩხუბში, შენც იცი, არ ითვლება, არა?!

ელშიერი ძლივს ითმენს მის მოჩვენებით თანაგრძნობას, მერე წამოართყვამს, და ლაპარაკის იმტაზე მოსულ ვასიკოს იჭით ისვრის. ამ დროს: სადარბაზოდან გაპრიალებული ფეხსაცმლის პაკაპუჯით გამოდის კოხტად გამოწყობილი, სათვალლიანი ბიჭი ტატული; მას ბრტყელი სანოტე უჭირავს, სანოტეზე რომელიღაც კომპოზიტორის პროფილი მოჩანს.

ვასიკო ტატულის ფეხებთან ეცემა. დაცემისთანავე წამოხტება და სიცილით შეუყფეს: „აქ-აქ!“ — მისი ყფვა წრიბინივით ისმის.

ტატული გაიქცევა, ვასიკო გამოუღვება გათამამებული, მერე გაჩერდება, დოინჯს შემოიყრის და კმაყოფილი უყურებს.

გოგი ირინეს მთარბენინებს კიბეზე. სხვენთან გაჩერდებიან.

— რითი მგობია მე ის ქუჩის ბიჭი, შენ რომ ნახე? — გულუბრყვილოდ, გაბრაზებული ეკითხება გოგი გოგონას.

— გგობია, გგობია, არ გეტყვი, რითი. — გულუბრყვილოდვე იბრაწყება ირინეც.

— მაშ შენ ჩემი ამხანაგი არა ხარ, — თუხთუხებს გოგი.

— შენი ამხანაგი ვარ, მაგრამ, ის უფრო ყოჩაღი ჩანდა, აი ასეთი, — ირინემ ისეთი პოზა მიიღო, თითქოს თვითონ იყოს ტანწერწეტა ბიჭი.

— ხოზო რომ ვარ?! — აჭარხალდა გოგი, — მე, მე ყველასა ვცემ, იმასაც ვცემ, ყველა ქუჩის ბიჭზე უარესი ქუჩის ბიჭი გავხდები, ვიოლინოზე ხომ აღარ ვუკრავ? ეს ერთი!

ირინეს სახეზე უცებ ეშმაკური ღიმილი ათამაშდება, გოგისაკენ გადაიწევა და ყურში ეტყვის:

— იცი, მამაჩემი როგორი კაცია?

— როგორი?

— დედაჩემს მოჰკიდა ხელი და მოიტაცა.

- მარტოკამ?
- არა, ამხანაგებთან ერთად.
- სკოლიდან?
- არა, ეზოდან.
- ნამდვილად იცი? საიდან იცი?!
- სულ ყვებიან ხოლმე მამა და დედა.
- მერე, მერე?!
- ალბათ ის ქუჩის ბიჭიც ისევე მოიტაცებს თავის ცოლს.
- ვერავისაც ვერ მოიტაცებს ის!
- მოიტაცებს!
- ვერა!
- მოიტაცებს!
- ვერა!
- მაშ ვინ მოიტაცებს?!
- მე!

„ეეეე-უ, გოგი!“ — ისმის ბოძზე მიბჰული სოსოს ხმა სხვენიდან. გოგი მაგრად სტაცებს ირინეს ხელს და იჭითკენ წიათრევის.

ქვევით, ეზოში: პატარები სიცილით კვდებიან.

წრის შუაგულში სკოლამდელი გიგული მიბარბაცებს; მთვრალს აბრაზებს.

„გენაცვალე სულში, — ბუტბუტებს ის და თვითონვე უკეთებს კომენტარს — ასეთი იყო გუშინ მამაჩემი: „შენა ხარ ჩემი საყვარელი მეუღლე, უსაყვარლესი... — ხევის მხარზე ხელს მასზე გაცილებით მაღალ გოგონას ლიას. შენ კი — ყვრიმალში ამოსდებს ხელს ვასიკოს, — ჩემო უსაყვარლესო, უმამაცესი, უვაცკაცესი, უმამაძაღლესი, საკუთარი ვაჟი გიგული, რომელიც ამასაც მირჩენია — უთითებს „ცოლზე“ — და ამასაც — ხელს იშვერს მზისაკენ.

ბიჭები გულიანად იცინიან.

„ტატული, ტატული“, — მზრუნველ დედასავით შემოდის რუსიკო წრემში.

გიგული იბერება, სერიოზულდება, იწყობება, ვიოლინოს ნაცვლად იჭერს რაღაც მუყაოს ნაჭერს და „დედისაკენ“ ნამდვილი ტატულივით მიდის.

„დედა“ განაგრძობს: „შენ, ჩემო ბიჭო, ანგელოზო, მგობთა მგობო ყვე-

გურამ რჩეულიშვილი
ბავშვი ბავშვი ერთად



ლა ვიოლინოზე დამკვრელისა, ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ტატული, ტატული...“

რუსიკო ლოყაზე უჩქმეტს გიგულის. ოღონდ ოდნავ უფრო ძლიერად, ვიდრე თამაშს შეეფერება.

გიგული ენას გამოუყოფს და თმას მოწინის მისკენ დახრილ რუსიკოს, რომელსაც თმა ზედმიწევნით წმინდად აქვს დავარცხნილი. რუსიკო დაეძვრება და ერევა გიგულის, გიგულის მოეხმარება ვასიკო. რუსიკოს მიეხმარება ლია. ბიჭს ეხმარებიან ბიჭები, გოგოს — გოგოები.

მათ შორის ხელჩართული ომის დაწყებამდე ჩანს: ეზოს ერთ კიდეში, ისეთ ადგილას, რომელსაც ყველა მხრიდან კარგად ვერ დაინახავთ და საიდანაც, თავის მხრივ, ყველაფერი მშვენიერად მოჩანს, დგას ორსართულიანი ვიწრო საქათმე, ქვედა სართულში არიან ინდაურები და ერთი გოჭი, იქვე, გარეთ, აბია საჩხებრად მომზადებული ყოჩი, მეორე მხარეს ზის ეზოს ძალდი ყურშა. ზედა სართულში შეყუყულ პატარა ვარიკებს შორის ამაყად დადის წითელბიბილოიანი დიდი მამალი. საქათმის თავზე ფეხმორთხმული ზის ლევიკო, ტანად ძალიან პატარა ბიჭი. ყელი მოუღერებია, თავი ამაყად უჭირავს, ხანდახან იღიმება, ცოტა უცნაური ჩანს, მაგრამ სრულებითაც არ ტოვებს არანორმალურის შთაბეჭდილებას, პირიქით.

ტექსტი: ერთი წამით, ერთი წამით გამოეთიშეთ ყველაფერს. შეხედეთ ამ პატარა, განმარტოებულ მეოცნებეს, ნახეთ, რა საინტერესოდ აღიქვამს მისი კეთილშობილური და სულის სიღრმეში შეჭრილი ვაჟკაცური ბუნება გარემოს.

ლევიკოს უკან წამოყუდებული სახლის კედელი გადაიქცევა სალ კლდედ, თავად ლევიკო — მიჯაჭვულ ამირანად, ზოლო ეზოს ძალდი — ყურშად.

ტექსტი: მისი არსება ყოველთვის შეპყრობილია რაიმე დიადისა და კარგის გაკეთების სურვილით, მაგრამ სუსტია და ტანად პატარა, ამიტომ ყოველთვის „მიჯაჭვული ამირანის“ მდგომარეობაში

წამოიღგენს ხოლმე თავს, „მიჯაჭვული ამირანი“ ზომ მისი საყვარელი გმირია.

ეზოში: ბიჭები ცალკე გადგნენ, გოგოები — ცალკე. მერე დაერივნენ ერთმანეთს და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს.

ლევიკოს მთელი სხეული ეძაბება. ცდილობს, ფეხზე წამოდგეს, რომ გააშველოს ისინი, მაგრამ ჯაჭვები არ უშვებს. ყურშა ლოკავს ჯაჭვს და თითქმის გაწყვეტამდე ათხელებს.

ტექსტი: ლევიკოს გონება ბიჭებისა და გოგონების შეტაკებას ისე აღიქვამს, როგორც მის მიერ ახლად წაკითხულ ლეგენდას სპარსელებისა და მაკედონელის ჯარების შეტაკებაზე.

ეზოში ბრძოლა მწვედდება, ბევრი უსულოდ ეცემა ძირს. ლევიკოს ესმის იარაღის ყლარუნე, ცხენების ჭიხვინი.

ეზოში ომი ზენიტს აღწევს. რამდენიმე ბავშვიდა რჩება ფეხზე, ბოლოს ისინი ეცემიან.

გადარჩებიან მხოლოდ რუსიკო და გიგული.

უსულოდ ყრიან მზისგულზე მშვენიერი გოგონები და ბიჭები.

დადის რუსიკო მარტო თავის დახოცილ დებს შორის და ტირის;

დადის გიგული თავის მეგობარ ძმებს შორის და ისიც უნუგეშოდ ტირის. უცებ დაინახავენ ერთმანეთს.

ორივეს საშინელი სიბრაზე ეტყობა სახეზე.

გვერდით მოჩანს მინდორი. სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლისათვის მიდიან იქითკენ.

ლევიკო წამოიწევა, ჯაჭვი სულ გაწვრილებულია, პალო თითქმის ამოძრობაზეა, ბიჭი უნდა გამოქანდეს, გააშველოს მოსისხლენი, მაგრამ ამ დროს მკედლები უროს დაპყრავენ ჯაჭვს და ისევ ასქელებენ.

ლევიკო უმწეოდ ეშვება თავის ადგილას.

გიგული და რუსიკო საცაა უნდა შეეტაკონ ერთმანეთს. მათ მოქმედებაში იგრძნობა თავგანწირვა.

ლევკო უიმედოდ იყურება მოჩხუბრებისაკენ.

ამ დროს: მუსიკის გაკვეთილის დანიშნულების შემდეგ შინ ბრუნდება ტატული. ის მხიარული სახით შემოდის და გლდანაკრავი ადგილზე ქვაკვდება: უსულოდ გდია პატარა ვასიკო, ტატულის ცრემლი ერევა. სისხლში მოსვრილი წვანან სხვებიც. ტატული ტირის.

გიგული და რუსიკო მიიწევენ ერთმანეთსიკენ. უცებ ისმის მამლის არაჩვეულებრივი მხნე ყვირილი. რალაც გრანდიოზული აზრი მოსდის თავში ლევიკოს. ხელით ანიშნებს ტატულს.

ტატული სერიოზულ სახეს იღებს. ხსნის ბუდეს, ამოიღებს ვიოლინოს და უკრავს.

სულ უფრო ძლიერად, მხიარულად და მხნედ ისმის საკრავის ხმა.

იმსხვრევა ლევკოს ჯაჭვები, ბიჭი წელში იმართება, გიგული მივა რუსიკოსთან, რომელიც მეგობრულად უღიშის და ხელს გადახვევს.

თავს წამოყოფს პატარა ვასიკო. ამოძრავდებიან გალიაში ცხოველები. ცოცხლებიან დახოცილები.

უცებ ყველაფერი ისევ რეალურ სამოსელში ეხვევა.

ძველიდან რჩება: ტატული უკრავს ვიოლინოზე, ბავშვები აღფრთოვანებით ცეკვავენ, მღერიან, ერთობიან.

ტექსტი: ხელავთ ლევკოს?

ჩანს: ლევკო ხელებგაშლილი ზის საქათმის თავზე.

ტექსტი: ახლა იგი უმეპელად გაფრენას მოისურვებს;

ლევკო დააქნევს ხელს, გაფრენა უნდა, მაგრამ სასაცილოდ ვარდება ძირს, წამოხტება, სევდიანად ეღიმება.

ბავშვები იყოფიან რალაცა თამაშისათვის.

ვიოლინო ისევ უკრავს. ტატულისაც მიათვლიან. ეზოში ყოველი მხრიდან ისმის მშობელთა ხმები:

„ტატული, ტატული, ჯერ არ გისადილია!“

„ვასიკო, არითმეტკა დაგრჩა მოსამზადებელი!“

„რუსიკო, ამოდი ჩქარა!“

„გიზო, დაკარგავ, იცოდე, ფრიადონობას!“ და სხვა.

ბინდდება. გაბმულ მავთულზე მიბმული ბულდოგი იბღვირება.

ეზო ცარიელდება. საქათმესთან მიბმული ყურმა მოწყენილი რჩება. ქათმები იბუღრებენ. გოჭი იძინებს ინდაურებს შორის. ყოჩი და მამალი უყურებენ ერთმანეთს. ამოდის მთვარე. ეზოში ისმის მშობლების შემოფოთებული ხმები:

„გოგი! სოსო! მიშა! დათო! გურამ!“

„ირინე, ჩემო გოგონა, ირინე!“

ჩანს სხვენი, ბოძები — გადაჭრილი თოკებით.

(ეს ის თოკებია, რომლითაც დილით მიაბეს სოსო, მისი ამალით).

ცარიელა ეზოში მშობელთა ხმები მეორდება.

ჩანს ხელი, რომელიც აუშვებს ბულდოგს. ჩანს ხელი, რომელიც ახსნის გალიასთან მიბმულ ყოჩს. გრძელდება ბავშვების ძებნა, მათი სახელების ძახილი. ჩანს ღამეში გახვეული, გრანტიტის კედლებში მოქცეული მტკვარი. მთვარე ტალღებს მიჰყვება ხილქვეშ; ნაპირი ქვიშაინ დაბლობში გადის. ისმის ხმები წყლის ჩხრიალთან ერთად:

„მე მეგონა, შემეშინდებოდა.“

„მე პირიქით.“

„შენ ტყუი!“

„არა, მართლა პირიქით.“

„არც შენ გეშინია, სოსო?!“

„მართლა არა?“

„არა!“

„ყველაზე ყოჩალი მაინც გოგია.“

„აბა, რა!“

„ირინესაც კი არ ეშინია, იმიტომ რომ გოგამ მოიტაცა.“

„უჩვენოდ ხომ ვერ მოიტაცებდა.“

„ირინემაც ასე თქვა. უამხანაგებოდ მოტაცება მოტაცებულ არ ითვლებოა.“

„გოგის მერე ყველაზე ყოჩალი მაინც სოსოა.“

„სოსოსაც რომ მოტაცებული ცოლი

გურამ რამულიშვილი
ბეგრე ბავშვი ერთად



ჰყავდეს, ისიც ისეთივე ყოჩალი იქნებოდა.“

ს ო ს ო: — ჩუუ.

გამოჩნდება: ნაპირის გასწვრივ მიდის ოთხი ლანდი. ბოლოს დიდთავა დათოს ათრეული მიჰყავს ყოჩი, ჩქარობს, ბორბიკობს, საკმაოდ სასაცილო მღვობარეობაშია. ყვირის:

„ახლა ქორწილს გადავიხდით, ცხვარს დავეკლავთ!“

მათგან კარგა მოშორებით, წინ მიდიან გოგი და ირინე, თან ბულდოგი ახლავთ. გოგი ხანდახან წევება და მიწას ადებს ყურს. ამ დროს უკან მიმავალნი ჩერდებიან. მერე გოგი ნელა უსტვენს და ყველანი განაგრძობენ გზას.

აქ შეიძლება ჩაუვრთოთ ზაიმე მორალი ბავშვების სახლიდან გაპარვაზე (შებნედთ გოგის და სხვა).

„გეშინია, ირინე?“ — ეკითხება გოგი ჩურჩულით.

„მგონი კი“, — პასუხობს ირინე.

„ჩემთან ერთად რომ ხარ მაინც?“

„შენ თვითონ ისეთი პატარა ხარ!“

„პატარა თუ ვარ, ცოლი საიდანა მყავს?“

„მართლა გყავს?!“

„დაგავიწყდა! შენ არა ხარ?“

„ჰო, მართლა, მაშინ აღარ გეშინია.“

„ახლა მალე მივალთ, ნედავ, იქით ჩანს კიდევაც იმ კოშკის ნანგრევები. სადაც ღამე უნდა გავათიოთ.“

„შეიძლება იქ უკვე არიან სხვები.“

„ჯერ ერთი, იქ არასოდეს არავინ არის, მეორეც. თუ იქნებიან, ბრძოლით გამოვყრით.“

კოშკის ნანგრევები წარმოადგენს სახლს, რომელიც სანაპიროზე მშენებლობის გვერდით დარჩა დანგრეული კვარტალის აღების შემდეგ. ამ სახლიდან მხოლოდ მაღალი, სიფრიფანა კედლებიღა დარჩენილი. აქა-იქ გამოჩნერილია რკინის კოჭები. მთვარე კედლის მხოლოდ ერთ მხარეს ანათებს თეთრად. დანარჩენი სრულ სიბნელეშია ჩაფლული, სიბნელეს ნელ-ნელა ეჩვევა თვალი.

სანამ რამის გარჩევა შესაძლებელი იქნება, ისმის მოხუცისა და ორი ბიჭის ხმები, მოხუცს ხმაზე ეტყობა, რომ ყოჩაღადაა, მხიარულია და ცოტა მოსულელოც.

მ ო ხ უ ც ი: ყოჩაღ ბიჭებო, დიდი ხანია გამოიქეციეთ სახლიდან?

ბ ი რ ვ ე ლ ი ბ ი ჭ ი: ეე, ვინ იცის.

მ ე ო რ ე ბ ი ჭ ი: ნახევარ წელიწადზე მეტია.

მ ო ხ უ ც ი: ცუდია, ცუდი, რომ გამოქეცულხართ, არც გაიყინეთ, არც შიმშილით დაიხოცეთ?! ყოჩაღ თქვენ!

ბ ი რ ვ ე ლ ი ბ ი ჭ ი: ჩვენ ძალიან მოგვწონს ასე ხეტიალი.

მ ო ხ უ ც ი: ოღონდ მაინც უნდა დაბრუნდეთ, ბოლოს მაინც. ისე მე თვითონ თქვენზე მეტად მიყვარს უგზოუკვლოდ ხეტიალი, დავებრდი და მაინც ასეთი ვარ. ბევრი ვიხეტიალე, სულ ბოლოს თბილისში მოვხვდი, აქ მომეწონა, აქ ძალიან კარგია, მე ჰკვიანი და ეშმაკი ვარ, უცებ ავუღე ალღო აქაურობას; ყოველთვის მქონდა სამყოფი ლუკმა. არც პატივისცემა მომკლებია.

მ ე ო რ ე ბ ი ჭ ი: ჩვენ სულ ერთი კვირაა, რაც აქ მოვხვდით და ჯერ ტყუილი არ გვითქვამს.

ბ ი რ ვ ე ლ ი ბ ი ჭ ი: ჩვენც მოვიტყუილოთ.

მ ო ხ უ ც ი: ცოტა კი, ცოტა აუცილებლად.

მ ე ო რ ე ბ ი ჭ ი: ჩვენ რომ არ გვიყვარს ტყუილი?

მ ო ხ უ ც ი: მაშინ სიმართლე ილაპარაკეთ, მე, უბრალოდ, ძალიან დიდი ხანია ვცხოვრობ, ძალიან ბევრი ვისწავლე და ძალიან შევეჩვიე ტყუილს.

ბ ი რ ვ ე ლ ი ბ ი ჭ ი: ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა ტყუილის თქმა შეიძლება, საერთოდ.

მ ო ხ უ ც ი: თქვით, რომ ასეთი ქვეყანა არასდროს გინახვათ.

მ ე ო რ ე ბ ი ჭ ი: ეგ სულაც არ იქნება ტყუილი, ჩვენ სხვა ქვეყანაში არც ვყოფილვართ.

სიბნელეში ნელა გამოიკვებებიან ბი-

ჭები, მხოლოდ მოხუცი ისევ ჩრდილში რჩება.

მოხუცი: — აი, ტყუილიც სწორედ აქ შეიძლება ითქვას, თანაც სრულიად უმტკივნეულოდ; თქვით, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა ვნახეთ, მაგრამ საქართველოსთან არც ერთი არ არის-თქო, ხი... ხი...

პირველი ბიჭი: ეგ რა, აუცილებელია?!

მოხუცი: აუცილებელია, ჩემო კარგებო, აუცილებელი. ქართველებს ძალიან უყვართ, როცა ცოტას ატყუილებენ, თუნდაც იცოდნენ, რომ ეს ტყუილია.

მეორე ბიჭი: ჩვენ კი მაინც არ ვიცრუებთ.

პირველი ბიჭი: არ ვიცრუებთ, არ ვიცრუებთ!

მოხუცი: ხი, ხი, ნუ იცრუებთ, ნუ იცრუებთ, მე კი დაგტოვებთ, წავალ, გამთენიისას უკვე სადღაც ქუჩაში ვიქნები, გამოვლენ დახლიდრები და ყოველ მათგანს დილა მშვიდობისაო, ვეტყვი; ვეტყვი აგრეთვე, ასეთი დილა არასოდეს არ ყოფილა-მეთქი. განა ესეც ტყუილი არ არის? რამდენი კარგი დილა ყოფილა სხვაც, მაგრამ იმათაც ესიამოვნებათ და მეც. აიამოვნეთ სხვას და თქვენს თავსაც, სანამ კარგად ხართ.

მეორე ბიჭი: არა! როცა ცუდი დილაა, ჩვენ ასეც ვამბობთ.

პირველი ბიჭი: ჩვენ იმითი ვამაყოფთ, რაც სინამდვილეში გვაქვს, ახლა ვამაყოფთ, რომ გვაცვია დახეული ტანსაცმელი, გამოვებარეთ შინიდან და ვხეტიალობთ.

მოხუცი: თქვენ იცით, თქვენ იცით. მე კი გავიქეცი, რომ დილა მშვიდობისა ვუსურვო ხალხს, ნუ იქნებით ბრიყვები, სჯობა იამაყოფთ იმ კარგით, რაც გინდათ გააკეთოთ, ვიდრე იმ ცუდით, რაცა გაქვთ. მე ყოველთვის, რაც მინდა, ის მმატებს სიამაყეს.

ბიჭები: (წამოდგებიან, ამბობენ ოდნავ სასაცილოდ) ჩვენ ვამაყოფთ იმი-

თაც, რაც გვაქვს, და იმითაც, რაც გვინდა! (სხდებიან).

მოხუცი: თქვენ იცით, თქვენ იცით... მე მოხუცი ვარ, ახლა გავიქეცი.

მოხუცის ხმა: (ნანგრევებს გარეთ, შორიდან) მე ერთი სულელი მოხუცი ვარ, მიყვარს „დილამშვიდობისა“ ვუსურვო ხალხს, და მიყვარს ბაყაყვით ყიყინი: ყვიტ ხი, ხი... — ყვიტ, ყვიტ.

პირველი ბიჭი: ნახე, ბებერს, ყიყინიც ჰყვარება.

მეორე ბიჭი: მე კი ოცნება მიყვარს.

პირველი ბიჭი: მეც ძალიან მიყვარს ოცნება.

მეორე ბიჭი: ისეთი ხმა აქვს, ოცნება ძალიან ეყვარება.

პირველი ბიჭი: ყველას, სულ ყველას უყვარს ოცნება.

მეორე ბიჭი: ზოგს მაინც განსაკუთრებით...

ტექსტი: ოო, ზოგი მხოლოდ მაგით ცხოვრობს (სიბნელე. ბნელაში მოჩანს ლევიკოს ოთახი).

ტექსტი: აი, ეგ ბიჭები ხეტიალობენ, ის მოხუცი „დილამშვიდობისა“ სათქმელად დადის, ეს კი სულ ოცნებობს და ოცნებობს.

ამასობაში ვათვალისწინებთ ლევიკოს ოთახს:

ერთ კუთხეში ანთია ფანტასტიური ფრინველის ფორმის მწვანე ლამაზი კედელზე ჰკიდია მკვეთრი ხაზებით შესრულებული რამდენიმე სურათი, ზოგი თვით ლევიკოს დახატულია: როგორ ზის თვითონ ცოცხზე და მიფრინავს კატასტროფის ადგილისაკენ, კატასტროფის ადგილი ცალკე, ერთი სერიის სამი სურათია: ლევიკო დგას მზეზე, ლევიკო დგას მთვარეზე, ლევიკო დგას და ერთი ფეხი მზეზე უდგას, მეორე — მთვარეზე.

ჰკიდია აგრეთვე, ფოტოსურათი — გაზეთიდან ამოჭრილი და ჩარჩოში ჩასმული რაკეტა.

გურამ რჩულიანი
ბიჭები ბავშვი მართა

ლევკო უზარმაზარი ფანჯრის კუთხეში მიმჯდარი, პატარაა, ერთი ბეწვა და მისჩერებია ვარსკვლავებს. ერთი ვარსკვლავი განსაკუთრებით კარგად მოჩანს.

ტექსტი: ეს არის მისი ვარსკვლავი.

რადიოს ხმა: უშვებენ პირველ საპლანეტაშორისო ხომალდს (შესაფერისი ტექსტი).

ლევკოს გონებაში ხომალდი წითელ ზოლად მიდის ვარსკვლავისაკენ.

ტექსტი ლევკოს ხმით: ნეტავი ახლა ვიჯდე იმ ხომალდში და მივფრინავდე ჩემი პატარა ვარსკვლავისაკენ, როგორ მინდა იქ გავფრინდე! (მოიხედავს ოთახისაკენ, უცებ მოსწყდება ფანჯარას, გამოიქცევა და უზარმაზარბალიშებიან საწოლში პირაღმა დაეშვება).

ისევ მისი ხმა: ძალიან მინდა იმ ვარსკვლავზე მოხვედრა და ასევე ძალიან მეშინია იმ გრძელი, ცივი, უპეროგზის, რომლის გავლაც უნდა მომიხდეს იქამდე. მერე, როცა გავივლი, ნეტავ რა იქნება იქ, ჩემ ვარსკვლავზე! ნეტა კარგია?! ნეტა კარგია?! ძალიან მეშინია! აქ ღამისაც კი მეშინია. (უცებ მხნევედება) ვისაც ღამის ეშინია, ის ვერც გაფრინდება. (წამოხტება ფეხზე და შთაგონებული სახით დგას შუა ოთახში).

ისმის ლევკოს დედის ხმა მეორე ოთახიდან: მართალია, რა შესანიშნავი მოვლენაა, საცაა ადამიანი მთვარეზე გაფრინდება. მე კი ძალიან მეშინია, საშინლად მეშინია ჩემი ლევკოსა და სხვების მავიერ.

— რა არის ასეთი საშიში, ქალო, გეგონება, შენი ლევკო პირველი მიფრინავდეს მთვარეზე.

— ვინ იცის, რა იქნება, ვინ იცის, რა არ ხდება! ახლა ჯერ ვერც გოგი იპოვეს, ვერც ირინე, ვერც სხვები, ზუთიექსი საათია, რაც აღარ ჩანან (ლევკო ყურებს ცქეტეს).

— დადასტურდა თუ იცი, რომ ერთად გაიპარნენ?

— ეკვი არ არის, სხვა ვინ გადაჭრი-

და იმ თოკებს, რომლითაც ისინი დღით მიუბამთ.

— ო ო ო, რა უზრდელობაა სახლიდან გაპარვა, არა მგონია, ჩვენმა ლევკომ ეგ გაბედოს ოდესმე, ვერც კი წარმომიდგენია!

— ლევკო ახლა უკვე მესამე პირ ძილშია ალბათ.

რადიოს ხმა: მოისმინეთ სიგნალები ხომალდიდან — ტტტტ...

ლევკოს ფიქრი: „ვისაც ღამის ეშინია, ის ვერც გაფრინდება, ისინი გაფრინდებიან, იმათ არ ეშინიათ, უნდა დავარწმუნო ყველა, რომ არც მე მეშინია... (ჩუმად იპარება სახლიდან. ჩადის კიბეზე).“

ფიქრობს: „იქ მინდა, იმათთან, იქ... იქ...“ გადის მთვარიან ეზოში, მიყვება ჩრდილიან კედელს საქათმისაკენ.

სიბნელე. სიბნელეში აურზაურია, სახლის ნანგრევებთან ბავშვების ჩრდილები დარბიან. ნანგრევების შიგნით ქვებს აგროვებს ის ორი ბიჭი, მერე წვალეებით ადიან კედლის თავზე, საბრძოლველად ემზადებიან.

ნანგრევის გარეთ: თავგამოდებით ყვეს ბულდოგი, ბიჭები აქეთ-იქით გარბიან. მხოლოდ გოგი დგას და ამაყად გასცქერის ზნელს, მას ეკვრის ირინე.

ყველას ამხნევეს გოგის მაგალითი. სოსო შედგება, მივა მასთან და გვერდით ამოუდგება. მას მიბაძავენ მიშა და გურამიც. დიდი დათო „საქორწინო“ ყოჩთან ერთად ათას კომიკურ მდგომარეობაში ვარდება. საერთო სიტუაცია დრამატულია. — ეეუ, — იძახის გოგი.

დანგრეული სახლის თხელ, მაღალ, სამკუთხედად მონგრეულ ველზე, რომელსაც ძირი უფრო წვრილი აქვს, ვიდრე ზედა განი, გადმოდგება ბიჭი და ისიც იძახის:

— ეი, ეი, ეიო!..

გოგი: ვინ ხართ მანდ, იმ კოშკში, სადაც მოვდივარ მე, ირინე და ჩვენი ამხანაგები?

პირველი ბიჭი: თვითონ ვინა

ხართ თქვენ — გოგი, ირინე და მათი ამხანაგები?

გოგი: ჩვენ ვართ ისინი, ვინც გადაწყვიტა მაგ კოშკის აღება, რადგან კოშკი გვეკუთვნის ჩვენ.

პირველი ბიჭი: თუ გინდათ სტუმრად მივიღებთ, თუ არადა, აქედან მოუსვით, დაუპატიებელი სტუმარებო!

სოსო: (გოგის) ხომ ხედავ, მაგის ხმა არ ჰგავს ქართველისას.

მიშა: არა ჰგავს, სწორია, არა ჰგავს...

გოგი: (ხმამალა): შენ ჰეი, შენ თვითონ, დაუპატიებელი სტუმარო, საიდანა ხარ?

პირველი ბიჭი: რა ვუპასუხო?

მეორე ბიჭი: უთხარი მართალი.

პირველი ბიჭი: ჩვენ ვართ მალრიბიდან!

სოსო: (ჩუმად) ჰკითხე, მერე აქ რა უნდათ?

გოგი: აქ რა გინდათ?!

პირველი ბიჭი: რა ვუპასუხო?

მეორე ბიჭი: უთხარი, რომ სახლიდან გამოვიპარეთ.

პირველი ბიჭი: ვხეტილობთ მთელ ქვეყანაზე.

სოსო: (ჩუმად); უთხარი, ახლავე დაცალონ ეგ კოშკი და წახებტონ, სადაც უნდათ.

გოგი: საიდანაც მოსულხართ, იქით წადით, თორემ ძალს მოგიქსევთ და თავს დაგვესხმებით.

პირველი ბიჭი: რა ვქნათ?

მეორე ბიჭი: სწორია, კოშკი მაგათია.

პირველი ბიჭი: დავტოვოთ?

მეორე ბიჭი: უთხარი, რომ ვტოვებთ და წავიდეთ.

გოგი: ეეე, ტოვებთ თუ არა!

მეორე ბიჭი: დავტოვებთ, ოღონდ მუქარით არა!

გოგი: (თავისებს) აღარ დავემუქართ?

ირინე: არა.

სოსო: ეგ თავის დაძვრენაა.

გოგი: თუ არ წახვალთ, თავს დაგვესხმებით.

მეორე ბიჭი: დაგვესხმებით და დაგვხვებით.

პირველი ბიჭი: დაგვესხით, მაინც არ დავტოვებთ. ესხმინა თავს. თავდასხმაში მონაწილეობს ძალი, ყოჩი, მონაწილეობენ ყველანი, ისინი უშენენ ქვებს, ესენი სიფრიფანა კედლებზე მიძვრებიან ზევით, თითქოს ნამდვილი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამართული ომია.

პირველი ბიჭი გოგი ჩამოათრევს დიდ, სახიფათო სიმალიდან. მეორე არ ნებდება არავის.

ირინე: ვთხოვთ, ნუღარ ღვრით სისხლს. ვთხოვთ! გოგი მის ფეხებთან ორივე ბეჭზე დაწვეს იმ ბიჭს.

ირინე: ო!

პირველი ბიჭი: ე!

ირინე: ეს ის ქუჩის ბიჭია, მე რომ ვნახე სამი დღის წინ და რომ მომეწონა.

გოგი: მართლა! (გაუშვებს ხელს, ბიჭი თვალებს ხუჭავს და დარცხვენილი წევს ორივე ბეჭზე).

ირინე: ეს ისეთი ყოჩალი იყო მაშინ.

სოსო: ეგ მარტო შორიდან მოგეჩვენა, ახლოს, ხომ ხედავ, სხვანაირადაა საქმე.

ირინე: არა. ეგ ტყუილია, ადექი, ბიჭო, ზევით (ბიჭი დგება). თქვი, თქვი, შენ ხომ ყოჩალი ბიჭი ხარ?

გოგი: სწორია, ეგ ყოჩალი ბიჭია, (სოსოს) განა შენც მოერევი?

ირინე: შერიგდით რა, ვთხოვთ, შერიგდით!

პირველი ბიჭი: მე მარტო არ შევეურიგდები... (ზევით მისი ამხანაგი იბრძვის).

გოგი: თქვენ, ჰეი, დააანებეთ მაგას თავი (თავს ანებებენ).

მეორე ბიჭი: რა მოხდა?!

გოგი: ჩამოდი, უნდა შევირგდეთ (ჩამოდის).

გურამ რჩაულიშვილი
გავერი გავვერი ვერთავ





პირველი ბიჭი: შევურიგდეთ?

მეორე ბიჭი: აბა რა!

ირინე: უნდა შევურიგდეთ, უნდა შევურიგდეთ (ორივენი მორცხვად იღიმებიან).

პირველი ბიჭი: (მოდის გოგისთან და კუნთებს უსინჯავს), ო, რა ლონიერია, — ამბობს.

გოგი: (ჩამოყრილ თმაზე მოჰკიდებს ხელს) რა კარგი თმა აქვს ამ ბიჭს, არა? (უყურებს ირინეს).

მეორე ბიჭი: აქნევს თავს, იცი-ნის) მეც კარგი თმა მაქვს.

ყველანი: რა კარგი ბიჭები არიან, რა კარგი ბიჭები! (შემოეხვევიან).

დათო: აბა რა! აბა რა! ვაშა!

მიშა: (ჩუმად) საინტერესოა, ვინ არიან?

გოგი: ვინა ხართ თქვენ, ბიჭებო?

მეორე ბიჭი: ჩვენ მოგზაურები ვართ.

პირველი ბიჭი: მოხეტიალე მოგზაურები.

გოგი: (სწრაფად) მერე მოგეწონათ საქართველო?

პირველი ბიჭი: ძალიან.

სოსო: ყველაზე ძალიან?!

მეორე ბიჭი: არა.

ირინე: განა სხვა რომელიმე კუთხე სჯობია საქართველოს?

მეორე ბიჭი: მალრიბი.

ირინე: რატომ?

მეორე ბიჭი: იმიტომ რომ იქედანა ვართ.

სოსო: ნახე რას ამბობს?

გოგი: შენ ნუ ხარ წიწმატა, სწორს ამბობს, ეგ იქედან არის და ის უფრო მოსწონს.

ირინე: ყოჩაღ, გოგი! (აკოცებს) რა ჰკვიანი გახდი! როდის დაჰკვიანდი ასე?

გოგი: არ ვიცი...

ირინე: ყველაზე უფრო ხომ აქაურობა მოგწონს, სოსო?

სოსო: მომწონს.

ირინე: ყველგან ნუ იტყვი.

სოსო: ვიტყვი!

ირინე: ყოჩაღ, ეგენიც მართალი ამბობენ, არც ეშინიათ და არც ტყუილს.

მეორე ბიჭი: არც გვეშინია და არც ვტყუიო.

გოგი: ესენი მართალი და კარგი ბიჭები არიან.

ყველანი: ჩვენ მოგვეწონხართ თქვენ, ჩვენ შეგვიყვარდით.

მეორე ბიჭი: თქვენ ძალიან, ძალიან კარგი ბიჭები ხართ.

პირველი ბიჭი: ვინა ხართ თქვენ, ჩვენსავით მოგზაურები?...

გოგი: ჩვენ არა... ჩვენ, მე... (ირინეს) ვთქვა?

ირინე: თქვი.

გოგი: მერე? (დაიმორცხვებს).

ირინე: თქვი (თვითონაც დაიმორცხვებს).

გოგი: მე მოვიტაცე ირინე, ესენი მომეხმარნენ, რადგან მართო მე რომ მომეტაცა, არ შეიძლებოდა.

ირინე: ჰო, მართალია.

პირველი ბიჭი: ო!

მეორე ბიჭი: ჰოო! (იღიმება) მერე რა უნდა ჰქნათ?..

გოგი: (გაკვირვებულია) მართლა, რა უნდა გქნათ?

ირინე: ვაიმე, დედა ალბათ როგორ მექებს!

გურამი: (ჩუმად ტირის, სხვები აჰყვებიან)

გოგი: (გულაჩუყებულია) რა მოგივიდა?..

გურამი: დედა, დედა მეცოდება, ალბათ გა-გი-ყე-ბუ-ლია (ირინე ჩუმ-ქვითინით ყველას გულს უჩვილებს).

პირველი ბიჭი: ჩვენ კი ალბათ უკვე მკვდრები ვგონივართ (აბლავლდება).

მეორე ბიჭი: მერე დედაჩემი რა კარგი ქალია, რა ახალგაზრდაა!..

ყველანი ტირიან, გარდა დათოსი და ყოჩისა, რომლებიც ისევ ვერ უგებენ ერთმანეთს. ძალიც კი ყმუის.

გოგი: ჩვენ ამხანაგებს კი რა ტკბილად სძინავთ, დედებთან ერთად.

სიბნელე. სიბნელეში ჩანს ოთახი.



სძინავს რუსიკოს, სძინავს მის დედ-მამას. მათი მხოლოდ ფეხები ჩანს. სძინავს გიგულის, სძინავს მის ბებოს, საბანში თავით ფეხებამდე გახვეულს. სძინავთ ლევიკოს მშობლებს. ცარიელია ლევიკოს საწოლი...

ს ა ქ ა თ მ ე. ჩანს ხელი, რომლისკენაც მისაგებებლად იწევს ყურშა. ხელი ათავისუფლებს მას გალიიდან. ყურშა გარბის. თოკი არ უშვებს, ბრუნდება, ეფერება ბავშვის ფეხებს და ისევ წინ მიიწევს. გაიარეს უხარმაზარი ეზო, სრულიად ცარიელი და ბნელი. შედიან მრგვალ, მაღალ ალყაფის კარში. ორივენი ცნობისმოყვარეობით და შიშით შეპყრობილი ინაბებიან ქუჩის ზღურბლთან.

ტ ე ქ ს ტ ი: ეს ჩვენი ტრაგიკომიკური მეოცნებე გმირის პირველი დამოუკიდებელი გასვლა... თანაც ასეთ დროს.

ჩანს წყვილი და თეთრი მთვარე.

ტ ე ქ ს ტ ი: ვუსურვოთ მას წარმატება ამაღამდელ მოგზაურობაში, ვუსურვოთ, რომ უფრო კარგი მოეჩვენოს სამყარო, ვიდრე ოცნებით წარმოიდგენდა. წინასწარ იცოდეთ, ზედმიწევნით ნაზი და ადვილად დასამსხვრევეია ასეთი ბავშვის გული.

ბოლო სიტყვებზე ლევიკომ უკვე გადალახა ზღურბლი და შეშინებული მიდის ცარიელ ქუჩაში ძაღლთან ერთად.

ტ ე ქ ს ტ ი გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა: იარე, ლევიკო, ჩვენ მივყვებით შენ გზას და მოწმენი ვიქნებით შენი საბოლოო ბედისა... არავინ იცის, კარგია თუ ცუდი შენი ასეთი სახიფათო მოგზაურობა მარტო, ღამით...

მ ა ყ უ რ ა ე ბ ლ ე ბ ს: თქვენ ახლა ნახავთ თბილისის ღამეს, დანახულს ბავშვისა და ყურშას თვალით (სასურველია, კადრში გამოჩნდეს მოქალაქეთა მხოლოდ ფეხები, ყველაზე დამახასიათებელი მოძრაობის დროს; — ამ პრინციპის დაცვა გამოწვეულია იმ პირობით, რომლის დაშვებითაც კინოში უფროსები მთელი ტანით, საერთოდ,

არ ჩანან. გამონაკლისია მხოლოდ უცნაური მოხუცი. ისიც, ძირითადად, ხსენებულია ლუეტია).

განიერი ცარიელი ქუჩა. ქუჩას არც თავი აქვს, არც ბოლო. პატარა, უსუსური წერტილებივით მოდიან ქუჩის შუაში, თუთარ ხაზზე ლევიკო და ყურშა. ჯერ ვერ გაარკვევ, ლევიკოს ეშინია თუ არა.

ისმის ნალიანი ნაბიჯების ხმა. ლევიკო შეშინებულ ძაღლთან ერთად გარბის ქუჩიდან, ეფარებიან ურნას. იქიდან უყურებენ: თუთარ ხაზს ჩაივლის მილიციელის ჩექმები.

ტ ე ქ ს ტ ი: ამ კაცის არ უნდა გეშინოდეს, იგი შენ დაგეხმარება.

ლ ე ვ ი კ ო ს ფ ი ქ რ ი: ის დიდია და ჩემი მშობლების მხარეს დაიჭერს, დედას და მამას უნდათ, რომ მე შენ დავბრუნდე.

ყ უ რ შ ა ს წ კ მ უ ტ უ ნ ი: მოერიდე მას!

მიდიან ტროტუარით, წინიდან ისმის ჯახის ხმა, მელოდია ძლიერდება, ხმები გამოდის ღია ფანჯრიდან. ქუჩაში გოგო და ბიჭი ცეკვავენ „ამერიკულს“ — ჩანს მხოლოდ მათი ფეხები.

ტ ა ტ ზ ე მოძრაობენ მაყურებელთა ფეხებიც.

ტ ე ქ ს ტ ი: ეს დაბადების დღის გარძელებაა. ნუ უყურებ, ლევიკო, იგი ცუდი ქცევისკენ გიბიძგებს. შედი, შედი ეზოში, მოარიდე თვალი ამ სანახაობას.

ლ ე ვ ი კ ო ს ფ ი ქ რ ი: „შენ რაღას იტყვი, ყურშა?“

ყ უ რ შ ა: (მიიწევს ეზოსკენ, შედიან ეზოში, ეფარებიან სანაგვეს, იჭუჭყნებიან).

უცებ შემფოთებული ყურშა ვილაცას ეცემა ფეხში. მანამდე ჩანს ფეხები წყვილისა. მათ მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ერთმანეთს კოცნიდნენ.

ძაღლისაგან შეშინებული წყვილი გარბის ქუჩაში, ჯახის ხმებისაგან.

გურამ რჩულიშვილი
ბავრი ბაგვში ერთად

იმათგან შეშინებული ყურშა და ლევკო მირბიან მტკვრის უგრანტიო სანაპიროსაკენ.

ტექსტი: ხედავთ, როგორ დაიძალა ლევკო, მას სუსტი გული აქვს, ხედავთ, რა ძნელი ასატანია ასეთი პატარა უსამოყვებელიც კი...

ლევკოს ფიქრი: სჯობია, ტყისკენ გავიქცეთ, იქ ნაკლებად დავიბნევი. მიდიან დაბალ სანაპიროზე. ბუჩქები. პატარა ტყე. ჭერ შიში, შემდეგ ლევკო მხნევედება. მიდის ხალსით, წინ ნაკადულია, იგი მტკვარს უერთდება. ლევკო ყოჩაღდება და უფრო თამამდება. მისი ფიქრი: „უხომალდოდ ძნელია გაღმა გასვლა, მაგრამ მე გავცურავ“.

ძალი შერბის კოჭებამდე წყალში, გარბის და გამორბის. ლევკოს მაინც უნდა, რომ ეს მდინარე ზღვასავით დიდი იყოს. წვება შიგ, სულ იწუწება, გადის ცურვით. ქვებზე ხელები ელლიტება, უსისხლიანდება.

ლევკოს ფიქრი: „ეს გავცურე, მაგრამ ნამდვილ ზღვას... იმასაც გავცურავ!“ ეტყობა, მის არსებობას საშინელი სიამაყე იპყრობს. იჯგვიება, იცინის... — ხი, ხი, ხი... — ისმის მოულოდნელად ხის უკნიდან ხმა. ყურშა პატარონს აუკვრება. ლევკო მოეშვება.

მისი ფიქრი: „ნეტავ რაც შეიძლება დიდი ხიფათი იყოს!“

მოხუცის ხმა: მე ხიფათი არა ვარ, შენ, ეი, მეოცნებე, საშინელ დელვანში მოყვები და გემი დაგემსხვრა?! ხიკ...

ლევკო: დიახაც!

მოხუცი: ხი, ხიკ... იცი, მე ღამით ჰკუა ვისწავლე.

ლევკო: მე არაფერი არ ვიცი!

მოხუცი: აბა რას დადიხარ ამ ბნელაში ტყეში ბრძენით, მარტოკა.

ლევკოს ფიქრი: „მართლა რას დავდივარ?“

მოხუცი: შენ სახლიდან იქნები გამოპარული.

ლევკო: (შეეშინდება) დიახ... დიახ...

მოხუცი: (გამოდის შავი სილუეტით, გრძელი თმა უბზინავს მთვარის შუქზე) ნუ გეშინია, მე ცოტა სულელი მოხუცი ვარ, მოხუცებიდან კი მხოლოდ სულელებს რჩებნათ საღი ჰკუა და სიხალისე. მე არ ვარიგებ პატარებს, პირიქით, თვითონ ვუჭერებ მათ: ახლა მითხრა სწორედ ორმა შენმა ტოლმა, იმით უნდა იამაყო, რაცა გაქვსო და მე უკვე ვამაყო, რომ სულელი ვარ, ნახე რა კარგი თვისებაა სისულელე, რომელი ჰკუიანი იზამდა ამას?! ა!

ყურშა: (ეფერება მოხუცს).

ლევკო: შენ კარგი მოხუცი ხარ! იქი ისეთი ხალხი იყო, შეგვაშინეს მე და ყურშა.

ყურშა: (ახლა გულადად გაიჭაჩება, ვითომ შემშინებლებსაკენ).

მოხუცი: შენ თუ მიატანე სიბერემდე — ჩემსავით სულელი იქნები.

ლევკო: (მოიწყენს) მე არ დავბერდები.

მოხუცი: საწყალო და ბედნიერიო...

ლევკო: მე ძალიან სუსტი გული მაქვს, ეს მარტო მე ვიცი, ამიტომ სულ შინ ვზვიარ და სულ ვოცნებობ.

მოხუცი: ვინ გითხრა?

ლევკო: ასე უთხრა ექიმმა დედას, როცა სამი წლის ვიყავი, ეგონათ, ვერ გავიგებდი, მე კი დავიხსოვე — თქვეს, ძალიან ადვილად შეიძლება გული გაუსკდესო.

მოხუცი: ოი, ოი, აი ასეთი ჰკვიანი ხალხია. მათ ჰგონიათ, რომ ბავშვებს არაფერი ესმით, სინამდვილეში კი ყველაფერი იციან, მე არა ვარ ჰკვიანი, ვიცი, რომ შენ ყველაფერს გაიგებ და ამიტომ გეტყვი (გაიყვანს გვერდზე ყურშას და ლევკოს და ბიჭს ყურში ეუბნება). არ დაუჭერო არასოდეს დიდებს, ისინი ყოველთვის იმას ურჩევენ პატარებს, რისი გაკეთებაც თვითონ უნდოდათ და ვერ შეძლეს, და არა იმას, რაც სინამდვილეში უნდა გააკეთონ. პატარებმა. მოხუცები სულ ტყუიან. მათ გამოცდილება კი არა აქვთ, არამედ ნაკ-

ლები სურვილები აქეთ და ამას ეძახიან
ჭკუას.

დედაშენი გცემდა, ამოწუწული რომ
ენახე, მე კი არაფერს გეუბნები. მე ნუ
მიყურებთ, სულელი მოხუცი ვარ და
არაფრის ვაკეთება აღარ შემიძლია.
თქვენ კი ოღონდ მოინდომეთ რამე,
ოღონდ მოინდომეთ და, არ შეშინდეთ,
რომ სასაცილოდ გამოჩნდები, მთავა-
რია, გქონდეს სურვილი, რომ ზღვა გა-
ცურო და თუ პირველად ნაკადული
ოკეანედ მოგჩვენება, ეგ არაფერი.

შორიდან: ისმის ბულდოგის ყე-
ფა.

ყურა: (ემატება ხალისი. ყეფს)
მოხუცი: ვაგიქეცი... ვაგიქეცი...
წადი შენც... იქეთკენ შენი ტოლები
არიანი... ძალიან კარგი ბიჭები. ზი, ზიყ...
ხედავ, მე ვითომ სულელი ვარ და რამ-
დენი ჰქვიანური რამე ვთქვი, ასეთი
თვალთმაქცები ვართ ჩვენ, მოხუცები...
ზოგი სიჭკვიანეზე დებს თავს და სისუ-
ლელეს ამბობს, მე კი პირიქით, მე კი
პირიქით... თუ გული გტკივა, ბევრი არ
ირბინო, თორემ გაგისკდება. ნახვამ-
დის... ნახვამდის... ისმის ბულდოგის ყე-
ფა. მთვარე, ბუნება. მოჩანს სახლის
ნანგრევები.

სახლის ნანგრევებში არაჩვეულებრი-
ვი გამოცოცხლებია, ყველანი ერთად
არიან შეკრებილი, მღერიან საოცრად
მხიარულ სიმღერას.

მთვარის შუქზე ამფითეატრივით ამა-
ღლებულ ადგილზე, გამოდის დიდი და-
თო: (ლაპარაკობს ხელოვნური მანქვით,
ბაძავს ბალაგანის პროგრამის წამყვანს).

ყურადღება, ყურადღება, ასეთია ბავ-
შვის გული, ხან იცინის, ხან კი ტირის.
ახლა ვიცინოთ, როგორც ხედავთ, მთე-
ლი ეს სურათი ჩვენია და რასაც გვინ-
და, მას ვაკეთებთ.

ახლა დავდგამთ წარმოდგენას ცის
მნათობებზე, უფსკრულზე, მოქანდაკე-
ზე და მლიქვნელზე; აგრეთვე მეოცნე-
ბეზეც. მაყურებლებისაკენ: თქვენ გვი-
ყურეთ სავარძლებში კარგად მოკალა-
თებულებმა. თქვენ კი (ორ ბიჭს) შეს-
უპაღით გალავანზე და იქიდან.

(ბიჭები შესკუბდებიან).

— აი ეს ბულდოგი ჩვენი აღმინის
ტრატორია.

(ძალი პოზას იღებს).

— ეს ცხვარი კი სფინქსია (ცხვარი
დგება თავის ადგილას).

— ზოგი არის მზე.

(თვითუფილი მოქმედი პირი თავისი სა-
ხელის გაგონებისას უცებ იწყებს მხიარ-
ულ სიმღერას, რომელიც გრძელდება
მანამ, სანამ ყველა არ ამღერდება. შემ-
დეგ გადადის მუსიკაში).

დათო განაგრძობს:

— ირინე მთვარეა.

(ირინე და გოგი კედლის თავზე ასუ-
ლები ალერსიანად შეჰყურებენ ერთმან-
ეთს!)

— მზე და მთვარე სხივებით ეალერ-
სებიან ერთმანეთს.

— ეე, აი ვარსკვლავები, ეს ბიჭები
ვარსკვლავები იყვნენ.

(ყველაზე მაღლა შესკუბებული ბიჭე-
ბი იმანჭებიან).

— სოსო კი აშკარად ჭურღმულის მე-
ფეა. მის სამეფოში ბნელი ზრახვები და
შავი კატები ბატონობენ.

(სოსო დგება ჩრდილში, მის გარშემო
დაძრწიან შავი კატები, პირში მტრედის
ბურტყლი უჩანათ).

— გურამი მოქანდაკეა, იგი მთელ ამ
სამყაროს გამოაქანდაკებს (ჩივბა მარ-
ტო მიშა, რომელიც განაგრძობს სიმღე-
რას).

მიშა: მე?

დათო: შენ ხარ მლიქვნელი ადაში-
ნი!

(მიშა შეუდგება მლიქვნელის როლის
შესრულებას, დადის და სუყველას უმ-
ღერის).

(სცენის მოწყობისას ყველაზე მთავა-
რია, თავიდან დაშვებული პირობითო-
ბის ორიგინალურად დაცვა).

დათო: ხედავთ, ყველას როგორ ეს-
მის თავის საქმე. არავინ უშლის ერთ-
მანეთს ხელს. მაგრამ ეს ვიღაა, ძალღთან

გურამ რჩეულიშვილი
ბავრი ბაშვილი ერთად



კრთად რომ მოდის? აჰ, ჰო, ეს ხომ ცნობილი მეოცნებე ლევიკოა, ლევიკო, რომელიც დაღალა ოცნებამ და უნდასაკუთარი თვალით ნახოს, ქვეყნად რა ხდება.

ბიჭს ეტყობა, უკვე ძალიან მოიქანცა და მოშივდა კიდეცა.

ლევიკო: (გოგის) დამაპურე, მზერო.

გოგო: მე მხოლოდ შემიძლია გაგათბო და დაგანახო საშოვარი, შოვნით კი თვითონ უნდა იშოვო.

ლევიკო: შენ მაინც დამაპურე, კეთილო მთვარე, ჩემი ოცნებების მფარველო.

ირინე: მე შემიძლია მხოლოდ დაგაძინო და ნანა გიმღერო, დაგასვენო და შემდეგ ოცნებებით გაგაძლო, პური კი თვითონ უნდა იშოვო.

დათო: გახსოვდეს, ლევიკო, მათი სიტყვები!

ლევიკო: (სასოწარკვეთილია) მე მხოლოდ ოცნება შემიძლია, ამიტომაც ვთხოვ მზეს, ამიტომაც ვთხოვ მთვარეს. (მიდის უფსკრულსაკენ).

დათო: ფრთხილად, არ გადახვიდე!

ლევიკო: (შედგება) გმადლობთ, დათო (სოსოს) შენ მაინც დამაპურე მშვიერო.

დათო: ო, უფსკრულამდეც მივიდა შენი ოცნება?!

ლევიკო: ჰო, დათო...

სოსო: მათხოვე შენი ჩანთა. (ამოიღებს იქიდან, რაც კი იყო შიგ ჩარჩენილი) ახლა აქედან მოუსვი, თორემ ამ კატებს ეუბრძანებ, შენც ჩაგყლაპონ. (უცებ ისმის მოქანდაკის ჩაქუჩის ხმა).

ლევიკო: კეთილო კაცო, შენ მაინც დამაპურებ, ვიცი.

გურამი: მე? მე დაბადებიდან მშობა.

ლევიკო: საწყალო... მე კი გუშინ ვჭამე და უკვე მშობა, ეს ვილაა (მიშასაკენ უთითებს), ეს ხომ ვერ დაგვაპურებს ორივეს?

გურამი: ეგ ჩემი ღვიძლი ძმავა, მას მლიქვნელი ჰქვია, ის მზესაც უყვარს, მთვარესაც, ოღონდ მაგისი უბედურება ისაა, რომ ჭურღმულსაც ემლიქვნელება და მასაც შეაყვარა თავი, ამიტომ

მიყავთ ხოლმე თავისთან, ქვეყნად ვერ ვხედავ ვინაა შავ კატებს.

ლევიკო: არც მაგასა აქვს საჭმელი!

გურამი: აქვს, მაგრამ არავის არაფერს აძლევს. განსაკუთრებით არ უყვარს მეოცნებე ხალხი, იმიტომ რომ მათგან არაფერს არ მოეღოს.

ლევიკო: არც შენ გაძლევს.

გურამი: მე ეგენი წელიწადში ერთ ნაჭერს თუ გადმომიგდებენ ხოლმე...

ლევიკო: მე კი, დედა რომ არა მყავდეს, ეგ ერთი ნაჭერიც არ მექნება საკუთარი.

გურამი: ჰო, შენ მეოცნებე ხარ. დათო: ჰო, ეგ მეოცნებეა.

ლევიკო: (ცრემლი ადგება თვალზე) მე ვგრძნობ, ჩქარა უნდა მოგვცდე, რადგანაც არავის არ ვჭირდები.

დათო: (უცებ იცვლის კილოს) შემომხედლე! შემომხედლეთ ყველამ (მოდინ მისკენ). გეყოთ, გეყოთ დარდიანი სახეები და ჭკვიანური ლაპარაკი (თენდება). ზედავთ, გათენდა!

ყველანი: გვეყო, გვეყო! ცას დილა ეპარება. — ლევიკოს გაუმარჯოს, (აიტაცებენ ხელში ლევიკოს, იცინიან, ეფერებიან) — ჩვენ ოცნებას გაუმარჯოს!.. — გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. დილა მშვიდობისა... ამ დროს შემობიან გიგული და ვსიკო. (უცებ ესხვება ყველაფერი რეალურ საფარველში) — უუუუ, — ყვირიან ყველანი, როგორც კი მზე წვერს ამოყოფს.

გიგული: (ემანჭება) გამოიპარეთ და არ მითხარით...

ვსიკო: (წრიპინებს) თქვენთან ლაპარაკი აღარა ღირს, რანაირი კაცები ხართ. წინ გამოდის ორი ბიჭი.

გიგული: ეს ბიჭები ვინ არიან?

პირველი ბიჭი: ჩვენნი?!

მეორე ბიჭი: ჩვენ ახლა... (იქეპავს თავს).

გოგო: ახლა ეგენი ჩვენები არიან.

დათო: წავიყვანოთ სახლში, წავიყვანოთ ჩვენ სკოლაში.

ყველანი: წავიყვანოთ, როგორ

გაუხარდებათ ჩვენთან სკოლაში, სახ-
ლში.

გიგული: შენ რაღას ყვირი, გოგი,
რომ იცოდე, დედაშენი რა ამბავშია
(აბრაზებს დედამისს). ქა-ქა-ქა, იძახის
და ხმას ვეღარ იღებს.

პირველი ბიჭი ეშმაკურად ცქმუტავს,
მერე უცებ დაიწყებს გამოჯავრებას,
როგორი იყო გოგი ღამით, ციხის აღე-
ბის დროს, და, როგორი იყო ირინე.
თამაშობს მუნჯ, სასაცილო სცენას, მას
ეხმარება გიგული.

— შეხედეთ, შეხედეთ, — ყვირის
უცებ მიშა, ყველანი მიცივილებიან ნა-
პირისაყენ გადასახედად.

ჩანს: მეორე ნაპირზე დარბიან ჯერ
კიდევ ბურუსში გახვეული მშობლები.
ბავშვებს ესმით მათი ხმები. ნანგრევე-
ბის თავზე, სიფრიფანა კედელზე ადის
ტატული თავისი ვიოლინოთი, მზის
მთლიანად ამოსვლის წინ, ერთი წამით
ყველაფერი წყნარდება. ისმის ნაზი,
მკვეთი მელოდია, ლევიკო მიდის მუ-
სიკის ხმებისაყენ.

უცებ ჰაერში მძლავრად შემოიჭრება
სკოლის ზარის ხმა.

— სკოლისაყენ, სკოლისაყენ! — ერთ-
ხმად აყვირდებიან ბავშვები და ქანის
აუღებლად მოწყდებიან ადგილს.

ვიოლინოსკენ წასული ლევიკო სხეებ-
თან ერთად მირბის, ისმის მუსიკის ამაღ-
ლებული, ტრაგიკული ტონი, დარბიან
ბიჭები ქეშიან ნაპირის გასწვრივ, სან-
გრევის მაღალ თავზე გადმომდგარი
ტატული უკრავს.

გარბიან თავდაუზოგავად, გარბის
ირინე, გოგი, გარბიან სხვები.

უკვე აირბინეს სანაპირო; ძლიერა-
ბა ზარებისა და ვიოლინოს რიტმი.

მირბიან სკოლისკენ. მირბის ლევი-
კოც, სხვებთან ერთად.

ღიმი ქუჩა. მათ წინ მოჰქრის სკო-
ლის მერხვებით დატვირთული უზარმა-
ზარი საბარგო მანქანა.

ბავშვები ცდილობენ, მანქანას დაე-
წიონ. ემატებათ ბიჭები, ემატებათ გო-
გოები, ემატებათ ხალხი.

გარბის ლევიკოც და არ ეტყობა დაღ-
ლა.

მანქანა გაეარდა მოედანზე, თეთრ
ბურუსში გახვია ბავშვები, ისინი მის-
დევენ შეუჩერებლად და დაღლა არ
ეტყობათ. მირბის ლევიკო, არ რჩება
სხვებს, სახეზე ეტყობა, უკანასკნელ
ძალას იკრებს. გათავდება მთლიანი
გზა. გალაღებული გარბიან ყველანი.
შედგება ლევიკო, დაბარბაცდება მტვერ-
ში. გაიფანტება მტვერი.

გღია ლევიკო ძირს, თვალები ფარ-
თოდ აქვს გახელილი, ღრმად სუნთქავს
და ცას უსწორებს მზერას. უხშირებს
სუნთქვას.

უკრავს ვიოლინო თავგანწირვამდე,
მონდომებით და ტრაგიკულად.

მიფრინავს ხომალდი ვარსკვლავები-
საყენ.

სუფთად ჩაცმული წითელყელსახვე-
ვიანი ბავშვები სკოლისაყენ მოდიან.

ტექსტი: გათენებისას დატოვა პატა-
რა მეოცნებემ ეს ქვეყანა; მოდის სი-
ნამდვილე გაშლილი რიგებით (მოდიან
პიონერები).

ჩანს ტატული, რომელიც უკრავს
ვიოლინოზე, ჩანან ბავშვები, სკოლისა-
კენ მწყობრად მიმავლნი.



დედის ძუძუ ხარ, დილის სატემა,
სითბო მომეც და თოვლი გამილხვე,
თუმცა ეს წელი მე შემატემა,
მოველ, მეკვლე ვარ, კარი გამიღე.

შენც შინ შემოდი, წელი ახალი,
შენ ხარ სიცოცხლის მუდმივი მდადე.
მკერდზე ვარსკვლავი უნდა მახალო,
თევზით ამივსო სასროლი ბადე.

ხვალ მეტი ხვათი უნდა დაყარო,
მეკვლე გავხდი და მაცნე უბუკო,
შენ გაზაფხული უნდა მახარო
და თმაზე თეთრი შემიმსუბუქო.

მინდა გარჯაში შენს კვალს მივბაძო,
ჩემს საგულეში ხატად ესვენო,
ჩემო მამულო, ჩემო ძვირფასო,
ჩემი ფიქრის და პურის მთესველო.

შენ ლხენაში და ჭირში ვირბინე,
თვალწინ მეფინა ცისკრის ფურცელი,
შენი მაგარი მუხლის ჭირიმე,
შენგან აფრენილ ვარსკვლავს ვუცქერი.

ხვალ გულის ზრახვა უნდა გავჩარხო,
უნდა ამკიდო ზურგზე ჭაპანი,
მკერდზე ვარსკვლავი უნდა მაჯახო
და გულს აშორო ზამთრის საბანი.

მოდე და მთებზე თოვლი გამილხვე,
ახალ ბუდეში სული აბარტყე,
მოველ, მეკვლე ვარ, კარი გამიღე
და მადლიანი კალთა დაბერტყე.

თუ ვენახია, რთველიც იქნება,
შინ დამაჭრდება მალე ბადაგი,
დრო დახარჯული არ გამიქრება,
არ დამჭირდება ვიყო ქადაგი.

მინდა დავერიფო მწიფე მტევნები,
მაჭრით ავივსო ბროლის ჭიქები.
მწუსრზე სიცოცხლეს დავედევნები
და ღამე სიკვდილს დავეჭიდები.

გულს უნდა დიდხანს გამოზოგება,
თუმცა მძიმეა ჩემი ჭაპანი,
სიცოცხლე არის ნიშნის მოგება,
კერის კვამლი და მოკლე ზღაპარი.

თვალმა თუ ხარბად წყალი დალია,
ღამე აგიშლის ფიქრებს ლოგინი,
ცხოვრება ხშირად ნატვრის თვალია,
ამინდის ცვლა და წვიმის ლოდინი.



ჩემს სიყვარულში ნუ დაეჭვდები,
მგოსნის ბუნება საღვთო წიგნია.
ბევრჯერ დავკარგე გზაზე ბეჭდები,
ვეძებ და ვერსად ვერ მიმიგნია.

ჩემს სიბერეზე ნუ ახირდები,
თერგის მშობელი მყინვარწვევია.
ტრფობამ გადგაო ბეწვზე სიღები,
თურმე ჩინეთში, ქვაზე სწევია.

დახარჯულ წლებზე ნუ დაფიქრდები,
ბინდში ბადაგი უფრო ტკბილია.
ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები,
ვიართო ქვებზე, როგორც გვივლია.

თებერვლის თოვლში ნუ გალურჯდები,
არ გაიჭვალო მკვრივი კუნთები.
მეჩურჩულე და ნუ გაყუნდები,
თორემ წავალ და ვერ მოვბრუნდები.



ეს ოცდახუთი წელიც შესრულდა,
რაც ჩვენ დავიდგით ერთი უღელი.
საწუთრომ სევდით ბევრჯერ შემსუდრა
და დახურული დავრჩი ღუმელი.

თითქმის უძლური, გულით უმანკო
ხელში შეგრჩი და შენ ხარ ქვიტკირი.
ჩვენი ცხოვრება თითქმის უნაკლო,
როგორ მიფრინავს და მე მივტკირი.

მე კიდევ მინდა ცეცხლი სვალისთვის,
შენი სუნთქვაა სიოს ნაკადი.
მე შემოდგომის მოსვლას განვიცდი,
როგორც სიცოცხლის ღამით ღაღადისს.

იწვის და იწვის, როგორც აბედი
ოცდახუთი წლის შრომის შვენება.
ისევ ვჩალიჩობ, თუმცა დავბერდი
და შინ შენი ხმა მომეშველება.

ეს ოცდახუთი წელი შესრულდა,
თუ გადიფურჩქნა უცხო ფურცლები.
ჩემი ოცნება ტბაში შესცურდა,
შენ ისევ ის ხარ, მე კი ვხუცდები.

ლადო გუდიაშვილს

ლურჯი სუფრის ტრფიალი ხარ, ლადო,
საუნჯე ხარ, სილამაზის ბურჯი,
შეგიძლია მთებზე ხიდი გასდო,
როგორც ჯადო, სულს შეახო ფუნჯი .

საცეკვაოდ ტანმოღერილ კინტოს
შეაგებებ ტანმოსხატულ კალმახს.
ჰგავს კამეჩი ლაფში ჩაფლულ სვითოს,
გალურსულა და არ ცოხნის ბალახს.

სად მიგაფრენს ოცნებათა ტივი,
სად სეირნობს გვამცნე სერაფიტა.
ურა ცხენზე ამორძალი ჰკივის
და მეტეხზე მთვარე გადაფრინდა.

რეკავს ფერთა მომნუსხავი ზარი,
სად გამჭრალა მებადურთა კუთხე.
აპრილი ხარ, მერმე ოპიზარი
და თბილისის სომლის მერჩუქურთმე.

უნაზესი ხაზით წაგვაქეზე,
ვაზის ფესვთან გადახლართე ფესვი.
ფიროსმანის ობოლ სამარეზე
საქართველოს სადღეგრძელო შესვი.

სად ისროლე საკალმახე ბადე,
თვალი შეგჩრჩა ზეთისსილის რტოზე.
შენ პერანგი ჭრელი გაიხადე
და გულს სუფრად გაუფინე მოლზე.

თმა მიგიგავს ღრუბელს მოჭათჭათეს.
ხოლო სული ჩრდილდაფენილ ყინწვისს.
შენი თვალი მტკვრის დამეებს ათევეს
და დილამდე კოცონივით იწვის.

შენი საზი, გულს ჩამწვდება გეზი,
ნაზი საზი თუ ბულბულის კრინი.
თბილისია თვალის ასპარეზი
და შიშველი სილამაზის ღზინი.

სად დალანდე შენ ღიმილი ფრესკის,
მე მეგონა მწუხარების მრუმე.
დილამდისინ მტკვრის ჩურჩული გესმის
და ათასგვარ სიზმრით დაიფურცლე.

სად იპოვე შენ ამდენი ჯადო,
შენ შიშველი სიქალწულე მოგწონს.
საყვარელო და ძვირფასო ლადო,
შენი სული ჰგავს აწყობილ კოცონს.



ქოქო-ქოქო

რომანი

7

თურმე ჩასძინებოდა. თითქოს ვიღაცამ წაპკრა ხელი ან ყურში ჩასძახაო, უეცრად გაიღვიძა. წამოიწია, დააცეცა თვალები. ოთახში ბნელოდა, მართლა ბნელოდა, მოჩვენება როდილა იყო. გარეთ ლამპიონები გაეჩაღებინათ, ფანჯარა აღდგებულყო სინათლითა. იმ სინათლეს ხელიც შემოჰყოლოდა, ნამდვილი ხელი თეთრი ქალისა, თითები რაკუნებდა მინაზე, მერე ჩარჩოს აქანავებდა. ღრჭილებდა გაუზეთავი ანჯამები, ღრჭილებდა, გლეჯდა ძარღვებსა. და წამოიჭრა ლენტოი, სინათლეს გადააწყდა, რაფას გადააწყდა, დააცხრა თეთრ ხელსა.

— ახ, შემაშინე... როგორ შემაშინე... — ხელმა გაიწია, აფართხალდა თითები, დიდ მუტაში აფართხალდა, მერე წაინაბა, მიყუჩდა, იტვინა, მაინც ფიცხელი იყო, მაინც ანდამატური.

ოღონდ მაშინვე ჩაღნა ის ანდამატი, ჩაღნა და გაპქრა, გაპქრა როგორც კი თვალი მკლავს აპყვა, აპყვა და ვერც აპყვა, ხორციელობა გაწყდა მხართანა, სადაც მოკლე სახელო, საზაფხულო სახელო ან ბრტყელი სამხრე უნდა დაწყებულყო, ლავიწის ძვლიც ხომ იქვე იწყებოდა, — და ძვალი დაიწყო, შიშველი ძვალი ლავიწისა ნეკნებასხმული. თითქოს ძვლის აბჯარში ჩამჯდარიყო

ქალი, ძვლების საყელო ნიკაპს მიბჯენოდა, სახე მოეკმუტნა, თვალები მოეწურა, უამურობის იერი დასცემოდა, მაგრამ მაინც ხორციელება იყო, — სახე იყო ხორციელისა, მკლავები ხორციელისა, თეძოებიც ხორციელისა, მაგრამ ეს რაღა იყო, — თეძოები შექანდა და ჩხრიალი დაიწყო ძვლის აბჯარმა, თითის წვერები წაცქრიალდა და აზრი-ალდა ძვლები, კარს მოაწყდა, მოეღეწა ნეკნები...

შემოვიდა.

— ბნელაში რაღა ხარ?!

ჩასართი მოძებნა. აანთო... არაფერი შეცვლიდა, — ლავიწებზე ამოსული თავი, ცრუნეკნებზე დაკიდული თეძოები, ივიევა, ივიევე, მიდის, უახლოვდება, ნეკნები ირხევა, აღარა ჩხარუნობს, ლაპლაპებს, ლაპლაპებს, ეს თითქოს სხვა არის, ლაპლაპი სხვა არის...

— გელოდი... ხვალ საღამოს მოვალო, შემიბირე, მერე? დაივიწყე?!

— არა...

— გადასთქვი, ჰა?!

— არა...

— აპირებდი?

— ვაპირებდი, აი ეს არის...

— კიდევ კარგი...

— არა, ნუ დამიჯერებ.

— არცა მჯერა... ეს ისე, მინდა უკეთესად წარმოგიდგინო.

— დიდსულოვნებაა...

— არა, თავმოყვარეობა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 12.



- დიდსულოვნება მირჩვენიან.
- კარგი რამ არის. ექიმი ნახე?
- არა. რატომ?!
- ავადა ხარ...
- არა. თუმცა... დაჯექი.

არც თხოვნა იყო, არცა ბრძანება, ცივი, ქრუანტელიანი ნათქვამი იყო. ჩაჯდა, ჩაჭრილდა ნექნები. ლავიწები ჯერ მალლა დარჩა, მერე ნელ-ნელა ჩამოიკეცა, უხმაუროდა, უჭრიალოდა. კანკი, ერთი სკამის ქვეშ შეიკეცა, თეთრი ფეხსაცმლის ჰვინტი დაერჭო იატაკსა, აქანავდა, მეორე წინ წამოვარდა, წვრილ ქუსლზე აირხა. უცებ შეტყუდა ორივე ფეხი, აისვეტა, გარინდლა. სახისა რალა მოგახსენოთ, — შეშინებულყო თუ ვანცვიფრებულყო, ან ორივე დამართოდა ერთდროულადა.

- ეგრე ნუ მიცქერი! — თვალი მოაირიდა ქალმა.
- რანაირადა?!
- უცნაურადა.
- ყოველთვის ასე ვიცქირებოდი.
- გუშინაცა?!
- ყოველთვისა-მეთქი...
- გუშინ არა... გუშინ სხვა იყავი, რომ მოსწონთ, ისეთი იყავი. სხვა იყავი, იმიტომაც მოვედი.
- კარგია, რომ მოხვედი.
- მერე?! სიხარული სად არის, ისე მაინცა, მოსაჩვენებლადა!..

— არ მომწონს მოსაჩვენებელი.
 — მოჩვენებითი სიხარული სჯობიან ამ შენს წრფელსა, მაგრამ მრისხანე გამოხედვასა. მაშინებ. ასე მგონია, შენც გეშინიან. ვისი გეშინიან, ჩემი ხომ არა?! ან ვისზე მრისხანებ, ჩემზე ხომ არა?!

- რა მრისხანება, რის შიშიო!..
- ვინ იცის... არ ველოდი. არ მომწონს. წავალ... — წამოდგა, ავარდა ლავიწები, ძვლების გიდელი აიტაცა.
- იჯექი! ნუ ირხევი! — შეჰყვირა ლენტომა, შეჰყვირა და თავი დახარა. მიეჭრა ქალი, ზელები დაუჭირა, გულთან მიიტანა.

— რა გეშინებ?! მითხარი, ნუ მაშინებ!.. ექიმი ვიხმო?! — ჩაჰყურებდა, ზელებს ეფერებოდა, ვასციებოდა, უთ-

ბობდა, უორთქლავდა. ისლაცნებოდა თითები, არ უჩერდებოდა, გასხლტომასა ლამობდა, ლამობდა და გაუსხლტა.

- საწოლზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებში მოიქცია, მოიხარა, თავი ჩაჰკიდა.
- არ ვიცი რა მომდის... მეჩვენება.
- რა გეჩვენება?!
- რალაცა... როგორა ვთქვა...

— უბრალოდ, როგორც ყველაფერი ვითქვამს. — გვერდით მიუჯდა, მხარზე დაადო ხელი, ძვლების გოდორი ჩამოეკიდა, ჩამოეკონწიალა. — თუმცა თქმაც ბევრი არაფერია, ვადაივლის, თვითონვე ვადაივლის... ჩემს თვალწინ ერთხელ კაცი დაეცა. ავტობუსი დაეჯახა, ჩემგან შორს დაეჯახა, მაგრამ იქიდან ისროლა და ჩემს წინ დაახეთქა, ფრჩხილებით მიწია, კალთა ჩამომადგოვნა, თითქოს უნდა ჩაეჭიდოს, თავი იხსნასო. შეეკვიღლე, უკან გადავევარდი, მაგრამ ვხედავდი, როგორ დაირევდა, როგორა სდიოდა სისხლი პირიდანა, ცხვირიდანა, ყურებიდანა, თვალუბიდანა, საფეთქლებიდანა. მერე სულ ეს მეჩვენებოდა, ძილი გამიტყდა, მარტოობას ვეღარ ვიტანდი, აღარც სხვები მინდოდნენ, გავწამდი, ვავიტანჯე, სიცოცხლე მომიჰლდა და უცებ მეც არ ვიცი როგორ ვადამიარა... აი რა უბრალოდა ვყვები, თითქოს სხვისი ამბავი იყოს. გაუნულებელი არაფერია. — ხელი წაართვა, მხარზე მოიხვია.

იღლიაში მოექცა ის ძვლების ხუხულა, ვაინაბა, გატვინდა, აღარა ჩხარუნობდა წედანდელივითა, ალბათ აღარცა ლაპლაპებდა, არ უცქეროდა, ისე, ეგონა, ალბათ აღარა ლაპლაპებდო, ეგება ძვლები აღარც არის, თვალი თუ არეულა, მკლავიც ხომ არ აერეოდა, მოსინჯავს მკლავითა, მოუჭერს, — ისევე ძვლებია, ძვლები ტკაცუნობს, ტყდებოდა. — „რას ჩადიხარ?!“, „ახს!..“, „ნელა!..“, „ვაი...“, „ვხმე...“ გამოირჩევა იმ ტყდომა-მსხვრევაში, მკლავს აბა რა ესმის, მკლავი მკლავია, უჭერს და უჭერს, თითებიც წავა, ჩაეჭიდება ქვე-

ოთარ ჩხიმიპ
 ალმარო-ვალმარო



და ნეკნებსა, ამოსწევს, ამოიტანს, თითქოს უნდა ამოჰგლიჯოსო. ძვლის ზუზუ-
ლა აფართხალდება, თითქოს იფშვნე-
ბაო, წუთიც და ხელში ჩაედშვნებაო,
მავრამ არა, გაუსხლტება, ეცემა კარსა...
სახე შემობრუნდება, იმ შიშითა, დე-
მაცხრება თუ არა, გავასწრობ თუ ვე-
რაო. და საშიში არაფერია, მოხრილა
ვაჟი, ისევ მუხლებში ჩაუყრია ხელები,
უპერს, უპერს მუხლებსა, ლამის მო-
იმტვრიოს... შემობრუნდება, ზურგით
აეკერის კარსა, ზურგსუკან ხელი აქვს,
სახელურზე აქვს ხელი. არის ასე უთქ-
მელადა, ურხველადა. მერე „ენისელი“
მოხვდება თვალში, აიღებს, ატრიალებს,
ატრიალებს, თან ვაქს უღიმის, შიშითა,
შებრალებითა, თუ შერიგების თვალი-
თა. შემდეგ პატარა მაგიდას მიუჩოჩებს
ახლო, ბოთლს წინ დაუდგამს, ჰქიქებსაც
მოძებნის, წინ ჩამოუჭდება, მიაცივდე-
ბა უთქმელადა, უნდა ასე გასტეხოს,
ასე აახედოს დამორჩილებული, ასე უნ-
და, ასე ჰგონია. გასჭრის განა? წაქინდ-
რულა, თითქოს ყველაფერი დაიწყე-
ბია, წასულა, საღდაც გადაკარგულა,
ჩაფლულა ღრმადა, თვალი ვერ ამოათ-
რევს იქიდანა.

საცობი წააძრო ბოთლსა, დაასხა,
შეეხმიანა.

- დალიე... წამალი.
- წამალი?! — აახედა მოულოდნე-
ლობამა, ღიმილა გადაურბინა განაცრულ
სახეზე. გადაჰკრა. — წამალი...
- ხან წამალია.
- ხან?! —
- საწამლაჟი.
- დალიე!
- საწამლაჟადა?! —
- წამლადა.
- ავად რომ არა ვარ?! —
- „ენისელად“ დალიე.
- შენც დალიე...
- ჯერ მორჩი, ეგებ არ გეყოს...
- მოვრჩი.
- ჯერ არა, დალიე!.. — კიდევ და-
უსხა.
- მოვრჩი-მეთქი.
- ასე მალე?!.. არა, ეს მხოლოდ

მოჩვენებაა, ესეც დალიე... — დალიე
ვინა. კიდევ დაუსხა, დაისხა თავისი
საცა, შესცინა, თვალები ჩაუჭუჭუნა,
რახან გამობრუნდა, თუ გამობრუნდა,
ალარ უნდა გავუშვაო. — დავლიოთ.
ჰქიქები მიაჯახეს, ერთად ასწიეს. ვაჟმა
გადაჰკრა. ქალმა დალია სვენებ-სვენე-
ბითა, წვეთწვეთად, თანაც თვალს რე-
დი აშორებდა, ღიმილს არ აცოლებდა,
ნუსხავდა, იპყრობდა. მერე ქალაღი
აიტაცა, ტუჩებზე გადაისვა, გადაიწმინ-
და შეღებილი ტუჩები, ქალაღი მიაგ-
დო და ჩაუხტა კალთაში. — აბა თუ
გარგო!.. თვალი გამისწორე. ეგრე... ეგ-
რე... ნუ ახამხამებ! — ქუთუთოები გა-
დაუწია, — არა მგონია, მკურნალობა
ვინდა.

- მიმკურნალე!..
- გიმკურნალე... — დაუსხა. დაის-
ხა. დალიეს.

შესველებულიყო ქალის ტუჩები,
შესველებულიყო და ბზინავდა, ახლოსა
ბზინავდა. კუთხეებში ფერი ჩარჩენო-
და, ოდნავა, მქრქალადა და თითქოს
აუშნობდა ეს მქრქალი ნარჩენი. მიზე-
ზობდა ვაჟი, გუნებაზე არ იყო, თორემ
ვინ დაგიდევდა კუთხის ნაოჭებში ჩარ-
ჩენილ მკირე ზოლსა, როცა ასე წამო-
ზიდულიყო ტუჩები, ნამიანი ტუჩები,
შეგუბებული სუნთქვა რომ გადაჰკრავ-
და ნიავეითა, ვინ დაგიდევდათო, აბა
ვინა, როცა მოხდენილი მკერდი გუ-
ლამდე მისვლოდა, ლამაზი ხელები კი-
სერზე მოქდობოდა, — ცხადია არავი-
ნა, მაგრამ ლენტო ხომ უცნაურ ყოფა-
ში იყო, ცნობა დაჰკარგოდა, თითქმის
დაჰკარგოდა, თვალი არეოდა, ხორცი-
საგან განეძარცვა ქალი, მხოლოდ
ძვლად ეგრძნო, იმავე ძვლად, საფლა-
ვიდან რომ ამოუყრიათ, ძველისძველი
საფლავიდანა, ვინ იცის რა მოთქმით,
რა მღულარებით დატირებულის საფ-
ლავიდანა, რომ ახლა სხვა ჩაეფლათ
დიდის ვარამითა, დიდის კვნესითა, რომ
ისიც ამოეყარათ, სხვა ჩაეფლათ, ისიც
ამოეგლოთ და ასე ებრუნა, ეტრიალა,
ვილაცივილაციანი დაეფიქრებინა საწუთ-
როზე, წუთისოფელზე, სიცოცხლეზე;

ამაოებზე, მაგრამ ლენტოს რაო, როდისა ჰქონია ასეთი აზრები, როდის აუთრთოლებია საფლავებიდან ამოყრილ ძვლებსა, — ფეხი გაუკრავს, გაუთამაშებია, დღეს რა მოსვლია, რა დამართნია, თვით სხეული რომ უქცევია სასაფლაოდ... მიწა ამოზიდულა, ძვლები ამოშვრილა, თითქოს თვალეში უნდა ეცესო, თითქოს შუბეებიაო, ხახაში უნდა ჩაეცესო... მხოლოდ ტუჩები წამოწვდენილა, ნამშემშრალი, გაფიცებულნი, წამოწვდენილა, მისწვდენია, შეჭებია, გასხლტომია, შენ დამიპყარ, შენ დამიპყირეო.

არ ჩაიჭირა. ქალმა სკამზე გადაინაცვლა.

- დავლიოთ...
- დავლიოთ...

ქალმა ტუჩებთან მიიტანა ჰიქა, არ მოუსვამს, არც მოუწრუბია, ტუჩები შეარხია, თითქოს უნდა თქვასო, თითქოს გადაიფიქრო, ფერაობა თუ მოსწყინდა, მხოლოდ ტუჩი შემოატარა ჰიქის ტუჩზე, თვალც შემოატარა, ოთახს შემოაყოლა: გამობუნებული კედლები, რა ფერისა ყოფილიყო, ველარ გაირკვევოდა, ბოლოში თაროები იატაკიდან ჰერამდისა, ავსებული მომცრო ყუთებითა, კოლოფებითა, ბოთლებითა, ნაირნაირი შუშებითა, თაროდან კარამდის გრძელი მაგიდა ჩამწერი აპარატებითა, აქეთ, ფანჯარასთან საწოლი, მხოლოდ ეს იყო ოდნავ ბინას რომ მიამგვანებდა, ან იყო რაღაც ნარევი ბინისა, ლაბორატორიისა და საკუჭნაოსი.

- არ მომწონს.
- რა?!
- შენი ბინა.
- ნუ მოგწონს...
- შენ მოგწონს?!

— არ ვიცი... საღდაც ხომ უნდა დაიძინოს აღამიანმა, მე აქა მძინავს და გულიანადაცა მძინავს, მეტი რაღა მოეთხოვება ბინასა?!

- სიფართე, სინათლე, სილამაზე, ძვირფასი ავეჯი, მხიარულება...
- იქაც ხომ უნდა დაიძინონ?
- რა თქმა უნდა...

- მეცა მძინავს.
- დათესაცა მძინავს გულისძილითა, მაგრამ ის ბუნავია, სასახლე როდი.
- რაც გამოვადგება, სასახლეც ის არის და სასახლეთა სასახლეცა.
- მერე პროგრესი, უიმისოდ რა იქნება აღამიანი?!
- რაც იყო, რაც არის, ისევე იქნება, გულა სავსე ძვლებითა.
- ჰა?!

— ძვლებით სავსე გულა-მეთქი...
— საცოდავი ყოფილხარ... შეიძლება უბედურიცა, მაშ რა იქნება თუ აღამიანს უყურებ, როგორც ანატომი, ცხოვრებას — როგორც ეკონომისტი, მაშინ ხომ აღტაცება აღარ მოგიხერხდება, ვერ მოიხიბლები და თუ არ მოიხიბლე, როგორ დასტკები სიცოცხლითა?! ყველგან, ყოველთვის აღტაცების საბაბს უნდა ეძებდეს აღამიანი. ყველაფერი თუ გადასჩხრიკე, ყველაფერი თუ განსაჯე, ველარაფერი წაგიტყუებს, ველარაფერი გაგაბრუებს, ველარ მოიხიბლები. მერე იწყება დარდი და სევდა, საცოდაობა და უბედურებაც იქვე იწყება. რა არის მერე, რის მაქნისია, განა შენ თუ არ იდარდე, ისე ვერ იბრუნებს დედამიწა თუ სხვა პლანეტები?! სამყაროს რად უნდა შენი დარდები, ან ცხოვრებას ვითომ რად უნდა?! რად გინდა ასე დიდად წარმოიდგინო თავი, რად უნდა იმეტირო, დასტკები იპითი, რაც გაგაჩნია, გაბრუედი, დასტკები, გწამდეს, რაც გინდა, ოღონდ გიხაროდეს, გხიბლავდეს, გაჯადოებდეს... ახ, რა კარგია სიცოცხლე, თუ ყველაფერი გაქვს!..

როგორ ლაპარაკობს, როგორი თვლით შეჰყურებს, მიუხვდა თუ? დასცინის თუ? ეგება გამოუტყდეს, ჰა? განა არ ეძებდა, — აჰა, უპოვინია, გამოუტყდეს...

- დავლიოთ.
- აღარ მინდა.
- ერთი მაინცა.

ოთარ ჩხიძე
ალმარტი-ალმარტი



- თუ გავახარებს?
- გამახარებს...
- თუ ძვლების გუდად აღარ მოგეჩვენება ადამიანი?
- აღარ მომეჩვენება.
- დავლიოთ...

დალიეს, შესცინეს ერთმანეთსა. გამომცდელი იყო ორივეს სიცილი, ქალისა უფრო, — აკი არ უნდა გასჩხრიკო, თქვა ვაჟმა, ხშიერად ვაიცინა, ვადიხარხარა. ქალს მოეწონა, ტაში შემოჰკრა, კიდევ დაუსხა, დალიე, გასჭრა, იკურნებოი... და თითქოს მართლაც იკურნებოდა, ის მოსოსანისფერო კაბა თეძობეზე რომ შემოჰკვროდა, თურმე მხრებიდანვე იწყებოდა, თურმე გულისპირი ჰქონდა ჩაჭრილი გულმკერდის შეფერდებამდისა, ხოლო რომ წახრილიყო, ოდნავ დაპყრდნობდა მაგიდასა და ისე შესციცინებდა, სიშიშველეც მეტი მოუჩანდა, სიშიშველე ხორციელი, ნამდვილად ხორციელი. მაგრამ მალე მოჩვენებასავით გაჰქრა სინამდვილე, დავარდა სამოსი, დაცვივდა ხორცი, ძვლები არაკუნდა მაგიდაზე... ისევ ორივე ხელი იცა სახეში, მერე თავი დაავდო მაგიდაზე, მოწყვეტიოთ, გამეტებითა, ნაპერწყვლები წასცივდა თვალთავანა, ოღონდ ვერა, ვერაფრად ივარგა ამ ხერხმა სინამდვილის დასაბრუნებლად, წასვლოდა სინამდვილე, მოჩვენება დაუფლებოდა, ჩხარუნებდა ძვლები, ელავდა ძვლები. და ამ ელვაში მეხვიით გამოტეხა:

- მშვიდობით!
- კარმა ვაიჭრიალა.
- ნელ-ნელა ასწია თავი, ნელ-ნელა ააცურა, ნიკაბი მიინც არ მოუცილებია მაგიდიდანა, ქუთუთოებიც ნელ-ნელა აზიდა, წვივები მოხვდა თვალში, ნამდვილი წვივები, ლამაზი წვივები.
- მიდიხარ? — წვივებსა ჰკითხა.
- მივდივარ... — შეირხა წვივები, წასვლისად არა, წყრომისად შეირხა.
- ნუ წახვალ!
- წაეალ... — შეჩერდა წვივები.
- ნუ!..
- უსათუოდ! — ო, რა ძნელი იქ-

ნება შენი სიყვარული!.. წარმომიდგენია... ვასტანჯავ საბრალოს, თუკი მისი გული მოგენდო. ძალიან მძიმე ხასიათისა ბრძანებულხარ. გუშინ ასე როდი მეგონა. თურმე რა მაცდური ყოფილა პირველი შთაბეჭდილება. — თვალები მილულა, თითქოს იმ შთაბეჭდილებას იგონებსო, მომხიბლავად მილულა, მაგრამ არ დაუნახავს ლენტოსა, ისევ წვივებს მისციებოდა იმისი თვალი, აპყვებოდა კაბის ქობამდისა, ჩაპყვებოდა კოჭებამდისა. ნამდვილი იყო, ისევ ნამდვილი, მაგრამ ვისი იყო ის ლამაზი წვივები? ჰა?! მშვიდობითაო, იმან უთხრა, უთქვამს და წასულა, სხვა შემოსულა, უფროსის ასული, ის ედავება, ძნელი იქნება შენი სიყვარულიო. ჰა?! არა თუ?! მაშ ვისია ეს წვივები? — იმისია, იმისი, ასე მომხიბლავი და მიმზიდველი, შემპყრობი და დამპორჩილებელი.

- მაცდური ყოფილა?!
- მაცდური ყოფილა...
- სად ყოფილა?
- სადა?!

სახეს გადაეველო ლანდი ეჭვისა, — ლენტოსთვის არა, ჯერ სახემდის არ ასულიყო, კაბის ქობასთან ტრიალებდა, მოსოსანისფერო ქობასთანა. ამ ფერიცა იყო იმისი კაბა, პირველად რომ გაცენო, ბულდოგმა რომ მიიპატიჟა, კბილს რომ უშინჯავდა, სანდოა თუ არაო. ისე ახლოს აღარც შეხვედრია, შორიდან ხომ ბევრჯერ დაუნახავს, მაგრამ სხვა იყო ის მოსოსანისფერო სამოსი, სხვა იყო ის პირველი შთაბეჭდილება, — მაშინვე დაიპყრო და ჰა, უპყრია უსაბელოდა, უარარაოდა.

- ჰო, სადა?
- შენში, შენს გარშემო...

შეირხა წვივები... იმ პირველად იყო: მუხლი მუხლს შეედგა, მუხლმა მოიტაცა თვალი, დაცურდა მუხლი, შეტყუებდა წვივები, შეტოკდა, შექანდა, რას შემომცქერო, თუ დავიდგეს თვალიო, თუ... ერთი სიტყვით ასევე შეტოკდა. ის იქნება, ის არის. ის ხომ წავიდა, მშვიდობითო, განა არ უთხრა!



— ეგრე ცუდიც არ უნდა ვიყვე...
 — ეგება უფრო ცუდიცა...
 ცალმა ჭვინტმა რკალი შემოავლო მეორის გარშემო.

— მაკდურზე ცუდი რაღა იქნება?!
 — ბოროტი.

ქობა შესრიალდა, თითქოს უნდა აფრიალდესო.

— ერთი და იგივე მეგონა...
 — ერთი და იგივე უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა საფეხურებზე.

ცერმა აიწია, წვრილ ქუსლზე შექანდა ფეხი. ეს ფეხი, მაგრამ სახე როგორიღა იყო, როგორ ამბობდა, — ღრმა დაჯერებითა, გოროზადა, ჩამოშვებულა პატარა დაბაბსა, სულ პატარასა, დაბაბადაც რომ არ ითქმოდა, უცნაურ შუქს აინთებდა თვალებში. ცხადია ის იყო... რა უცნაური შუქი იცოდა! კიდევ აზიდა ქუთუთოები, იქამდის ვერ უწია, თავი უნდა აეღო, უნდა აეღო და ვერც აეღო... მუხლი ქანაობდა, მამ ქანაობდა მთელი სხეული, თამთამებდა, ირხეოდა, ელავდა, სხიოდა. თვალს ასე სჭრიდა, შორიდან სჭრიდა, ახლა ახლოს რა იქნებოდა! ანთებდა და ანელებდა, აღვზნებდა და აფორიაქებდა გრძობამორეულსა, ვნებამორეულსა. თავის დაფარვა აღარ შეეძლო, გადახსნილიყო, გადაშლილიყო, გაფენილიყო. რაც უფრო შორდებოდა, მით უფრო სწვავდა გოროზი, ამპარტავანი... ახლა აქ იყო, კარს აქანებდა, გამოღებულ კარსა, ზურვით აქანებდა, თვითონ ქანაობდა, აქ იყო და ეწეოდა; ჰოდა, თავი უნდა აეღო და ვერც აეღო, წაუვიდოდა, გაუქრებოდა. უეცრად უნდა წამოვარდნილიყო, ელვის უსწრაფესადა, დასცხრომოდა, აეტაცა, გაეტაცა, მამ რაო, როდემდის უნდა ეფორიაქნა.

და ქანაობს კაბა სოსანისფერი, კარი ქანაობს, წავა, გაფრინდება.

— მე არ უნდა ვიყვე არც ერთ საფეხურზე... მე მაინც არა...

— შენ ეგება არა... შენ არა, შენშია რაღაცა, არ უნდა იცოდე, ვერ უნდა ხვდებოდე.

ისევა ელავს? იელვოს, ახლა ელვაც

ველარ წაუტვა, ერთი ნახტომი, მხოლოდ ერთი, ვეფხვისებური; — ვეფხვისებური, თუ უფრო სწრაფი? რაც უნდა ერქვას, ოღონდ მარჯვე იყოს, მოუცდენელი... მაგრამ როდისღა?.. კარი ჭრილებს, კიდევ მოისპის, მშვიდობითაო, ლაპარაკი ამოაო... და მაგიდას გადაეგლება ლენტოი, გადაეგლება და შეიპყრობს, შეიპყრობს და გულში ჩაიკრავს თბილსა, ღბილსა, სასურველსა, ჩაიკრავს და მიეფერება. ის იცინის, იცინის, თავდახსნასა ლამობს, გაუტრბის და ეხუტება, უწყრება და ეალერსება, ეწურება, ებუტება და ელაციცება.

ხელში აიყვანს. მკლავები შემოერთყმის; თითქოს გავარვარებული სალტე მოუჭირესო, სწვავს მკლავები, რაღა მკლავები, — მთელი სხეული წაჰკიდებია, აბრიალებულა და აუბრიალებია. მაგრამ უეცრად ჩაჰქრება ქალი, გავარვარებული სალტე ყინულის სალტედ გადაიქცევა, სიცოვე დაუვლის კისრიდანა, ჩაუვლის და ჩააქრუანტელებს.

— არა! არა!

ხმაც გასციებია.

ვაჟი ისევ ანთია, ყინული აღნება.

— არა-მეთქი!

არ ესმის ვაჟსა, საწოლისაკენ მიაქანებს, არც ესმის, ყინულიც არ არის იმდენი, ჩააქროს, ჩაანელოს, შემოიდნობს და ისევ აენთება.

— ო, არა!..

გულზე მიბჯენია ხელები, აწვება, აწვება, ლამის გადაიმტვრეს წელში, გადაიმტვრეს და გადაიმტვრეს, არ გაუშვებს, ვერც წაუტვა, ძლიერია მკლავები.

— არა... სხვა გგონივარ, სხვა გეჩვენება... სხვაზე ფიქრობ... არ შემოიძლიან!..

ამაო ეს ძახილიცა, თვალთა ბრიალიც ამაოა, ამაოა ფეხების სხმარტალიცა, ქურა ანთია, საკირე ქურა, ანთია, ვარვარებს.

— არა...

— ჰა, ჰა, ჰა...

ოთარ ჩხიძე
 ალმატო-ალმატო

და მერე, ვაჟი რომ ჩამჭრალიყო, გულაღმა ეგდო, აქეთ-იქით ეყარა მკლავები, ქალი ეხვეოდა, ეკვროდა, ეგლისებოდა, ევედრებოდა:

— მითხარი, რომ სხვა არ გეგონე!.. მითხარი! მითხარი!..

ვერ გაავონა თუ არ გაიგონა, კიდეც ჩასძახა:

— მითხარი... ექვი დამამცირებს... მითხარი!..

ალერსმა ვერ გასჭრა, ვერ იმოქმედა ვედრებამა, მაშინ მხრებში ჩაავლო ხელი, შეანჯღრია და შეჰყვირა:

— მითხარი-მეთქი!..—ეს უკვე მრისხანება იყო, მრისხანება შეურაცხყოფილისა. შეიძლებოდა რამე დაერტყა, შეიძლებოდა ყელი გამოეღადრა ფრჩხილებითა. მაგრამ არ იძვროდა ვაჟი, ეგდო მოთავებული, ეგდო უაზროდ თვალებდაჰყვებილი, თითქმის შესაცლადი, შესაბრალოსი და გატყდა ქალი, აქვითინდა.

8

ქვითინი მიილია. ერთხანს მღუმარება სუფევდა, მერე ოდნავ აჭრიალდა საწოლი, ქალი გადავიდა, ჩაიცვა, უხმოდ ჩაიცვა, კარიც ისე გამოსწია, ოდნავი ჭრილიც არ გაუღია, ასევე გაიხურა, წავიდა, უთქმელად წავიდა. ლენტო ვერ მიხვდა; თუ რა განზრახვა გაიყოლია, რა ჩაითქვა გულში. გაცლებდა ხომ ფიქრადაც არ მოსვლია, მხოლოდ საათს დაჰხედა, — ათიოდე წუთი აკლდა თორმეტსა, — და იყო ისე, ვიდრე არ შესრულდა თორმეტი საათი, ვიდრე არ მოთავდა ის დღედაღამე მისი ცხოვრებისათვის უცხო, უჩვეულო და უცნაური; ვიდრე არ მოთავდა-მეთქი, მაგრამ ძლივს მოთავდა; მანამდის ლენტომ არ იცოდა, თუ ასე გრძელი იყო წუთი. წიკწიკებდა პატარა ისარი, წიკწიკებდა და თითქოს არ იძვროდა ერთი ადგილიდანა, არ იძვროდა და წრე უნდა შემოეგლო, მერეღა შექანდებოდა დიდი ისარი, ისე არა, უმისოდ არ შეირხეოდა, იმ პატარას მიჰბოძა, დამორჩილებოდა; დიდ პატარას დამონებო-

და, ისარი ისარს, კაცი ისარს დამონებოდა. დაჰყურებდა ტუჩებგახსნილ თითქოს რაღაცა უნდა უთხრასო, თითქოს სიტყვა უნდა მოუჭრასო, მაგრამ ვერა, ვერ უხერხდებოდა. ისარი ისევ წიკწიკებდა, ტიტინებდა, ტიტტიკებდა. და როგორც იყო, მოთავდა ის გრძელი ქამიცა. წუთისოფელი არც ისე მოკლესყოფილაო, გაიფიქრა და წამოხტა, დიხხაც წამოხტა, ისევ ლენტო იყო, მკვირცხლი, ძლიერი, დაუზარელი, უფიქრელი, უნაღვლო, უდარდელი.

ჰოდა, რახან ისევ ლენტო იყო, რენდგენოვრამებიც გულგრილად შეაგროვადანებიც ამოჰყარა უჯრიდანა, მაკრატლებსაც პირი აუწყო, ორი ჩამწერი ჩართო და თავი არ აუღია დილამდისა. იქამდის ეყო არაქათი, თვალის ჩინმაც გაუძლო იქამდისა, ხოლო მერე ორასორმოცდაათი ფირფიტა გადაითვალა, დაიიღლია, გაიტანა და დაჰყარა უფროსის მაგიდაზედა. დიდი, სქელი შუშა ეფინა იმ მაგიდასა, შუშის ქვეშ სურათები იყო ამოწყობილი, სათვალსაჩინო, განსაკუთრებული ხელოვნებით გადაღებული სურათები. ერთი მეორეზე უკეთესი იყო, ერთი მეორეზე უკეთესი და მომხიბლავი, უკეთესი თა უკეთესი კი უფროსის ასულსა იყო. უსაბაბოდაც მივიდოდა ხოლმე დაჰყურებდა. თუ შემთვრალიყო, მითუმეტეს თვალს ვეღარ სწყვეტდა, გაციოცხლებდა, გაიყვანდა; ლამაზ სურათებს, აუგიან, ქრუანტელიან სურათებსაც წარმოიდგენდა, ვინ დაუშლიდა, რა დაუშლიდა. იმ დილით აღარ მიჰყოლოდა ამდენი ხალისი, მხოლოდ ერთი გადაავლო მოდუნებული თალები, გალასლასდა, პირქვე დაეშრო თავის საწოლზე...

მკვდარივით ეძინა ხუთიოდე საათსა, ხუთიოდე წუთსაც გადაკიდებულიყო ძილგვიძილს შორის, მერე თითქოს ხელი წამოჰკრესო, წამოვარდა, სასწრაფოდ გადაიკვა, სამასი თუმანი ჩაიტენა ჯიბეში, — ზოგი შინა ჰქონდა, ზოგი სალაროდან გამოიტანა, — რკინიგზის სადგურში ამოჰყო თავი... წინას-

წარ არ იცოდა, რომელ მატარებელს უნდა გაჰყოლოდა, არც ეფიქრებოდა. მხოლოდ ორი საათის გზა თუ იქნებოდა გნოლეთამდისა, ჯერ მატარებლითა, მერე მანქანითა, სულერთი იყო, რომელსაც მიუსწრებდა; ჰოდა, რომელსაც მიუსწრო, იმაში ჩაჯდა.

კარგახანია აღარა მგდარიყო მატარებელში, დავიწყებოდა სანახაობანი სავარუებნო მატარებლებსა; წინათ ართობდა ეს სანახაობანი, ახლაც გაართობდა, მაგრამ რაც უნდა იყოს და, როგორც უნდა იყოს, აქ აუცილებლად მოსახსენიებელია ერთი მუხჯი ქალი, სურათებიან კონვერტებს რომ არიგებდა ვაგონში... სწორედ ის მუხჯია, რაც არის, ოღონდ დიდი რამ მაინც ნუ გეგონებათ, ნუ იფიქრებთ, თითქოს აი, აჰაა, გამოჩნდა ღერძი დიდი ამბავისაო; არა, ამდენსაც ნუ დააკისრებთ იმ უენო, მოლუულ, გაცრეცილ ქალსა, როგორღაც ისეთსა, შარვალი რომ სცმოდა, ქოსა კაცისაგან ვერ გაარჩევდით; ჰო, ნუ დააკისრებთ, რა უნდა შესძლებოდა, — მხოლოდ იღლია ამოვესო კონვერტებითა, მხარს გადაკიდებული ტყავის ჩანთაც კონვერტებით ამოეტენა. ვაგონში შემოსვლისთანავე, სწრაფად, მანქანასავით ჩამოარიგებდა იმ კონვერტებსა: ყველას მიუგდებდა, მიუყრიდა, ან ხელში მიაჩეჩებდა; ჩაიქროლებდა თავითბლომდისა, მერე ისევ თავიდან დაჰყვებოდა და იწყებოდა ლიჭინი, ხელების შლა, თავის რაცრაცია, მანჭვა სახისა, — აიღეო; უარი, — არ მინდაო; ზოგჯერ ყვირილიცა, ვითომ რაც უფრო შევეყვინებთ, მით უფრო გავაგონებთო. უცებ ის ყვირილი დაცხრებოდა ხოლმე, გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე გამოცდილი... მაშინაც დაცხრა, უფრო საიდუმლო გახდა მუხჯური თათბირი. ვიღაცამ ცერი შეაყენა, ასეთი სურათები არა გაქვსო; მუხჯმაც შეაყენა ცერი, როგორ არა მაქვსო, ოღონდაო, ხელი გაშალა და თვალწინ აუთამამა ხუთივე თითი, ამდენი მანეთი უნდაო. იყოსო, ოღონდ ასეთი იყოსო. სწორეთ ეგეთით, დაიქყანა მუხჯი მორიგების სიაშითა; ჩანთა-

ში ღრმად ჩაფლო ხელი, ძირიდან მოარჩია, ვითომ მოფარებით ჩაფლო ხელში, ფული ჩამოართვა, ის პირველად მიჩეჩებული კონვერტიც გამოართვა და მეორე მერხისაკენ გადაინაცვლა. იქით ფშუკფშუკი და ხითხითი ატყდა, აქეთ იგივე თათბირი გაიმართა. კიდეც გადმოინაცვლა, ზოგან ძალიან მოკლელა თათბირობდნენ, არც ასეთი გვინდა, არც ისეთი, ჩამოგვეცილდით; ზოგან უფრო ხანგრძლივდა, აბა სხვაც გვაჩვენეო, კიდეც სხვაცაო. მაინც მოიწვედა, მაინც უახლოვდებოდა ლენტოსა. მანამდის იმან ვახია მიგდებული კონვერტი. ორი სურათი წამოვარდა იმ კონვერტიდანა... ის სურათები ისევ კონვერტში ჩააწყო, მუხჯს გაუწოდა, ეს არ მინდაო, ცერი შეაყენა, ასეთი მომეციო. მუხჯმა ხელები გაატატანა, სადაური რა არისო, რახან ვახე, კიდეცაც უნდა აიღო, ასეთიც იქნება, ჯერ ამისი ორი მანეთი ჩამოდიო. იყოსო, აჰაა ორი მანეთი, აბა, ახლა ასეთი მაჩვენეო. გაჩვენებ და მერე როგორსაო. ცერი რომ ასწია, ზედაც მარილი მოაყარა მუხჯმა, აი ასეთსაო. აჰა, ესეც ხუთი მანეთითა. აჰა, ესეცო, და ჩანთის ძირიდან ამოუთრია კონვერტი, ისეთივე, იმავე წარწერითა. ხომ არ მატყუებო? ნახე. ნახე, ზოგი მერე ილაპარაკეო. მაშ მოიცადეო. აგერ აქ არა ვარო. და ზურგს უკან გადაინაცვლა თათბირმა. ლენტომ კონვერტში ჩაჰყო ცხვირი, ორი სურათი ამოაცოცა, ორივე შიშველი ქალისა, ერთი ტალღებში შეღვლილი, კანჭებამდის უწვევდა ტალღები, მეორე ვარდსა წყვეტდა, ხარობდა, თან კრთოდა, ეკალზე არ გაეიკაწროო; პირველი ის იყო, ფლორას რომ ახლდა, ან ფლორა ვისაც ახლდა, მეორე ფლორა იყო, ნამდვილად ფლორა, უთუოდა, უეჭველად... მხარზე რაღაც ეტოტინებოდა, აფხოქნიდა; მიიხედა რისხვიანი თვალითა, მუხჯი გადასწვდომოდა, გატყუებო?!.. არაო, მიუგდო დაბლვერითა. თუ არაო, მაშ რას

ოთარ ჩხიძე
ალმარო-ალმარო



მიბღვერიო. თავიდან მომწყდო. რა უნდაო, სხვებს მიმართა მუხჯმა, მხრები აწურა, აისუსა. დაეხსენიო, სხვებმა ანიშნეს, ამოიღე კიდევ რა გაქვს ასეთიო. იმანაც ამოიღო, ისინიც ახითხითდნენ, ხოლო ლენტო ღრინავდა, — გაიძვერა... თაღლითი... ეშმაკი!.. ეს რაღა გამოუგონია! ან ესენი როგორღა აიყოლია?! — ზღვა და ვარდი მიკერებული იყო, გამოცდილი ფოტოგრაფს ამისი მიხვედრა არ გაუჭირდებოდა, გაშიშვლება ბევრი არაფერი, მაგრამ გასაყიდად რომ გამოუტანია, ამაზე როგორღა დაითანხმა, ჰა?! ეშმაკი! გაიძვერა! რა ხვრელები აქვს, რა ქსელები აქვს?! ეშმაკი... გაიძვერა! და ვაგონიც მისძახის: გაიძვერა, გაიძვერა, გაიძვერა... ბავშვი ტირის, ქაქანებენ და ქაქანებენ ენამოულღელნი, აივლიან და ჩამოივლიან... თუმცა კმარა, მობეზრდა ლენტოსა. ადგა, ფანჯარას აეყუდა, ველებს გაჰხედა, მთებს გაჰხედა, ახლოს ნაცრისფერ, შორს ჩალურჯებულ, უფრო შორს უფროც ჩალურჯებულ, თეთრჩაფხუტიან მთებსა.

იყო ასე, იყო და იყო, ვიდრე ბევრეთის სადგურის ვერხვები ჩამოეფარებოდა; მაშინღა შემობრუნდა, — ბევრეთულას ხეობით უნდა ჩასულიყო გნოლეთშია; ჰო, მაშინღა შემობრუნდა, ოღონდ ძალიანაც არ აჩქარებულა, ვერც აჩქარდებოდა, ხალხი უკვე მიჯრილიყო ორივე მხრითა...

ზოგ სადგურში ერთიც არ ჩადიოდა, აქ აყრილიყო მთელი ვაგონი, არათუ ვაგონი, მთელი მატარებელი. დიდი იყო ხეობა ბევრეთულასი. ცერად წასულიყო, ღრმად შესულიყო თრიალეთის მთებში, შენაკადიც ბევრი აპყოლოდა, ბევრეთულა ამიტომაც დაერქმეოდა. სოფლებიც გასდევდა ბევრი... გნოლეთიც იქით იყო, საღდაც იქით იყო, რომელღაც შენაკადსა თუ ნაკადულზე გადაფენილიყო. ლენტოსაც უნდა ეჩქარნა, უნდა ჩასულიყო, აღარ ივარგებდა ლოდინი, მიიჩქაროდნენ და მიჰყვა, გავარდა სადგურის ფორზე, სადაც უთავბოლოდ მიყრილიყო ყველა ჯურისა და

ყველა სახის ავტომანქანა; ხალხიც მიყრილიყო, შეხუნძლულიყო, ზოგი დაძრულიყო ისე შეხუნძლული, ზოგი ისევ იხუნძლებოდა, ზოგან მძლოლი ყაყანებდა, ჩამოდით, თორემ არ წავალო. სადაც არავინა ჩხუბობდა, იმას მიეტანა, ეკონწიალებოდნენ, ისიც ჩამოეკონწიალა, ზევიდანაც უშველეს, აიტაცეს რომელიღაც სატვირთო მანქანაში, აიტაცეს და გააქანეს.

გაიბა ავტომანქანები მტკერის ხიდზედა, ბევრეთულას ნაპირ-ნაპირა; გასწია ქარავანმა გუგუნითა, ქროლვითა, იარა ასე, ვიდრე გამოჩნდებოდა შენაკადები; მერე მოირღვა, ვინ საით გადაუხვია, ვინ საითა. იმათ არსაით გადაუხვევიათ, არც აპირებდნენ, ან უფრო ღრმად შეიჭრებოდნენ მთებში და საღდაც შეჩერდებოდნენ. ასე ივარაუდა ლენტომა, მაგრამ ივარაუდა თუ არა, მანქანაც დამუხრუჭდა და მძლოლმაც ამოიძახა დაგუდული ხმითა, გნოლეთი თუ უნდა ვინმესა, ეგერ, ეგრე მარჯვნივ იაროსო. გადახტა ლენტოი, თუმანიანი გაუწოდა. მოიცადეო, წარბი ჩაულუნა მძლოლმა, ბარემ ავიყვანო. ახლოსა ყოფილა, ფეხით ვივლიო. ხეირზე იარეო. შენც ხეირზეო...

და მტკერში გაეხვია, მეორე მანქანამაც ჩამოუქროლა, მიუმატა მტკერი. აღარ მოუცადა დაწყნობასა, თვალდახუჭულმა გაიარა ის ბურიაცი, გზა გადასჭრა გნოლეთისკენა. ხოლო მანამდის ხომ წამალაწყარო იყო, დაბურული მაღალი ცაცხვებითა, მწვანე ქვებში გამოყვანილი, კაცის სიმაღლიდან გადმოღვრილი, გადმოფრქვეული, მწვანე ლოდებზედ ჩამომსხვრეული, ჩამოფხვნილი, მერე დატბორილი, დაკამკამებული, ფსკერიც მწვანედ ამოხსახსებული. ოღონდ იმეამად ვარდისფერი ჩაშუქებულიყო, ოთხსვეტად ჩასულიყო, ჩანათებულიყო. ნელ-ნელა ამოიწია ოთხივე სვეტმა, ამოიკრიფა მწვანე ლოდებზე და უცებ გაჰქრა, შეიმალა კაბის კალთებში, შეიმალა როგორც კი ვაჟი გაუპირდაპირდა... ახლა მუხლებზე შემოეხვიათ მკლავები გოგონებსა, თავი

ზედ დაეყრდნოთ, ერთმანეთს გაჰყურებდნენ თუ უთვალთვალდნენ უცხო მგზავრსა. ქვეები დასველებულიყო, ის ქვეები, მოვარდისფრო სვეტებმა რომ გადაუტყურეს, აქეთ კოკები ეწყო სველი, ფეხებში ეღებოდა, მაგრამ მოუვლიდა, კოკა რა იყო, იმისი მოვლა რა იქნებოდა; ჰო, მოუვლიდა ფეხაკრეფითა, არ შეაკრთობდა იმ გოგონებსა, გუგულეზივით რომ ისხდნენ და გუგულისფერივე კაბები ემოსათ, სალამითაც არ შეაფრთხობდა; მსხდარიყენენ ისე, დამტკბარიყენენ წყაროს ჩქერებითა. და ჩაუარა. ჩაუარა, მაგრამ დაზიდა გულმა ან თვალმა უსწრო, კისერი მოუბრუნა: ისევე ისხდნენ გოგონები, ოღონდ ზურგით მჯდომსაც მოჰქცეოდა თვალეები, დასცინოდნენ თუ გაკვირვებულებიყენენ. სჯობდა რამე ეთქვა, სალამი უკვე გვიანდა იყო, რა უნდა ეთქვა? წინ ბოგირი ჩანგრეულიყო...

— ოჰ... ვინ ჩაანგრია ეს ბოგირი?!

— უქმად მავალმა...

თვალეები რომ მოჰქცეოდა, იმანა თქვა. მეორემ გაიცინა, მოსხლეტით გაიცინა. იმან თავი მიიბრუნა, თვალი თუ ჩაუკრა მეგობარსა.

— უქმად მავალი ეგება არა ვარ?!

— მე არ მითქვამს... — პირდაპირ რომ იჯდა, იმან მიუგო. პირველისა მხოლოდ მოკლედ შეჭრილი წაბლისფერი თმა და მხრებიდა მოსჩანდა, ლამაზად მოხაზული მხრები.

— ვინცა თქვა...

— კარგადა თქვა...

ემსიანად შეირხა ლამაზი მხრები.

— მოგწონთ?

— ძალიან!

— მაშ მეც მომწონს...

— ეგრეც ვიცოდი.

— როგორ?! საიდან?!

— უსალმო კაცი მცირედითაც კმაყოფილდება.

მეორემ გაიცინა, მოსხლეტით აღარა, გაბმით გაიცინა.

— სალამს არ ეგვიანებაო.

— ცრუ ანდაზაა, სადმე გაიგონეთ თუ თქვენვე შეთხზევით?!

— თუ ცრუ არის, გავიგონებდი...

— თუ შეთხზავდით?!

— გავიგონებდი.

— მაშ ესეც გაიგონეთ, უსალმოდ გული არ გაიხსნებაო.

— არცა სალმით გაიხსნებაო.

— ეგეც გაიგონეთ?

— თუ ცრუ არის...

— მართალი თუ არის?

— ალბათ შევთხზევი...

— სალამი მაინც გავვიანდებათ...

— მომიტყევებთ.

— გგონიათ, რომ სულგრძელები ვართ?!

— მგონია. ვატყობთ, სახეზე ვატყობთ. თქვენ სახეზე, თქვენ მხრებზე. სახე მოიბრუნა მხრებმა.

— მხრებზე?!

— სახეზე...

ძს სახე უფრო ლამაზი იყო, იმაზე ლამაზი, პირდაპირ რომ მიჰქცეოდა, თამამიც იყო, ღირსეულად შეთამამებული.

— თქვენ კი წყურვილი გეტყობათ.

— რაც მართალია, მართალია.

— რატომ არ დალევთ?! თუ არ ეგვიანება სალამივითა?

— მოგერიდეთ...

— ვაჟი თამამი სჯობსო.

— ქალი...

— არა თქვით მოკრძალებულიო.

— არ ვიტყვი.

— ეგრე... ახლა სალამი ბრძანეთ და წყალი ინებეთ.

— გამარჯობათ!

— გავიმარჯოთ!.. მობრძანდით წყაროზე.

გოგონები ისევე ისხდნენ, ისხდენ და გაჰყურებდნენ, მხოლოდ ოდნავ ილიმოდნენ, ფეხი რომ წაუცდა და კინალამ ჩქერალის ქვეშ შევარდა; იმანაც გააღიმათ, ჩქერალს რომ შეუშვირა მუჭი, წყალი ვერ დაიჭირა, გაიწუწა, გაიღუმბა და მერეღა დაინახა, იქვე, თართში კათხა ყოფილიყო. მერე ის კათხაც გაუ-

ოთარ ჩხიძე
 ალმარათ-დალმარათი

ვარდა ზელიდანა, -- იმ შეჩვენებულ
გოგონების ბრალი თუ იყო. მაინც მო-
ხერხა, აავსო, დალია, ეგემა, თუმცა
„ეგემო“ ძალიან ცოტაა, იმას ვერ გა-
მოხატავს, რაც იგრძნო, თითქოს
ხორკლი თუ სხვა, რალაც შემბოჭავი
ჩაიტანა, ჩაფხიკა, დახვეწა სულხორ-
ციანადა და ამოვიდა წმინდა სანთელი-
ვითა.

- კარგია!
- არსადა თქვათ...
- რაც კარგია, კარგია...
- რაც არა?
- არა...
- ბრძნულია, დავისწავლით.
- სხვასაც გეტყვი...

— დიდად დაგვაძალებთ, მაგრამ ნუ
მოინდომებთ დარჩენასა, გელოდებიან.

ლენტო ქვას ირჩევდა თვალითა, მუხ-
ლიც მოშვებოდა, გელიანო, რომ შეუ-
ძახეს, გული შეუქანდა, მუხლიც შეე-
ძარბა, — გელიანო?! რას ამბობენ ეს
ფერიები, რა იციან, გულში უსხედან
თუ ბედისწერას მოუტგზავნიან?! ან, ვინ
ელის?! ეგება ელის, მართლაც ელის
ხსნასა, მხსნელსა; ვინც უნდა იყოს,
ოღონდ იყოს, თუნდ ლენტო იყოს. სიმ-
წარემ ახირება როდისღა იცის, შიშმა
სიჯიუტე როდისღა იცის.

- მელიან?
- გელიან...
- ბევრნი?
- ერთი...

ჰა?! არა, მაინც არ იციან, ეშმაკურად
ახამხამებენ წამწამებსა, გულისხმობენ
სიხარულის მოლოდინსა, არა გაეგებათ
რა ტანჯულის მოლოდინსა.

- ერთი...
- ერთადერთი... იჩქარეთ!

ვანლა კიდევ წაქეზება უნდოდა?!
წავიდა ისე, სიარულად მეტი აღარ
ითქმოდა, მერე სირბილი იწყებოდა და,
რომ ერბინა, საჭიროც იყო; ის ზაფხუ-
ლის დიდი ღლეცა დნებოდა, მთებში
უფრო აღრე დნებოდა, იწრიტებოდა,
იღვენთებოდა. მზე შვეულად დაკიდუ-
ლიყო, თითქოს უნდა მოსწყდეს, უფს-
კრულებში ჩაიჩხოსო; კიდევაც ჩაიჩე-

ხებოდა, ჩავარდებოდა, ოღონდ ის
რო გზა თითქოს მზისკენ გაკიდულიყო,
თუ ის ჩავარდებოდა, ისიც ჩაყვებოდა,
მაგრამ ეს თითქოს ლენტოს თვალითა,
უცხო თვალითა; თორემ გზა ნელ-ნელა
მალდებოდა, თითქმის შეუმჩნევლად
მალდებოდა; ღლეც რომ დაბლა-დაბ-
ლა მიდიოდა, იმითი ეტყობოდა მალ-
დებოდა. იქ, მალლა, მწვერვალებიდან
ალბათ სულაც დაკარგულიყო ღლეც თუ
ხევი, მაგრამ იქამდის ვინ მიდიოდა, სო-
ფელი აქვე ინაკეთებოდა, აქვე, ჩამო-
ტყავებულ მთის ძირში. მაინც რომ გრი-
ლოდა!... ეგება აქა სჯობს? ეგება გაჭირ-
ვებამ როდი, სიკეთემ აარჩევინა ეს ად-
გილი, ჰა? მაგრამ საიმისოდ ფიჭვნარი
უმჯობნებიათ, ფიჭვნარს აირჩევდა, არ-
ჩევანზე თუ მიდგებოდა. აქ რაო, ჯა-
გებილა გადაჩენილა დაკოდილი ფოთ-
ლიანისა. თუმცა დიდი ტყეც რა ბედე-
ნაა, ჰაერიც ვითომ იმდენი რა არის?
ვინ იცის, რა მადლი აქვს, რა სიკეთე
აქვს მამიდასა? არ იცის და გაიგებს...
იჩქარე! იჩქარე! თითქოს ისეც მისძა-
ხიანო, მაგრამ ის გოგონები როდი, მთე-
ბი მისძახიან, იმის ფეხისგან წამოწეუ-
ლი მთები.

გზა გადაადგა კაკლნარსა, მერე და-
ქანდა, კაკლნარი მოექცა ზევიდანა.
კაკლნარი მოთავდა და სოფელიც იქვე
ყოფილიყო, თითქოს ცოტა მოშორებით
მოსჩანდა; ეს ალბათ უბანი უნდა იყო-
სო, აქვე ვიკითხო თუ ბარეღამ წინ წავ-
დგე, სოფლის შუაგულში შვევიდე, იქი-
დან უფრო კარგად მიმასწავლიანო?
ამან შეაყოვნა, მაშინვე ყვირილმაც
დააბა და აღარ გაუშვა...

— მიშველეთ!

ხელნებავწვილი ქალი გამოვარდა
ეზოდანა.

— რა გიშველო?! — ამის თქმაც ვერ
მოასწრო ლენტომა, ქალი უკვე ხელე-
ზე ეხვეოდა.

— ბავშვი...

— სადა?! — და ღელესკენ გაექცა
თვალი, ხომ არ იხრჩობაო, სახლს რომ
ცეცხლი არ ეკიდა, უკვე დარწმუნებუ-
ლიყო.

— შემიღონდა... მიშველე ღვთის გულისათვის... ექიმი!

— საით წავიდე?
საიდანაც მოსულაიყო, იქითვე გაუშვირია ხელი.

ლენტოც მოსწყდა უფიქრელადა, მოსწყდა და გაფრინდა. ხევი მაინცა გუგუნებდა, ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!.. წამალაწყარომდის აღარაფერი დაუნახავს. აქ ისევ გაარჩია, ოთხი მოვარდისფრო სვეტი რომ ამოცურდა ტბორიდანა, ოღონდ წელანდელივით როდი შეიმალა კაბებში, ჩუსტებში ჩაცვივდა, ხოლო ჩუსტები გზაზე გადმოცვივდა.

— რა ამბავია?!
— ბავშვი...
— ვინ ბავშვი?!
— არ ვიცი... იქა... ექიმიო... — და მიაჩერდა, სად მოვანახო.

— რაიონში... ჩვენ მანამდის ექთანს ავიყვანო.

ლენტო ისევ გაიქცა.
— მოიცა!.. მანქანა გამოივლის...
და სამივენი გავიდნენ ბევრეთულას ნაპირზე, სამივენი სულსწრაფობდნენ, თვალს ძალას ატანდნენ, ყურს ძალას ატანდნენ, მაგრამ ბევრეთულა გუგუნებდა, თითქოს მართლაც ბევრი ყოფილიყოს: ჰქუხდა, გრიანებდა, ძრავის ხმა ადვილად ვერ გამოატანდა. უფრო ლამაზი ავი თვალით ვაჰყურებდა ბევრეთულასა, ავი ითქმოდა, თორემ უხდებოდა. ნაკლებ ლამაზსაც უხდებოდა, მუქები რომ ნიკაპზე მიეჭდო და თვალაბყრობილი აცმაცუნებდა თხელ ტუჩებზე, — მალე, რა! მალე, რა!.. ხოლო ლენტოსაც თუ უხდებოდა, მურყნის ტოტი რომ ჩამოჩეხა, ამტვრევდა, აკი-წაწებდა და ჰყრიდა გზაზე, — აბა ამინი რა მოგახსენოთ...

9

მოსახსენებელი სხვაც ბევრია... სხვაც ბევრია, ოღონდ ჯერ ეს გახლავთ: დატვირთულნი მოეშურებოდნენ მანქანები ზევიდანა, თავიანთი ტვირთი ეყოფოდათ, აქეთ-იქით აღარ იყურებოდნენ მძღოლები; მაგრამ თვალუქუქუნა ვოგო-

ნები იტაცებდნენ თვალსაცა და გულსაცა. ორი მანქანა შეჩერდა ერთდროულადა, ორმა მძღოლმა გადმოჰყო თავი, თითო აღვილი გვაქვსო. თითო გაქვთ და ერთიც გვეყოფაო, წინაში ვაჟი ჩახტა და გოგონებმა ენა გამოუყვეს აფოფინებულ მძღოლებსა. უკანამ სიცილი მორთო, წინა აბუზღუნდა, დაწვა გაზსა, გარეკა, გაუსვა, გაველდა, ვითომც ძალიან გამოაჯაგრებდა ლენტოსა, — ფრთებიც გამოესხა, კიდევაც გაეხარდებოდა. სამაგიეროდ იმას უნდოდა, როგორმე მალე მოეშორებინა და რკინიგზის სადგურთან მიაგდო თუ არა, ჩადიო, უთხრა, ჩემი საქმე მაქვსო, ტვირთზე გადაუტრა თვალი. ჩადიო და ჩავიდა, მაგრამ საით წასულაიყო, ეს აღარ იცოდა... სადგურის წინ მანქანები იდგა, ტაქსებიცა, ისე მანქანებიცა, სხვადასხვა ჯურისა, სხვადასხვა სიახლისა თუ სიძველისა. თავდახრილი მიადგა ერთ-ერთ მათგანსა, გაალო კარი, ჩაჯდა; თავდახრილი მიადგა, მაგრამ ყველაზე ძველსა და ყველაზე უარესში ჩაჯდა, ამისი პატრონი ძალიანაც არ გამოიღებდს თავსაო, საითაც გავწევ, წამომყვებაო. იმას მართლაც არ გამოუღვია თავი, საით წავიდეო, მხოლოდ ეს იკითხა.

— ექიმი მინდა... — ისევე თავდახრილად ჩაიდუღუნა ლენტომა.
— რომელი?
— რომელიც უნდა იყოს...
— მაინც რომელი!
— რომელსაც მეტი სახელი შეუძენია ამ თქვენს ქალაქსა თუ დაბაში.
— შენ რაო, საიდან მოფრენილხარ?! — თითქოს იწყინაო.
— იარე, გეყოფა, ლაყაფის დრო არ არის...
და იარა...

ავტო სწრაფად გაძვრა ვიწრო ქუჩაში, სადღაც გაუხვია, რომელიღაც დიდ ქუჩაზე. გავიდა, მერე ისევ ჩიხში ამოჰყო თავი, კვლავ დიდი ქუჩა გადაიქროლა და ერთ სახლთან შეჩერდა, ორ-

ოთარ ჩხიძე
ალბათ-ალბათი



სართულიან, ეკლარით მოპირკეთებულ სახლთანა.

— სახელიც ამას უწოდონია და სახრავიცა... უქიმების თავია.

— რა გვარია?

— ფოხაძე... ოქროს ხელი აქვს.

ლენტო გადავიდა, მიადგა სადარბაზო კარსა, ზარი დარეკა. არავინ გამოჰხედა, კიდევ დარეკა, კიდევ... კიბეებზე ქოშები აბაკუნდა, მერე ურდულის ხმა გაისმა, რამდენიმე ურდულისა, რამდენიმე საკეტისა. როგორც იყო, გაიღო კარი. შუახნის ქალმა გამოიხედა. — რა გნებავთო... ქართულად როდი იკითხა...

— ექიმი მინდობა...

— ექიმი?!

— დიახ, ექიმი... — თან მძლოლისკენ გაიხედა ეჭვიანი თვალითა, სხვანა ხომ არ მიმიყვანო.

— ვინა ბრძანდებით?

— აი, ვინა... — მხრები აწურა, — ვინ უნდა ვიყვე?!

— იცის?

— საიდან?!

— მოითმინეთ...

კარი მძიმედ მოიხურა, ჩხაკუნიც მოისმა, ჩაიკეტა ერთი საკეტით მაინცა. ქოშები აბაკუნდა კიბეზე, საღაც შორს მისწყდა. ლენტოს მოეჩვენა, თუ მართლა შექანდა ზემო სართულზე რომელიღაც ფარდა... თუმცა მოეჩვენა თუ არა, სულერთია; ისევ ქოშები მობაკუნებდა კიბეზე, მოდიოდა, ახლოვდებოდა. იგივე თავი გამოჩნდა, მხოლოდ გამოჩნდა, ცივად მიუგდო:

— ექიმი შინ არ არის.

— ასე დაგაბარა?

ცოტა არ იყოს დაიბნა ქალი.

— იცით რა... დღეს მთელი დღე მუშაობდა, ძალიან დაიღალა... — და ნელ-ნელა მოხურა კარი; უფრო ნელა, თითქმის უჩუმრად გაუგდო ურდული, უჩუმრადვე აიარა ქოშებმა.

— რაღას უცდი?! — მძლოლმა შესძახა.

— აბა რა ვიცი?!

— წავიდეთ...

— სადღა წავიდეთ?!

— მაგაზე ხომ არ დამდგარა... ნაი!..

და წავიდნენ, იქროლეს ისევ ვიწრო ქუჩებითა, იქროლეს და შეჩერდნენ ისევ ორსართულიან სახლთანა, ოღონდ ეს ბოლნისურით იყო მოპირკეთებული.

— აქ ფარაძეა... იმაზე მეტი სახელი აქვს. — თქვა მძლოლმა.

— აქამდე მოვსულიყავით...

— ამას ძველი სახელი აქვს.

— იმას?

— ახალი...

— ძველიცა ვნახოთ. — გადავიდა-დარეკა ზარი, კარზეც დააბრახუნა.

უცებ გაიღო კარი, ახალგაზრდა ქალი გამოცქრიალდა.

— ექიმი გნებავთ? — დაასწრო.

— ექიმი...

— იცით რა... ძალიანა ვთხოვთ ნუ შეაწუხებთ; ნუ სთხოვთ, თორემ უარს არ გეტყვით და ცოდოა, ღამე მუშაობა აღარ შეუძლიან, მოხუცდა. ხომ იცით... ხომ არ შეაწუხებთ? გმადლობთ! გმადლობთ! ექიმების მეტი რა არის!.. რადიო ჩართული არა გაქვთ?! რატომ?! რატომ?! ჩართეთ, ფეხბურთის გადმოცემაა რიგიდან... რა თამაზია! ვგიჟდები! ჩართეთ! — კარს ჩაავლო ხელი, უნდა მოეხურა, მაგრამ შეყოვნდა, ჯერ გამეცალონო.

გაეცალნენ. რა თქმა უნდა გაეცლებოდნენ. მალევე შეჩერდნენ, იქვე, მეორე მოსახვევში.

— ერთი აქაც არის, — თქვა მძლოლმა, ავურის სახლზე მიუთითა, — ბევრი ვერაფერი შვილია, მაგრამ... როგორც გინდოდეს, რა ვიცი...

უთქმელად გადავიდა ლენტოი. ეზოს კარი ააბრახუნა.

აივანზე ქალი გადმოდგა.

— ვინა გნებავთ?

— ექიმი...

— შორს არის?

— ვინა?!

— ავადმყოფი, სხვა ვინა?!

— გნოლეთში...

— რაიო?!

— გნოლეთში-მეთქი...

— როდის იყო, სოფელ-სოფელ რომ დავდიოდით?!

— რა მოგახსენოთ...

— არაფერი. ვერ წამოვალ. ქმარიც არ მიყაბულებს.

— ეშინიან?! მაგას სიშორე ვითომ რად უნდა; ნუ მოინდომებთ, თორემ მანდვე აუხვევთ თვალებსა.

— რა უზრდელობაა!..

— მართლაც...

შუშბანდის კარი მოჯახუნდა, შუშები აზრიალდა. ლენტომაც შეიჯახუნა მანქანის კარი, ჯავრიანად შეიჯახუნა, რაღაც ისეთიც დააყოლა, ავქართულსა ჰგავდა. მერეც იმასვე იმეორებდა. ძირს როდილა გადადიოდა, მისწოლოდა სავარძელსა, იღრინებოდა. მძლოლი ვადიოდა, ვილაცებს უხმობდა, ეუბნებოდა, ბრუნდებოდა დაღრეჯითა, იმავე ქართულითა, ავქართულითა. როდის-როდის შემოვარდა სახეგახსნილი, მოდისო. მართლაც მკვირცხლად მოდიოდა მსუქანი ქალი, დიდი ჩანთითა, ხელების შლითა, მაგ სიშორეზე რას გაჩერებულხართ, აქეთ ველარ წამოდექითო. ხოლო მანქანა რომ შექანდა მოსაბრუნებლად, უფრო გაატატანა ხელები, იყავით, იყავით, რაღა დროსიაო. მართლაც და რაღა დროსი იყო, ქუჩა გადმოსჭრა, სახელურს მოეჭიდა, გააღო, ჩაჯდა.

— ღმერთმა შეგაჩვენოთ, საიდან გამოტყვრით, — ისე ამბობდა, თითქოს შინაურებს შეხვდაო, — მეგონა, მოვისვენებ-მეთქი. ისე თქვენ მოისვენეთ! ჰა, დაიძარი, ვილას ელოდები?!

— არავისა... მივდივართ.

— ჰო, გარეკე! ინსპექტორებისა ხომ არ გეშინიან?! მიდი! ღამღამობით თავს როდი იწუხებენ... ღამე თავს არავინ იწუხებს. ფოხაძესთან ხომ იყავით?

— დიახ.

— ფარაძესთანა...

— დიახ.

— კიდე?

— სხვასთან არავისთანა. — მძლო-მა თქვა.

ლენტომ იტვრინა, ალბათ ასე უნდაო.

— მეტან არავისთანა... — გამოსაყენებელი ვინაა?

— ჩემმა მზემ...

— კარგი თუ ღმერთი გწამს! ვითომც არ ვიცოდე, მთელი ქალაქი შემოიარეთ, ყური არავინ გიგდოთ, მერეღა გაგახსენდით.

— რასა ბრძანებთ, ექიმო?!

— აბა სულ მე გახსოვარ, მართლაც შენმა მზემ... ვუკაცებმა რაო?

— არც გვინახავს. — ლენტომაც თქვა.

— ცხვირიც არ გამოუყვიათ; არა?!

ჰა, ჰა, ჰა... აკი ვითხარით, ღამე თავს არავინ შეიწუხებს-მეთქი. რა თქმა უნდა ღამე ოჯახი ტკბილია. უოჯახოებს აბა რა გაგვეგება ღამის სიტყბოსი. ჰა, მიდი, რას მიზოზინებ?!

— წინ მანქანაა.

— გაუსწარი და აღარ იქნება. იჩქარე. დასვენება უნდა მოვასწრო. ჩემი დისწულის დაბადების დღეა, ნადიმს ვერ მოვაკლდები. რა გაათენებს ამ ღამესა! მაინც რა დღე იყო დღედღევანდელი! ოხ, ეს ავადმყოფები! გარეკე!

— აჰა... ავადმყოფი ექიმის სისხარულიაო.

— ძველი ანდაზა გახლავთ.

— ძველიც არის და ახალიცა.

— გაჩნია ვისთვისა...

— ექიმისთვისა.

— პოლიკლინიკაში?! ღმერთმა დაგიფაროთ... აქეთ ავადმყოფები თავპირს გვაჭამენ, ბიულეტენი მოგვეციო, იქით გვეჩხუბებიან. ბიულეტენები იოლად არ გასცეთო.

— ხვირიც მანდ არის.

— ჰა, ჰა, ჰა... შენ კი შეჩვენდი! განა ყველა გაუკუღმართებულა. მოიცა, აქეთ საითა?!

— გნოლეთსა...

— გნოლეთსა?!

— მამა!

— რატომ არ მითხარი?!

— როდისა მკითხე?!

— მართალი ხარ. კეთილი, იარე!..

ოთარ ჩხიძე

ალმარო-ალმარო



თუმცა მოიცა, ჰო, მოიცათ!.. თქვენ-
თვის ხომ სულერთია, ვისაც წაიყვანთ?
სულერთია, ვანა მთელი ქალაქი არ ჩა-
მოიარეთ!.. ბარემ კიდევ დაკარგეთ ერ-
თი ხუთიოდე წუთი, მოაბრუნეთ, მე გი-
პოვნით წამომყოლსა, მოაბრუნეთ, გი-
პოვნით, თუ არა და ჯანდაბას ჩემი თა-
ვი... ყაბულსა ხართ?

— ჯანდაბისათვის ვერ გაგიმეტებთ.

— რა კარგი გული გქონია!.. მოაბ-
რუნე! ასე! — და რომ მოაბრუნეს, მი-
ვიდნენ იმავე ადგილასა; შინ ავიდა აჩ-
ქარებითა, მალე ფანჯარას გადმოეკიდა
მეორე სართულიდანა, თითქოს უნდა
ჩამოცურდესო, — საავადმყოფოში გა-
ივლით, სასწრაფო დახმარებაში მორი-
ვე ექიმი გელოდებათ. თუ რაიმემ და-
გაბრკოლოთ, დამირეკეთ. კეთილად იმ-
გზავრეთ!

— კეთილად დარჩით!

— კარგი სიტყვაც კარგია...

ის მძღოლმა თქვა, ეს ლენტომ ჩაი-
დუღუნა, თითქოს მოწონებთათო, თით-
ქოს ეჭვითაო, მაგრამ საეჭვო არაფერი
გამოვიდა, მართლაც კარებში დახვდათ
მორივე ექიმი, გამზადებული წასაყო-
ლად, ჩანთით ხელში. ოღონდ თუ წი-
ნასწარვე აუცილებელია შედარებანი და
შიმგვანებანი, ის ჯმუხი, ჩასკენილი
ახალგაზრდა კაცი სპორტსმენს უფრო
ჰგავდა, — მოჭიდავესა, ან მოკრივესა,
ჩანთაშიაც კრივის ხელთათმანები უფ-
რო გეგონებოდათ, ვიდრე თეთრი ხალა-
თი, სასინჯი, წნევის საზომი და სხვანი
მისთანანი. გეგონებოდათ და ეგება არც
ვაგცუდებოდათ ვარაუდი, ვინ უწყის,
სპორტით დაემთავრებინოს ინსტიტუ-
ტი, როგორც გალობითაც ბევრი ამთავ-
რებს. თუმცა ლენტოსათვის ამდენი რამ
გასაგები ვერ იქნებოდა, არც არაფრად
ეკითხებოდა, ექიმს დაეძებდა, დაეძებ-
და და მიაკვლია — კარგი რამ იყო, უე-
ქიმოდ რა პირით გამოჩნდებოდა გნო-
ლეთშია?! დამთავრდებოდა ყველაფე-
რი, თბილისის დაბრუნდებოდა კულამო-
ძეებული, დაბრუნდებოდა მწარე სინა-
ნულითა. ასე არ მოხდა, კარგია, კარგი,
ძალიან კარგი. წუნიაობა რა სათქმელია,

ვისა ჰგავსო, რა საკითხავია, ექიმი...
ექიმსა ჰგავს, ექიმივითვე დააყარა შე-
კითხვები: ვინ არის ავადმყოფი, კაცია
თუ ქალი, მოხუცია თუ ახალგაზრდა,
დიდი ხანია ავადობს თუ მოულოდნელი
რამე გამოუტყვრა, როგორი აქვს ტემპე-
რატურა, აქამდის რა იღონეთო და სხვა
და სხვაო. ამათგან მხოლოდ ერთი პა-
სუხი მოახერხა ლენტომ, ბავშვი არი-
სო. ცოგოა თუ ბიჭიო, რა ხნისა
არისო, საყმაწვილო რამ გამოაჩნდა
თუ იღრძო, ან მოიტეხათ. კიდევ
ვინ იცის რაღას არ იკითხავდა. მაგ-
რამ დროზე გამოუტყდა ლენტოი,
არაფერი ვიცი, ექიმზე გამომგზავ-
ნეს და მეც მივიძღვივარო. მაშინ ექიმი
დადუმდა. ლენტომაც ამოსისუნთა შეე-
ბითა. სანადვლელებიც აღარა ჰქონდა,
მანქანა მიჰქროდა ვაშალებითა; დიდ
გზაზე ხომ მიჰქროდა და მიჰქროდა,
ბევრეთულას ნაპირ-ნაპირაც ბევრით
როლი შეყოვნებულა. წამალაწყაროს-
თანაც არ დაოჩნებულა. კარგი მძღოლი
მიეგდო ბედსა, მძღოლი თუ ქაჯი, სა-
ქმესთან ერთად გაჩენილი, ან ჩამოსხმუ-
ლი, როგორც ნაწილი უზუსტესი ავტო-
მატისა. ხელი მომართვოდა, გნოლეთში
უკვე სანუჯვარი სტუმარი იყო. მაგრამ
მაინც შეფიქრიანდა, შეყოყმანდა კაკლ-
ნარს რომ გაცდნენ, — აქ იყო, ოღონდ
მაინც სად იყო, საიდან გამოტყვრა ის ქა-
ლიო, ჰო, შეყოყმანდა, მაგრამ აბა რაღა
დააბნევედა, გაჩერება და საყვირის დაკე-
რა ბრძანა. მძღოლსაც ეს უნდოდა,
ოღონდ დიდხანს მაინც არ გაგრძელე-
ბულა შოფრული სიმფონია, წამალა-
წყაროს ფერიები გამოხტნენ მთვარის
შუქზე და ხელები ალაყარეს, — გარგა-
რის ტოტებში შეეფლოთ ხელები, რა-
ღაცაც აღმოხდათ, ალბათ სიამე, სიხა-
რული, ეგებ ალტაცებაცა, ექიმი რომ
გამოჩნდა; ან უცხო ბიჭმა თავი რომ გა-
მოიღო, სულერთია, აღმოხდათ და ექიმს
გაუძღვენენ. იქვე დარჩა თავგამოდებუ-
ლი უცნობი, ჭვავზე ჩამოჯდა ქიშკართა-
ნა, ჩამოჯდა და გაქვავდა. იყო ასე. მე-
რე აიწია, ასცილდა ქვასა, ეზოში შევი-
და, გაცდა ბოსტანსა, წვრილხილიანსა,

შთვარის უქუჩე რომ მოლაშაზებულები-
ყო; ყველაფერი მოლაშაზებულები, ასე
გასინჯეთ, საქათმეცა, ბოსელიცა, სა-
თონეცა, ბინაც ლამაზი მოსჩანდა, განა-
თებული ელშუქითა... იქ შუქი იდგა,
იდგა დუმილიცა, ალბათ ექიმი თავისასა
საქმობდა, ხანდახან ლანდებიც გამო-
ჩნდებოდა, ალბათ ექიმი ვინმესა საქმე-
ბდა, იმ ფერიებს თუ, წამალაწყაროს
ფერიებსა. ირხეოდა ლანდები, ქანაობ-
და, წამოჩნდებოდა, და ასე, ვიდრე ყვე-
ლა გამოჩნდებოდა, ლანდად როდიდა,
ბეგად მკაფიოდა, — ექიმი, წყაროს
ვოგონები, ალბათ ექთანნი და ის დედა-
კაციცა, მიშველეთ, რომ ემუდარებოდა.
მაშინ შეშლილსა ჰგავდა, შიშით შეშ-
ლილსა. ახლა ცოტა დაშვიდებულიყო,
მანცა კრუსუნებდა, ეტირებოდა, თი-
თებით იწმენდდა ცრემლიან თვალებსა;
ცრემლიანი თითებით რაღაც ჩაუცურა
ჯიბეში ექიმსა, კარებში გამოსვლისას
ჩაუცურა. კარგად მოსჩანდა, თუ რო-
გორ ჩაუცურდა, ამოცურდა და ისევ
ცრემლიან თვალებს ეცა თითები.

ხელის დაბანა მოინდომა ექიმმა. ფე-
რიებმა მოარბენინეს ტაშტი, თუნგი,
საპონი, პირსახოცი. დაუსხეს, დააბანი-
ნეს. ჰო, დააბანინეს და მოჭერდნენ, ის
ერთი თუნგი წყალი შეაღიეს, მეორეც
დაუვიდათ ძირამდისა. მონარჩენი ლენ-
ტომ იკმარა, შესთავაზეს, არ იუარა.
ექიმი უკვე პირსახოცს მისდგომოდა,
ალბათ ისიც უნდა შეეღია ხელში, ლენ-
ტოს მხოლოდ კუნჭული დაუთმო.

— არცთუ პატარა ყოფილა ეს თქვე-
ნი ბავშვი... — გაეხუმრა ექიმი.

— პატარა?!

— პატარა არა-მეთქი...

— არა?!

მკერდში რაღაც შეუხტა ლენტოსა,
დღე რომ ყოფილიყო, შეეტყობოდა.

— არა. თუმცა ბავშვივით დაღეულა,
ჩაკარგულა ლოგინში, ძალიან გამხდარა.

„კიდევ უფრო ძალიანა?!“

— დიდი გაფრთხილება უნდა, ყო-
ველდღეობს მეთვალყურეობა დასჭირ-
დება.

„აქ ვინ მოხედავს... სანატორიუმში
უნდა იყვეს.“

— აქ ექიმს თავზე ვერ დააყენებენ.
ესეც არ იყოს, ჰაერი უნდა.

„აბასთუმანი უნდა...“

— ეტყობა ვერ მოუხერხდება...

„მოუხერხდება სულ ადვილადა...“

— თუმცა რა გამოვა, მხოლოდ გულს
თუ დაიმშვიდებენ, თორემ არა მგონია
რაიმე ეშველოს.

„არა გგონია?! ვითომ ასეთი მიმხვედ-
რი ბრძანდები?!“

— ამ ზაფხულს თუ გააწევეს, დიდი
სასწაული იქნება.

„ჰა?!“

— დიდი სასწაული...

„დროზე რომ მომეხდებოდა? ან ეგება
მართლაც არის სასწაული...“

— თუმცა ორგანიზმმა იცის სასწაუ-
ლები ავადმყოფობასთან ბრძოლაში,
მაგრამ სადღა ორგანიზმი?!

„ვინ შენ ჩემო თავო...“

— ფარ-ხმალის დაყრა მაინც არ
ივარგებს, ცდა ბედის მონახევრეაო,
ნათქვამი არის. რომ შეეძლოთ, ყველა-
ფერი რომ იღონონ, ვინ იცის?

„ყველაფერს იღონებენ...“ — და ხმა-
მალა მოადევნა, — დაუბრუნე!..

პირსახოცი შეატოვა ექიმმა, ჯიბისა-
კენ წაიღო ხელი.

— ახ... პატივცემულო, პატივცემუ-
ლო! — შესძახა, გაეშურა, ფული გაუ-
წოდა, — აბა ეს რა არის?! როგორ იქ-
ნება?!

— რასა ბრძანებთ, ბატონო?! — ქა-
ლი აისუსა, ვერ გაეგო, რა მომხდარი-
ყო, არა კმაროდა?

— დაიბრუნეთ!

— დიდად დამავალეთ... რა თქმა უნ-
და მეტი გეკუთვნით, დიას, მეტი...

— არავითარ შემთხვევაში! ფულის-
თვის კი არ ამოვსულვარ... — და მია-
ჩეჩა ფული, თავისი ჩანთა ჩამოართვა
ნაკლებად ლამაზ ფერიასა და მანქანი-
საკენ გაეშურა. ფერიებიც გაჰყენენ, ექ-

ოთარ ჩხიძე
ალმარტი-დალმარტი



თანაცა, ცხადია, მასპინძელიცა, მაგრამ მაჯაზე ხელი წაავლო ლენტომა, ჩუმაღ დასწია, ჩაიმატოვა. იქ ავტო ავტოგუნდა, ალბათ მოსაბრუნებლად, აქ ქალი აფოფინდა, ასე უბატივცემოდ, ასე გამოუშვიდობებლად არ წამივიდესო. მაინც არ გაუშვა ლენტომა, მოშორებით გაიხმო.

- თინას მამიდა ბრძანებულხართ...
- მამიდა მოუქცდეს...
- თქვენთან გამოვუგზავნივართ...
- ჩემთანა?!
- თქვენთანა... თინას მეგობრებისაგანა ვარ. თვითონვე მოდიოდნენ, მაგრამ ჭერჭერობით ვერ მოუხერხდათ... ათასი რამაა სტუდენტის თავსა... მაინც ჩამოვლენ. მანამდის მე დამავალეს გადმომეცა... — ქალაღში გახვეული რაღაც მიაჩეჩა.
- რა არის?!
- ფულია... თინას ეკუთვნოდა თურმე.
- მამიდა ენაცვალოს!.. რომ არ უთქვამს?..
- არც ეხსომება... ხდება ხოლმე, ბუღალტერიასაც მიეკარგება, მერე უცებ გამოჩნდება, ბუღალტრებსაც გაეხარდებათ...
- ღმერთმა გაახართ!
- გადავცემ თქვენს დალოცვასა. ეს ახლა... ისიც დამაბარეს, ამ დღეებში აბასთუმნის საგზურს გამოვუგზავნიოთ...
- ღმერთო, გვიშველე!..
- გვიშველის... ახლა მშვიდობით!..
- ვანა არა ნახავ?!
- მე რა... აბა... მე ხომ... მიცნობს? ვიცნობ? რა მოხელე ვარ?! შიკრიკი ვარ, მეტი რა?! დამავალეს და გადმოვაციო. თვითონ იციან...
- თქვენი ნებაა. ვისთვის რა სასიამოვნოა იმისი დანახვა... ეს!.. დიდი მადლობა გადავციოთ იმ კეთილ ადამიანებსა.
- რის მადლობა, მოვალეობა რა სა-მადლობლოა?!
- ვინ რა მოვალეა?!
- ალბათ არიან...

- რაც უნდა იყვეს, მადლობა მადლობა თებს.
- გადავცემ. მშვიდობით!..
- შენ ვილა ხარ, მშვილო, ასე ღვთისნიერი?
- ღვთისნიერობისა არა მაქვია რა...
- ღვთისნიერი მეტს რაღას იზამდა?!
- ვინ იცის... მე არ ვიცი. მშვიდობით!
- სახელი მაინც მითხარი.
- მე რა?! შიკრიკი ვარ-მეთქი, შიკრიკად დამისწავლეთ. გზა მაინც აქეთა მქონდა, დიდი რამ ღვაწლი არ დამიღვია. მშვიდობით!
- გზა აქეთაო... ვისთან მიდიხარ.
- ზევით... მშვიდობით!
- იმისი სახელი მაინც მითხარი...
- ნათქვამია, სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავსო. მშვიდობით!
- არ დაჰკარგავსო, მაგრამ...
- ჰო, მაგრამ ლენტო აღარ უსმენდა; მიეშურებოდა თუ დამფრთხალიყო, გავასწრო, თორემ ვინ იცის, რა მოხდეს, ვინ უწყის, როგორ შეტრიალდეს ბედით. დამფრთხალიყო, მაშ რაო, რა უნდა მომხდარიყო, რა გაეგებოდა ავადმყოფსა; ხოლო მამიდა ისე დაბნეულიყო, პროწილობდა ერთ ადგილასა, ვედარც შინ შესულიყო მახარობლად, ვედარც იმ კეთილ ხალხს ვაჰკიდებოდა გამოსამშვიდობებლად. ამასობაში ისინი ჩალაგდნენ მანქანაში, — ექიმი უკვე მძღოლის გვერდით მოკალათებულიყო, უკან ჩაიჭედნენ ოთხნი, ლენტო, ფერიები და ექთანი. სიმსუქნე არ აწუხებდა არც ერთსა, მაინც ჩაიჭედნენ, ევიწროვებოდათ. უფრო ლამაზი ლენტოსკენ მოჰყვა, ზედ აჰკვროდა, იმას ნაკლებ ლამაზი მიხუტებოდა, მერე ექთანი, ეს არაფერი, ბევრი არაფერი, ის იყო, რაც იყო, ბიჭი და გოგო რომ აწებებულყვნენ.
- გაწუხებთ?
- არა. თქვენა?
- არა.
- მანქანა იხრებოდა ოღროჩლოროში, თითქმის ლენტოს ყურს მიხვდებოდა ხოლმე ტურჩები უფრო ლამაზისა:

— თუ იყვეს სიყვარული, ასეთი იყ-
ვეს!

— როგორი?!

— ასეთი... სხვაგვარი რაღა სიყვა-
რულია.

— ასეთი რომელია, სხვაგვარი რო-
გორია?

— ასეთი თქვენია. სხვაგვარი ისაა,
რაც არ ვარგა.

— ჰმ, ჰმ, ჰმ... რა დიდებული წყარო
გქონიათ! — ხმას აუწია ლენტომა.

უფრო ლამაზმა ხმას დაუწია:

— დაგინახეთ თუ არა, მივხვდი, რომ
არც რევიზორი იყავით, არც ინსტრუქ-
ტორი, სხვა ფიქრებს მოეგდეთ ჩვენს
მიღამოში.

— წყაროს მეტი რა არის ჩვენში, მაგ-
რამ ეს მაინც განსაკუთრებული რამე
ყოფილა... — ლამის ძრავს წააქარბა
ლენტომა.

— ცოდოა... მაგრამ ლამაზია. უბე-
დურება ხომ ამალღებს სიყვარულსა. —
ჩაუნიავა.

— გარემოც კარგი აქვს, შუაზაფხულ-
ში უკეთეს ადგილს ვერც ინატრებს
ადამიანი.

— უბედურება გამოცდაც არის, ვგო-
ნებ დაიჭერთ ამ გამოცდასა. — უფრო
ხმის დაწვეა აღარც ივარგებდა.

— მინდორი კი არ გიჩანთ. აქ დიდი
მოსავალი არ გეცოდინებათ. — უფრო
ხმის აწევაც აღარ ივარგებდა...

— თუ ვერ დაიჭერთ, ამო იქნება ეს
სატანჯველი...

— ტყესაც ტყეობა აღარ ეთქმის...

— ყველაფერი ნუ დავვიწუნეთ. —
ეს ჩაურთო ნაკლებ ლამაზმა.

— მაგრამ ავადობას ფათერაკი სჯო-
ბიან, ნამდვილი სიყვარულის გამოცდაც
არის, ნამდვილი ვაჟკაცობისაც.

— ყველაფერი რატომ... წყაროზე
არა ვთქვი, ასეთი არაფერი მიგემნია-
მეთქი?

— სამაგიეროდ, ეს მოუსავლიანობაო,
ეს უტყეობაო, წყარო მერე ვითომ ისე-
თი რაღა არის, ყველაფერი დაჰფაროს?!

— ერთი შებმა არის, ერთი შერკინე-
ბა; ან იხსნი, ან შეეწირები. ავადობის

დროს რაღა გამოდის, ის თუ დნება,
შენც უნდა დადნე ზეზეურადა. ეს უფ-
რო ცუდი გამოცდა არის.

— ყველაფრით შემკული არც არა-
ფერია. განა რა არის ყველაფრით შემ-
კული?

— ბევრეთუღას ზეობა.

— ჰა, ჰა, ჰა...

— ყვავს თავისი ბახალა მოსწონ-
სო. — მძღოლმა დააწია.

— გაუძლებთ განა?! ცოდო იქნება!
ცოდო იქნება!.. ხომ უერთგულებთ?

— ყვავს ვინ იტყვის ასეთ მშვენიერ
ქალიშვილებთანა?!

— ანდაზა ანდაზაა, ჩემი გამოგონი-
ლი ხომ არ არის!..

— ლამაზი ანდაზაც ბევრი არის... —
ეს ექთანმა უსაყვედურა.

— სადაც რა უხდება, ლამაზიც ის
არის...

— უერთგულებთ-მეთქი?!

— ჩიტი სადაც დაიბადა, იმის ბალ-
დადიც ის არისო, განა ეს უფრო არ
მოუხდებოდა?

— ყვავიც ჩიტი არ არის?!

— ჰა, უერთგულებთ თუ არა?!

— მაშინ არწივიც ჩიტი გამოვა. —
ისევ ექთანი გამოედავა.

— კარგით რა, ერთი მეც მათქმევი-
ნეთ, ცეცხლი ვთქვი, პირი არ დამწვო...

— ესეც წყარო.

— გააჩერეთ, აქ უნდა ჩავიღეთ.

— კარებზე მიგიყვანთ.

— აქვე ვართ, არა ღირს მოსაბრუ-
ნებლადა.

— უსულგულო... ცივი... ყინული... —
ხელზე უჩქმიტა და გადავიდა.

— ყინულივით წყაროა...

ჰო, ჩავიდა, ლენტოსკენ აღარც მოუ-
ხდენია, იქით ჩავიდა, იქით გავიდნენ,
ცამოემშვიდობნენ, — უფრო ლამაზი
აღარც მოსჩანდა, აღარც ხმა მოისმოდა
იმისი, ექთანი და ნაკლებ ლამაზი მის-
ძახობდნენ, მშვიდობითო, ნახვამდისო.

ექიმის ხმაც როდი ისმოდა, მანამდის

ოთარ ჩხიძე
ალმარო-ღალმარო



იყო გატვრენილი, იმის შემდეგაც კრინტი არ დაუძრავს; მისწოლოდა საზურგესა, ირწეოდა; ირწეოდა, სთვლემდა თუ დცნებობდა, ვერ გაიგებდით; წამოსვლასა ნანობდა თუ რაღაც არ მოსწონდა, ამის მიხვედრაც გაკვირდებოდა. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მაინც დამაინც როდი ენალვლებოდა ლენტოსსა, თვითონ ხომ შეისრულა წადილი, მოსვენა, ოდნავ მაინც მოსვენა, დაცხრა ოდნავა, ვაციებით არ ვაციებულა, ყინულად არ გადაქცეულა. თუ გადაქცეულა? ყინული ხარო, მაშ რად გითხრა წყაროს ფერია? ხელები ხომ არ გაცვიებია? ნახე, მოიფშენიე, ეგრე, ეგრე, ნიკაპქვეშ ამოიდე. რომ არ მიუგე, იმიტომ შემოგწყრა წყაროს ფერია? ლამაზი ფერია? რატომ გაამწყრალე, რად არ გაახარე, გულთამხილავი ყოფილხარო, რად არ უთხარი?! რატომ გაამწყრალე, რად არ მიეფერე წყაროს ფერიასა, ლამაზ ფერიასა?! გავითბა ხელი, ერთი გავითბა? მეორეც ამოიდე ნიკაპის ქვეშა...

10

ხელების შეთბობაც ვერ მოასწორო, ისე ამოჰყვეს თავი პატარა ქალაქში. ვერ მოიფიქრა, ბევრეთის სადგურში რომ უნდა გადასულიყო, ვერ მოიფიქრა და ნუ მოიფიქრა, აქედანაც წაისვლებოდა... ჰო, თავი ამოჰყვეს და მანქანა ისევე მიჰქროდა, მიპობდა ხალხსა, მხანათევით მიძვრებოდა, კიდელ უფრო მოიმატებდა გულმოსული, — ბიჭოს, აღარ უნდა გამაჩერთო! მართლაც დრო იყო, ხომ არ უნდა დაეღეწა ქუჩები... და გააჩერეო, ბრძანა ლენტოსმა, ჯერ „რესტორანი“ წაიკითხა, მერედა ბრძანა. მძღოლს მიაჩეჩა თავისი გასამრჯელო, გადავიდა და ექიმიც გადაიყოლა.

- ავტობუსი გამოვიღოს... — მწყრა-ლადა თქვა ექიმმა.
- რაღად გადმოდიოდი?!
- გადმომიყვანეთ და...
- არც გავიშვებთ. შევიდეთ...
- ოღონდ მცირე ხნითა...

— მცირე, სულ მცირე... და აჩქარებით შევიდა დარბაზში, თვალი მოავლო იქაობასა, ხალხს არა, ჯერ ხალხს არა, ცარიელ მაგიდებს მოავლო თვალი; რამდენიმე იყო ცარიელი, არჩევანი შეიძლებოდა, მაინც ღია ფანჯრისაკენ მიასწორა. ალბათ ის-ის იყო ამდგარიყვენ იქიდანა, სუფრას ალაგებდნენ. იქ ნიავე გადმოდიოდა. ცოტა მოცილებით ღრეობდნენ ვილაცანი, კარგად შემთვრალიყვენ, მუსიკოსებს ეძალებოდნენ, მოდით, დაგვლოცეთო. ლენტოსაც აყოლ-ჩაყოლეს თვალი, ეს ვილააო, ხოლო ექიმს მაშინვე ჩააფრინდნენ, ლენტოც დაითრიეს უფრო გაბედულადა. ჰო, ესენი მიიწვიეს და მოეშვნენ მუსიკოსებსა, მხოლოდ ხუთთუქმნიანი გადაუფრიალეს, „პატარა გორი“ დაუკარითო. ლენტომ ჩაიციინა, ეგეც იმისგან იყო, იმისი ქარხნიდან გამოსულიყო; ეგება „შავთვალწარბა“ გოგოც მიიღესო, ვნახავ, მოვიკითხავო. ამასობაში ორი ქიკა გადაახუხინეს ექიმსა და ლენტოს აუხირდნენ, შენ რაღას უცდიო. ვილოცებო. მაგრამ ეგრერიგადაც აღარ მიუგდიათ ყური, კისერი გადაიგდო მედოლემა... დრო იხელთეს და გამოეცალნენ. ოფიციალტი ელოდებოდათ. მხალეული, სალათა და ჩახოხბილი შეუკვეთეს, ღვინოები არჩიეს, არჩიეს, ოღონდ ხუთი ნომრის მეტი არაფერი გვაქვსო, ოფიციალტმა ჩაურთო და იმათაც აირჩიეს ხუთი ნომერი. ლენტო ამას მაინც არ დასჯერდა, შამპანური გაურთე და ცოტა კონიაიც დაჰკარიო... კარგი რამ გამოვიდა, ექიმსაც მოეწონა, მეც ასე შევაზავებინებ ხოლმეო. მხალეულისა და ჩახოხბილის წუნი ხომ თავიდანვე არ წამოსცდენიათ, მიეტანენ მადიანადა. ექიმსაც მოეწონდა. ლენტოსი რაღა ითქმის — მთელ ღღეს ნაწილი არ ჩასვლოდა პირში. ორივე ყბას ივსებდა, ორივე ყბით ილუქმებოდა, ისე გამოტენილი ყბებით მისძახოდა მუსიკოსებსა, „შავთვალწარბა გოგო“ თუ გავგიგონიათო. გავგიგონიაო. ალბათ სხვა რაღაცა გგონიათ, ახალი რამ არისო. ახალი რომ არის,

სწორედ იმას მოგახსენებთო. სულ ახალია, ეგრე მალე თქვენამდის როგორ მოაღწევდაო. ვაჰ, წუთში ამერიკა გაიგონება და თბილისი საღ არის, რომ ვერ გავუგონოთო. მინც არა მჯერაო. არაო?! და მომართა ჯაზი, თავისებური ნარევი აღმოსავლური და დასავლური საკრავებისა. აქაობა ხომ თაობიდანვე გზაჯვარედინი იყო და ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, საკრავებიც არეულიყო, დამკრავლებიც არეულიყვნენ. ჰო, არაო?! და შეიმართა საკრავები, კისერი გადაიგდო მედოლემმა, — ის იყო, ის იყო... „ასე ხელად, ასე მალე?! როგორ ასწრებს საიდან ასწრებს?! კაცია თუ ჯადოქარია?!“ მედრეობებებმა ტამი შემოჰკრეს, ეს რა გცოდნიათ, აქამდის საღ იყავითო. გაამოვრებინეს...

ჰო, როგორც იყო მოისვენეს და ჰქიპა ასწია ლენტომა:

— თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიო...

— რატომაო?!

— რატომ არაო?!

— ჯერ თქვენი...

-- ჩემსასაც მოვესწრებით, ბევრნი არა ვართ. ბევრნიც რომ ვიყვნეთ, მაინც თქვენს სადღეგრძელოს დავლევდი პირველად, გამომადექით, გაისარჯეთ ავად თუ კარგად. ავად თუ კარგად, სიტყვის მარაქაა, თორემ როგორც შეგძლოთ, ისე გაისარჯეთ. ხვეწნა-მუღარა არ დამჰირებია, კალთები არ შემომიხვევია; გაიგეთ თუ არა, გამომეგებეთ, გამომეყვით, ექიმობაც ეს არის, დროზე გამოადგე გაჭირვებულსა, თორემ მომარჩენი და მომარჩენილი აბა ვის უნახავს... დიახაც, პირველად თქვენს სადღეგრძელოს დავლევდი-მეთქი, თუნდაც ისინი ამ მაგიდას უსხდნენ, ვინც ახლოსაც არ გამიკარა...

— ფოხაძემა...

— დიახ...

— ფარაძემა...

— დიახ... თქვენ რაღა იცით?!

— ღიღი საცოდნელი როდი არის; ავადმყოფებს ისინი რომ ველარ აუვლენ, მონარჩენი შეგვხვდება ხოლმე.

— ძალიან თავგამოდებულინი არ უნდა იყვნენ.

— როგორ არა... ახლოს არ ვიცნობ, ახალი კაცი ვარ, მაგრამ გამიგონია, გულისხმიერნი და უებრო მკურნალები არიან...

— გულისხმიერნი!.. კარი რომ მომიკეტეს?!

— ღამე სხვა არის, ვისაც არ უჭირს, ღამე რაღად შეიწუხებს თავსა?!

— ექიმი?!

— ექიმიც ხომ ადამიანია?

— სწორედ ადამიანი რომ არის, არაფერს არ უნდა მოერიდოს; თუ საჭიროა, თავი უნდა დასდოს, მიეშველოს, იხსნას.

— კარგი სიტყვებია, ადამიანი ადამიანიც არის და მაინც ადამიანია, დაღლაც იცის, დაკმაყოფილება; დაღლიმდენი არაფერი, დაკმაყოფილება არის, რაც არის, სათავეა, თუ გნებავთ, უადამიანობისაცა; მაგრამ დაკმაყოფილება; არაფერია. ზღვარი არის, რაც არის, თუ იმის იქით წასვლა აღარ შეუძლიან, თითს აღარ გაანძრევს, თუნდაც არაგრძნობდეს კმაყოფილებასა.

— თითქოს არ მესმის...

— დამცინით?!

— არა. ნამდვილად არ მესმის, რა შუაშია „სახვარი“, „კმაყოფილება“... ადამიანი დაცემულა, ექიმი ბრძანდები...

— ექიმი სხვაც არის.

— თავს იმართლებთ...

— რაღა, მე ხომ წამოვედი?!

— კოლეგებს იცავთ...

— რა ჩემი დაცვა უნდათ, სახელი არ აკლიათ და...

— თქვენ ხომ შეიწუხებთ თავი, წამოხვედით...

— ჩემი საქმე სხვა არის... ახლა ვიწყებ. ჩემს ხანში ეგენიც დაუზარებლნი იყვნენ, სწორედ დაუზარებლობით მოიპოვეს სახელიცა და...

— რაღა საჭიროა?!

ღუნედ დაატანა, ძალიან ღუნეთა;

ოთარ ჩხიძე
ალმარო-ალმაროტი



როგორღაც უეცრად მოეშვა, მოჩოლო-
ჩინდა, ღვინოც შესაგდა, მადაც წაუ-
ვიდა, ალბათ დაიღალა, უცებ მოერია
მთელი ღღის განცდა. და ინანა, ნეტავი
აქ რაღა მინდა, რად არ გავუღეჭი ჩემს
გზასათ, თანაც მოერიდა, არ შემატყო-
სო, თავი ჩაჰკიდა. იყო ასე, ვითომც
ნათქვამმა დამაფიქრაო, მერე აიშართა,
აიშართა თითქოს ხალისიანადა, მხრები
შეარხია ეშხში შესულივითა, — თქვენი
სადღეგრძელო გაგვიგრძელდა, წუთი-
სოფელიც გაგვგრძელებიათო, იცოცხ-
ლეო, — და ჭიქა ძირამდის გამოსცალა.
ეგება გამომავეთოსო, თორემ რა გამო-
ვა, კაცი მოვბატყე და ცხვირ-პირი
ჩამომტირისო. და მიეძალა ღვინოსა...
ზედიზედ დალია რამდენიმე.

— ადამიანი ალალი უნდა იყოს... —
ღვინო რომ წამოეტანა, ესეცა თქვა
ლენტომა.

— უნდა იყოს... — ექიმმაც დაატა-
ნა.

— მე ვარ... — ბეჯითად გამოსთქვა
ლენტომა.

— ალბათა ხართ...

— რატომ თუ ალბათა? მე ვარ... —
გაგულისდა ლენტოი, — სხვისი ბავშ-
ვისათვის თავი გამოვიდე.

— ბავშვისათვისა! — ცერად გაჰხე-
და ექიმმა.

— მე ხომ ასე მეგონა...

— არ ავიხირდები...

ექიმი უკვე მოუხვეწრობდა, წრია-
ლებდა, საბაბს ეძებდა ადგომისა; ეტყო-
ბოდა, მობეზრდა ეს ბიჭი, აღარც ლა-
პარაკი ებიტნავებოდა, ჭიქურ ადგომაც
ვერ ეკადრნა, ხოლო საბაბი არა სჩან-
და და არა. რას ვაწვალეობო, იფიქრა
ლენტომა, ვეტყვი, მშვიდობითო, შეე-
ბით ამოისუთნაქვს, მხურვალედ ჩამო-
მართმევს ხელსა და წავაო. თუმცა იწ-
რიალოს, როდემიღისაც უნდა იწრია-
ლოს, როგორც უნდა ისე იხსნას თა-
ვიო. გაგულისებულიყო, სიალალეში
რად არ ჩამომართვაო... ყველაფერს თა-
ვისი ადგილი აქვს და რაც უნდა იყოს,
სიკეთეს არ გადავიცილდებიო. ჰა?! ჯერ
მიახლოვება თქვი, მერე ილაპარაკე გა-

დაცილებზე. მოვალეობისა რა გავი-
სიკეთისას რას გაიგებდი? ცხვირი ნუ
ჩამოუშვი, თვალი გაუსწორე სიშარ-
ტისა, — ერთხელ რა არის, ერთხელ
მანინც თუ მიაკითხე მშობლებსა, და-
ძმებსა; ახლა, ამ ბოლო დროსა, რაც
წელში გაიშართე, თორემ მანამდის, სხვა
ვინდა გახსოვდა მამაშენის მეტი; მი-
ძუნძულეზღვი ვერის ბაზრისკენა, ეგება
მაშაჩემი ჩამოსულიყვეს, რამე ჩამო-
ტანოს გასაყიდადა, ფული გამოვართ-
ვაო; თუ არ ჩამოსულიყო, ვინმე იქა-
ური მანინც იქნებოდა, იმისგან ისესხებ-
დი და მერე თავში ქვა ეცა სოლოსა, იმ
კისერწაიწფულ მამაშენსა, ბეჭებოლუ-
ნულსა, ყებზჩაცვინილსა; რატომ აღარ
მიძუნძულე, რატომ აღარ დაეძებ, შინ
მანინც რატომ არ შეიხედავ? ნუ, მაგას
ნუ შეჰყურებ ავი თვალითა, მაგან რა
იცის, წასვლა უნდა, სხვა არც არაფერი
ენადღვლება, შენ თავსვე უთხარი, უპა-
სუხე, რად არ მიჰხედავ? არა, არა, ფუ-
ლის გიჟი არა ხარ, წადმა-უჯულმა ისე-
რი და ახნე, ყველასთვის გეშეტება,
მაგრამ მამაშენი რაღად დაგვიწყებია, —
ერთი ნაბდის ქული მანინც გაგვგზავნა,
დედაშენი რაღად არ მოგგონებია, —
ერთი თავშალი მანინც მიგეწოდებინა,
და-ძმები რატომ არ გაგხსენებია, —
თითო წყვილი ჩუსტით მანინც გაგზა-
რებინა, ეგებ პატარები ფეხშიშველები
დატანტალეზენ; დიდებს უკვე დაურცხ-
ვენიათ, ვედარ გამოსულან ეზოს გარე-
თა; ჰო, ნუ იშმუნენები, გულში ჩაიხე-
დე, კარგად ჩაიხედე, მერეღა ახირდი,
ალალი ვარ-თქო, წარფელი ვარ-თქო,
კეთილი ვარ-თქო, თორემ მანამდის აბა
რა გამოვა, ტრაბახის მეტი რა გამოვა,
ჰა?!

— თქვენ გადღეგრძელებთ, — მოეს-
მა ექიმის სიტყვები, — იცოცხლეთ,
იხარეთ, ყოველივე კეთილს გისურ-
ვებთ... თანაც მაპატიეთ, უნდა წავიდე.

— ან აქამდის როგორ მოიცადეთ,
ვერ გასიამოვნეთ...

— რა სთქმელია... პირიქით, პირი-
ქით! გამარჯვებით!

— რაც იყო, იყო... გამარჯვებით!

ექიმი გაეშურა, მაგრამ ვერც გაეშურა, კართან გაღალღგნენ, დავაფასე დაგვეწვიო, ვაიმართა გაწამაწია, ზვეწნა, მუღარა, სამღურავი; არა გვკადრულობო, რასა ბრძანებთო, ავადმყოფი მელოდებო, ასეო, ისეო და როგორც იყო, დაიხსნა თავი. ცოტა უფრო გაუჭირდა ლენტოსა... ოღონდ მანამდის: მუსიკოსებს ეკვეთა ის ჩაჯიჯოებული, ღვინით ალმოკიდებული კაცი, ეგ რეები, რას უკრავთ, „სამშობლო“ დაუკარითო, შესძახა, ხუთთუმნიანი მიაჭედა, მერე მიუჭდა ლენტოსა.

— მარტო კაცი პურიჭამაშიც ბრალიო.

— დამეწვიეთ.
— არა, ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ. თქვენ რაო, არ უკრავთ თუ? აქვე ვართ, კაბინეტში...

— გმადლობთ!
— მადლობა მერე... აი ევრე, ეგ მესმის, აბა ის რა არის, აჭყვიტინებთ უთავბოლოდა! წავიდეთ, უარს მოუკვდა პატრონიღედა, წავიდეთ, ნახე, სულ დარჩეული ბიჭები არიან, ვაგებარდებო.
— არ მინდა, დამეხსენი, ხასიათზე არა ვარ.

— დაგაყენებთ კარგ ხასიათზე. ისინი უგუნებოდ იყვნენ, მაგრამ აბა ნახე, ვარსკვლავებს ეთამაშებიან, in vino veritas, — წამოდგა, ხელი მოჰკიდა, — ჰა, არ მაწყენინოთ, ჯერ ერთმანეთი არც ვაგვიცვნიო, უნდა მაწყენინოთ?!, — გასწია, ფეხი შეეშალა, მაგიდას დაეყრდნო მეორე ხელითა, — ჰა, ეგ რა არის! უკვე გაათავეთ?! ასე მოკლე როდის იყო?! ხალტურა არ იყევს, დაიწყეთ ხელახლა!.. — შეუტია მუსიკოსებსა, გაემართა ესტრადისკენა. ხელები გაშალა, თავი მოიდირიეორა. აპყვენენ, მაგრამ არ ვაპყვენენ ბოლომდისა, მალე მოჰკვეცეს. ისევე აუხირდა, ისევე თავიდან დააწყებინა. კიდევ უფრო მალე მოკვეცეს და აღარ გაუგონეს. და ალბათ ატყდებოდა აყალმაყალი, რომ არ გამოეხედათ, არ გაეყვანათ ამხანაგებსა. ადვილი მისახვედრია, როგორა ფაფხურობდა გაყვანისასა: „ურჯულოები არი-

ან, ვილაცანი არიან, ყიზილბაშები არიან, სამშობლოს გვიმოკლებენ!.. ჰმ, დამთვრალიყო და სამშობლო მოჰკონებოდა... ლენტოც თუ დამთვრალიყო, მშობლებსთვის რომ ასჩუყებოდა გული; მონდომებოდა, ორბისს გაქანებულიყო აქედანვე, დაეკონა ჰაღარები, მიჰფერებოდა პატარებსა, და ეტირა, ეტირა. ცრემლი მოსდგომოდა, მოსდგომოდა, მაგრამ იკაევებდა; არა, არ ივარგებდა, იქ უნდა მიეტანა, იქამდის უნდა მიჰყოლოდა, იქ მოუშვებდა ღვარადა, ღვართქაფადა, პირველდა და უკანასკნელდა, ეს იქნებოდა და ესა; აღარ შესცდებოდა, აღარავის დაივიწყებდა, პირიდან ლუქმას გამოიღებდა იმათთვისა, მოხუცებისთვისა, პატარებისთვისა. ოღონდ ახლა როგორ წასულიყო, დანახარჯს რომ გადაიხდიდა, დიდი-დიდი ბილეთის ფულიდა ვადარჩენოდა, როგორღა გამოჩენილიყო ხელცარიელი?! ვისთანა ბიჭო, მშობლებთანა?! აბა ეგ რა ჰქუაში მოსასვლელია?! არის! დაეხსენ, ვილაცა ხარ, თვითონ უკეთესად იცის თავისი ჰირ-ვარამი, რაღა შენი პეიტრობა უნდა! რახან ჰქუაში მუვიდა, ჰქუისა ყოფილა, — სადაც ამდენი, ერთი-ორი დღეც იქ იყოს, წავა თბილისსა, მიბრუნდ-მობრუნდებო, ჯიბეში ჩაიტენავს, რაც რამ აბადია და გამოქანდებო. გამოგნელდებო ეგ სიმზურვალე... დამეხსენიო, ვანა არ გითხრა! გამონელდებო და ისევე დათვრებო; ძნელია ვანა, ისევე დათვრებო, თუ სიფხიზლეში არ შეიძლება მშობლების ვახსენებო, დათვრებო და გამოვარდებო, აჰა, მოგვედით თქვენი ვიეი ბიჭო. მამა გაიდიმებს და მიბრუნდებო, ცრემლი არავინ დამინახოსო, დედა არც მოიწმენდს ლაპალუბით წამოსულ ცრემლებსა; დამინახონო; ღებო ჩამოეკიდების მხრებზედა, ძმებო შეალოღდებიან გულზედა; ძალდი მუხლებზე მიეკრობო წკმუტუნითა, მერე გავარდებო შუქაში, ყეფით აიკლებს იქაობასა; მეზობლებო

ოთარ ჩაიძიმ
აღმარტ-ღამარტი



მესერს დაეკიდებინ, გასძახებენ, გამოსძახებენ, გამოიხედეთ, გამოდით, ლენტო ჩამოსულაო. ასე იქნება, ცრემლიც დაგროვდეს საიმისოდა, დადგეს, დატბორდეს, რას მოსძალებია!..

— ცუდად ხომ არა ხართ?! — თავს წასდგომოდა ოფიციანტი.

— ჰა?! არა!

— გაიარეთ... ჰაერზე გადით...

— გმადლობთ! რამდენი მმართველს? — და ოფიციატმა საანგარიშოს რომ ვაჰკრა ხელი, თვალები დახუჭა, ბილეთის ფული მაინც დამრჩესო; ნელ-ნელა გაახილა, ავაშენოს ღმერთმაო, რჩებოდა ბილეთის სამყოფი, ტაქსისაცა რჩებოდა. გადაუხადა. — ცოტა ხანში მატარებელი თუ გავა თბილისისკენა?

— გავა ნახევარ საათში...

— მაშ კარგადა ბრძანდებოდეთ!

— კეთილად იმგზავრეთ!

მუსიკოსებმაც „სამტრედია“ დაუკრეს, გააყოლეს მგზავრულივითა, — გააყოლეს, ასიაშენეს... იმისი იყო, პირველთაგანი იყო, ძალიანაც ეამყებოდა, მერე სხვებმა დაჰფარა, ბევრმა დაჰფარა, მაგრამ პირველის სიტკბო მაინც სხვა იყო. რამდენი ჩაჯიბა ბულოვმა? — მაშინ არც ეფიქრებოდა, ახლა ეფიქრებოდა, ოღონდ ვერ მიმხედაროყო, თუ რა ღირდა ცალი ფირფიტა, როგორა საღებობოდა გუგუნნი ძვალთა?..

კარი გაიგდო გულჯაერიაანადა. ფანჯრები მაინც მისძახოდა, „სამტრედია, სამტრედია, მუდამ ლამაზო...“ შორამდის მისძახოდა, ჰკვეთდა პატარა ქალაქის მღუმარებასა.

შინ გამოფხიზლებული მივიდა, გამოძინებულაცა. მატარებელში ჩასძინებოდა, ის იკმარა... ჩამწერები ჩართო დაბრუნებისთანავე, ჩართო და ჩაუწყო ფირები. გათენებამდის იფუსფუსა, გათენებისას მორჩა, მოათავა, გაიტანა, დაჰყარა ბულდოგის მაგიდაზედა, დაჰყარა და მოისვენა, მიეგდო საწოლზედა. მაშინვე ჩაეძინა და კარგა ღრმად ეძინა,

უფროსის ზორზოხმა გამოითქვა ღრმა ძილიდანა.

— „სამტრედია“ სხვა იყო, მაშინ სხვა დრო იყო, თითი ავეშვირა, გაიცინებდნენ, ახლა სხვა დროა, ჩარლი ჩაპლინიც ველარავის გააცინებს; სხვანაირად უნდა, ისე უბრალოდა აღარ გამოდის...

— უბრალოდაა?! — იმისი ხმა გახლდათ, ხიმშიას რომ ბულდოგის პოეტი დაერქმია, ხოლო სხვანი ბადრიას უწოდებდნენ, — ყური დაუგდე!

— ყურიც დავუგდე და თვალიცა, ვერც ყური წამართვა, ვერც თვალი, არ გამომადგება.

— ერთი კიდეც დაუგდე...

— რადაო, უარის მეტი აბა რა გამოვა?! სხვანაირი რო იყვეს, კიდეც ჰო, ხათრის გულისათვის ყურს მოვიყრებელი, თვალს მოვიბრმავებელი, მაგრამ ისეთივეა, ზედ გამოჭრილია, იქ იყო — „სამტრედია, სამტრედია მუდამ ლამაზო...“ აქაც ასეა, — „ზესტაფონო, ზესტაფონო, მუდამ ლამაზო...“ ასე არ არის?! ასეა რადა... ცოტა რამე მაინც შეგეცვალა, შე დალოცვილო, ცოტა შეგეღება თვალის ასახვევად, თორემ რა გამოდის, რამდენჯერ უნდა მომიყოლო ერთიდაიგივე საქონელი?!

— საქონელი სხვა არის, რეკლამა იგივე...

— რეკლამაც სხვა უნდა იყოს.

— ზესტაფონელებისათვის ასე აჯობებს, გაეხარდებათ, დაიტაცებენ...

— განა რამდენს დაიტაცებენ?

— ხუთიათასსა, ათიათასსა...

— ჰა, ჰა, ჰა... ქოთანმა თქვა, ჩემი ძირი ოქროსიაო, ციცვება უთხრა, რასა ბრძანებ, განა შიგ არ დავტლაკუნებო; იმისი არ იყვეს, მეტი რა ვიცი, განა შიგ არ დავტლაკუნებ?! ორმოცდაათს თუ მიატანა, ჰა და ჰა...

— რაც მეტი გავიდეს, ჩემი იყვეს.

— მოვიდა, ხუთიათასზე მეტი რაც იყოს, შენი იყოს.

— ორმოცდაათზე...

— მანდაც წამოვალ... „ზესტაფონი“ მალაზიეშიც იმდენი ჰყრია...

— ის სხვა არის.

— „ზესტაფონია“...

— ვიცი, ჩემი შექედილი ხატის მადლი შე აღარ ვიცი?! ის კულტურის სახლებისათვის დამაწერინეს... აქ სხვა რამეა, „შებრაწული ვარია...“ შენით გამიხარია... ღვინო ვალდასტური, გოგო მომე დასტური...“

— მერე ხაჭაპურიო, „სამტრედიაში“ ასე არ იყო?!

— რა ვუყოთ მერე, პოეზიაში ხშირად ხდება გამეორება მოტივებისა. ზოგჯერ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნის პოეტებიც გადასწვდებიან ხოლმე ერთმეორესა, და ერთი ეპოქის ერთმა პოეტმა რომ ერთიდაიგივე თქვას, რა გასაკვირველია. საქმე ის არის, თუ როგორ ამბობს... აი აქ არის სპეციფიკა პოეზიისა. ვინც პოეზიის სპეციფიკა იცის, არ გაუკვირდება გამეორება მოტივებისა.

— მაგეებს აბა ჩემგან ვინ იყიდის?! მე კარგი ლექსი მინდა. შენ კარგი ფასი გინდა? კარგი ლექსი მომიტანე, ამაზე მეტი სპეციფიკა არც ვიცი და არც მინდა ვიცოდე. „შავთვალწარბაზე“ ვალაპარაკე?! არ ვალაპარაკე.

— ვალაპარაკე და ანგრე...

— ვაჰ, ის სხვა ვალაპარაკია, ყურუშსადლო. მეც ჩემებური პოეტი ვარ, კაპიციტ რომ გავაგდებინო, ჩემი ლექსია, ვანა კაპიკია, ლექსია... ეს მთლად ზარალია, იყოს, არ მოვერიდები შენი ხათრითა, ორმოცდაათი თუმანი იყოს, მოვრჩით!

— ასი...

— ორმოცდაათი...

— ასი... კაპიკი არ დააკლდება.

— ორმოცდაათი... კაპიკი არ მოემატება.

— არა?! მაშ კარგი, რაც დაგემართოს, შენ თავს დააბრალე...

— თუ ღმერთი გწამს, ბალანი არ ამიშალო!.. მეც ვითომ ერთი გეჩე ვინმე ვიყვე... ორი სროკი გამითავებია, ციხეში არ მოვხვედრილვარ. სხვის „პახმელიაზე“ ვმჯდარვარ, არ ჩამიგდია. ჩავარდნა რა არის, მუქარა რა იყოს, გველის ხვრელიდან გამოვძვრები. რას მექალები?! ჯერ შენ მელრიჯები, მე გაძ-

ლევ; როცა მე დაგელრიჯო, მაშინ დამექაღე!

— მაშ ეგრე?!

— ეგრეა და!..

და აქ კარმა დაიჯახუნა, ალბათ ბაღრია გავიდა გულმოსული, გაბოროტებული და კბილებალესილი; ვაი, ვის დაჰფლეთს, ვაი, ვის დაჰკლექს! ბულდოგს თითქოს შიში არა აქვს, ღრინავს თუ ხითხითებს, — რაღაც ასეთი, რაღაც მწარე ბგერები მოესმის ლენტოსა. ისემც უქნიათ, დაუქამიათ ერთმანეთი; ეს არაფერი, ბევრი არაფერი, სხვა რამ არის სანაღვლებელიო, მოხერხებული აღამიანი გამოსარჩენს ყველგან იშოვნისო, ხრიოკზეც იშოვნისო... აქ ხრიოკი ხომ არ არის, ცხრვრება ღუმეა, მოთაღე და ჭამეო, რომ უთქვამთ, აქაობაზე თუ უთქვამთ; აქ ყველა ითლის, ყველა ხვეტავს არნადითა, მხოლოდ ლენტორჩება პირში ჩალაგამოვლებული; რასაც მიუგდებენ, ის არის და ისა, ნუთუ მეტს ვერაფერს გამოჩნება, ნუთუ მეტი არაფერი გამოდნება, ჰა?! ვითომ არაფერი?! სადა ხარ, ჭკუავე, ხერხო, სადა ხარ?! მიჰხედე! ჰა?! და წელი აიქნია ლენტომა, მუხლები შეაცურა, შეკეცა, ბალიში მიივლო მუხლებთანა, შიგ ჩარგო ცხვირ-პირი, ჩარგო და ახითხითდა. იქ ბულდოგმა იღრინოს თუ იხითხითოს; როგორც ენებოს, ისე იხითხითოს, რა ძალაც შესწევს, რა გონებაცა, მაინც ვერ მოვა ლენტოს ხითხითთანა. ოღონდ ეს მერე, მაშინ კი მოკეცეა, მოსჭრა, ჩაიშრო, ვაიშალა, გაეტყაპა ლოგინსა, ბალიში მიიხვეტა გულთანა, ფიქრმა წაიღო, ფიქრმა თუ ანგარიშმა, — უფრო ანგარიშმა, თორემ საფიქრალი რაღა უნდა ჰქონოდა; გაუჭრა აზრმა, ხერხმა გაუჭრა, ერთი ინატრა და არ დაახანა, გამოეცხადა, რა კარგი ყოფილა, რა დიდებული; კიდევ ინატრებს, კიდევ მოუხმობს, ჯერ იანგარიშოს... და ჩატკბა იმ ანგარიშში, ძალიან ჩატკბა თუ ძილმაც მოუქნია კული, ერთი კიდევ ჩას-

ოთარ ჩხიკია
ალმასი-ალმასი

ძირა გამოუძინარი, ძნელი სათქმელია ან არც არის საძიებელი; მთავარი ის არის, რომ გაღმობრუნდა, ცხვირი ჩაპყრო რენდგენოგრაფებში. თავით სკამი იდგა, იმ სკამზე ეყარა რენდგენოგრაფები, ზევიდან დიდი ფურცელი ედო, ფურცელს ეწერა „500 ცალი“. მას ის ღამეც უნდა გაეთია; რატომაც არა, თავს ვინ დაზოგავდა ასეთი კეთილი, ასეთი მზრუნველი უფროსისთვისა, — ფეხაკრეფით შესულიყო, სულგაკმედლის შეეტანა რენდგენოგრაფები, ფეხაკრეფით შესულიყო და მერე როდისა?! — სამუშაო საათებში. მეტი სინაზე, მეტი ზრუნვა გავიწილა?! არ გავიწილა. სკამს მაინც ფეხი ჰკრა. არ გადაღვდა რენდგენოგრაფები, მხოლოდ „ხუთასიანი“ შეფრიალდა, შესრიალდა, ცოტა დაქანდა. ან რად უნდა დაეღვებინა, რა ჰქონდა საავგულო; იმითი სჰამდა პურსა, იქ იყო ლენტოს წილიცა, ვინ უწყის, რა მცირე წილი, მაგრამ მაინც იქ იყო, ის იყო; ვერ გაეცლებოდა, ვერ მოიძულებდა, როგორც უნდა გაბეზრებულყო. ჰო, უნდა გაეტეხა ის ღამეცა... ჯერ ისევ დღე იყო, მაგრამ სხვა რამე ჰქონდა მოსაგვარებელი — საგზური აბასთუმნისა, ჯერ საგზური, მერე ისა, რომ ხითხითებდა... საგზურს იშოვიდა, ფული ჰქონდა, ქვას გახეთქავდა და იშოვიდა. თუმცა დიდი ქვის ხეთქვა მაინც არ დასჭირებია, იშოვა, გავზავნა, მერეცა ეცა ნაძალადევის აღმართსა, სულმოუთქმელად აირბინა და კინაღამ კარი უმტვრია ფარნაოზსა, კიდევაც უმტვრევდა, ღია რომ არ დახვედროდა.

გარუჯულიყო ფარნაოზი, გაშავებულყო, სახე აჰქერცვლოდა, ჩამოსტყავებოდა ცხვირის კეხიცა, ქალაქის ფერი გადაეყარა, გამომწვარიყო, დამშვენებულყო.

- რა მოგსვლია?! სადა ყოფილხარ?! გელოდე... გეძებე...
- ვერ გითხარი, გადამქართულდა, ჭაუხებზე მიდიოდნენ ბიჭები, გავყევი.
- ვინ ბიჭები?! — ალბინისტები...

- ალბინისტი ხარ?!
- ბევრი არაფერი, ვერევი მარაქაშია.
- მეც გავერეოდი...
- მცოდნოდა მაინცა... კიდევ აპირებენ, შხარაზე აპირებენ, მაგრამ რითი დავახარბო?
- კინოს გადავიღებ...
- სანატრელი თანამგზავრი იქნები... მთავარ ბანაკამდის მაინც გადაიღებ...
- მწვერვალამდის გადავიღებ.
- შხარა მთაწმინდა ხომ არა გგონია?!
- შხარა მგონია...

ჰა?! ცერად აპხედა, — ეს ბიჭი ორბისში გული იყო, გულადვე დარჩენილყო; მაშინ პატარა იყო, გულიც ეყოფოდა, ახლა ზომიერებაც უნდა, თავდაქერაცა, სიფრთხილაცა, გონიერებაზე ხომ რაღა ითქმის, უნდა და უნდა, მაგრამ ისე თამამობს, ან ამდაგვარი არაფერი შეუძლია, ან მოსქარბებია, — შხარა მგონიაო, რიხით ამბობს ნაპერწკლიანითა, ცეცხლოვანი შემებეღობითა, ხოლო ძალაც თუ ახლავს ამ შემებეღობასა, თეთნულდი რა არის, შხარა რა იყოს?! ჰა, ასეც ხომ არ იტყვი, უშუა რა არის, თეთნულდი რა იყოსო?! ვინ იცის, ვინ უწყის; განა არა ყოფილან ასეთი ვაყვაცები, განა ძვლები არ ჩაუტოვებიათ იმ მიუქარებელთა უფსკრულებშია, ოდესღაც მიუქარებელთა, თორემ ახლა მიქარებულთა, გადასერილთა, გადაქელილთა ცალ-ცალკე და ერთად, ირიბადა და ჯვარედინადა. თუმცაღა საღდაც წრიაპს გაუფხაქნია ყინული, საღდაც ნატერფალი დამჩნევია თოვლსა, ახალ მონაფიფქსა; ორიოდე პალო შერჩენია სიპსა, ყინული თუ მიწა წამოუჩიჩქნია წერაყინსა, კიდევ ემჩნევა, ვითომ ემჩნევა თუ მხოლოდ ჯავრად ჩაპყლიათ ამ კეკლუტთა და პირქუშთა, მიმზიდველთა და შეუვალთა, მიმხიბველთა და ძნელმისაღწევთა?! ჰო, ძნელმისაღწევთა... ძალაც კარგია, გამბეღლობაცა, მაგრამ შხარა მაინც შხარა გახლავთო, — ოღონდ გაიფიქრა, ხმა-მალღა სხვა თქვა:

— ჩამოვედი და ძღვენი დამხვდა, დე დაჩემს გამოუგზავნია, — წამოდგა, განჯინა გამოალო, საღვინე, ნედლი ყველი, ლავაშები სათითაოდ გადმოალაგა, — დედალი მოსახარშია, ახლავე ჩავადგამ... თიბათვის ატამი...

— ვიცოდი, შემოვედი თუ არა, სუნნი მეცა... მაგას დაანებე თავი, — დედალზე უთხრა, ატმები აკრიფა, დასუნა, დაყნოსა, ღრმად ჩაისუნთქა და ამოიბრუნა სული, შეიგუბა და ამოიბრუნა.

— გაკბიე...
— სუნია, რაც არის...
— წვენი უკეთესი, რაც უნდა იფრთხილო, გულზე გადმოგივა, თითქოს აიზმაო, სალბუნიაო...

— აფსუსი არ არის ამისი გაწყობა?! გუშინ იქით ვიყავი, მინდოდა შემეველო, ვერ შევიარეო...

სად იყავიო, რად იყავიო, იკითხა ფარნაოზმა. ლენტომ ტუჩები დააწაფა გალიბლიბებულ ჭიქასა, მოწრუბა ოდნავა, იქვე შეიჩერა, ტუჩებში შეიჩერა, ასე აბრინდა, მაშ რაო, ვითომ რად უნდა უთხრას, სადა ყოფილა, რისთვისა ყოფილა, — თავისი ფიქრია, თავისი სახალვლელებია; ვის რად ეკითხება, გულთან ვინ მიიტანს, ვინ შეწყუბდება, ვინ აფორიაქდება? არც არავინა. ე ფარნაოზი ხომ კარგი ბიჭი სჩანს, მერე რაო, არც ეს გაიხეთქავს გულსა. ან ვითომ რადაო, თავისი სადარდელი განა არ ექნება, განა ეყოფა თავის სადარდელსა?! ჰოდა, რად უთხრას, დარდი საბურთაოდ რად გაიხადოს, ენის საბურთაოდა... კიდევ მოწრუბა, შეიყენა ენის გულზედა, დრო გავა ასე, ყელშიც შეიჩერებს, თუ გამინჯვავა, გამინჯვავა იყოს, კარგად გაიგოს გემო, ფხა, სურნელი; ამასობაში სხვას იტყვის ფარნაოზი, მივიწყებს იმ შეკითხვასა. უკვე ყელშია თავკვერი, ნელა მიტურავს, ძალიან ნელა, შეუძლიან თითი ააყოლოს, აქ არის, აგერ აქა, მიდის ჰა, სწუმენდს, მიდის და აფაქიზებს. კიდევ მოსვამს, უნდა მიაყოლოს, არ შეწყუდეს ჯაჭვი. იცუროს, ისრიალოს... მაგრამ ფარნაოზი ისევე მისჩერებია, რა დამართვინია, რა აშკარად გამოუჩენია

წყურვილი საიდუმლოს გაგებისა?! ვერ მოგართვეს, უცადე, უტკირე, თუ როდის გამოსცლის ჭიქასა. უფრო ცოტა მოწრუბა, რამდენიმე წვეთი, ჭიქას არც შეეტყო თუ რამე დააკლდა...

— როგორია? — ველარ მოითმინა ფარნაოზმა.

აჰა, ლენტოსაც ეს უნდოდა, და აღმოხდა დიდი მოწონება:

— ღმერთების ღვინოა!..

სხვა ღვინოსაც ასე აქებდა, მაგრამ ეს აღმოთქვა განსაკუთრებული მოწონებითა.

— ღმერთებმა უნდა დალიონ?!

— ჩვენ უნდა დავლიოთ, რომ ღმერთებად ვიქცეთო...

და იქცენ, იქცენ ალბათა, ისე კეთილები იყვნენ, ისე გულჩვილნი; მხოლოდ საწყალნი აგონდებოდათ, მხოლოდ ბედშავნი, სიკეთესა ნატრობდნენ იმათისა, აღთქმასა სდებდნენ, შევეწვევითო; ღმერთებადა ქცეულიყვნენ, მაშ რაო, სხვას ვის შეეძლო ამდენი სიკეთე? რომ მოინებეს და იმავე წამს ორბის გადავიდნენ, ღმერთობისაგან იყო ესეცა; მიწაზე რომ ჩამოვიდნენ და ბავშვობა დაიბრუნეს, ღმერთები იყვნენ მაშ რანი იყვნენ, — გაიმწყურავეს, გაითევზავეს, ჩაცვიდნენ ჩანჩქერებში, შემოუნავარდეს ლხინებსა, გაეთამაშნენ ორბისელ გოგონებსა, რა კარგები იყვნენო; ჰმ, რა კარგებიო! ეთერი მაინც რა იყო, არა?! იფ... კიდევ თუ სადმე შეხვედრიხარო; არაო; შენაო; არაო... თუმცა როგორ არაო, ამას წინათ იყო, ორი თუ სამიოდე კვირის წინათა, ხელთ ეპყრა იმისი ძვლებიცა, გაჰხედა, გამოხედა, შემოკრიჭა, დასდო, აამღერა, აავალობა, აავალობა ღმერთივითა, დიახაც ღმერთივითა, არა თუ, — ღმერთმა მიწისაგან შეჰქმნა ადამიანი; ამან ძვლებისაგან სიმღერა შეჰქმნა, ღმერთმა ძვლები აქცია მიწადა, მიწა იყო და მიწად აქცია; ამან მიწა აქცია სიმღერადა, ღმერთიც ეს იყო და ღმერთთა ღმერ-

ოთარ ჩხიძე
ალმარტი-ალმარტი



თიცა. „სხვებიც იყვნენ, მაგრამ ისეთი მაინც არავინა...“ მერე ასე თქვა ფარნაოზმა. არავინაო, დაუდასტურა ლენტომა და გახზედა იმავე რენდგენოგრაფიას; კარგად ახსოვდა, ნათლად ახსოვდა, არაფერი მოსჩანდა იმ ნეკნთა შუა, არცა რგოლები, არცა ლაქანი; სუფთა იყო, უზადო იყო, მაგრამ მერე რაო, წიბო წიბო იყო, ლავიწი ლავიწი, ისიც ძვალი იყო, ჩონჩხი იყო, იგივე იყო, რაც სხვანი იყვნენ, იგივე, ისეთივე; ერიპა, ფარნაოზ, კინალამ აიყოლიე, თუ აიყოლიე? — არა, არა, ტყუილიად გითხრა, ისეთი არავინაო... მაგრამ ფარნაოზი აღარც უსმენდა, ქადაგად დაცემულიყო, ლაპარაკობდა, ივონებდა, იცინოდა, მოიღუშებოდა, ისევ იცინოდა, ლამის გახჭეოდა ყბები; იხსენებდა ავთაცა, კარგთაცა; კარგი მიუთვალეს კარგთა, კარგი მიუთვალეს ავთაცა, ისინი ხომ ღმერთები იყვნენ? — იყვნენ და ანგრე — მკვრეტელნი ყოვლისა, გულისხმიერნი, მოწყალენი, აღტაცებულნი:

- რა კარგია ჩვენი ქვეყანა!
- კარგი და ანგრე!
- რა დიდებული სოფლები გვაქვს!
- რა დიდებული!..
- რა ბრწყინვალე ქალაქები გვაქვს!..
- რა ბრწყინვალე!
- თვითეული ქალაქი ხოტბის ღირსია...
- ღირსია...
- ლექსებს რომ ვწერდე...
- მონდომე და დაწერ.
- შენ დაწერე!
- რა ჩემი საქმეა...
- აქი ლექსებსა ვწერო?!
- ასეთებს არა...
- ასეთიც დაწერე... „სამტრედია“ არ ვახსოვს? ისეთი დაწერე, ქუთაისს დაუწერე, თელავსა, სოხუმსა, ფოთსა, ბათუმსა, აპყე და ჩაპყე; არც ერთი გამოგარჩეს, არავის აწყენინო, აქე და აღიდე; გაიხარებენ, დაგვიმადლებენ.
- ბადრიას საქმეა.
- რალა ყველაფერი ბადრიას საქმეა?!
- ყველაფერი არა, ერთი საქმე

აქვს... რაც ლექსსა ჰგავს და ლექსი არის.

— შენ ისე დაწერე, ლექსი იყოს.

— ეთქვათ ერთზე დაწერო, ორზე დაწერო, მაგრამ ყველაზე?! გაგონილა, ყველა ქალაქი რომ გამღერებდეს?!

— რატომაც არა თუ... — სარფა იქნებო, უნდა დაეტანებინა, მაგრამ მოასწრო, ენა კბილებში მოიყოლა, — რატომაც არა... — გაიმეორა.

— აბა სცადე!

— პოეტი არა ვარ, თორემა...

— მაინცა სცადე...

— მხარს ნუ მიქცევ, დაწერე რა! ჩემთვის დაწერე! გეხვეწები, ამისრულე ეს ერთი სახვეწარი, სხვას რას შეგხვეწინივარ, ან ვის რას შეგხვეწინივარ, არც არავისა!... დაწერე და მომეც; ან ვინმეს დააწერიან, რაც გინდა ჰქენი, ოღონდ მომეცი ქალაქების ლექსები; ათი, ოცი, რამდენიც გინდოდეს, თუნდა არც გინდოდეს, მაინც მომეცი. ჰა, რას იტყვი? ნურც იტყვი... დავლოცოთ ქალაქები, ვაკურთხოთ ქალაქები, ვუმღეროთ ქალაქებსა!

ღვთაებრივი წყალობა იყო, ლენტო უკვე იქ ასულიყო, ეწეოდა ფარნაოზსაცა, ღვინის კიბე ჩამოეკიდა, სიტყვის თოკით ეწეოდა, აპყავდა, აპყავდა იქ, სადაც ყველაფერი თანაბრდებოდა, სწორდებოდა — შთაგონებაცა და განწყობილებაცა, მრწამსიცა და მიზანიცა, სიმტკიცეცა და პირდაპირობაცა, დაჯერებაცა და სიჯიუტეცა, სიამაყეცა და თავმდაბლობაცა, კადნიერებაცა და მოკრძალებაცა, სიკეთეცა და ბოროტეცაცა; ერთფასდებოდა, ერთდებოდა, იფშხენებოდა, იფანტებოდა, ჰქრებოდა, აღარაფერი დაინახვებოდა, აღარაფერი; მაშინ პოეტობასა და მერთიმეობას რალა გამოარჩევდა, ხელოვნებასა და სიყალბეს რალა განასხვავებდა? — აღარაფერი. და რაც უფრო ზევით აღიოდა, მით უფრო დამყოლი ხდებოდა, იცინოდა უაზროდა, რითმებს ისროდა, ფანქარს ფრჩხილით უჩეჩავდა წვერსა, მაგიდას წაფარებულ გაზეთზე ინიშნავდა, აპაო, გაიხარეო. ხარობდა ლენტოცა, სხვა



ცეცხლს უკიდებდა და ჟრუნტელი უვლიდა.

ზოგჯერ მაინც დაუსხლტებოდა, რითმებს დაეხსნებოდა, წაევიდოდა მოგონებებში:

— გახსოვს, ფიზიკის მასწავლებელმა კარი შემოაღო თუ არა, დაიძახა, ლენტო, მოპყევი გაკვეთილი!.. შენ მერსს წაეტყაბე და ამოიყოყინე ზაქივითა „უიუ... ვიცი, რო?“ „დაჯექი!“ დაგიყვირა მასწავლებელმა. „ავდექი რო!“.. შენ მიაყოლე... გახსოვს, რა სიცილი ატყდა?

— მახსოვს... შენ წამოდექი, მე მოყევი, დაძვრიჯე, სხვებსაც დაეღრიჯე, რა გაციენებო. ზარის შემდეგ გცემე...

- დავარტყით.
- გცემე.
- მომერიე, ისე მეც არ დამიკლია...
- გცემე...
- მას მერე მეჯავრებოდი.
- არც მე მიჯექი გულში.
- მერე და რადაო?!
- ვიცი, რო?!

და გაიღრიჯნენ მაშინდელივითა, მერხებში რომ ლალაღებდნენ, ღმერთები აღარ იყვნენ, აღარცა გამირები, — მსგავსნი ღმერთთა, — მოზრდილი ბავშვებია იყვნენ ცხოვრების ზღვაში გადაცვენილნი, მოზრდილი ბავშვები, დაიმღებულნი თავიანთი ფიქრებითა, დაიმღებულნი და გალაღებულნი: თუმცა ეს უფრო ლენტოზე ითქმის, ფარნაოზი დაეყოლიებინა, გაფუებულიყო, გალაღებულიყო; მალე ლექსები ხელთ ექნებოდა, მეღუღუქეები მის ნებად იყვნენ; მალე, სულ მალე კვალში ჩაუღვებოდა ბუღდოგსა, გაჰხსნიდა იმის იღუმალ ხვრელებსა, გაჰხსნიდა, დაეპატრონებოდა...

შინ მისვლისას ისე შეეფეთა დიდი ფურცელი, წითელი ფანქრით მსხვილად ამოყვანილი „500“ იანითა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, აიქენარა; წედან არ იყო რომ გადავაბრუნეო, მაგრამ თურმე ის სხვა ყოფილიყო, იქვე იყო გადაბრუნებული, ეს კიდევ სხვა, ახალი შეკვეთა ყოფილაო; როდემდის უნდა

იყვე ჩემი მბრძანებელიო, დაიღრინა და წინი ჰკრა ახალთაცა, წედანდელთაცა, გადაჰყარა, მიმოლაგა; მერე ჩამოჯდა, უცქირა, უცქირა, დაიღალა ცქერითა, წამოდგა, წამოჰკრიფა ფრთხილად, სინანულითა... მოზრდილი ბავშვი იყო, სხვაგვარად როგორ იქნებოდა?!

12

მიზეზიანობა კვლავაც გაუგრძელდა, თუმცა სამიზეზო რა უნდა ჰქონოდა?! — იმ ათას ფირს ოთხიოდე დღეში ბოლო მოუღო, რა თქმა უნდა უფროსი ასარგებლა, მაგრამ იმისი ფულიც ხომ იქიდან გამოდიოდა. მეტს ჩასწერდა, მეტს მიიღებდა, ფარნაოზსაც აღთქმა შეესრულებინა, გამოეგზავნა ათი ლექსი, ათი ხობა ათი ქალაქისა; ამას ნატრობდა, ეს უნდოდა, სამიზეზო რაღა უნდა გასჩენოდა?! მაგრამ, ვინ იცის, საიდან იწყება რღვევა იმედებისა; ვის მიუსწვრია, ვის უხსნია განწირული იმედები? თუმცა რად გვინდა ასეთი ლაპარაკი, — ის თითქმის მიხვდა, როგორღაც ყრულ იგრძნო, რაღაც რომ იხლართებოდა, რაღაც იქსელებოდა იმის გარშემო, იგრძნო და დაიძახა, ავი თვალი დაადგა პირველ კარსა, პირველ შემოსასვლელსა... იქ მოულოდნელად გამოინაკვთა პატარა მაგიდა, მაგიდასთან ვიღაც უცხოც გამოიკვანძა. ის ხომ გამოიკვანძა და გამოიკვანძა, ვილაცანიც შემოიხვია, ოღონდ ის ვილაცანი გამოჩნდებოდნენ და გაჰქრებოდნენ, თავს შემოჰყოფდნენ და გაძვრებოდნენ თითქოს უთქმელადა, ულაპარაკოდა; ხოლო ის იჯდა ფეხმოუცვლელი, თითქოს სასწავლო შეკვეთებსა ღებულობდა, — თუმცა რაღა თითქოს ღებულობდაო, როცა მართლაც ღებულობდა: ამუქებდა ძველ მოღვაწეთა გადაშქრალ ფოტოსურათებსა, აღიდებდა პატარებსა, აპატარავებდა დიდებსა, აერთებდა სხვათა და სხვათა; ფოტოსურათებს იხატავდა, ნახატებს აქცევდა ფოტოსურათებადა; ერთი სი-

ოთარ ჩხეიძე
ალმატო-დალმატოი



ტყვით დიდ საქმეში იყო, ეგრეთ-
წოდებულ სასწავლო თვალსაჩინობასა
ჰქმნიდა. საავთვალო რა უნდა ყოფილი-
ყო, მეტი სიკეთელა გაგონილა?! ცხა-
დია, გაგონილა, ოღონდ ესეც სიკეთე
იყო, თუმცა კოჭებში ეტყობოდათ, ასე
უბრალოდ არ მოსცდებოდნენ არც ისა,
არც ისინი; ხოლო „ბულდოგზე“ რაღა
უნდა ითქვას, — სასკოლო თვალსაჩი-
ნობა ხომ იმისი საკუთარი საფარი იყო,
იმისი კალთა იყო და ვისაც იმ კალთას
გადააფარებდა, სხვა ქურას მიუჩნენდა
გასაღვივებლად. ისინი მიცვალებულთა
სურათებს აღიდებდნენ; სხვებიც იყვნენ
გამდიდებულნი, მაგრამ თანდათან
იპყრობდა „ბულდოგი“, აერთიანებდა,
ეუფლებოდა, ჯერ მხოლოდ თბილისსა;
ყველა სამგლოვიარო პროცესიას იმისი
სურათები მიუძღოდა; ადგილებზე მი-
ავლინა წარმომადგენლები, ყურმახ-
ვილნი და თვალმახვილნი. შეცხადება არ
გამოეპარებოდათ, პირველნი ისინი მიუ-
სამძიმრებდნენ ჰირისუფალთა... განაღა
ითქმის მეტი სიკეთე?! ნეტავი რაღა
აეჭვებდა ლენტოსა?! ქვეყნის მესამძიმ-
რე თუ ჰირისუფალი გამხდარიყო იმი-
სი უფროსი, დადიოდა დადინჯებულნი,
ქვეყნის ფიქრებით, ქვეყნის დარდით
აღვსებულნი. ხშირად ყავისფერ სავარ-
ძელში ჩაიკეცებოდა, თვალებს ალა-
პყრობდა, ვიწრო, ჰროდა თვალებსა, გა-
რინდებოდა, დაიბინდებოდა, ჩიფჩი-
ფებდა, თითქოს დოცულობსო ყველას-
თვისა, მთელი ქვეყნისთვისა. მეტი სი-
კეთე გაგონილა?! რად გასაქიქებოდა
ლენტო, რატომ ეგონა, რომ განა ლო-
ცულობდა, ანგარიშობდა, გეგმებს აწ-
ყობდა, ისე ზეპირად გეგმავდა და ან-
გარიშობდა, არაფერს იწერდა, არა-
ფერს ინიშნავდა; ის დიდი თავი ყველა-
ფერს შეიცავდა, ყველაფერს აერთი-
ნებდა, ბულალტერიასა ეკონომისტებ-
იურისკონსულებიანადა, საგეგმო, სა-
პროექტო, სტატისტიკის სამმართველო-
ებსა და სხვა და სხვათა; ყოველთა, სა-
დაც ერთი ნაგლეჯი ქაღალდიც არ იხარ-
ჯებოდა, ერთი კალამიც არა სველდებ-
ოდა მელანში, არფომეტრები არა

ტრიალებდა, მაგრამ მისხლისოდნადაც
იკარგებოდა, ბეწვისოდნასაც არ შეს-
ცდებოდა, არც დაეკარგებოდა, თუნდაც
კიდევ ათასჯერ გაზრდოდა წარმოება.
გაზრდა კი უნდოდა, ო, როგორ უნდო-
და! ვთქვათ, მაგალითად, რენდგენოფი-
რების ან რენდგენოგრაფების შოვნა რო-
ცა გაუჭირდებოდა, ხელებს იმტვრევდა;
ახ, ერთი ნება მომცენ, არ დამიშალონ
და ერთ თვეში მოვაწყობ ისეთ საწარ-
მოსა, მთელი ქვეყანა მოვამარაგო რენ-
დგენოფირებითაო. განა ტრაბახობდა?!
ეს ზრუნვა იყო, სიკეთისგან იყო, ლენ-
ტო მაინც შეეჭვებულყო, მიზეზიანობ-
და; ისიც იმტვრევდა ხელებსა, აღარ
იყოლა, ვისა სცემოდა პირველად, უფ-
როსსა თუ იმ უცხოსა, შემოსასაღელ-
თან რომ გამოეგანძულიყო. ნამდვილი
საფრთხე სადა ღვივდებოდა, ვერ მიმხე-
დარიყო. იმ უცხოს, ოღონდ ძალიან მია-
ღე გაშინაურებულს, უბღვერდა, უღ-
რენდა, უშტიალებდა, ამითი იქარვებდა
გულსა. უფროსმა შენიშნა, გაუმკაცრ-
და, დაუტია, — შენ აქ უფროსად ვინ
დააყენაო... მაშინ ნერწყვი გადაყლაპა
და ვერც გადაყლაპა ლენტომა, ყელი
ამოშრობოდა. სხვა რომ ვეღარაფერი
აწამა, იმ ათი ხოტბიდან ერთი ხოტბა
ამოაცოცა. იპოვა იმანაც შესაფერისი
დრო!

- ეგ რაღა არის?! — თვალეები გაი-
ირიბა უფროსმა.
- „ზესტაფონი“.
- ბადრიაშ დატოვა?
- არა...
- გამოგზავნა...
- არა...
- მაშ საიდან არის?
- ხილი იხილე, მებაღეს რასა კითხ-
ულობო.
- გემო ადგილმა იცის.
- გემო პირშია.
- ისევე მამა გიცხონდება, გემო ფუ-
ლია.
- დრო იქნება, ფული აღარ იქნე-
ბაო.
- გემოც აღარ იქნება. საფლავში

ჩამომძახე, რა გემოც ჩაატანო უფულო ცხოვრებასა.

— ვინ იცის, ვინ იქნება ჩასაძახებელი.

— შენ ჯეელი ხარ.
— მწიფვეს ესროდნენ, კუხე ცვივო-
ლაო.

— ვა, რა მხეცივით სიტყვაა, არა?!
მინც ვისია?

— ხალხურია, ანდაზაა.
— მაგისას როდის გეკითხები... —
ფურცელს დახედა, მაგისასაო.

— ვოსაც უნდა იყოს.

— ვაჰ, თავისას არ იშლის... ბადრიო
უკვე ას მანეთზე ჩამოვიდა...

— ასზე?!
— ასზე, მამა!

— რას მათირებ?!
— გებნები, ნატურია...

— ჩემთან რად გინდა ასეთი თამაში,
ჩვენ ერთმანეთს რა უნდა მოვატყუოთ?!

— ჰა, ჰა, ჰა... მართლაც და!.. ორასზე
ჩამოვიდა, რაც მართალია, მართალია,
ათასზე იყო და ორასზე ჩამოვიდა. მა-
გის მომტანს არც დაუწყვია, საღამ-
ლისაც ის ჩამოსულა, იქიდან დაიწყოს,
ასი იყოს...

— შვილასი...
— ორასი...

— ექვსასი...
— სამასი...

— ხუთასი...
— ასი... — გაცხარდა უფროსი, —

გინდა აიღე ერთი დისტიმესტკა, ერთად-
ერთი, გინდა წადი, ხეირი ნახე.

— ღორი...
— ჰა?!

— ღორი ხარ-მეტქი...
დაიღრინა ბულღოვმა, დაიძაბა და ი-
ქენჩრა.

— ეს ერთხელაც მითხრეს და ისეთი
ტერსი მივეცი, ხუთმა კაცმა ძლივს ახ-
ვეტა მიწიდანა.

— ერთიცა სცადე... მანამდის მოიყ-
ვანე ხუთი კაცი.

— ხელს ნუ გამასვრევიანებ...
— ღინგი გასვრილი გაქვს, გაისვარე
ხელიცა, ჰა!..

— დაგბრიდავ!..
— ნულარ გამათავებ ლოდინითა...

ამდენ დაცინვას ველარ გაუძლო, ვერც ხელის გამოღება გაჰხედა, მხოლოდ აყვირდა, აქოთდა, აყროლდა, მთელი თბილისური არგო გადმოაწყო; არც ლენტოშო დააკლო, გადმოაწყო და გადაულაგა, თან ახელებდა, ერთი ხელი გაიქნე, ერთი გაიქნეო... ხელი მინც არ გაუქნევი, ენას კი აქნევიდა, ასარსალებდა, უტყალაშუნებდა, ემუქრებოდა, აყვედრიდა, გუდამშიერო, ლოყებში შუქი გაგდიოდა რომ მოვიყვანე, გასუქდი და თავს წახვედიო, ვაგაგდე და იგივე დავგემართება, მოხვალ მოკუნტული, შემომწკავეწკავე და ლუქმასაც აღარ გადმოგივდება, ძაღლის პატივისცემა სჯობიან შენს პატივისცემასაო, ასე გიზამო, ისე გიზამო; ბოლოს, როგორც იყო, ისიც მოიხზრა, ნეტავი რაღას ვემუქრები, ბარემ ვაგაგდე და მოვიშორებ თავიდანაო, ახლავე გუღა-ნაზადი აიკარიო, ბრძანა, თან ქუსლი დაჰკრა იატაკსა; იმავე წუთს რენდგენოვარამებიც მიაყარა, ახლავე ჩამოხვედნე ხუთასი ცალი, ახლავე დაიწყო, მორჩა, შენს ნებაზე აღარ გატარებო, წარბი არ შეხარო, თორემ გაჩენის დღეს გაწყვევლინებო; შენ ვინა ხარ, რო გაჩენის დღე მაწყველინო, შენ კი არა სიკვდილიც ვერ შემანანებს გაჩენასაო; გაწყვევლინებო; აბა ერთიო... მაშინ გოგონები შემოიქრიალდნენ, სურათის გადაღება გვინდაო, ხალისი შემოიტანეს, სიცოცხლე შემოიტანეს, ატიტინდნენ, აკისკისდნენ, ასე ვადაგვიდეთ, არა ასეო. ლანძღვა-გინება შეაწყვეტინეს, ბღვერა ვერა, ენაზე მომდგარი სიტყვაც წამოვარდნასა ლამობდა, — რამ მოვიყვანათ, ან ჰა, დროზე გაგვეცალონო. მაგრამ არ გაეცალონ დროზე, ხან ასე დადგნენ, ხან ისე, ხან ასე გადაიღეს, ხან ისე, ხან ერთადა, ხან ცალ-ცალკე, ხან წყვილ-წყვილადა. უფროსი დასტრიალებდათ თავსა, ასწორებდა, იღებდა, ხოლო ლენტო ამასო-

ოთარ ჩხიძე
ალბარო-დალბარო



ბაში გონს მოეგო, მიხვდა, უაზრო იყო ეს აყალმაყალი, რას მიიღებდა, რას მოიპოვებდა, — დიდი-დიდი ვაეცეცხლებინა უფროსი; კიდევაც ვაეცეცხლა, მაგრამ ვითომ რაო, რა ვასახარელი იყო ვისიმე გაბრაზება, ბავშვი ხომ არ იყო, ასე პატარა სულისა ხომ არ იყო? სხვა-გვარად უნდა მორეოდა, მოეტყუებინა, ეზარალებინა, შეეცდინა, მაცთური შეეცდინა!.. ეს იყო, რაც იყო, თორემ მუშტი რა არის; ახალგაზრდა იყო, გინება რა არის, მეტი რა გავგონა!... თილისმურიც ბევრი გავგონა, ეშმაკურიც ბევრი ენახა, მაგრამ რომ არ უხერხდებოდა?! რაღაც უნდა ეღონა, უნდა, უნდა... გაჩუმებულიყო, დალოდებოდა, ჯავრი გადაეყლაპა? — დაუჩაგრაველა სიამაყესა. ასე ხელდახელ არც არაფერი უხერხდებოდა, მხოლოდ მკლავები დამძიმებოდა, მაჯები უფეთქავდა, ცეცხლი ეკიდა ხელისგულეზზე; ერთ რამედ უღირდა, რომ მიეხებგვა, მიემყავებინა, მიეგლო. არ ივარგებსო, არ ივარგებსო... ცემა სად წაგვია, ჯერ სხვა რამე სცადე, ვთქვამ, ჯერ ეგ ათი ზოტბა შეაჩეჩე როგორმე, მაგითი დაიწყე, მერე სხვა გამოჩნდება, სხვა იქნება, ეგება ცალკეც გახვიდეთ. ჰა?! ეგება ცალკეც გახვიდეთ... ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველაფერსაო, უჯარში ჩაავლო ათივე ზოტბა, სულ გადასავდებად მაინც ვერ გაიმეტა. უფროსს ათი მცნება ვადაეგლო, იმას ათი ლექსიც ვერ გაემეტებინა.

ჰო, ლექსები უჯარში ჩაჰყარა და კარი გაიგლო ჯახუნითა.

დიდად ჩამტკბარნი ხომ მანამდისაც არა ყოფილან, იმის შემდეგ ნულარ იკითხავთ... თუმცა ორივენი ფრთხილობდნენ, თვალში არ ეჩხირებოდნენ ერთმანეთსა. გამგე დაჰყრიდა რენდგენოვარამებსა, რიცხვს დააწერდა, ლენტო შეასრულებდა, გაიტანდა, დაახრავებდა გამგის მაგიდაზე, მერე აჰყვებოდა მთაწმინდის კალთებსა, ტრამვაის აჰყვებოდა ან ფეხდაფეხ ავიდოდა. იქ კარგი იყო, დაბლა ცხელოდა, იწვოდა თბილისი, აღარა კმაროდა კოჯრის ნია-

ვი; ოდესღაც კმაროდა, გრიგოლ თბილისის განუგრილებდა გულსა და შუბლსა. მთაწმინდის ნიავსაც ვეღარ ეძალავა, ანთებულ სახურავებზე დასწვოდა ფრთები და ახლად აქოჩრილ ტყეში შემალულიყო დამწვარი ფრთების მოსაშუშებლად. კარგი იყო ის ტყე, ტყის ბილიკები, ბილიკები ქართული პარნასისა. იქ უვლიათ და უოცენებიან დიდ პოეტებსა. პატარებიც ადინჩადიან, გარინდლებიან და ოცნებობენ. მაღლი არა აქვს მათს ოცნებასა, არც მირონი აქვს, არა კურთხეულა, მაინც გარინდლებიან და ოცნებობენ. ლენტოც შეხვედრია იმ გარინდებულთა, მეოცნებეთა; ოცნება მაინც არ გადასდებია, ფრთებმოტრუსულ ნიავს მიჰყოლია, სულ ზევით, სივრილეებში არც ასულა, რესტორანში შემწყვერეულა; უღვინოდ უვახშმია, თუ არავის გადაჰყრია, გამომთვრალა, თუ ვინმეს გადაჰყრია და ჩაქანებულა შეხუთულ ქალაქში ან გულმოსული, ან გულგამოკეთებული, უფრო ხშირად გულგამოკეთებული, რადგან ხვდებოდა სხვათა და სხვათა, ამყოლთა, გამყოლთა...

ფარნაოზი არაფერს მოაგონებდა. ის ბედმოცარული ლექსები ხომ თვითონაც არ ახსოვდა, ვითომც დაუწერია, ვითომც არა, იმას არ ახსოვდა, მაგრამ ლენტოს გულზე აწვა და რომ უფრო არ დამძიმებოდა, გაუბრბოდა ფარნაოზსა. მერე მთაწმინდის ბილიკებზე შეეჩხენენ ერთმანეთსა, მოულოდნელად შეეჩხენენ და ვაჰკვირდნენ, დაიბნენ, — ფარნაოზიც ფიქრთ ვასართველად თუ ასულიყო. ოღონდ დაბნევა წუთისა იყო. ამის შემდეგ ნაძალადევის მთაზეც მიბინარდებოდნენ ხოლმე. იქაც მოტრუსულიყო ნიავი, ძლივს ივრილებდა თავსა, მაინცა შეელოდა, სულს მოათქმევენებდა, სათქმელს მიუგდებდა, არცთუ დიდად საფიქრალსა, არცთუ მძიმე გადასაწყვეტსა, — ამ სიცხეს ლუდი მოუხდებოდა, ლენტო ამტკიცებდა; სიცხეშიც ღვინო სჯობს, სიცხეშიცაო, ფარნაოზი ასაბუთებდა. მერე სცდიდნენ ერთსაცა, მეორესაცა, ღვინოს უფრო

სკლიდნენ, რადგან მეზობლად კონდუქტორი ცხოვრობდა და ჩამოჰქონდა ხან საიდანა, ხან საიდანა; სკლიდნენ, ადარებდნენ, ერთიმეორეს ამჯობინებდნენ, ვიდრე არ მიხვდნენ, მჯობნის მჯობი ის გამოდიოდა, რომლისთვისაც ნაკლებად დაესხათ წყალი. მაინც ერთობოდნენ, მაინც ეთიშებოდნენ სიტყესა და ცხოვრებასა. იყო სხვა გასართობიცა, ისიც კონდუქტორისა იყო, კონდუქტორის ქალიშვილი იყო, თუმცა ფარნაოზი წყრებოდა:

„დაეხსენი!..“

„ვითომ რაღაო, შენი საცოლე ხომ არ არის?!“

„არა, მაგრამ...“

„საყვარელი?!“

„არა, რას ამბობ?! მაგრამ...“

„რა მაგრამ?! რის მაგრამ?!“

„ქალიშვილთან ხუმრობა არ შეიძლება. დარბაისლურად უნდა მოექცე...“

„სალოცავი ხომ არ არის?!“

„სალოცავია...“

„ჰქვი...“

„აბა!.. მოწიწების ზღვარს არ უნდა გადასცდე.“

„ერთ კაცზე ათი ქალი მოდისო; ბევრიც რომ ეცადო, ერთი-ორს შეირთავ და გასცილდები, დიდი-დიდი სამს უწიო, სხვებმა რაღა ჰქნან, ვიღა მიეფერება სხვებსა?!“

„ეგ ბულდოგური არითმეტიკაა?“

„როგორიც უნდა იყოს...“

„მართალიც რომ იყოს, მით უფრო მეტი მოკრძალება გამართებს იმ უცალოდ დარჩენილთაღმი.“

„მით უფრო მეტი მიფერება მმართებს... მოკრძალებას რა თავში იხლის, თუ გულს აღერის მონატრებია.“

„განა ყველასი?!“

„ვისაც აირჩევს...“

„დაეხსენ აირჩიოს, ნუ ეტმანები.“

„უნდა დავეხმარო, გავუადვილო, გავაბედინო; მაშ როგორა, ისე როგორ მიხვდება, რომ მე ვუნდივარ?!“

„ეგებ არ უნდიხარ?!“

„ვინ იცის, ვნახოთ...“

„დაეხსენი!..“

„ვინ იცის... ვნახოთ...“

და კონცერტის ბილეთები მიუტანა ფარნაოზის ჩუმიად. შორს დაიჭირა, არა მცალკან, ვმეცადინეობ, ინსტიტუტში უნდა მოვეწყოო. ლენტოც არ მოეშვა, კიდევ მოუტანა ბილეთები კონცერტისა, ფეხბურთისა, კინოსი, მთაწმინდაზე გასეირნებაც შესთავაზა; ზღვაზეცა, სულ ფარნაოზის ჩუმიად, ვითომც აქ არაფერიო, ვითომც მითხარი და გაგიგონეო. მაგრამ რა გამოვიდა, არაფერი იყაბულა, უფრო და უფრო შორს დაიჭირა იმ ლოყებწითელმა გოგონამა. მაშინ ლენტომაც ბეჯითად უთხრა ფარნაოზსა, შენი სიტყვა ჩემთვის კანონიაო. კანონი რა სათქმელია, ოღონდ უნდა გაეუგონოთ ერთმანეთსაო. არა, კანონიაო. ეგრე იყოს, შენ სიტყვასაც კანონად გავიხდიო. არა, ჩემი სიტყვა კანონად არ ივარგებსო, არც ჩემი ივარგებსო. ივარგებსო, ხომ ჰხვდავ როგორ ივარგა, მითხარი და დაგიჭერეო. ამასობაში გოგონამაც დაიჩვილა, ოჰ, როგორ დავიღალე, როგორ დავიხუთე, კარგი იქნება მუხლის გაშლაო. უნდა იმეცადინო, იშრომო, შრომაა სიცოცხლეცა და სიხარულიცაო, დაარიგა ლენტომა. ვიცი, ოღონდ დასვენებაც საჭიროაო. ეს მერე, როცა ყველაფერს მორჩება ადამიანიაო. როდის მორჩება?! არ გაგიგონია, დედაბერმა თქვა, იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მოკვდევო. საწყალი დედაბერი, ალბათ ინსტიტუტში ეწყობოდაო. ჰა, ჰა, ჰა... რანაირი ხართო. ეს ისე, ფარნაოზის ჩუმიად, ბილეთებიც მიუტანა, კიდევ წაიყვანა, ფარნაოზის ჩუმიად. ხილთან დახვდებოდა, იქ სხვანიც ბევრი უტკიდნენ სხვათა, ძველთაძველი საბავშვო ყოფილა; ჰო, დახვდებოდა, მიაცილებდა, მოაცილებდა, ართობდა, ერთობოდა, ეფერებოდა, იშინაურებდა, იურგებდა. და ერთხელაც, გვიან, ნაძალადევის მთა რომ გარინდულიყო, მთლად ნაძალადევი რომ გარინდულიყო, ძილს მისცემოდა, იმ

ოთარ ჩხიმიძე
ალმათ-ალმათი



დიდ კიბეს რომ მიატანეს, მთის კიბესა, ქვის კიბესა, შეჩერდა ლენტო, ვითარცა შეკრული გრძობითა:

„უნდა შევიტოო...“

„არა?!“

„უნდა შევიტოო...“

„კარგი ერთი და...“

„უნდა შევიტოო, ახლავე ქორწილის დღესაც დავდებ, აი, აქ, ამ პირველ საფეხურთან შემოგფიცავ და ბოლო საფეხურზე დავაგვირგვინებ ქორწილითა. ვჭეროდეს, რომ სიტყვა სიტყვა და მე სიტყვის კაცი ვარ...“

„ჰა, ჰა, ჰა...“

„გამიგონე და დაისწავლე, აქ, პირველ საფეხურზე გაკოცებ პირველად, პირველი იქნება და ერთხელ გაკოცებ. მერე ავეყვებით ამ საფეხურებსა და იმდენჯერ გაკოცებ, მერამდენხუც შევდვამთ ფეხსა, იმდენჯერა და იმდენით იმდენჯერა, რომ უფრო დავბეჭდო ჩემი ფიცი, უფრო მერწმუნო... ნუ დაჰჭრი თავსა, შემომხედე, შემომხედე სადასტუროდა, აღმავსე ძალითა და რომ შევდგებით ბოლო საფეხურზედა, თავში რომ ავალთ, კოცნით რომ ავალთ, შეგირთავ მაშინვე, იმავე წუთსა, არც ცოტა ადრე, არც ცოტა გვიანა. ვფიცავ ცასა და დედამიწასა, ჩემი თავიც ზედვე დამიღია სართადა, განა გსმენიალა უფრო დიდი ფიცი?!“

„რანაირი ხარ...“

„აი რანაირი...“

და გადაეხვია, გადაჰკოცნა, ერთხელა, მხოლოდ ერთხელა, სიტყვა სიტყვა იყო, ფიცი ფიცი იყო, პირველ საფეხურზე იდგნენ, მეორეზე... მესამეზე... და იმ ღამეს მეტიც აღარ უნდოდათ. ღამეები სხვაც იყო, საფეხურები ზომ იყო და იყო, მთელ მთას ასდევდა, ქუჩები, ჩიხები გადაეხა ერთიმეორეზე, უხვევდა, იხლავნებოდა, გაიგანებდა, ვიწროვდებოდა, სულ ვიწრო საფეხური, თავის საფეხური, მეხუთასე მაინც იქნებოდა, — მრგვალად რომ ითქვას, — ჰოდა, ნეტავი როდის აღესრულებოდა ფიცი ლენტოსი, რომელ საუკუნეში, ნეტავი რომელ თაობას მოუხერხდებო-

და გაენადდებინა სიტყვა წინაპრისა, დიდი წინაპრისა, რადგან მანამდის ვის დაედო ასეთი ფიცი?... კარგი გასართობი გამოდიოდა, არა?! თუმცა, ვინ იცის, ვისთვის რა გამოდიოდა?! ლენტოსთვის მაინც გასართობი იყო იმ ცხელ ღამეებში, იმ ჯაფრიან გულზე.

და მიდიოდა ცხელი ღამეები, ცხელი ღამეები ცხელი ზაფხულისა, თბილისის ზაფხულისა. და ნატობდნენ ორბისის ქალებსა, ორბისის ღელეებსა. და ფარნაოზი იმუქრებოდა, მალე გავემართებით შხარასკენა, მალე მოვანატრებ ამ სიტყვასო. და ჯაფრი ყუჩდებოდა, ყუჩდებოდა...

ყუჩდებოდა თუ გუბდებოდა?

თუნდაც დაგუბებულყოფ, დრო გავიდოდა, დრო წაიღებდა, დრო განკურნავდა. და, ვინ იცის, საკმაო დროც გავიდა, ან უღვარძლო იყო გული ლენტოსი და დიდი ხანი არცა სჭირდებოდა. ჰო, რაც იყო, იყო, თუ როგორც იყო, ერთ მშვენიერ საღამოს ყველაფერი გადააიწყდა, ჯაფრი მოეწმინდა მაშინვე, უმაღვე, როგორც კი წარბგახსნილი, სახეგამოლილი დახვდა უფროსი; ნამდვილად უღვარძლო გულის ბრალი იქნებოდა, ნამდვილად და ჭეშმარიტად, თორემ იმდენი რა ხანი გამოხდებოდა, როცა მეათე საფეხურამდისაც ვერ მივლწიათ?! თუმცა იტყვიოთ, გააჩნია, როგორა ცდილობენო?! მაგრამ განა საკითხავია, განა თქმა უნდა, რომ ძალზე ეცდებოდნენ?!

ერთი სიტყვით, ჯერ კარგახანიც არ გასულიყო, ჯერ ისევ გულის სიტყვ რომ იდგა ქალაქში, გვიან, ღამიან გაჩაღებული დახვდა თავისი სენაკიცა, შესასვლელიცა, წინა დარბაზიცა, სამუშაო ოთახებიცა, გაჩაღებული და კარფანჯრებდაღებული. მანამდე მხოლოდ სიბნელე ხვდებოდა, მაშინ — შუქი შეეფრქვა, სინათლე შეეფეთა, შუქიანი თვალთ შეეგება უფროსიცა.

— მაღლობა ღმერთისა, ძლივს არ გიხილე! — შესძახა უფროსმა და ისე გაშალა მკლავები, თითქოს გულში უნდა ჩაიკრასო.

— მოგენატრე განა?!

— არა თუ?! მიჩვევა და მონატრება საქონელმაც იცის, ჩვენ ხომ კაცნი ვართ!..

— უნდა ვიყვნეთ...
 — ვართ!
 — ჰმ!
 — ისევ შენსაზე დგებარ...
 — ისევა...
 — ისევ შენსას გაიძახი...
 — შენც შენსას გაიძახი, სხვა თავი-სასა, ყველა თავისასა...
 — ერთმანეთისას არავინ იტყვის?!
 — თანხმობა ისე როგორ იქნება?! ყველა თავისას იტყვის, ვილაცებს ერთ-ნაირი გამოუვათ, თანხმობაც ამან იცის, ძმობაცა და მეგობრობაცა.
 — აი ჯან, მეც მანდა ვარ.
 — ჩემი არ მოგწონს, ჩემთან არა ხარ...
 — რა თომარია?! მეც მომწონს და შენცა, ასე ვთქვათ რაღა!.. საქონელი საქონელს მიჩვევა, ჩვენ ხომ კაცნი ვართ-მეთქი...
 — კაცნი უნდა ვიყვეთ-მეთქი...
 — ვართ, ვართ! კაცნიცა ვართ, ძმებიცა ვართ, მეგობრებიცა! არა ვართ განა?! განა არ გვესმის ერთმანეთისა?! ისე გვესმის, დაჩურობა არც კი გვინდა, თვალს ჩაუტყრავთ და მორჩა, არის!.. თორიოდე დღეა თვალი ვეღარ დაგვარი და ისე მომენატრე, მოსვენება დაგვარებე, უფრო მეტი ძმობა გავგონილადა?!
 სულ სხვა ჰანგები იყო, არა ჰგავდა ამასწინანდელსა, არც ძველ ჰანგებსა; სახეც სხვა იყო, არა ჰგავდა ბულდოგისასა; თუმცა არა, ჰგავდა, მაინცა ჰგავდა, მაგრამ იმდენი ნაერწყალი უცხოვროდა თვალთაგანა, ისეთი ნაბერწყალი უცხოვროდა, უფარავდა ჩახრილ, ჩაუთხულ ტუჩთა ბოლოებსა, ხორცში ჩაფლულ, ჩაენგულ ნიკაპსაცა; ჰფარავდა და სხვა იერს აძლევდა, სულ სხვა იერსა. ტკბილი სიტყვა მალამოდ ედებოდა ლენტოს ალალ გულსა, ეჭვი ეთაკილებოდა ალალ გულსა. მოერეოდა, დაიურვებდა.
 — მაგაზე კაცური რაღა იქნება...
 — არც არაფერი. ცოტა წალაპარაკე-

ბა ყველას მოუვა, კაცნი ვართ, ვინ იტყვიან რა გუნებაზე ვიყვნეთ. მაგრამ განა ჯავრად უნდა ჩავიყოლოთ?! ერიპა! მაშინ რაღა დაერქმევა ძმობასა და მეგობრობასა?! ჩემი გული სარკესავითაა...
 — სარკესავითა... — უნებლიეთ გამეორა ლენტომა, ზრახვა რაიმე არ მოუდევნებია.
 — სარკესავითა მაშა! ჩაჰხედე, ჩაჰხედე! ძმობაც ეს არის და მეგობრობაცა...
 — სარკესავითა...
 — სარკესავითა-მეთქი... ჩაჰხედე ჰა, იმდღევანდელი წალაპარაკებისა თუ რაიმე ჩარჩენილა! არაფერი, მისხლისოდენაც არაფერი! შენს გულშიაც არაფერი მეგულება, არაფერი ბეწვისოდენაცა. ძმობაც ეს არის და მეგობრობაცა! — უცებ უჭრა გამოსწია, „ენისელი“ ამოაძვრინა, — ძმობაც ეს არის და მეგობრობაცა, ჰა, არა?! — როგორ მოგწონს? ახლოს მოიწი. — ჰიქები წამოსწია, ბროლის ჰიქები, ყელ-ყელა ჰიქები, შინიდან თუ გამოეტანა, წამოსწია და აავსო, ფერი ალიცილიცა, დაეფინა ლამაზ სურათსა, ქალიშვილის სურათსა. შუშა გამოეცვალათ, როდილა იფშხალეზოდა ასულის სურათი, მიმზიდველად იმზირებოდა, მიმზიდველად, გამომწვევად, თითქოს ირხებოდა, ქანაობდა, მიიწვევდა, იხევდა, წამოვარდებოდა და მიჰქრებოდა. და ლიცილიცებდა „ენისელი“, ბროლში ლიცილიცებდა ბლდვრიალა ნათურის ქვეშა. — მოიწი-მეთქი! ევრე! ჩვენი ძმობის გახარებისა იყოს, ჩვენი მეგობრობის ლოცვა-კურთხევისა იყოს!..
 — იყოს...
 უფროსმა გადაჰკრა. ლენტომ მხოლოდ ხელი წაატანა ჰიქასა, ვერ აედო, ლიცილიცი აკლდებოდა ასულის თვალებსა.
 — დალიე!
 — ეგ აავსე...
 — მე ხომ დავლიე?!
 — აავსე!

მთარ ჩხიმი
 აღმართ-დაღმართი

— აჰა!.. — აავსო თავისი, — მე დაველიე, აი...

— ჰო... — უცბად გადაჰკრა ლენტომა, ჰიჰა დადგა, — აავსე!

და ისევ ალიცილიდა „ენისელი“ ორივე ჰიჰაში, აბიზინდა თვალეზი ასულისა, თვალეზი, ტუჩეზი, აღუღუნდა, აღუღუნდა.

— ეს ერთი...

— აღარ დაველიე.

— აკი გიყვარს?! შენი ოთახიდან სულ ამისი ბოთლეზი გამაჰქვთ.

— განა სიყვარულით არის...

— აბა რითა?! — რა ვიცი რითა! რიდაციითა...

— სიყვარულიც ეგ არის. სიძულვილი ხომ არ იქნება?! — არც სიყვარული, არც სიძულვილი, რაღაც სხვა იქნება.

— ეგ სხვა აღარ ვიცი, ამ ორის გარდა არაფერი ვიცი, არც მინდა ვიცოდე. ეს ორიც მემძიძება, ეს ორიც მეტია. ერთი უნდა იყოს, ერთადერთი, განა არა?! მარტო სიყვარული რომ იყოს, განა უკეთესი არ იქნება?! მარტო ძმობა და მეგობრობა რომ იყოს, ვილა დასძრახავს ცხოვრებასა?! ჩვენი ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელო იყოს!

— აკი დაველიეთ...

— კიდევ დაველიეთ, განა მოგვეპარბდება?! — რად მოგვეპარბდება...

ასწიეს, დაცალეს. ავსება დაახანა უფროსმა. ლენტომ ვერ მოითმინა, ბოთლი აიტაცა, ჩაუშვა, ჩააჩქაფუნა... აღელდა ასული, ასული აელვარდა.

— იქცევა...

— ჰა?! — იქცევა-მეთქი, სისხლის დაქცევა სჯობიან...

— აკი მხოლოდ სიყვარული იყოსო?! — რახან არ არის! წამწყმიდა წუთისოფელმაო...

— ჰმ!.. ძმობასა და მეგობრობას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს და გაუმარჯოს... ისევ ვერ დაახანა ლენტომა, ისევ წამოაჩქაფუნა. ასული ბრიალებდა, ასული ენთო, სხივოდა უფროსის ასული.

— სილამაზეც კარგია...


— ძმობა და მეგობრობა თუ არ ახლავს, ისე ფასი არაფერსა ჰქონია. მე ასე მიითქვამს, სხვამ თავისი იცოდეს. მაგრამ სასალოვკაც დიდი რამე ყოფილა, შეიძლება ძმობაში და მეგობრობაშიც ვერ გამოხვიდე, დიდი რამე ყოფილა, დიდი რამე ყოფილა... განა არა?! აბა! განა იმ დღეს „ზესტაფონოს“ არ ავიღებდი, განა ისე გავჯანჯლდებოდი, სასალოვკა რომ არა მქონოდა?! აბა! მე და ჯანჯლობა?! ვაჰ, ვაჰ, სიბერემდის სიქაჩლე გეწვევაო, ამაზე იტყვიან!

— „ზესტაფონოს“ აიღებ? — ვაჰ, ავიღებ რომელია! — ხუთასადა? — რამდენსაც იტყვი... — ხუთასადა-მეთქი! — მოვიდა! — დანარჩენსა? ათი ქალაქის სიმღერა მაქვს... — იყოს... — ხუთას-ხუთასადა! — როგორც იტყვი, როგორცა ბრძანებ, შენი ხმალი, ჩემი კისერი. — ნახევარს ახლავე გადაიხიდი, ნახევარს მერე. — შენი ხმალი, ჩემი კისერი-მეთქი, მეტი რაღა ვთქვა...

„მაბამ?!“ ენაზე მოაწყდა ლენტოსა, მაგრამ მაშინვე გადაიგდო. სიამაყემა სძლია, მაგრად დავუდქეი და მოვტეხეო, ასე გაივლო გულში; მკერდი ასწია, ჩაახველა ამაყურადა, ეგრე ვიცი, სხვადასხვეზი არ გეგონოო!.. და ეს იმასა ნიშნავდა, ამოდ ჩაიარა ამდენმა ჩინმა, ძმობა და მეგობრობა არ დაუჯერა, მაინც ნებას დაჰყვა, რისხ დაუწია სიამაყითა, სიალლითა. მართლა სამშობლო და სამეგობრო გული ჰქონდა ლენტოსა...

გაგრძელება იქნება





ნახტომი

ამოთხრობა

ოქტომბრის თბილი, ნესტიანი საღამო იდგა. ელიზბარ ჯანდიერის სახლის ფანჯრები ფართოდ გაეღოთ. მოისმოდა მუსიკისა და სიცილის ხმა. უზარმაზარ სასტუმრო ოთახში ტევა აღარ იყო. მამაკაცები ნარდს თამაშობდნენ, ქალები ჭგუფ-ჭგუფად შეკრებილიყვნენ და საიდუმლო იერით ებაასებოდნენ ერთმანეთს. სასაადილო ოთახში ორ რიგად იშლებოდა სუფრა.

— მოგვილოცავს, ბატონო ელიზბარ, — თავაზიანად ესალმებოდნენ მასპინძელს ახლად შემოსული სტუმრები.

— მობრძანდით, გთხოვთ...

ელიზბარ ჯანდიერი უზარმაზარ ტყავის სავარძელთან იდგა და მალულად თვალს აყოლებდა თავის მეუღლეს. ქალბატონი ღიზა დროდადრო გამოჩნდებოდა დარბაზში, რათა სტუმრებს ყურადღება არ დაჰკლებოდათ.

— რომ იცოდეთ, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე თქვენმა გუშინდელმა გამოსვლამ.

პირდაპირ ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს... უეჭველად, უეჭველად ასეა! — უთხრა ელიზბარს ერთმა სტუმართაგანმა, ჩასუქებულმა ლოყებლაყლაყა კაცმა; წელში უცნაურად მოიხარა, თითქოს ცეკვის რომელიღაც ილეულის გაცეტებას აპირებდსო, და სახეზე მლიქვნელური ღიმილი გადაეკრა.

— რას ბრძანებთ, გადაქარბებული ქათინაურია.

— სრულიადაც არა, ბატონო ელიზბარ, ბრწყინვალედ გამოხვედით. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ შეეხეთ ყველა ძირითად პრობლემას, რომელიც დღევანდელ საზოგადოებას აწუხებს.

— გმადლობთ.

ელიზბარი ისევ თავის მეუღლეს უცქეროდა. უცნაური სურვილი გასჩენოდა: ცდილობდა კარგად შეეთვალა იერებინა ის ქალი, ვინც წლების მანძილზე ყველაზე ახლობელი აღამიანი იყომისთვის, მაგრამ ახლა, რატომღაც უცხოს თვალით უთვალთვალებდა.



ელიზბარმა ჯიბიდან სიგარეტი ამო-
იღო და მოუკიდა.

- კიდევ ეწევით?
- ჯერჯერობით, ვერ დავანებე.
- თამბაქო კიბოს აჩენსო!
- ვინ იცის...
- სიფრთხილეს თავი არ სტკივა.
- რა თქმა უნდა!

... ფეხები კოხტა, მალალი და ჯივია-
ნი, აქ წუნს ვერაფერში დასდებ. კისე-
რიც ნაოქებს ჯერ არ დაუღარავს. სახე
და თვალები უწინდებურად მომხიბე-
ლებო...

- ჩემს ამბავს მოგიყვებით.
- დიახ.
- ერთ დღეს ფეხი ამტკივდა. ექიმ-
თან მივედი. მითხრა, ნიკოტინის ბრა-
ლიაო. მართლაც და, ბოლო დროს,
სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობი-
სას, ძალიან ბევრს ვეწვოდი. შინ რომ
დავბრუნდი, ვიფიქრე: ნუთუ კაცმა თამ-
ბაქოს თავი უნდა გააფუჭებინოს-მეთქი,
და ვადავწყვიტე სიგარეტისთვის ხელი
აღარ მეხლო.

- ნებისყოფის საქმეა.
- უბრალოდ, ავიღე და რაც სახლში
სიგარეტი მქონდა, ქუჩაში გადავყარე.
ახლა, ბოლიც კი მეჭარება.

... უწინდებურად?
ლიზამ გვერდზე ჩაუარა ელიზბარს,
მისი დაქინებული მხერა იგრძნო და
სათნოდ გაუღიმა.

ელიზბარმა შენიშნა, რომ მის სხეულს
ოდნავ შეპარვოდა სიმსუქნე. მეუღლის
ღმიღში ერთგვარი კმაყოფილებაც
ამოიკითხა და ამან კიდევ უფრო გააღი-
ზიანა. ლამაზად აკეცილი წაბლისფერი
თმა, როგორც ყოველთვის, ძალიან შვე-
ნოდა მუქ ლურჯ თვალებს, მავრამ ათი-
ოდე წლის წინათ მაინც ვერაგინ იფიქ-
რებდა, რომ ლიზა ოდესმე ასეთი იქნე-
ბოდა. როცა ელიზბარმა ის პირველად
ნახა, გაოცებულმა, თვალი ვერ მოაცი-
ლა: არაჩვეულებრივი მორიდება და
სინაზე იხატებოდა ყოველ მის მოძრა-
ობაში. ახლა კი ის მორიდება და სინა-
ზე კმაყოფილებასა და თვითდაჯერებას
შეეცვალა. ლიზა ამყავდ, ოდნავ ქედ-
მალღულრად გაემართებოდა ხოლმე რო-

მელიმე სტუმრისკენ, თითქოს ამბობო-
და: მე ელიზბარ ჯანდიერის ცოლი ვახ-
ლავარო!

ელიზბარი სავარძელში ჩაჯდა და
თვალები მილულა. მთელი დღის სამ-
ზადისმა საქმოდ დაღალა. იგი დაღალა
იმ უცნაურმა განწყობილებამაც, წინა
ღამიდან რომ გამოჰყუა. დიდი ხანი იყო,
თავში არ მოსვლოდა იმგვარი ფიქრები,
რომელთაც გუშინ, ლოგინში, ბრმად
მისცემოდა. თვალწინ წარმოუდგა ვან-
ვლილი წლები და ყველაფერი ისე უმ-
ნიშვნელოდ მოეჩვენა, ყველაფერი ისეთ
მცირე, წვრილმან სურვილებთან იყო
დაკავშირებული, რომ გულისშემბო-
ქავი უკმაყოფილება იგრძნო. ერთი
შეხედვით, თავისუფლად შეეძლო ეთქ-
ვა, რომ მთელი მისი ცხოვრება ერთმა-
ნეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და
ერთიმეორისსაგან გამომდინარე წარ-
მატებებისგან შედგებოდა. ოღონდ,
თითქმის არასდროს არც ერთ წარმატე-
ბას რაიმე დიდი სიხარული არ მიუნი-
ჭებია. იქნებ იმიტომ, რომ თითოე-
ული მათგანი წინასწარ ზუსტად ჰქონ-
და გამოანგარიშებული და გარეგნუ-
ლად გამბედავ ნაბიჯებს სათუთი სიფრ-
თხილით გამზადებულ საფუძველზე
აღვამდა. ყოველი წელი მისთვის წარ-
მოადგენდა სამზადისს, სამზადისს იმ
მიზნებისა და მისწრაფებების განსახორ-
ციელებლად, რომლებზეც ოდესღაც
ოცნებობდა. იგი მუდამ დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ ოცნებათა ასრულებას
გარკვეული საფუძველი სჭირდება და
ეშინოდა ხელი პირდაპირ გაეწვდინა
პაერში გამოკიდებულ უსხეულო ფან-
ტომისკენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ
გადაულახავი ზღუდის არსებობისა, რო-
მელიც მის სურვილებსა და პრაქტიკულ
ქმედებებს შორის იმართებოდა. თვით
მიზნები? ისინი უწინდებურად მიუწვე-
დომელნი ჩანდნენ, თითქოს თანდათან
შორდებოდნენ კიდევ. მათ მისაღწევად
უწინდებურად საჭირო იყო უზარმაზარ
ნახტომის გაკეთება, რომლის დრო-
საც ელიზბარს თვალები უნდა დაეხუჭა
და ყველაფერი დაევიწყებინა ამ ქვეყ-
ანაზე. მავრამ ამის შესრულება ისევე



ძნელი იყო, როგორც თავდაპირველად, და მთელ იმ სამზადისს მნიშვნელობა ეკარგებოდა. მეტიც, წლების მანძილზე უფრო უჭირდა ჰაერში აზიდულიყო და შევებით ამოესუნთქა. მან ისიც იგრძნო, რომ ღროსთან ერთად დღითიდღე აკლდებოდა რაღაც ნამდვილი და აუცილებელი, ურომლისოდაც საგნებს მნიშვნელობა ეკარგებოდათ და მთელი ცხოვრება საშინლად მოსაწყენი, მოსაბეზრებელი ხდებოდა.

როდესაც თავს მოულოდნელად დაათენდა, ელიზბარმა უხერხულად გაიღიმა, — თითქოს რაიმე დანაშაული ჩაედინოს, — და დილის შუქზე კიდევ ერთხელ სცადა მოეგონებინა რაიმე სასიამოვნო და იმედისმომგვრელი, მაგრამ ისევ უღიმღამო ფიქრი ეუფლებოდა.

მთელს სახლში ყველას ეძინა მის გარდა, და ელიზბარი ცდილობდა ეფიქრა ვინმეზე, ან, თუნდაც რამეზე, რაც დაძაბავდა, ძალას შეჰმატებდა და სამოქმედოდ გაამზადებდა. და უცებ აღმოაჩინა, რომ აღარაფერი დარჩენოდა ასეთი. ამის შეგრძნებამ სულ მთლად მოაღულნა და მოსვენება დაუქარგა.

— აბა, მაჩვენეთ ჩემი ელიზბარი! აბა, სად არის?

— მობრძანდით, დეიდა პელაგია, მობრძანდით.

— აბა, აბა, სად?

— აქეთ მობრძანდით, სასტუმრო ოთახში გახლავთ.

ზღურბლზე ჯერ ელიზბარის მეუღლემ, ქალბატონი ლიზა გამოჩნდა. მას ხელი მკლავში გაეყარა სულ მთლად გაჭალარავებული, მოხუცი ქალისათვის, რომელსაც საყელოსა და სახელოებზე თეთრი მაქმანით შემოვლებული გრძელი შავი კბა ეცვა. მოხუცის სასიამოვნო, ოდნავ მედიდური გამომეტყველების მქონე სახე და ღრმად ჩავარდნილი თვალები წელთა სიმრავლეს გაეზუნებინა და უმეტყველო გაეხადა.

— აბა, სად არის ჩემი ელიზბარი? — კიდევ ერთხელ იკითხა მან, როდესაც სასტუმრო ოთახის შუაგულში დადგა და თავის ქანქალით შეათვალა შერეული სტუმრები.

„საწყალი დეიდა პელაგია, როგორ დაბერებულა“, ნაღვლიანად გაიფიქრა ელიზბარმა, სავარძლის სახელურს დაეყრდნო და წამოდგა.

— გამარჯობათ, ჩემო საყვარელო დეიდა, გამარჯობათ.

— ოო, ჩემო ელიზბარი! — დეიდა პელაგიამ ხელები მისკენ გაიწვდინა და ჯერ შუბლზე, მერე კი ლოყაზე აკოცა.

— ჩემო კარგო ბიჭო...

— რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ თქვენი მობრძანებით, დეიდა პელაგია. ღმერთმანი, ამდენი პატივის ღირსი არა ვარ.

— რას ამბობ, აბა, რას ამბობ! განა შემეძლო არ მოვსულიყავი და არ მომელოცა? ლიზიკოს რომ არ დაერეკნა, მაინც მოვიდოდი. განა არ მახსოვდა? მოიცა, მოიცა... რამდენი წლისა ვახდი?

— თუ მიხვდებით?

— მოიცა-მეთქი! იმ წელს, შენ რომ დაიბადე, ცხონებულმა გაბრიელ ვაჩნაძემ ხელი მიხოვა და კიდევ დამნიშნა. ეს თქვენმეტ წელს მოხდა. მაშ, ოროცდაათისა გამხდარხარ, ხომ ასეა? — დეიდა პელაგიამ მხიარული მხერით შეათვალა ელიზბარი და ორივე თვალი ჩაუბჯუნა, — მაგრამ ისევ ისეთი ხარ, ჩემო ბიჭო, სრულიადაც არ შეცვლილხარ. ვახსოვს, თბილისში პირველად რომ ჩამოგიყვანეს, სტუმრად პირდაპირ ჩვენსას მოხველ; ცხონებული ჩემი გაბრიელი რამდენს გეთამაშებოდა. ჰოდა, მე შენ ხის ცხენი გაჩუქე. შენ მითხარი: დიდი მადლობელი ვარ, დეიდა პელაგია, ისე მიხაროან, თითქოს ნამდვილი იყოსო. ჰე, ჰე, რა ზუმარა იყავი!

— დიდად არც თქვენ შეცვლილხართ, დეიდა პელაგია. უბრალოდ, წლები მოგემატათ, თორემ უწინდებურად მხე და მხიარული ბრძანდებით.

ელიზბარმა მოხუცი ქალი სავარძელთან მიიყვანა და მოწიწებით ჩასვა. დეიდა პელაგიას გარშემო ახლო ნათესავების წრე შეიკრა. ქალბატონმა ლიზამ

აბაიი მასამი ნახტომი

შეუმჩნევლად დასტოვა ისინი და და-
ნარჩენ სტუმრებს მიუბრუნდა. იმ სა-
ღამოს იგი არაჩვეულებრივად ლამაზი
იყო. მისი მოქნილი სხეული, ლურჯი
თვალეები, კოხტად დავარცხნილი თმა
და მდიდრული სამკაულები ხიბლავდა
სტუმრებს. ისინი მოწიწებით უგვებდ-
ნენ ყურს ყოველ მის სიტყვას. ღიზა კი
ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა
და თავის ალერსიან მზერას თანაბრად
უნაწილებდა ყველას.

— ელიზბარი ყოველთვის ჭკვიანი
ბიჭი იყო, — მჭახედ მოისმოდა დეიდა
პელაგიას ხმა, — მაგრამ უნდა გენახათ,
როგორ მოიწყინა, თბილისში პირველ-
ლად რომ ჩამოიყვანეს. ერთხელ თავის
ზღვისპირა ქალაქში გაპარვა გადა-
წყვიტა.

— ნუთუ ესეც გახსოვთ, დეიდა პე-
ლაგია! — ღმილით მიუფო ელიზბარმა.
უჩვეულოდ სიამოვნებდა ამ მოხუცი ქა-
ლის ყურება, ვისთანაც მთელი მისი ბავ-
შეობა იყო დაკავშირებული და, ვისი
თითოეული სიტყვაც ახსენებდა რაღაც
სათუთსა და მივიწყებულს.

— აბა, ამას რა დამავიწყებს! ღმერ-
თო ჩემო, რამდენი ვიცინეთ, როდესაც
ჩანთით ხელში სადგურისკენ ჩემად მი-
მავალი დაგინახეთ. რა თქმა უნდა, უცნა-
ურობაც ახასიათებდა ჩემს ელიზბარს.
ხშირად, მოიწყენდა, ჩაიკეტებოდა თავის
ოთახში და ხმას აღარავის ვაგვცემდა.
მაგრამ, რაც მთავარია, სწავლა უყვარ-
და. ეჭვს, ჩემი ელიზბარი ბევრს კითხუ-
ლობდა, ძალიან ბევრს. განსაკუთრებით
სტუდენტობის წლებში...

ახალგაზრდა მოსამსახურე გოგონა
მორიდებით მიუახლოვდა ქალბატონ
ღიზას და რაღაც ჩასჩურჩულა. ღიზამ
ელიზბარს გადახედა და ანიშნა, სუფ-
რა გაწყობილიაო.

— ბატონებო, დროა სასადილო ოთახ-
ში გადავინაცვლოთ. სუფრას მიუხს-
დეთ! — ხმამალა გამოაცხადა ელიზ-
ბარმა და სტუმრებს წინ წაუძღვია.

ძია პეტრე ძალიან ღელავდა. როგორც
ყველაზე ახლობელსა და უხუცეს მამა-
კაცს, ნათესაებმა მას დაავალეს პირვე-
ლი სიტყვის წარმოთქმა. სამოცდაათ

წელს გადაცილებული ძია პეტრე
დაგზა ხმას იწმენდა, წინდაწინ მოსა-
რებულ სიტყვებს იმეორებდა და ელიზ-
ბარის მიერ ოდესღაც ნაჩუქარ შინდის-
ფერ პალატუსს ისწორებდა. ბოლოს,
ყველამ თავისი ადგილი მონახა სუფ-
რასთან. ქალბატონმა ღიზამ სტუმრებს
წამით სიჩუმე სთხოვა:

— მეგობრებო, ჩვენს შორის უხუ-
ცესსა და უსაყვარლესს, ძია პეტრეს,
ვთხოვთ, გვითხრას პირველი სიტყვა
და სუფრაც დაგვილოცოს.

— ბრწყინვალე აზრია, ვთხოვთ, ბა-
ტონო პეტრე.

— ყველანი გისმენთ...

— ინებეთ! — ერთმა სტუმართაგანმა
პეტრეს ყანწი შეუვსო და გადააწოდა.

ძია პეტრე მორცხვად წამოიწია,
გასწორდა, თვალეებში სიხარულის ცრემ-
ლი აუთამაშდა, კიდევ ერთხელ ჩაიწმინ-
და ხმა და დაიწყო:

— ჩემო ელიზბარ, შეილო, დღევან-
დელი დღე ჩემთვის ბედნიერი დღეა...

ქალბატონმა ღიზამ მზერით შეაჩე-
რა მოსამსახურე გოგონა, რომელიც
ხორციანი ნამცხვრის ჩამოტარებას აპი-
რებდა. განაბული სტუმრები ოდნავ
ქედმაღლური და ღმობიერი ღმილით
მისჩერებოდნენ ძია პეტრეს. ელიზბარ
ჯანდიერმა უცებ შენიშნა, რომ თვითონ
ნაც სიამოვნებდა ამ მოხუცი კაცის ყუ-
რება და შერცხვა თავისივე გულუბრ-
ყვილობის. მერე სიამოვნების შეგრძნე-
ბა გაქრა და ახლა იგი გულგრილად
უსმენდა სადღეგრძელოს:

— ბატონებო! მოდით, თვალი გადა-
ვავლოთ ჩვენი ელიზბარის განვლილ ნა-
ბიჯებს, დაწყებული სკოლის მერხიდან
ღივი მეცნიერის საბატოო წოდებამდე.
რამდენი შრომა, რამდენი გულმოდგინ-
ება, რამდენი წვალება, შეიძლება
ითქვას, წამებაც კი და, სამაგიეროდ,
ღლითილდე ახალ-ახალი მწვერვალების
დაპყრობა.

ყოველი წინადადების დამთავრებისას
ელიზბარი ცდილობდა, წინასწარ მიმხე-
დარიყო მომდევნო წინადადების შინა-
არსს. ამ თამაშმა ერთხანს გაართო. მაგ-



რამ ძია პეტრე იმდენად გაიტაცა ენამკვევრობამ, რომ ელიზბარი დაიღალა.

დაიღალა ძია პეტრეც. ექსტაზი გაქრა და იგი უკვე ეძებდა ისეთ სიტყვებს, ნათქვამი რომ დაესრულებინა. ამგვარი სიტყვა, როგორც ჩანდა, წინასწარ არ ჰქონდა მოფიქრებული და ოდნავ შეყოვნდა.

სტუმრები სმენად იქცნენ.

— მე ასე ვიტყვოდი, ბატონებო, რომ ჩემი ელიზბარის მთელი ცხოვრების გზა ეს გახლდათ... — ხანმოკლე სიჩუმე ჩამოდგა. ელიზბარს ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი, ნალვლიანი ღიმილი გადაეკრა, ჩოლო ძია პეტრეს დაძაბულობისგან სახე მოეჭმუნა, — ეს გახლდათ... დიახ, ბატონებო, ეს გახლდათ, — შეცრად ისევ გაუწათდა თვალები, — ეს გახლდათ უდიდესი ნახტომი! მარადისობაში შეჭრა და მასთან შეერთება.

ძია პეტრემ ამყად მიმოიხედა და ყანწი ტუჩებთან მიიტანა.

— ვაჟა, ვაჟა ძია პეტრეს!

— იცოცხლე, ჩემო ელიზბარ, და მტერიც, აი, ასე დაგეცალოს! — ძია პეტრე ელიზბარს მიუახლოვდა და გადაკოცნა.



მრავალი სიტყვა და საგანი, რომელიც ოდესღაც დაკავშირებული იყო ამა თუ იმ მოვლენასთან, იქნენ ფსიქიკურ თავისებურებას, მისთვის დამახასიათებელ შინაგან შეფერილობას, რაღაც გარემომცველ ატმოსფეროს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა ან რომელიმე საგანი განკერძოებულ არაეხბად წარმოვდივება. ის შინაგანი თვისებები მას არ განეკუთვნება და სიტყვის ემოციური ატმოსფეროც იქმნება იმ ცხოვრებით, რომელმაც იგი წარმოშვა. სიტყვები, საგნები, მოვლენები სამუდამოდ არიან განმსჭვალულნი ადამიანთა ცხოვრებით. იმის მსგავსად, როგორადაც ჩვენ ზოგჯერ ვიხსენებთ მივიწყებულ საგანს ამ საგანთან დაკავშირებული სხვა საგნის დანახვისას, ზუსტად ასევე, ზოგიერთი სიტყვის გაგონებისას — სიტყვისა, რომელიც მისდაუნებურად აღნიშნავს ჩვენი ცხოვრების

რომელიმე მოვლენას, ჩვენს წინაშე გარდაიშლება ასტრალურ სამყაროში არქელილი ყოფიერება და ამასთან ერთად უწყვეტი სურათები წარსულისა.

ძია პეტრეს მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე, „ნახტომი“, ელიზბარ ჯანდიერს სახეზე უცნაური გამომეტყველება გადაეკრა — თითქოს მის გონებაში ერთიმეორის მიყოლებით იჭრებოდა რაღაც სხეულებრივი და მგრძნობიარე. უცხო თვალისთვის ეს ცვლილება შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ ქალბატონმა ლიზამ მაშინვე შენიშნა, რომ ქმარმა მოიწყინა და თავისი არსით სრულიად მოწყდა სუფრასთან გამეფებულ მზიარულებას. რამდენჯერმე კიდევ ჰკითხა, ცუდად ხომ არა ხარო, მაგრამ ელიზბარმა უარის ნიშნად გაუღიმა.

შუალამეს გადაცილებული იყო, როდესაც სტუმრები დაიშალნენ. ოთახები დაცარიელდა და გარშემო თითქოს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ლიზა და ელიზბარი გაუნძრევლად იდგნენ შემისასვლელში და ერთმანეთს უხმოდ მისჩერებოდნენ. მერე ელიზბარი შებრუნდა და საწოლი ოთახისკენ გასწია.

— თეკლა, ხვალამდე ყველაფერი ასე იყოს. შენც დაიღალე და სჯობს დავიძინოთ, — უთხრა ლიზამ მოსამსახურე გოგონას და ქმარს უკან მიჰყვა.

როცა საწოლი ოთახის კარი შეაღო, დაინახა, რომ ელიზბარი სავარძელში იჯდა და ჰალსტუხს იხსნიდა. მან უახროდ გაიარ-გამოიარა, ელიზბარს მიუახლოვდა და ფართო მხრებზე ხელები ჩამოადო. უცებ, თვითონაც არ იცოდა რატომ, მოვერება მოუწდა. მკერდზე თითები ჩაუტურა, დაიხარა, მაგრამ მაშინვე შედგა: ელიზბარის მხერვა საღდაც ფანჯრის მიღმა იკარგებოდა და იგი ვერც გრძნობდა ცოლის სიახლოვეს.

— დაიღალე? — ჰკითხა ლიზამ და თვალებში ჩააცქერდა.

— ჰო, ცოტათი.

— იქნებ ავად ხარ?

— არა, უბრალოდ, დავიღალე და თა-

აკაკი ვასაძე
ნახტომი

ვი მტკიავ, — უპასუხა ელიზბარმა, ლოყაზე ხელი ზერელედ წუთათუნა და ისევ სიბნელეში გაიხედა.

ლიზამ მეუღლის მხრებს ხელი მოაშორა, გასწორდა. — ელიზბარის გულგრილობამ ოდნავ გააღიზიანა. რატომ უნდა ჰქონოდა ასე ყველაფრისგან მოწყვეტილი მზერა? იქნებ, რამეზე წუხს? რაზე? ხელმეორედ დააცქერდა მადლიდან. მისი გრძელი, ჭერ კიდევ ღონიერი მკლავები სავარძლის სახელურზე მშვიდად ესვენა. მერე ლიზას გაახსენდა ის დღეები, ერთად მარტოკებს რომ გაუტარებიათ, ვნებიანი ალერსით აღვსილი ის დღეები, რომელთა არსებობა უდასტურებდა ცოლქმრულ სიყვარულს, — ყველა ის საღამო, რომელთა შესახებაც არავინ არაფერი იცოდა და არც არავის ეცოდინებოდა რაიმე... გაახსენდა და მოფერების სურვილი ხელახლა და მეტის სიძლიერით აღეძრა. ელიზბარი კი უწინდებურად გაუნძრევლად იჯდა. „არა, ასე არ მინდა! ასე სრულიადაც არ არის საჭირო...“ გულში ბრაზიანად გაიფიქრა ლიზამ, შუბლზე ჩამოვარდნილი თმა თავის აქნევით მოაშორა და ლოგინს მიაშურა.

— ნახტომი, ჰმ?! — ჩაიციანა ელიზბარმა და ცას ახედა.

— რაო, რა სთქვი?

— არაფერი, რაღაც მომამოხნდა.

ელიზბარი ცას უყურებდა და ეჩვენებოდა, რომ ცა იყო ისეთივე, როგორიც ზღვის პირას: მაღალი და ბრჭყვიალა ვარსკვლავებით მოჭედილი. ამ ფიქრთან ერთად მის გონებაში უამრავი მოგონება აიშალა. წამით თვალწინ ცხადად წარმოესახა პატარა პროვინციული ქალაქის ძველებურ ყაიდაზე ნაგები თეთრი სახლები მოჩუქურთმებული ლავგარდნებითა და სურბობით შემოსალტული ფართო აივნებით. სახლები მწკრივში ჩაყენებულ ჯარისკაცებივით გასდევდნენ ზღვისპირა ბულვარს, სადაც უზარმაზარი მავნოლიები ჰყვაროდნენ.

ბულვარის ბოლოს, ღრმად შეჭრილ ყურეში, სილიანი ნაპირი იშლებოდა,

სადაც შავ წერტილებად ულიყვნენ მეთევზეთა ქოხები.

დილაობით, როდესაც მშობლები ელიზბარს მოხუცი ფატიმეს ანაბარა სტოვებდნენ, ის ფეხაკრეფით იპარებოდა სახლიდან და იმ ადგილისკენ მირობოდა, სადაც მარილიანი ქარისგან გამოფიტულ, გადაყვიართლებულ ბოძებზე დახვეული ბადეები იყო დამაგრებული.

— გამარჯობა, ბატონიშვილო! დღეს მოსვლა დაიგვიანე, — მხიარულად მიესალმებოდა შუახნის მეთევზე, რომელიც ცალ ფეხზე ოსტატურად იდგა, ხტუნვა-ხტუნვით ინაცვლებდა ადგილს და ლილით აკერებდა ბადეს. რაც ხეიბარი გახდა, ზღვაში ველარ გადიოდა და მეთევზეებს ბადეების კერვა სულ მთლად მისთვის მიენდოთ. ისიც ზღვის ნაპირას დაფუსფუსებდა: ხან ნიჩაბს თლიდა, ხან სილაზე ამოთრეულ ნავს ღებავდა, ხან ბადეს აკერებდა.

— შენი მეგობარი დიდი ხანია მოგელოის და კიდევ მოიწყინა, — ეტყოდა ცალფეხა მეთევზე, მახლობლად მდებარე ქოხისკენ შებრუნდებოდა და დაიძახებდა: — ია!

როდესაც ქოხის კარი გაიჭრაილებდა და პარმაღზე მზისგან გახუნებულ წითელ კაბაში გამოწყობილი გოგონას ლანდი გამოჩნდებოდა, მეზღური ღიმილით გაიქნევდა თავს, ლილეს მოიმარჯვებდა და განაგრძობდა ბადეზე ამოგლეჯილი თვლების დაკერებას.

— გამარჯობა, ელი. ისე დაიგვიანე, მეგონა აღარ მოხვიდოდი, — ამ სიტყვებით ია ნელი ნაბიჯით ჩამოვიდოდა კიბეზე.

— გამარჯობა, ია. ეს სულ ფატიმეს ბრალია, ვერ გამოგვპარე.

— კიდევ კარგი, მოხვედი, თორემ მთელი დღე მარტოკას მომიწყევდა ყოფნა. მამადილით ზღვაში გავიდა, დედა კი სამრეცხაოშია.

— მეც მარტო ვიქნებოდი, ია, რომ არ მოვსულიყავი.

მერე ისინი ორნი გაუყვებოდნენ დაცარიელებულ ნაპირს და დაბინდებამდე არ შორდებოდნენ ერთმანეთს.

მამინ ზღვა მისთვის იყო უზარმაზარი სამყარო, რომელსაც ჰქონდა თავისი ცა, თავისი ცხოვრება, ჰყავდა თავისი ადამიანები. ია ეუბნებოდა, რომ ვარსკვლავები ზღვის მარგალიტებია, და მასაც სჯეროდა. მას სჯეროდა, რომ ზღვაზე გაწოლილი მთვარის ბილიკზე შესძლებდა გავლას, თუმცა, ერთხელაც არ უცდია ამის გაკეთება და მხოლოდ ფიქრობდა, თუ რა იყო იმ ბილიკის დასასრულს. სჯეროდა, რომ ღამით ზღვა თვლემდა და ის ოდნავი ხმაური, რომელსაც დროდადრო გამოსცემდა ზოლმე, სუნთქვა იყო მისი.

— ია, ტალღა კვდება ნაპირს რომ მიადრწევს?

— კვდება?

იამ არ იცოდა, რა იყო სიკვდილი. მისთვის არავინ არ კვდებოდა. ნაპირს მიდრწეული ტალღა იშლებოდა, ბრუნდებოდა უკან, ბოლომდე, ბოლო კი ძალიან შორს იყო და, ვინ იცის, ნაპირს ხელახლა როდის მოაღწევდა. ასევე იყო ქარიც, წვიმაც, ბალახიცა და მდინარეც, და ელიზბარს სჯეროდა ყოველივე ეს, სჯეროდა და განაბული უსმენდა, როგორ მღეროდა ია თავის საყვარელ სიმღერას:

მისცურავს იალქანი
ვერცხლისფერ ბილიკზე,
ვერცხლისფერ ბილიკზე
მისცურავს იალქანი,
ქარი მის აფრებს
ნაზად ეხება,
ნაზად ეხება,
და მიაქანებს...

ელიზბარი შეეცადა გაეხსენებინა, თუ რაზე საუბრობდნენ ისინი ზაფხულის გრძელი დღეების მანძილზე, როდესაც გახურებულ სილაში გულადმა იწვნენ და ელოდნენ მზის ჩასვლას. მაგრამ ვერ შესძლო. მან საკუთარი სახეც ვერ გაიხსენა და მხოლოდ ფერმკრთალ ნახატად ელანდებოდა იას გამხდარი, მოქნილი, ნაზი სხეული, მისი მეტყველი თვალები და თხელი ტუჩები.

როდესაც მზე ჰორიზონტზე გავარვარდებოდა, ისინი მაღალი კონცხისკენ გაიქცეოდნენ, ავიდოდნენ მის წვერზე

და იქიდან უყურებდნენ, ზღვაში როგორ იძირებოდა წითელი დისკო.

— მოდი, გადავხტეთ!

— მეშინია.

— მართლა რა მაღალია, ნუთუ გერასდროს ვერ უნდა გადავხტეთ აქედან?

— შენ კი გადახტები, ბიჭი ხარ.

— მეც მეშინია.

ხელიხელჩაიდებულნი მიუახლოვდებოდნენ ქარაფის კიდეს და ფრთხილად ჩაიხედავდნენ ქვემოთ, სადაც ზღვა უძრავად იწვა და მზის ჩასვლის შემდეგ მუქი ფერი გადაჰკრავდა.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მშობლებმა ერთ დღეს არ გადაწყვიტეს, ელიზბარი სხვა ქალაქში გაემგზავრებინათ სასწავლებლად.

— შენ პატარა აღარ ხარ, ელი. სექტემბერში თბილისს გაგზავნი. ჩვენს გადმოსვლამდე ნათესავებთან იცხოვრებ, — უთხრა მამამ და დედამაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ია! — მხოლოდ გამგზავრების წინა დღეს მოახერხა ელიზბარმა მეგობრისთვის ყოველივე ეამბნა, როცა მზის ჩასვლის შემდეგ კონცხის თავზე ჩამოსხდნენ.

— მიდიხარ? სად მიდიხარ?

იასთვის ზღვიპირის გარდა, სხვა ქვეყანა არ არსებობდა. ის ფიქრობდა, რომ ყველაფერი, რასაც ხედავდა, მუდამ ასეთად უნდა დარჩენილიყო.

— სასწავლებლად, ია.

— სასწავლებლად? დიდი ხნით?

— ჰო, დიდი ხნით.

— ისევ დაბრუნდები?

— აუცილებლად. ახლაც არ წავიდოდი, მაგრამ...

— არა, მითხარი, ხომ დაბრუნდები?!

იას თვალეში ისეთი შიში და ნაღველი იხატებოდა, რომ ელიზბარი დაიბნა, ირგვლივ უშფოოდ მიმოიხედა, თითქოს ვინმესთვის სურდა შეველა ეთხოვა.

— სანამ დაბრუნდები, რომ დამივიწყო?

აპაიი ვასაძე
ნახტობი



— არა, ია, განა შეიძლება დავი-
ვიწყო! წერილებს მოგწერ.

— არა, შენ არ დაბრუნდები, ელი.

— ასე რატომ ამბობ... —

— იმიტომ რომ ვიცი, დამივიწყებ,—
ათრთოლებული ტუჩებით ჩურჩულებ-
და ია, თვალბზე ცრემლი მოსდგომო-
და. მერე უცებ გაჩერდა, გაიღიმა, ცრემ-
ლი ჩამოიწმინდა და წამოიძახა:

— იცი, ჩვენ რაიმე ისეთი უნდა გა-
ვაკეთოთ, ერთმანეთი არ დაგვავიწყდეს.

— მაინც?

იამ პასუხი შეაყოვნა. ელიზბარი უხ-
მოდ მისჩერებოდა მის უცნაურად აელ-
ვარებულ თვალებს და წამით ისეთი
გრძნობა დაებოდა, რომ მართლაც ვე-
ლარ ნახავდნენ ერთმანეთს. ისეთი შე-
გრძნება ჰქონდა, თითქოს ძალით მიჰ-
ყავდათ სხვაგან, რათა ცხრაკლიტულში
ჩაემწყვდიათ და იქიდან თავი ველარას-
დროს ვერ დაეღწია.

— მოდი, გადავხტეთ!

— გადავხტეთ?

— ჰო, ერთად გადავხტეთ ამ კონცხი-
დან. შენ ხომ მუდამ ამას მთხოვდი.

უცებ ელიზბარი შიშმა აიტანა. თვა-
ლი მოავლო ზღვის გამუქებულ ტალ-
ღებს. თითქოს ყინვა გაუჯდა სხეულში
და კუნთები მოუდუნა. ამ შეუცნობელი
შიშით დამფრთხალმა, ჯიუტად წამო-
იყვირა:

— არა, ია, ახლა არ მინდა!

— რატომ, ელი?

— არ ვიცი. ალბათ, მეშინია... თანაც
ბნელდება უკვე...

ელიზბარი ახლაც ვერ მიმხვდარიყო,
რა ემართებოდა, რა ძალა არ ანებებდა
მამინ, ამდგარიყო და იას სურვილი შე-
ესრულებინა. გულში თვითონაც სურ-
და ამის გაკეთება, მაგრამ თითქოს გამ-
ბედლობა არ ჰყოფნიდა, — რაღაც ბო-
ჭავდა და საშუალებას არ აძლევდა ღო-
ნე მოეკრიფა.

როცა გოგონამ დაინახა, ელიზბარი
უწინდებურად თავჩაქინდრული იჯდა,
ფრთხილად წამოდგა...

— მაშინ მართლმე გადავხტები, ელი.

სამაგიეროდ, შენ ველარასდროს
დამივიწყებ.

ახლაც, თავის მყუდრო ოთახში,
ელიზბარმა საოცარი სიცხადით გაიგო-
ნა ეს სიტყვები და თვალები ისე ძლი-
ერად დახუჭა, ვითომ აღარ სურდა ხელ-
მეორედ დაენახა, როგორ მიუახლოვდა
ია კონცხის კიდეს, როგორ მსუბუქად
აიზიდა ჰაერში და წამსვე გაუჩინარდა.
ყოველივე ისე უეცრად მოხდა, რომ
ელიზბარმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწ-
რო. თავბრუ დაეხვია, თვალთ დაუბნელდა
და, გაოგნებული, ყვირილით გაიქცა.
თვითონაც არ იცოდა, სად მიბოლოდა.
როდესაც გამოფხიზლდა, უკვე ლოგინ-
ში იწვა და მთელი სხეული უცანცა-
ხებდა. იქვე სასთუმალთან დედა ეჯდა
და უმეტესველო მზერით მოსჩერებოდა.

— დედა, ია სად არის?

— სახლშია, ცოტა ვაცივდა.

— ვაცივდა?

— ჰო, ავად არის.

— იაც ვაცივდა... — ჩაიჩურჩულა
ელიზბარმა და თვალები მილულა.

უცებ გაიგონა, როგორ გაიღო შემო-
სასვლელი კარი და უცნობი მამაკაცის
ხმა მოესმა:

— ძლივს იპოვნეს!

— ცოცხალია? — ეს მამა იყო.

ელიზბარმა ყურთასმენა დაძაბა.

დედა სკამიდან წამოხტა და ოთახის
კარი სასწრაფოდ მიხურა. ელიზბარი
შეშინებული თვალებით მისჩერებოდა
დედას, რომელსაც ხელი კარის სახე-
ლურისათვის ვერ მოეშორებინა და თავ-
დახრილი უძრავად იდგა. ელიზბარმა მის
ქუთუთოებზე ცრემლიც შენიშნა და მა-
შინვე იგრძნო, როგორ აეწვა მთელი
სხეული და სუნთქვა შეეკრა, — თითქოს
გახურებულ ქვიშაში ჩაემარხოთ; თით-
ქოს ფერმკრთალი ლანდი უჩემრად მი-
ჰყვებოდა მთვარის მიერ ტალღებზე გა-
დებულ ვერცხლისფერ ბილიკს, სულ
უფრო და უფრო შორდებოდა და თვი-
თონ კი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავ-
და; თითქოს დაფლეთილი ბადეებით
შემოსულრული ცალფეხა მეთევზე გა-
დატეხილი ლილეით ხელში თავს წა-

მოსდგომოდა და ეკითხებოდა: „ია სად არის? ია სად არის?“

— დედა! ია სად არის? დედა, ია სად არის?



ელიზბარმა შუბლზე მომდგარი ოფლის ცივი წვეთები ზელისგულით ჩამოიწმინდა და ღრმად ამოისუნთქა. ჰაერი არ იყო. ფანჯარას მიუახლოვდა და ფართოდ გამოაღო.

ახლა, როდესაც უნებურად გაახსენდა განვლილი წლები, სიწორის გამო რომ სიხშირეულ ზმანებათა ელფერი დაჰკრავდა, ელიზბარმა იგრძნო, მიუხედავად მოგონებებთან დაკავშირებული მტკივნეული განცდებისა, გული ევსებოდა რაღაც მივიწყებული სიხარულით, და ქალაქის გარშემო რკალად შემოსაღებული მთების შემყურეს, თითქოს სჯეროდა, რომ მთვარის ბილივზე ოდესმე მინც შესძლებდა გავლას. მაგრამ ეს სიხარული მხოლოდ წამიერი იყო, მხოლოდ მოგონებებთან იყო დაკავშირებული და მას მხოლოდ მოგონებათა შეგრძნებადა შეეძლო.

საიდანღაც ქარმა ღრუბლის ფთილეები გამორეკა და ცაზე გააცურა. ერთხანს მთვარეც მიმალა, სხივები გააცრევიანა და ისევ გამოაჩინა. მერე, მთვარე სახლის სახურავს მიეფარა. ელიზბარმა თითები საფეთქლებთან მიიღო. საფეთქლები ჩაქუჩებივით ურტყამდნენ.

როდესაც ფანჯრიდან შემოჭრილმა ნიავმა ოდნავ გამოაფხიზლა, გაიფიქრა: ალბათ ყველას ჰყავს თავისი ია. მაშ, რად ზდება ასე? რად იცვლება ყოველივე, რად ჭრება? იქნებ იმიტომ რომ გვავიწყდება? მაგრამ რატომ, რატომ უნდა გვავიწყდებოდეს? ეს ხომ ისე კარგია, — ვერცხლისფერ ბილივზე მის-

ცურავს იალქანი... ყველას, ჰო, ყველას ჰყავს თავისი ია, მაგრამ ყველა ერთნაირი ვერ იქნება. იმას კი ზღვისფერი თვალები და ზღვაში ჩამავალი მზის ფერი თმა ჰქონდა; გრძელი, ზღვაში ჩამავალი მზის ფერი თმა... რას არ მივცემდი, უწინდებურად მთელი დღის მანძილზე ნაპირთან სილაში ჯდომა და იას სიმღერის მოსმენა რომ შემეძლოს. ან, მთელი ცხოვრება მინც ყოფილიყო იმ ნახტომივით თავგანწირული, მაშინ...

— ელიზბარ, აღარ დაწვები?!

ელიზბარი შეცბა, ოდნავ უკმაყოფილო მზერით მიმოიხედა და ლიზას მიაჩერდა.

— იცი, ვერ დავიძინე, — განაგრძო ხმამ.

— მართლა?

— ჰო, დაწვეკი ელიზბარ, — ხმაში ახლა შემპარავი თხოვნა და ცდუნება იყო. ელიზბარი ერთხანს სდუმდა.

ქარმა ხელმოეროდ, უფრო ძლიერად დაჰბერა, ალვის კენწეროები შეარხია და ყვითელი, გამხმარი ფოთლები პეშვებით მიმოჰფანტა ქვაფენილზე. მან ცაზე ღრუბლებიც შეათამაშა და უფრო სწრაფად გარეკა დასავლეთისკენ. თითქოს ყველაფერი მიჰქონდა ქარს. უკან, სულ უკან მიჰქონდა ქარს ღრუბლები, ფოთლები, თვით ფიქრებიც — ყველაფერი, რაც მათ ახსოვდათ და რაც ოდესღაც იცოდნენ...

— დავწვე? ჰო, ახლავე, ჩემო კარგო, ახლავე, — უბასუხა ბოლოს ელიზბარმა და ერთ ადგილზე უაზროდ დატრიალდა.

... ყველაფერი თან მიჰქონდა ქარს და რომ გეკითხათ: საით? — ვერ გიპასუხებდათ. ის ყველგან ჰქროდა, მთელ ქვეყანაზე და დაუსრულებლად ატოკებდა ზეთა კენწეროებს.



მეთხუთმეტი პალატა

ლირიკული პოემა

1

მე დავადწიე თავი პალატას.
 მზე ფრინველივით ხეზე ჯდებოდა,
 ბრძოლის წყურვილმა არ მილალატა
 და ამართლებდა ჩემს არსებობას.
 სისხლი ყიოდა, როგორც მამალი,
 ცხოვრება ისევ ჩქეფდა და დუღდა,
 მე ვიბრუნებდი კვლავ სითამამეს
 შეჩერებული სიტყვების ზღურბლთან.
 მზემ ჩამომხედა, სულის სარკმელი
 უცებ განათდა და გარიჟრაჟდა,
 ყველაფერს თავის სახელს ვარქმევდი
 და აღსარების ვიდექე მიჯნასთან.
 თითქოს პაერში გამოკიდებულ
 სიტყვებს სათუთად ძირს ვალაგებდი,
 ანდა ვინჯავდი დიდხანს თითებით,
 რა ფორმა ჰქონდა, რა წახანაგები.
 სიტყვა მოსული, როგორც ცდუნება,
 იდუმალებით ავსებდა ოთახს,
 მერე ცდილობდა ჩემს დარწმუნებას,
 რომ არსებობის უფლება ჰქონდა.
 ის მიზიდავდა სანახავივით,
 მე ვგრძნობდი იმის ფერსა და სურნელს
 და მაწუხებდა, ასე ქავილი
 აწუხებს ბავშვის უკბილო ნუნებს.
 მე ვასრულებდი თითქოს რიტუალს
 და მოხიბლული ამ რიტუალით
 თავდავიწყებამ სად შემიტყუა...
 რამდენ სისხარულს ვუთხარ უარი!..
 დღემ ჩამითრია თავბრუდამხვევმა,
 ჩემი თვალების ორი ოვალი
 გააშუქა და ისევ ამღერდა
 ყველა ხმოვანი და თანხმოვანი.
 მე ვიხსენებდი ნაცნობ სახეებს,
 აზრი ხელიდან არ მისხტტებოდა,
 სიტყვები თვალებს ნელა ახელდნენ,
 მხიბლავდა მათი თანმიმდევრობა.
 თითქოს მივაგვენ, ძალიან დიდხანს
 რასაც ვეძებდი ყოველ სიტყვაში

და ახლა მზეზე ყოველი სიტყვა
 ისე ბრწყინავდა, როგორც ვიტრაჟი...

ახასასებულ მოღზე ვიწექი,
 გაბრუებული მზითა და მიწით
 და შევცქეროდი ცას მოწიწებით
 და მოწიწებით ცვიოდა წიწვი.
 ამოდოდა მაცდური მთვარე
 და შევყურებდი, როგორც მოცლილი,
 ის იმ ქალივით ხუჭავდა თვალებს,
 რომელსაც წუხელ დიდხანს ვკოცნიდი.
 მე ისევ მქონდა თავი ოცნების,
 გაბრუებული ვიყავ მეღექსე
 და ვლოცულობდი ძირს ჩამოცვენილ
 ოქროს ფოთლებზე — მზის ფანტელებზე.
 წარსული ისევ მე მემხრობოდა
 და ყველაფერი იყო უცვლელი,
 ჩამოდოდა ძაფზე ობობა,
 ცა შრიალებდა, როგორც ფურცელი.
 მე ერთ დამეში ათასწლეულის
 ნახვას ვასწრებდი და ათასწლეულს
 უდრიდა დამე და იმ დამეში
 მინდოდა დროსთვის რომ გადამესწრო.
 მე მიხაროდა ჩემი აღდგენა,
 მე დავიბრუნე, რასაც ვკარგავდი,
 ვხედავდი ხეებს გაჩირადღნებულს,
 მზე ყვითლდებოდა, როგორც გარგარი.
 მე აღარ ვიყავ ჩუმი ასკეტი,
 ბადე გაგლიჯა ჩემმა თითებმა
 და სიხარულმა უკანასკნელი
 თავშეკავება გადამითელა.

წარსულს, წამებას, ტკივილს, განსაცდელს
 ხელად ვივიწყებთ, როცა ვშორდებით,
 მე დამავიწყდა, როგორ მქანცავდნენ
 ხან ეგოიზმით, ხან კროსგორდებით.
 ამალელებული ვიყავ ზეცამდე
 და შეიცვალა ჩემი ცხოვრება,
 ერთფეროვნებას რასაც ვეძახდი,
 ის აღარ იყო ერთფეროვნება.

მე შევეყურებდი თვალებს ცეცხლოვანს და აღგზნებული ხმები მესმოდა, მე ისევ ისე უნდა მეცხოვრა, როგორც ცხოვრობდა უმრავლესობა. მოჯადობებულ წრეში ვბრუნავდი, ფეხს აყოლილი კვლავინდებურად, ჩემი წვრილმანი და საზრუნავით კვლავ ჩამითრია ქვეყნის წრებრუნვამ. მე მიხაროდა, მე იქ ვიყავი, კვლავ დაბრუნებას სადაც ვნატრობდი და ვერ ვამჩნევდი ჭუჭყს და სიყალბეს რომანტიკოსი და ფილანტროპი. რადგან შორს იყვნენ ჩემგან ისინი და არ ვფიქრობდი, რა თქვენს წინააღმდეგ, — ალბათ ის მითხრეს, რაც მოვისმინე, ან ის მაჩვენეს, რაც დავინახე. აღარ მახსოვდა ის, რაც მეზმანა და უძილობის იყო მიზეზი და გული რეკდა, როგორც ექვანი, და ქანაობდა ბატკნის კისერზე. დღეს სიხარული ისევ მოჰქონდა და ერთობოდა შხაპუნა წვიმით, მზე ანათებდა და ჰოლოკონდას დასთამაშებდა ბაგეზე ღიმი. ჩემი თვალები დიდხანს ელოდა ამ მზეს და ახლა ისევ მართობდა ცვალებადობის მომხიბლველობა, მომხიბლველობის ცვალებადობა. სხვა მზე სხვა შუქით და სხვა ოქროთი ავარაყებდა თითქოს ფასადებს, მე ვოცნებობდი. მე არ ვცხოვრობდი ამ ხელფასიდან იმ ხელფასამდე. სხვა სიხარული სხვა ჭიქით მოვსვი და შრიალეებდნენ სულ სხვა ბალები, მე მივიდიოდი სხვა ზამთრის თოვლში და სულ სხვა ზამთრის თოვლს მივარღვევდი. არ არსებობდა ჩემთვის ჯებირი და ვიგრძენ ლტოლვა კვლავ უძველესი, როდესაც სივრცეს მოწყურებული მზერა ცხენივით გარბის ველებში. მე ვიდექ ცხადის და სიზმრის ზღვართან, დღე მპირდებოდა მხოლოდ სამოთხეს. დრამა დასრულდა. დაუშვეს ფარდა. ცხედრები უკვე ზეზე წამოდგნენ.

2

მე თქვენ მიყვარხართ!.. წიგნაკში თქვენი ტელეფონების ნომრებს ვიწერდი, მე თქვენ გისმობდით თრთოლვით და რწმენით,

თაყვანისცემით და მოწიწებით. თქვენი სინათლით თვალებს მივსებდით და ვიჩოქებდი, როგორც ტაძართან, ჩემს სულს სიმაღლე სურდა ისეთი და ჩემი სული თქვენს სულს ბაძავდა! გახარებული თქვენთან შეხვედრით და დაბნეული იმ სიახლოვით ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი და მერე სულში დიდხანს სახლობდით. მშობლის დაკრძალვა შვილის ვალია, მაგრამ მე ვერსად გასაფლავებდით, მე გადმომეცა, ვით რეგალია, ეს ოცნებები და ვარსკვლავები. მე თქვენ მიყვარდით და თქვენ უცრემლოდ მეთხოვებოდით ასე ზედიზედ გაყვითლებული წიგნის ფურცლებზე და დერეფნების გზაჯვარედინზე...

მე თქვენ მიყვარხართ! ეს თქვენ მობრძანდით და ისრებოდით ჩემს სასთუმალთან, სიკვდილს მოღლილმა და სულთმობრძაცმა სხეულმა ბრძოლა რომ გაუმართა. თითქოს გაირღვა შავი ქვესკნელი და დაეტაკა ხეებს ქარბუქი, გაეღვებული არაბესკეებით მე მივხვდი, დადგა ღამე ვალპურგის. რას ვეყრდნობოდი? გაქპრა ნაპირი და მომეჩვენა დიდი დარბაზი, იქ დედამიწის ბურთს სელაპივით იგორავებდა ცხვირზე ჯამბაზი. მე შევეცქეროდი ღამეს უშავესს, სადაც ლანდების იდგა ფერხული, მაგრამ მე ხელი ვერ შევუშალე, იყო უდროო და უხერხული. იდგა ყიჟინა და თაკარება და იცლებოდა ყურთან თოფები, შლიდა მოსასხამს და ხარხარებდა კასრზე შემდგარი მეფისტოფელი. ღამის კიდეზე ვიწექ და ფორთხვით სად მივდიოდი? ალბათ არსაით. ქსელში გახლართულს სიკვდილის ჩონჩხი მეპარებოდა ობობასავით. უცებ დაიპყრო ჩემი ოთახი და აღგზნებული მისი ამბოროთი ველეღავდი, მაგრამ მე არ ვბოღავდი, რასაც ვფიქრობდი, იმას ვამბობდი. რად გამიმართა ბნელში კამათი? რატომ დამადგა თავზე მანტიით?

ან რა კოდექსით გამასამართლა,
 ან გადავურჩი რა გარანტიით?
 რა ირწოდა ტოტემგაშლილი?
 რა შრიალებდა? და მე ჯიუტად
 რას მოვეჭიდე, რომ ჯერ კავშირი
 არ გამეწყვიტა ამქვეყნიურთან?
 მსურდა ბაასი ჩემს მახლობლებთან,
 ვიყავ გართსმული ცივ მუშამბაზე,
 უცვბ დაღამდა და ჩამობნელდა
 და მომჩვენა კინოდარბაზი.
 სადაც ეკრანი ძლივს ცახცახებდა
 და იცინოდნენ ბნელში დამსწრები,
 მე შევცქეროდი ძვირფას სახეებს,
 ტიტრის წაკითხვას ვეღარ ვასწრებდი.
 ღამე, რომელიც ბრძოლით ცხოვრობდა,
 თითქოს გოიას იყო ოფორტი
 და მე ვცდილობდი, იქაც ბოროტთან
 კეთილის ბრძოლას რომ მივმხრობოდი.
 მე თქვენ გიხმობდით მხოლოდ ჩურჩულით
 და როცა თვალში ჩადა სიცივე,
 თქვენ გამოწვილი და დაკრუნჩხული
 ჩემი ხელები არ მოიცილეთ.
 რაც მე მსურდა და რასაც ვნატრობდი,
 თქვენ მოდიოდით და მისრულებდით,
 თუმცა სუნთქავდა საავადმყოფო
 მხოლოდ ჭაფურით და იძულებით.
 თქვენ ჩემთან ერთად ღამეს ათევდით
 და მე ვიყავი ძალიან მშვიდად,
 თუმც ბანჯგვიანი ღამის თათებზე
 ვიწექ და ღამე ძვლივით მდრღნიდა.
 დრო მიიწევდა კუს ნაბიჯებით
 და შრიალებდნენ გარეთ ალკები,
 კვლავ თქვენთან ვიყავ, თქვენთან ვიჯექი,
 მე — თანაგრძნობის გამოძალველი.
 ვით წამებულის წმინდა გვირგვინი,
 თავს მადგა მთვარე და არ ვბორგავდი,
 ამოდიოდა ლიფტი სრიგინით
 და გუგუნებდა სადღაც ონკანი.
 მე არ ვიცოდი ის, რაც სხვებისთვის
 ნათელი იყო და თქვენ ცდილობდით
 ჩემს მოტყუებას მოჩვენებითი
 უდარდელობით და გულგრილობით.
 მქონდა ოცნება და იმედები
 და არ შემქონდა ეჭვი ნათქვამში,
 არ ირყეოდა რწმენის კედელი,
 არ მაცვივოდა თავზე ბათქაში...

ის გულჩვილობა და ის სინაზე
 შემინდეთ, მე ვარ ძე ადამისა,

ან მრავლობითი რიცხვის ყინულზე
 უეცრად ფეხი თუ კი დამისხლტა.
 მე თქვენი მიყვარხარ! დღევანდელ დღემდე
 მე მესმის თქვენი ჩუმი სიცილი,
 როცა წყვილადმი ოთახის კედლებს
 ეხასუნება ღამე კვიცივით.
 თქვენი შუბლები, როგორც ფიცრები
 მზეზე გადგმული ძველი მაგიდის,
 დაბზარულია, თქვენ არ იცვლებით,
 მე შემოგხედეთ და დაგაკვირდით.
 თქვენთვის უცხოა გრძნობის შელახვა,
 ანდა ნიღაბი გაჭრილი პირთან,
 თქვენი სინათლე რომ დამენახა,
 ღირდა, ამისთვის ცხოვრება ღირდა!
 მე როცა ასე მენატრებოდა
 მშვიდი დღეების თაზისები,
 ჩემი ძარღვების ყინულს ამტვრევდით
 და ბუნდოვანი თრთოლვით მივსებდით.
 თქვენი ნათელი სული მომფინეთ
 და ჩემგან დაძრულ სიტყვას, გარწმუნებთ,
 თქვენ დაუბრუნეთ პირველყოფილი
 უბრალოება და სიქალწულე.
 მე ვორთოდი — თქვენი გაბმული სიმი
 და მიმბაძველი, მე თქვენ მიყვარდით,
 თქვენს შემოსხედვას და ნათელ დიმილს
 მე ვაგროვებდი, ვით ანტიკვარი.

მე თქვენ გიხმობდით და მე მახსოვდა
 ჩემი ბავშვობა და გუშინდელი
 და მარმარილოს სადარბაზოთა
 ბნელ გვირაბებში ხელს რომ მკიდებდით.
 მე თქვენთან ვიჯექ და ზღვის ტალღები
 სულ სხვა ქვეყნების ნაპირს ლოკავდა
 და არ მიკვირდა აღარც აღრევა
 მეფეთა, ჟამთა და ეპოქათა.
 შეუცნობელის შეცნობა მსურდა,
 მე ვიყავ ბავშვი და ბავშვს მიუსვდით,
 მე ხელებს მზისკენ ვიწვდიდი მუდამ
 კლდეზე გართსმული ხის სიჯიუტით.
 უმანკო სულში კოცონს ანთებდით
 და მე ვცოცხლობდი მხოლოდ ოცნებით,
 მე მახსოვს თქვენი მისამართები,
 თქვენი სიცილი, მე თქვენ მოგძებნიო!..

8

ბნელში ბორგავდა ჩემი სხეული,
 ოთახი იყო სხვა ოთახივით
 და შენ ისმოდი, ვით შორეული

გამოძახილის გამოძახილი.
ცა იღვრებოდა, როგორც მელანი,
და სადგურების ფერმკრთალი შუბლით
განათებული შენ მომელანდე,
გადმოიარე ოთახის ზღურბლი.
ჩამოჯექ ჩემი საწოლის თავთან
და სანთლებივით შენი ხელები
თითქოს იწვოდა და მოსვლა ჰგავდა
გამოცხადებას და ვიჯერებდი.
მე დაგინახე, ეს შენ იყავი
და ყველაფერი ჰგავდა სიმართლეს,
მე შემეშინდა და დავიყვირე
და რკინას ცხელი შუბლი მივადე...

ჰგავდა აპრილში მოახლოებულ
წვიმების სუნთქვას შენი სახელი,
ან სამუდამოდ ანდა დროებით
შენ გახდი უფრო ხელშეახლები.
უთქმელ სურვილებს ედო ურდული,
მაგრამ აღსრული და შენ მოხვედი,
ვით შემოქმედის მიერ რუდუნით
ხორცშესხმული და თვით შემოქმედი.
ჩემი თვალები დიდხანს გეძებდა,
რომ დაენახე, დიდხანს ცდილობდა,
შენ იხრებოდი ჩემს სარეცელთან
და კოცნა იგი იყო ჭრილობა.
გაურკვეველობის ბურუსში გგხვევდა
და თითქოს ბოლო აღარ უჩანდა
დადუმებული საათის სევდას,
რომელიც მსრბოლავ დროს აუჯანყდა.
შენ ციმციმებდი — დედამიწაზე
განათებული ჩემი ფანჯარა,
და შენი ტანჯვით მეც დავიტანჯე,
რადგან შენ ჩემი ტანჯვა გტანჯავდა.

მე ვგრძნობდი ღამის მუხანათობას,
შენ იჯექ ჩემი საწოლის თავთან
და გადაბელილ ხეებს ათოვდა,
ყველა ვენერა მილოსელს ჰგავდა.
შენ ისევ ქსოვდი და შენს ფეხებთან
ედო სინათლის ყვითელი ზოდი,
მე მსურდა მხოლოდ შემოგეხედა,
შენ ისევ იჯექ, იჯექ და ქსოვდი...
შენ მპირდებოდი წამალს უებარს,
შუბლს მიგრბილებდი ცივი ტილოთი
და ჩემი სულის გამოტყუებას
დღის სინათლეზე დიდხანს ცდილობდი.
სინათლის თრთოლვით თრთოდნენ ლანდები

სდუმდა ოთახი და ტელეფონი
და აბაჟურის შარავანდედით
განათებული დიდხანს მეფობდი.
შენ ისევ ქსოვდი და მე მუდარით
შემოგყურებდი და შენს მკლავებში
მსურდა მეპოვა ნავსაყუდარი...
ასე მოელის თითებს კლავიში!..
ჩვენი ოთახი ჰგავდა კარუსელს,
ანდა ბრუნავდა, როგორც გლობუსი,
და ჩვენ ვცხოვრობდით კვლავ სიხარულის
და მწუხარების მეზობლობაში...

მე შენ მიყვარხარ! თურმე უფესო
არა ყოფილა, რაც იყო წინათ,
შენი სახელი ახლა უპევე
შეჩერებული ცრემლივით ბრწყინავს!..
როცა გახსენებ, გუნდი ჩიტების
ისევ აღვიძებს თითქოს ბუნებას,
ალბათ უშენოდ გამიჭირდება!
ბავშვური სულის შენარჩუნება!
მე წამოვდექი, შენს შესახვედრად
მე მივატოვე ჩემი მაგიდა,
ისე ციმციმებს შენი სახელი,
როგორც სინათლე ზღვის ქალაქიდან!..

მე შენ მიყვარხარ! თვალებს აღგზნებულს
შენ მოელანდე და მე წამომცდა,
როცა ვათოვდი ღამეს ვაგზლებში,
რომ მსურს შეგვედრა იმ საღამოსთან, —
სადაც უეცრად ტანჯვას და შფოთვის
ბოლოს მოუღებს შენი ხელები
და ხმამაღალი სიჩუმე ოთახს
დაეფინება, ვით გობელენი.
შეერთებულებს რაღაც ძაფებით,
დაშორებულებს გრძელი მაგიდით,
ჩაგვიორთავს ცეცხლი და ყველაფერი
კვლავ გაიშვლდება ლიანდაგივით,
აბრიალდება მაღალ ტოტებზე,
მოიკიდება ტანსა და მერქანს...
შენ წახვალ ჩემგან ალბათ ოდესმე,
მე ვერასოდეს ვერ წავალ შენგან!..
რა გველოდება? რა არის იქით,
სადაც მივდივართ და რას გვიქადის? —
მე არ მსურს ახლა ამაზე ფიქრი,
რადგან ჩვენ მაინც მივალთ იქამდის!..

თითქოს სხვა არის მზიან ქუჩებში
ყოველი სიტყვა, ყოველი ნივთი,

უეცრად მივხვდი, რომ მე უშენოდ არ შემიძლია, უეცრად მივხვდი. რომ ჩემთვის სხვა ხარ და სხვა ხარ სხვისთვის და შენთვის სხვაა ჩემი ნაფიქრი, მე ამოვვარდი და ახლა გიციდი, — დაირღვა ვაგზლის მკაცრი გრაფიკი. მზიან ქუჩებში და კაფეების ფანჯრის მინებზე, ბროლის ტიქებში მხოლოდ შენ გხედავ აკიაფებულს, მე ხელებს გავშლი, გამოიქეცი!.. გამოიქეცი, კვლავ იხლართება გარდაუვალი და შემთხვევითი, მჭირდება შენი სიტყვა მართალი, სხვასთან ვერ მივალ ახლა რჩევისთვის. უეცრად მივხვდი, რომ ეს ქუჩები ყოველთვის თუნდაც ასე ბრწყინავდეს, მე ვერ ვიქნები მაინც უშენოდ და ეს მიხვედრა არის სინათლე... არის სინათლე იმ მატარებლის, რომელიც ასე უეცრად არბევს გაოგნებული ღამის სიბნელეს და სველი ვაგზლის მოსაცდელ დარბაზს...

4

თითქოს მოვიდა და შემანჯღრია და გამაღვიძა ქალაქმა ბუკით, შემომანათა დიდი ფანჯრები, ვით ადგზნებული თვალების შუქი. დღეს ჩემთვის წიგნი ისევ წიგნია, წვიმა-წვიმაა, თოვლი-თოვლია, მე თურმე დიდხანს არ მიფიქრია და თურმე დიდხანს არ მიცხოვრია. ისევ ნაცნობი მესმის მუსიკა. ჩემი ცხოვრება რაღაც ნივთივით მდინარის მღვრიე და ბურუსიან ზურგს არ მიჰყვება ახლა ტივტივით. ამდერებულა, როგორც ოდესღაც დღეს ვიოლინოს მგზნებარე ხემი, ისევ ვმშვიდდები ნაძვის ტოტებზე დაკიდებული ციყვების თვლემით. უფრო დამძიმდა ჩემი ცალკუდი,

მე თურმე დიდხანს ვყოფილვარ უქმად, იღვიძებს სული ღრმა და სალუქი და მიხმობს, რასაც აკლია სრულქმნა...


მე მაინც მიყვარს ჩემი სიკვდილი, ჩაბუდებული თავის ქალაში და ვებრძვი, რადგან ვერ ვურვიგდები, ვებრძვი, ვით ნუჭრი ებრძვის შალაშინს. ვებრძვი სიმღერით, გაშლილ აფრებით, ჩემი ხიფათით და ფათერაკით, და მესმის ღამით თუ მესაფლავებს, როგორ უსხლტება ქვაზე წერაქვი. მე იგი მიყვარს, რადგან მაჩქარებს, დრო არასოდეს არა მაქვს მოცლის, უნდა მოვასწორო, სანამ ერთმანეთს გაეყრებოდეს სული და ხორცი. სანამ ასხლტება იალქანივით და საბოლოოდ თვალს გავადევნებ მზეზე ირიბად გადაქანებულ კიპარისების მწვანე შადრევნებს... იგი მაჩქარებს დღისით და ღამით და ეს თვალები რაც ავახილე, უშფოთველი და გულგრილი ჟამი მიერეკება თოვლში მარხილებს. მზე თოვლზე ბრწყინავს უცხო ფერებად და იკუმშება შაგრენის ტყავი... მე ვერაფერი ვერ მომერევა, სანამ მექნება ოცნების თავი!..

როგორც მოხრილი ღერო მცენარის, მე გავიმართე, გავშალე წარბი და ჩემი მზერა მოუსვენარი თქვენს სახეებზე ციყვივით დარბის. დღე გუშინდელი ნელ-ნელა ქრება, თვალს ეფარება ზღვის ნაპირივით, დამბადებელის ვიგრძენი შვება, დაბადებულის მესმის ტირილი... გათენებული დღის წიაღიდან სხივი ეცემა სულის ნაბზარში, ისევ მეძახის ჩემი მაგიდა და დღე იწყება, როგორც აბზაცი.

მე დავთმე ჩემი ძვირფასი სევდა!..
დღე აღსარებით სუნთქავს და ელის
ჩემს აღსარებას... მე თქვენთან ერთად
უნდა ვიარო, ჩამჭიდვით ხელი!..
დღეს დანაშაულს უდრის დუმილი!..
რა ვუყოთ, სიტყვებს თუ ლექსიკონში
დავუწყვებ ძებნას და ქურუმივით
მე ხალხი ხელებს არ დამიკოცნის...
როგორ უეცრად გაიხსნა კვანძი!
დღეს მიმავალი ხალხის ლაშქარში
მეც გავერევი უთქმელი კაცი
და დამაბრმავეს ქუჩის კაშკაში.
მე დავინახავ ნაცნობ სახეებს,
მოვისმენ იმათ ქეთინს და ხარხარს
და ვაგონებში დამეჯახება
შეგუბებული ჰაერის ტალღა.

მე თქვენთან ერთად ვივლი წვიმაში
ან მზე ქალწულის მზერით დამატრობს
და ვიკამათებ დიდხანს იმაზე,
რაც არ იქნება სულ საკამათო.
ან დავიყვირობ: „თქვენთან ვარ ისევ!
მე თქვენს ფერხულში ისევ ჩავები!“
და მტევანივით გაჭყლეტილ ჩრდილზე
ირბენს მანქანის საბურავები...
ისევ ჩამხედავს სულში ტყემალი
და წამოვდგები ქარის ხმაურზე,
გზებზე დააგეთ ეს სერხემალი,
მატარებლების ბორბლებს გაუძღვებს!..
მე გავუდიმებ, როგორც ფერიას,
ლიანდაგებში ამოსულ ყვავეილს
და ვერაფერი ვერ მომერევა,
სანამ მექნება ოცნების თავი!..





ბიბანტი

მოთხრობა

გასკდომაზე მაქვს თავი...

მე, რასაკვირველია, კრეტინი ვარ. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ მარტო ჩემი კრეტინობით ყველაფერი ვერ აიხსნება. მაგალითად, გიგანტის მეტამორფოზა...

არა, სად არის ლოგიკა? გიგანტი, ეს საცოდავად ატუზული გიგანტი, გაკვეთილზე ნაკარნახევსაც რომ ვერ იმეორებდა.

ეტყობა, ნუნუკა სამზარეულოში ფუსფუსებს.

საწყალი ქალი! გული გაუსკდა ალბათ გაღეშილი რომ შემოგვარბაცდი, ნაშუალამევს. იშვიათად თუ გუნახივარ ნასვამი, ასე უსაშველოდ გამტყვრალი ხომ მართლა არასოდეს? ვყოფილვარ... ეს რიდათი უნდა აიხსნას, — ჩემი მეტამორფოზა?..

რა მეტამორფოზები ანიტყდა! როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ გამომწელებია ღვინო.

— ნუნუკა!

ნუნუკა შემოვიდა.

— როგორა ხარ?

— გასკდომაზე მაქვს თავი, როგორც დამწყებ ალკოპოლისტს შეეფერება.

— დაიძინე.

— ბორჯომი არა გვაქვს?

— კი.

რა მეშველებოდა, ნუნუკას მაგივრად რომ სხვა ვინმე შემერთო ცოლად!

— ცოლი კი არა, პირდაპირ, მოვლენა ხარ.

— წუხელაც მოვლენა ვიყავი. მოვლენა და ანგელოზი, — მეორე ოთახიდან მეპასუხება ნუნუკა და ბორჯომი მოაქვს.

— ახლაც ანგელოზი ხარ.

იფ, იფ! ქვეყანაზე არაფერი არ უნდა არსებობდეს ბორჯომის გარდა!..

— ერთიც დამისხი. შევარცხვინე ღმერთის გემოვნება, თუ ამის მეტს კიდევ სვამს რამეს... მარადიული სიყვავი-

რულობა და სულსკვეთება იმ ნათელ პიროვნებას, ვინც ბორჯომი მოიგონა.

- რაო?
- ვაი, თავი!
- დაიძინე.
- რომელი საათია?
- რვის ნახევარი.

კიდევ კარგი, დღეს თორმეტზე მაქვს პირველი ვაკვეთილი.

- ბავშვს სძინავს?
- ჰო.

— ბევრი სისულელე ვიბეჭუტურე წუხელ?

— ისე რა.

— მთელ დედამიწაზე არ მოიძებნება ჩემისთანა კრეტინი... როგორც ადამიანი, როგორც ქმარი და როგორც მოქალაქე.

- კარგი, დაიძინე, გამოშუშდი.
- რაო, რა ვილაპარაკე?
- რა ვიცო, რა ვილაპარაკე... ხან აინშტაინი იყავი და ხან კრეტინი.
- კრეტინი ვყოფილვარ. მაინც რას ვამბობდი.

— „რატომ მაკოცა ნეექსე კლასში მათემატიკის მასწავლებელმა? იმიტომ, რომ ლამაზი ბიჭი ვიყავი? (გამახსენდა!) არა. აბა, რატომ? იმიტომ, რომ ნიჭიერი ვიყავი და, კრეტინი რომ არ ვყოფილიყავი, ახლა აინშტაინი ვიქნებოდი“. ეს ერთი. მეორე: „რატომ ვერ ვეუბნები პარიკმანერს, როგორ გამკრიჭოს თმა? რატომ ვუშვებ თავის ნებაზე? ჩემი თმაა, მისი ხომ არა?“ მერე აიხირე, ფანჯრიდან უნდა გადავხტე, მთელი მსოფლიოს კრეტინებს მაგალითი უნდა მივცეო.

მეხუთე სართულზე ვცხოვრობთ!

— შეგაშინე?

— შემეტყვე, რომ შემეშინდა, და დამაშვიდე: ჩემისთანა კრეტინს ვინ მისცა იმდენი გამბედაობა, რომ მეხუთე სართულიდან გადახტეს.

- ბავშვი ხომ არ გამიღვიძებია.
- შენი ხმა რომ გაიგო, იკითხა: ნესტორ ბიძიამ დიდი სპილო თუ მონიტანო. მერე ისევ ჩაიძინა.

— ნესტორ ბიძია არ არის ის, გიგანტი ბიძიაა.

— რა ბიძიაა?

— მე თუ იკითხავ, სიპანტია ბიძიაცაა, მაგრამ „სიპანტია“ პოპულარობა ვერ მოიპოვა. „გიგანტი“ კი... თუმცა წუხელ მეც გიგანტი ვიყავი.

— რა არის ეს „გიგანტი“?

— გეტყვი... მეშვიდე კლასში ვიყავით. ხაზგასმით ვამბობ, იცოდე: მეშვიდე კლასში. ეგა და ჩვენი კლასის დამრიგებელი მეზობლები იყვნენ. ერთხელ დამრიგებელი ავად გამხდარიყო ანგინით და ამ გამოთავყანებულისათვის დაუბარებია, დირექტორს გადაეცი, დღეს ვერ მოვალო. მივიდა თურმე დირექტორთან და უთხრა: ვასო მასწავლებელმა შემოავითვალათ, ავდა ვარ და დღეს ვერ მოვალო. დირექტორი შეწუხდა: რა დაენართა, ბიჭოო, ეკითხება. და ესეც მედიცინაში კარგად გარკვეული კაცის კილოთი პასუხობს: „გიგანტი სჭირს, პატ. მასწ“.

ნუნუკა იცინის. ჩვენც ბევრი ვიცინებთ მაშინ. ამის შემდეგ გახდა გიგანტი.

— ეჰ, ღვარძლი მალაპარაკებს, ნუნუკა, თორემ ეს რა გასახსენებელია.

- რა იყო, რა მოხდა?
- რა მოხდა?

მე მხრებს ვიჩეჩავ, რადგან არ ვიცო, რა მოხდა. უფრო სწორად, არ ვიცო, როგორ გამოვხატო ის, რაც მოხდა. მოხდენით კი რაღაც საძაგლობა მოხდა.

მაგრამ, სანამ ამ საძაგლობას გიამბობდეთ, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ჩემს პიროვნებასა და ჩემს ოჯახზე.

როდესაც გამანაწილებელი კომისიის სხდომაზე გამომიძახეს, ჩემთვის უკვე ნათელი იყო, რომ აინშტაინი ვერ გამოვიდოდი, თუმცა მათემატიკის მასწავლებელი თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე. ცხოვრების უღმობელმა ლოგიკამ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და თერთი ცარციითა და წითელი მელნით შეიარაღებული ხუთი წლის

ჯამალ ქარჩხაძე
გიგანტი



განშორების შემდეგ ისევ დავბრუნდი სკოლაში.

მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა. თხუთმეტი წელი არაა პატარა ხანი. და მართლაც შევეჩვიე მასწავლებლობას.

ოროთახიანი ბინა, მე და ნუნუკას ხელფასი, ნუნუკას დიდი საოჯახო ხელოვნების წყალობით ყველაფერს რომ წვდება. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ამ ცოტა ხნის წინ ჩემს კოსტუმს ექვსი წელი შეუსრულდა და, ბუნებრივია, თავისი პირვანდელი სახე დაკარგული აქვს, ნუნუკამ ფულის დაზოგვა დაიწყო. აი, ზეგაც ავიღებ ხელფასს და მე, ნუნუკა და პატარა ქეთინო ზარზეიმით შევალვით რომელიმე მაღაზიის კარს, რასაკვირველია, გადამწყვეტი სიტყვა კოსტუმის არჩევანში ნუნუკას ეკუთვნის, მაგრამ ისეთ სახეს მივიღებთ, თითქოს ქეთინოა ყველაფერი, ჩვენ კი ისე წამოვყვევით, უბრალოდ. თვითონაც შეიფერებს მთავარ როლს და, უნდა ნახოთ, როგორ დადინჯდება.

ასეთია ჩემი ოჯახი.

და აი, გუშინ, ნაშუადღევს, ოჯახის მამა პურის საყიდლად წავიდა. ტანთ ეცვა იმ კოსტუმის შარვალი და ზოლებიანი ხალათი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საგარეო ხალათად ითვლება.

ის იყო მაღაზიის ვაჟუსწორდი, რომ უეცრად...

— გოგია!

და ვილაცამ მკლავზე წამატანა ხელი. ხმა აშკარად ნაცნობი იყო. ნაცნობი იყო ვიწრო შუბლიც. გადამხული წარბებიც. მაღალი, კეხიანი ცხვირიცა და არაადამიანურად განიერი ნიკაბიც. და მხოლოდ ერთი წამის, ან, შესაძლებელია, უფრო მცირე ხნის განმავლობაში, მთელი ეს ნაცნობი ატრიბუტები დაჩრდილა ელევანტურმა მორთულობან: საუკეთესო კოსტუმმა, ქათქათა ხალათმა და წითელმა გალსტუქმა. მაგრამ მეორე წამს ელევანტური ჩაცმულობა მკრთალ ფონად იქცა და მე ვიციანი სკოლის ამხანაგი.

— გიგანტი!
— ნესტორ!..

ოცი წლის უნახავი ამხანაგები მკრთალ ფონად დაღვეხვიეთ.

„გიგანტი, გიგანტი, უყურეთ ერთი, როგორ გამოპრანჭულა!.. მაგრამ შეცვლით სულ არ შეცვლილა. ისევ ის გიგანტია, რაც ბავშვობაში იყო!“

ერთ ხანს მათემატიკის მასწავლებელმა გიგანტი მე მომპარა, ამეცადინეო. ღმერთო, რას ვიტანებოდით ორივე! საათობით ვუხსნიდი სრულიად მარტივ ამოცანებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მის თავში არაფერი შედიოდა. საწყალი თვითონაც გრძნობდა, რომ სწავლისათვის არ იყო გაჩენილი და, როდესაც მოთმინება გამომელეოდა და ავყვირდებოდი, ხმას არ იღებდა, — იჭდა ვაბუსუნებული და მორჩილი თვალებით შემომცქეროდა, თითქოს მეუბნებოდა: რატომ მიყვირი, გოგია, ბიჭო, რა ვქნა, ღმერთმა ასეთი გამაჩინაო და... ასევე ჰქონდა საქმე ქართულში, ისტორიაში, თითქმის ყველა საგანში. არაფერი არ გაიმეტა მისთვის ბუნებამ. თუმცა კლასიდან კლასში მაინც გადადიოდა; გადადიოდა ხან მასწავლებლების გულჩვილობით, ხან კიდევ იმით, რომ მამამისი პურის საცხობში მუშაობდა, დროება კი მაშინ მძიმე იყო. ერთი ორჯერ დირექტორმა მეპურე სკოლაში დაიბარა და ურჩია, გაიყვანე სკოლიდან და რამე შესაფერისი საქმე მიეციო. საწყალ მეპურეს ყოველთვის ასე ეგონა, დირექტორის რჩევას გარიცხვის სუნი ასდისო და ცრემლმორეული იხვეწებოდა, შენი მუხლკალთის ჭირიმი, პატარა კიდევ აცალეთ, იქნება გაეხსნას გონებაო. ამ პატარა-პატარაობაში გიგანტმა დანათავრა სკოლა, რაც შეეხება გონების გახსნას, ასეთი რამ არ მომხდარა.

— რას შვრები, როგორა ხარ? რამდენი ხანია არ მინახიხარ!

— რა ვქნა, ვცოცხლობ... შენ როგორა ხარ?

მინდოდა მეთქვა, შენ როგორა ხარ გიგანტო-მეთქი, მაგრამ ბოლო წამს, არ ვიცი რა ღმერთი გამოიწყრა და, გადა-

ვიფიქრე. ეს იყო პირველი და უმთავრესი შეცდომა.

გიგანტმა ჩემი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

— ცოლი არ შეგირთავს?

— კი, შეგირთე. შენ?

— ბავშვები?

— ერთი გოგო მყავს. შენ?

— ჰოო... კარგია, ძალიან კარგია, — მითხრა გიგანტმა და ჩემი „საგარეო“ ხალატი შეათვალიერა, — ოჯახი, შენი ბუდე, მყუდროება... მიხვალ შენ და ცხელი საღილი დაგვგდება. კარგია ოჯახი, კარგია. თუმცა ყველაფერს აქვს თავისი ღირსება და ნაკლი. ერთი მხრივ, კარგია, ზიხარ შენთვის ცოლ-შვილში და კითხულობ გაზეთს, ან ტელევიზორს უყურებ, მაგრამ, მეორე მხრივ, ოჯახი ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას. სამსახური და სახლი, სამსახური და სახლი.

— მე ჩენს ბავშვთან თამაშს არაფერი მიჩვენია.

— შეეჩვიე, — ისეთი კილოთი მითხრა გიგანტმა, თითქოს მე ვიყავი კრეტინი და ის მიხსნიდა საათობით ალგებრის უმარტივეს ამოცანებს. — აიღე, მაგალითად გლეხი: თუ კარგი მოსავალი მოუვიდა, ძროხა კარგად იწველება, ცოლ-შვილი ჭანმრთელად ჰყავს და ზამთრისთვის მომზადებულია, თავი უბედნიერესი კაცი ჰგონია. იმიტომ რომ მეტი მოთხოვნილება არა აქვს. მე შენ გლეხს კი არ ვადარებ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხომ გახსოვს რას ამბობს გოეთე (სად ისწავლა ამდენი ამბატმა! თანაც ისე ახსენებდა გოეთეს, გეგონებოდა მისი კარის მეზობელი ყოფილიყო): Стремиться к высокому, к прекрасному, житейские дела мешают нам.

— სად ამბობს ნაგას გოეთე?

— „მე შენ გიჩვენებ სეირს!“

— როგორ არ გახსოვს, კაცო, ერთ თავის ნაწარმოებში ამბობს.

ერთ თავის ნაწარმოებში!

„არ იცი, გიგანტო! რაზეც გინდა და-

გენაძლევები, არც ის იცი, რა ენაზე ამბობს მაგას გოეთე!“

რა მიშლიდა ხელს, რომ ხმამაღლა მეთქვა ჩემი აზრი. გიგანტი იყო, სხვა ხომ არავინ?! საწყალი, უნიჭო გიგანტი, რომელსაც მიზნად დაესახა ნაცნობ-მეგობრებში შემთხვევით შეკრებილი ცნობები საკუთარ ერთდღიად გაესაღებინა. ალბათ რეაბილიტაციას ეძებდა, — მე ხომ მისი უნიჭობის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ვიყავი! მაგრამ რატომ ვერ ვუთხარი პირდაპირ ჩემი აზრი? ნუთუ ლამაზი კოსტუმის გამო?

— მაშ, არ აპირებ ცოლის შერთვას?

„სად ნიისწრაფვის, ერთი, ისეთ ადგილას, რომ ცოლ-შვილი წინ გადაეღობოს?“

თქვენც არ მომიკვდეთ! — არ მიბასუსხა.

— სად მუშაობ?

— სკოლაში, მათემატიკას ვასწავლი.

„მე რაღად ვპასუხობ?!“

მაგრამ მაინც ვპასუხობდი. ეტყობა, მე უფრო კრეტინი ვარ. ისე, სანტერესო საუბარი კი გამოგვივიდოდა, მეც რომ არ მეპასუხა და ნარტო შეკითხვები გვეძლია ერთმანეთისთვის. ნეტა რას იზამდა?

— მასწავლებლობა კარგი საქმეა. მომავალი თაობის აღზრდა. კარგია (ვატყობდი, ნერვები მეშლებოდა და ჩემს გულს ვასკდებოდი). არ გირევენ ბავშვები?

— თავიდან მირევენ. ახლა აღარ მირევენ.

— ჩვენს დროს რა იყო, გახსოვს? თუმცა შენ წყნარი იყავი. მე მაგრა ვურევდი. ახლა რომ ნახსენდება, მრცხვენია. რას ვერჩოდით, კაცო, სიკეთის მეტი რა უნდოდით ჩვენთვის? ნწუ, ნწუ... ერთხელ, არ ვიცი, იყავი თუ არა შენ იმ გაკვეთილზე, ბიძინა რობაქიძეს დაფის უკან დავემალე. გახსოვს ბიძინა რობაქიძე? „აბა, ჰე, დავიწყეთ. ვის ხუთიანი და ვის ორიანი.“ დავემალე დაფის

ჯამალ შარხაძე
გიგანტი



უკან. ამოიკითხა სია. „ნესტორ სურგულაძე!“ „ვარ!“ მიიხედ-მოიხედა, ნესტორ სურგულაძე არსად ჩანს. პირველად ეგონა, სხვამ თუ დაიძახა სურგულაძის მაგივრად. „ნესტორ სურგულაძე!“ „ხომ გითხარი, მასწ. ვარ!“ კიდევ მიიხედ-მოიხედა. გაგიჟდა კაცი! „ნესტორ სურგულაძე!“ ხა-ხა-ხა... ძლივს მიპოვა. განაგლო კიდევ გარეთ (როგორ არ ვიყავი იმ გაკვეთილზე. გუშინდელივით მახსოვს, — გიგანტს არ გაუკეთებია ეს, სხვამ გააკეთა. არ ვიცი, რატომ იბრალებდა სხვის სისულელეს, თავისი არ ყოფნიდა ამ უბედურს?!). ძალიან ზარმაცი კი ვიყავი. ქართველებს გვახასიათებს, საერთოდ, სიზარმაცე. ნიჭიერი კაცი ყოველთვის ზარმაცია.

ნიჭიერი კაცი!

— შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ზარმაცი ნიჭიერია.

— რატომ არ ნიშნავს? — გაუკვირდა გიგანტს და თვალები აახანხანა. მთელი საუბრის განმავლობაში პირველად გაიხსენა ეს ბავშვობის დროინდელი ჩვეულება. ასე იცოდა ბავშვობაში: როცა რამეს ვერ გაიგებდა, მოგაჩერდებოდა, პირს ოდნავ ვაალებდა და თვალბს აახამხამებდა. — თუკი ყველა ნიჭიერი ზარმაცია, ყველა ზარმაციც ნიჭიერი იქნება, აბა რა! ლოგიკის ამბავი არ არის?!

„კი, კი, გიგანტი ხარ, წყალი არ გაუვა“.

ახლა იმასღა ვნატრობდი, მალე მომეშორებინა. მაგრამ იმის განო, რომ კრეტინი ვარ, ვიდეკი და ველოდებოდი, თვითონ როდის მომიშორებდა.

თურმე სადა ხარ!

— რა ადგილას ცხოვრობ?

— აგერ ვცხოვრობ, იმ გადასახვევში.

— კარგი ადგილია (არა, ყველაფერს რომ მიჭებდა მოწყალი ქესტით), არ გამაცნობ შენს ოჯახს?

— როგორ არა.

„ბრა“!

— წავიდეთ, აბა!

იქნებ არ მივდიოდი შინ! იქნებ ვაღუპავდი დედებელ საქმეზე მივდიოდი სადმე!

— წავიდეთ. პური ვიყიდო...

უცებ გამახსენდა, რომ შინ ძველი კარადა მედგა, რომლის ერთი მხარე გარდერობი იყო, მეორე მხარე კი — სერვანტი (ეტყობა, ჩემი არსების რომელიღაც იდიოტურმა ნაწილმა, რომელიც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, უკვე აღიარა გიგანტის უპირატესობა).



— გაიცანი, ნუნუკა, ჩემი სკოლის ამხანაგი, ნესტორ სურგულაძე.

— აა, ძალიან სასიამოვნოა.

ნუნუკას მართლა გაუხარდა, ჩემი ბავშვობის ამხანაგი რომ ნახა.

რა იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში.

— დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემი გოგის მეუღლე გავიცანი, — დადნა დიმილად გიგანტი და ხელზე აკოცა ნუნუკას.

„ესეც შენი გიგანტი!“

თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავაზიანობის ეს არისტოკრატიული ქესტი დახვეწილობით ვერ გამოირჩეოდა: იმის მაგივრად, რომ ახლო მისულიყო და ტუჩები მიეტანა ხელთან, გიგანტი დაახლოებით ერთი მეტრის მანძილზე შეჩერდა და ისე დაითრია ნუნუკას ხელი, შეემეშინდა, არ აახლიჩოს-მეთქი.

ნუნუკას სულ ოდნავ ვადაკრა სახეზე ცბიერმა დიმილმა.

— დაბრძანდით, — სკამი უჩვენა გიგანტს და, როცა გიგანტი დაჯდა, განაგრძო, — ასე შემთხვევით რატომ უნდა ხვდებოდეთ ერთმანეთს. თანაც ამ ზაფხულს ოცი წელი გისრულდებთ, რაც სკოლა დანთავრეთ. განა არ შეიძლება, ოცი წლისთავზე შეიკრიბოთ ერთად.

— ეჰ, ძალიან კარგი იქნებოდა, ქალბატონო ნუნუ („შენთვის არ იქნებოდა მაინცდამაინც კარგი, ჩემო გიგანტო“), მაგრამ საქმეები, საქმეები. ჩვენს მოუსვენარ ეპოქაში ერთი წუთი არა გაქვს კაცს თავისუფალი.

მე ნუნუქასკენ გავაბარე თვალი. მან ინტერესებდა, რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა. მან ხომ არ იცოდა, რომ ნესტორ სურგულაძე გიგანტი იყო.

ნუნუქას არათფრთხილად შეტყობია.

— მამაკაცები ყოველთვის ეპოქას აბრალებთ ყველაფერს და ყოველთვის ძალიან საქმიან ხალხად მოგაქვთ თავი. სინამდვილეში კი, მე მგონია, ყველაფერი სიზარმაცის ბრალია.

— შეიძლება, შეიძლება, — სიცილით დაეთანხმა გიგანტი, — საერთოდ, ქართველებს გვახსიათებს სიზარმაცე-ნიჭიერი კაცი ყოველთვის ზარმაცია.

„ეს ხომ თქვი უკვე, შე მართლა გიგანტი!“

— ქართველებს უფრო ის გვახსიათებს, ჩვენს სიზარმაცეს რაიმე სასურველი გამართლება მოგუძებნოთ...

ამ დროს ოთახში ქეთინომ შემოიჭყიტა.

— მოვიდე, მამა?

— მობრძანდი.

ქეთინო შემოვიდა, ოღონდ ჩემთან არ მოსულა, დედამისს ჩასჭიდა ხელი კაბაში, საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო და ცნობისმოყვარე თვალით მიაჩერდა გიგანტს. გიგანტი წამოდგა, მივიდა ქეთინოსთან, ხმაურით აკოცა ლოყაზე და ისევ თავის ადგილას დაჯდა.

— ჩვენი მომავალი, — თქვა მან, — ჩვენი ცხოვრების ყვაველი... ლა ლამაჯი გოგოა, ელთი ამას უყუღეთ!.. ბედნიერი ხალხი ხართ. ამოდენა გოგო რომ მყავდეს, რაღა მიჭირდა.

— რა გიშლით ხელს? — გაიღიმა ნუნუქამ.

— არავინ მომყვება, ქალბატონო ნუნუ, — ისტორა გიგანტმა.

ქათინაურს ელოდა.

— მართლა? — გაიცინა ნუნუქამ.

მეც გავიცინე, როგორც ზრდილობიან კაცს შეეფერება.

მაგრამ ამ დროს საუბარში ქეთინო ჩაერია.

— რატომ არავინ მიყვება, დედა, ამ ბიძის?

ამჯერად, როგორც ზრდილობიან კაცს

შეეფერება, შევიკავე სიცილი. ნუნუქამ ისევ გაიღიმა.

— ხუმრობს, დედიკო, ბიძია.

— მოდი, პატარა გოგო, ჩემთან, — შესთავაზა გიგანტმა.

ქეთინო გიგანტს მისჩერებოდა და ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო თუ არა.

ნუნუქა წამოდგა.

— ნაპატიეთ, მე დაგტოვებთ ცოტა ხანს. იმედია, სიყრმის მეგობრები მართო არ მოიწყენთ (ნუნუქას, საერთოდ, ჩვევია ირონია, მაგრამ ახლა ვერ მივხვდი, ეს „სიყრმის მეგობრები“ მე გადმომწრა, თუ ისე თქვა, რაიმე განსაკუთრებული აზრის გარეშე), — მერე ქეთინოს მიუბრუნდა, — შენ მამასთან იყავი, ბიძია არ შეაწუხო.

— არ ვეჭვიდავო?

— ჰო, არ ეჭვიდავო, — ღიმილით უპასუხა ნუნუქამ.

— მოდი ჩემთან, — ისევ მიიპატიჟა გიგანტმა ქეთინო.

ქეთინო მიუახლოვდა.

— რა გქვია, პატარა გოგო?

— ქეთინო. შენ რა გქვია?

„გიგანტი“.

— მე ნესტორი მქვია.

— ნესტორი? ჰი... ჩემს სპილოს ჰატი ჰქვია.

— ჰატი?

— მაუღლში რომ სპილოა, იმასაც ჰატი ჰქვია.

— აა! ახლა მითხარი, ძამიკო უფრო გინდა თუ დაიკო?

— შენ ძალღი გყავს?

— კი.

— რა ჰქვია?

— წაბლა.

— მე მამამ პატარა ლეკვი უნდა მიყიდოს და პიპო უნდა დავარქვა.

— რა სახელებია ატი, პიპო...

— ატი კი არა, ჰატი.

— ჰატი, ჰატი.

— მე და პიპო სულ ერთად ვიქნებით. ტყეში აღარ შემეშინდება. პიპო

ჯამალ ქარხაძე
ბიზანტი

მგელს მოერევა. შენ მილიციელს მოერევი?

— ბღღვირს კი არ ავადენ?!
— მამაც მოერევა. მაგრამ მამა არ ეჩხუბება მილიციელს. იმიტომ, რომ მილიციელს პატარა ვოგოები ციხეში არ მიყავს. მილიციელი წესრიგს იცავს.

— ისე იმას რა ვუთხრა!

— ხომ იცავს, მამა, მილიციელი წესრიგს?
ორ ცეცხლს შუა ჩავვარდი.
— თუ კარგი მილიციელია, იცავს. ქეთინომ დაეჭვებული თვალით გადნომხედა; შემატყო ღალატი. მეგრე ისევ გიგანტს მიუბრუნდა:

— სიმღერა იცი?

— როცა ჩაის ჭიქა მიჭირავს ხელში, მაშინ ვიცი.

— მე ისედაც ვიცი.
— რა სიმღერა იცი?
— „ეს საწყალი კურდღელი“.

— აბა, იმღერე.

ქეთინო მეორე ოთახში გავიდა, სათამაშო კურდღელი გამოიტანა, მკლავზე გადაიწვინა და იმღერა.

— მომღერალი გამოვა, — დაასკვნა გიგანტმა.

ქეთინო არ დაეთანხმა:

— მხატვარი გამოვალ!

— ხატვაც იცი?

— შენ შვილი გყავს?

— არა მყავს.

— რომ გყავდეს, ხატვას და სიმღერას ვასწავლიდი.
გიგანტმა მუხლზე დაირტყა ხელი.

— რა ენა აქვს, კაცო! რამდენი წლისა ხარ?

— მე დაბადების დღეზე მამა საჩუქარს მიყიდის.

— უთხარი ბიძიას, რამდენი წლისა ხარ.

— ჯერ სამისა ვარ. მალე ოთხის გავხდები. გინდა გაჩვენო სპილო ჰატი?

— აბა, მაჩვენე.

ქეთინო გაკუნთულდა და შემოიტანა სპილო ჰატი. საწყალ ჰატს კისერი ჩორღვეოდა და თავი ძაფზელა ჰქონდა: ჩამოკონწიალებული.

— აბა, მაჩვენე.

— უთხარი ბიძიას, რამდენი წლისა ხარ.

— ჯერ სამისა ვარ. მალე ოთხის გავხდები. გინდა გაჩვენო სპილო ჰატი?

— აბა, მაჩვენე.

ქეთინო გაკუნთულდა და შემოიტანა სპილო ჰატი. საწყალ ჰატს კისერი ჩორღვეოდა და თავი ძაფზელა ჰქონდა: ჩამოკონწიალებული.

— ოჰ! რა მოსვლია შენს სპილო ჰატს?

— ავადაა. მაგრამ, მე რომ დავიძინებ, დედა მიაკერებს თავს და ისევ კარგად იქნება.

— მე გიყიდი შენ ახალ სპილოს.

— როდის მიყიდი?

— დღესვე. საქმის გადადერა არ მიყვარს.

ამ დროს ნუნუკა შემოვიდა. ერთი ბოთლი შამპანური და შოკოლადი შემოიტანა. შოკოლადი შინ გვექონდა, — ერთმა ჩემმა კოლეგამ მოუტანა გეშინ ქეთინოს. შამპანური კი ახლა ეყიდა.

— რატომ შეწუხდით, ქალბატონო ნუნუ?

— ეს რა შეწუხებაა! შეწუხება რომ მდომოდა, სამოცფუთიან ჭურს მოგიხდიდით...

სანამ მე ბოთლს გავხსნიდი, ნუნუკამ ჭიქები შემოიტანა. ქეთინომ ერთი ჭიქა აიღო და გიგანტს მიაწოდა.

— აჰა, ჭიქა, იმღერე ახლა.

ნუნუკას გაუყვირდა. მე გამეღიმა. გიგანტი არხაროხდა.

— რა ბავშვია, კაცო! სიტყვაზე არ დამიჭირა?!

— თუ არ იცოდი სიმღერა, რას მატყუებდი?! — ცხვირი აიბზიკა ქეთინომ და ზურგი შეაქცია საპატო სტუმარს.

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს. — დავილოცე მე.

— გაუმარჯოს, — კვერი დამიკრა ნუნუკამ.

გიგანტმა პროფესიული მსმელის ჩესტით მალლა ასწია ჭიქა და სინათლეზე გახედა.

— ამ ჭერ-კუთხეს გაუმარჯოს! — საზეიმო კილოთი დიწყო მან. — ამ ტკბილ ოჯახს გაუმარჯოს! ამ ნორჩ ყვავულს გაუმარჯოს! — ქეთინო თავისკენ დაითრია და მარცხენა ხელი გადახვია. — თქვენს კარგ სიყვარულობას და თქვენს კარგ სულისკეთებას გაუმარჯოს! იცოცხლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ!

როცა შამპანური დავცალეთ, გიგანტმა თქვა:

— ქალბატონო ნუნუ, გოგი ამ საღამოს ჩემი სტუმარია.

გულზე შემომეყარა. არ იქნა და ვერ მოვიშორე ეს კაცი!

— აჰ არა, ნესტორ! ხვალისთვის იმდენი რვეული მაქვს გასასწორებელი, რომ მასხენდება, ტანში მასობილებს.

არავითარი რვეულები არ მქონდა გასასწორებელი, მაგრამ გვრძნობდი, რომ კიდევ ერთი საათი და გავგიჟდებოდი.

— არ გამაგონო! ოცი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს. რვეულებს უნდა ანაცვალო ჩვენი მეგობრობა?!

„მერე რა მეგობრები ვიყავით!“

— სხვა დროს იყოს...

— აჰაჰაჰაჰა! ხომ იცი, ახლა, არ მოგეშვები!

— გამავდებენ სკოლიდან! გიგანტმა ჩაიცინა.

— ეგ ჩემზე იყოს. უბატონოდ ხმას ვერ გაგცემენ.

„ნეტა რა არის ასეთი, ამდენს რომ იქაჩება?“

— უხერხულია, კაცო, ბავშვები...

— თუ ცოტა მაინც ვაქვს ჩემი სიყვარული („შენზე ამომდის მზე და მოვარე“), მაგაზე ლაპარაკ დაანებე თავი. მორჩა, მორჩა, შევთანხმდით. მიდი ახლა, ჩაიცივი და წავიდეთ!

ჩაიცივო!

ნუნუკასაც კი გადაკრა ფერმა.

საქმე ისაა, რომ ჩაცმული ვიყავი, — ჩემი უამგადასული პიჯაკილა მაკლდა.

შევატყვე, რომ წინააღმდეგობა უნაყოფო იქნებოდა.

— კარგი, წამოვალ, მაგრამ ხვალინდელი დღე, იცოდე, შენს სინდისზეა.

— იყოს ჩემს სინდისზე.

გავედი პიჯაკის ჩასაცემლად.

სამი-ოთხი დღის მერე მაინც შეხვედროდა ეს ბრიყვი! იქნებ ამასობაში ახალი კოსტუმი მეყიდა და ჩემს დღევანდელ ჩაცმულობას, ბოლოს და ბოლოს, მოშორდებოდა შეუფერებელი განსაზღვრება „საგარეო“, უკვე რამდენიმე წელიწადია დაცინვასავით რომ ის მის.

ნუნუკა შემოვიდა.

— ფული დაგვრჩა?

— ხუთი მანეთი. გალსტუქს არ იკეთებ?

— გავიკეთო?

— გაიკეთე.

— ამ ხალათზე?

ახალთახალი გალსტუქი მაქვს. ახალთახალი გალსტუქი. ძველთაძველი კოსტუმისა და ძველთაძველი ხალათის ფონზე მეტისმეტად თვალშისაცემ კონტრასტს ქმნის.

— არაფერია. სად მუშაობს შენი მეგობარი?

— რა ვიცი, სად მუშაობს.

— არ დაინტერესდი სიყრმის მეგობრის ამბით?

— შენი დაცინვა მაკლია ახლა.

— აიღე ეს ხუთი მანეთი.

— მაქვს ტრამვის ფული.

— აიღე. რა იცი, რაზე დაგჭირდება.

— გაგიღო? ხვალ რა ვკამოთ?!

— ღმერთი მოგცემს. აიღე.

— შენისთანა გოგო მეორე არ დაბადებულა დედამიწის ზურგზე.

— ვერც დაიბადება.

— მაშ, წავედი.

— მზად ხარ? — მკითხა გიგანტმა და საკმაოდ უცერემონიოდ შეათვალიერა ჩემი მორთულობა.

გამოთხოვებისას ქეთინოს შუბლზე აკოცა, ნუნუკას ხელი კი ისევ ისე დაითრია, შემეშინდა, არ აახლოიროს-ქეთქი.

— დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს გოგის ასეთი ტკბილი ოჯახი ჰქონია, — გამოაცხადა წასვლის წინ.

— სპილო არ დაგავიწყდეს — მიაცხა ქეთინომ.

ასე დამთავრდა გიგანტის სტუპრობა. შემდგომი ეტაპი უკვე გიგანტის ვასპინძლობა იყო.

— რა მიყავი, კაცო, გადაირევა ხვალ ჩემი ღირებურობი.

— გადაირევა და ცივი წყალი დალიოს.

— სად მივდივართ?

— არ ინანებ, ნუ გეშინია.

ჯამალ შარჩხაძე
გიგანტი

გიგანტი ოდნავ წინ მიდიოდა და ჩემ-
კენ არ იყურებოდა. ღმერთმა იცის, იქ-
ნება მართლა ყველაფერი ჩემი ფანტა-
ზიის ბრალი იყო. ყოველ შემთხვევაში,
ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ამ
ელეგანტურად ჩაცმულმა კაცმა ქუჩაში
დამიჭირავა ახლადშექმნილი ტელევი-
ზორის შინ მისატანად.

გიგანტმა უნივერსალში შეუხვია
— აქ რა გვინდა?

ჩემი ჰკუთთ, ვითომ იხტიბარს არ ვი-
ტყებდი და ფორმალურ დამოუკიდებ-
ლობას ვინარჩუნებდი.

— მოდი.

მხოლოდ მაშინ მივუხვდი განზრახ-
ვას, როცა გეზი სათამაშოების განყოფი-
ლებიდან აიღო.

დახლში ახალგაზრდა ქალი იჯდა. გა-
ფუძვლებული თმა, რომელიც ძალიან
უხდებოდა ქალიშვილებს, სახეზე ტონი,
თვალების კუთხეებში, ოდნავ ირიბად,
შავი ხაზები, და ღია ფერის პომადი. ერ-
თი სიტყვით, თანამედროვე თავი მოჩან-
და დახლს უკან.

— ჩემი კატეგორიული სალამი! —
დარდიმანდული კილოთი მიესალმა გი-
განტი და მეც იძულებული გავხდი მეთ-
ქვა გამარჯობათ-მეთქი, თუმცა უცნობ
გამყიდველებს არასოდეს ვესალმები.

— გამარჯობათ, — გვიპასუხა ახლ-
გაზრდა ქალმა და მოლოდინის თვალთ
მიაჩერდა გიგანტს.

— აბა, თუ მიხვდებით, რა გვინდა! —
მიაშტერდა ახალგაზრდა ქალს გიგანტი.

— სპილო, — ისეთი ხმით უპასუხა
ქალიშვილმა, თითქოს სპილოს მეტი ამ
უნივერსალში არაფერი იყიდებოდა.

გიგანტი გადაიხრია.

— ამისთანა ლამაზი ქალიშვილი თუ
ასეთი გულთმისანი იქნებოდა, მაგას კი
ველარ ვიფიქრებდი. აბა, აგვიჩიეთ ერ-
თი კარგი — ლამაზი სპილო, თქვენ რომ
შეგეფერებათ, ისეთი.

წარმოდგენა არა მაქვს, რა უნდოდა
ეთქვა ამ „თქვენ რომ შეგეფერებათ“,
მაგრამ ქალიშვილს არ გაკვირვებია, პი-
რიქით, კეკლუცად გაიღიმა და ტანის
მოხდენილი რხევით მოშორდა დახლს.

გიგანტმა გადმომხედა და ეშმაკურად
ჩამიკრა თვალი.

ქალიშვილმა სპილო მოიტანა— დიდი,
ლამაზი სპილო.

— მოგწონთ?

— კი, კარგია. თუმცა თქვენ ვერ შე-
გედრებათ. შენ რას იტყვი? — მომიბ-
რუნდა გიგანტი.

— კარგია, მაგრამ... რა ღირს?

— თორმეტი მანეთი.

— რამე უფრო იაფიანი... — ხმადაბ-
ლა ვუთხარი გიგანტს.

— რას ჰქვია უფრო იაფიანი! — ვი-
თომ გაჯავრდა გიგანტი, — შენ ვინ გკი-
თხავს, შენთვის ხომ არ ვყიდულობ?!
ჩემი ძმაცაცისთვის ვყიდულობ, რას ერ-
ჩები ჩვენს საქმეში?!

ქალიშვილმა გაიღიმა.

— შემიხვით, გენაცვალე, — მოულოდ-
ნელად „შენობით“ ლაპარაკზე გადავი-
და გიგანტი და ფული ამოიღო.

ქალიშვილმა სპილო შეახვია და
დახლზე დადო. ლამაზი ხელებიც დახლ-
ზე დააწყო.

— შესანიშნავია, — თქვა გიგანტმა, —
ასეთი სიმპათიური ქალიშვილისაგან
ცუდ სპილოსაც კი სიამოვნებით ვიყიდ-
დი („სიმპათიური... რატომ სიმპათიუ-
რი?“). დღეის ამას იქით ყველაფერს აქ
ვყიდულობ. ხვალაც მოვალ. მოვიდე?

— მობრძანდით, — ქალიშვილს სახე-
ზე ღიმილი არ სცილდებოდა.

— აუცილებლად მოვალ. რომელ სა-
ათამდე მუშაობთ? — ისევ მიმართვის-
თავაზიანი ფორმა აირჩია გიგანტმა.

— ექვსამდე.

— აუცილებლად მოვალ, — გიგანტმა
თავისი ბანკველიანი ხელი მოულოდნე-
ლად ქალიშვილის ლამაზ ხელს დაადო.
მე გავწითლდი, ქალიშვილი არ გაწით-
ლებულა. — აუცილებლად მოვალ.

მერე რა სიმპათიური ქალიშვილი
იყო!

სიმპათიური?

სიპანტიური!

არა, ოცი წელი არ გასულა, რაც მე
და გიგანტი ერთმანეთს დავშორდით.
ოცი წლის წინ სკოლა დავამთავრეთ და

ჩვენ-ჩვენი გზით წავედით, მაგრამ სკოლის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ ისევ შეგვხვდა გიგანტი. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. მე მაშინ მესამე კურსზე გადავედი, გიგანტი კი იმ წელიწადს შევიდა უმაღლესში. ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით ჩვენი პატარა, პერიფერიული ქალაქიდან თბილისამდე. მე არადადეგები მქონდა და აღარ მახსოვს, რა საქმეზე მოვდიოდი. გიგანტი საბუთების შესატანად მიდიოდა. წინა ორ ზაფხულსაც ევაგვზერებოდა უმაღლესი სასწავლებლის კარს, მაგრამ ვერ შეაღო. მაშინ მამამისმა, ჩვენი პატარა ქალაქის სახელგანთქმულმა მეგობრემ, ორი წლის ამო წამებით გულადუღებულმა, დაიქაძნა, მე არ ვიყო ჩვენი პატარა ქალაქის პირველი მეგობრე, თუ ნესტორი წელს უმაღლესში არ მოვაწყობო, და ამ მიზნით ფრიად თავგანწირული ნაბიჯი გადადგა. უნდა ითქვას, რომ მეგობრე მამამ სიტყვა შეასრულა, თუმცა, მე თუ მკითხავთ, არც ის უნდა დარჩეს უთქმელი, რომ თავი მართლა გაწირა: როდესაც გიგანტმა გამოცდები ჩააბარა და ვამარჯვებელი სარდალივით დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, მამამისი უკვე ადვილობრივი ციხის ბინადარი იყო.

მაგრამ სათქმელს გადავუხვიე. დიან, მე და გიგანტმა ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით.

გიგანტი ნასვამი იყო. სანამ მატარებელი დაიძრებოდა, ფანჯარაში ჰქონდა თავი გაყოფილი და ფორმალური მორჩილებით ისმენდა მშობლების უკანასკნელ დარიგებას. ჩვენს კუბეში ერთი ვოგონა იჯდა. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა, მაგრამ კარგა ჩათქვივრებული კი იყო. და აი, როცა მატარებელი დაიძრა და გიგანტის დეაწლმოსილი მშობლები ოვალს მიეფარნენ, მომავალი სტუდენტი მოტრიალდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე გამოუცხადა ჩათქვივრებული გოგონას: „თქვენ ჩემი სიბანტია ხართ!“ გოგონამ სიამოვნებით ჩაიკისკისა და ეშმაკურად შეათვალიერა ჩემი გიგანტი ამბანავი (ღვთის წინაშე, შესაფერისები კა

იყენენ). ეს იყო ერთგვარი ნიადაგის მომზადება შემდგომი გულითადი სატბრისათვის, რომლის აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ჭეშმარიტად ვასაოცარ საუბარში მრავლის უმრავლესჯერ იქნა წარმოთქმული სიტყვა „სიბანტია“. შუალამისას, როდესაც გოგონას ძილი მოერია, გიგანტი ზედა საწოლზე აბობლებავი დაეხმარა. გოგონამ კეკლუცად გაუღიმა და მადლობა გადაუხადა, ხოლო დილით, გამოთხოვებისას, თავისი მისაწარმო მისცა.

არა, იმას კოქებში ეტყობოდა, რა შვილიც იყო, მაგრამ ეს?!

— დაიქი! — ლამაზად შეხვეული სპილო გამომიწოდა გიგანტმა.

საბავშვო განყოფილებას რომ გამოვცდით, გიგანტი შეტრიალდა და გამოთხოვების ნიშნად ხელი დაუქნია ქალიშვილს.

— არაა ურიგო გოგო. რას იტყვი?

— პირიქით, ძალიან... სიმბათიური.

ვერ ვავბედე. მინდოდა მეთქვა, ძალიან სიბანტიურია-მეთქი, მაგრამ ვერ ვავბედე.

— ღირს აბა, ხვალ საღამოს შემოვიარო?

— კი, ღირს.

— ხარაშო... — მითხრა გიგანტმა.

ქუჩაში კვლავ განვაახლეთ ტელევიზორის მყიდველისა და დაქირავებული მუშის როლი. ოღონდ ამჯერად ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები აღარ ჩამიტარებია. მართალია, ამის სანაცვლოდ ვცდილობდი, იუმორის თვალით შემეხედა ყველაფრისათვის, მაგრამ რა დროს იუმორი იყო, გულზე ვიყავი გახეთქილი!

ბოლოს გიგანტმა ერთი ცნობილი რესტორნის კარი შეაღო, შუა დარბაზში შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა. მეც შუა დარბაზში შევჩერდი და მიიხედ-მოვიხედე (ვიფიქრე, თავისუფალ ადგოლს თუ ვეძებთ-მეთქი). ბოლოს გიგანტმა

ჯემალ ძარჩხაძე
გიგანტი



ვილაც შეამჩნია და ხელი აუწია. ის კაცი ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდა.

— ოო! გამარჯობათ, ნესტორ კონსტანტინოვიჩ!

იმ კაცმა და ნესტორ კონსტანტინოვიჩმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. (საწყალი კოსტაია! რამდენ ხანს იჯდა, ნეტა, ციხეში ამ უბედურის უმადლესში მოწყობისათვის?).

— ჭამს თქვენთან კაცი კარგ სადილს? — ჰკითხა გივანტმა.

— ისეთ სუფრას გაგიშლით, ოჯახში გეგონებათ თავი.

არ ვიცი ვისი ოჯახი იგულისხმებოდა, მაგრამ იმას კი მიეხვდი, რომ ეს კაცი ან ღირეკტორი უნდა ყოფილიყო, ან ღირეკტორის მოადგილე.

— აბა, თქვენ იცით! ცალკე ოთახი ხომ არის?

— კი, ბატონო. აქეთ მობრძანდით.

ღარბაზის კუთხეში სამი კაცი უჯდა მაგიდას და საექვოდ გვითვალვალვებდნენ. ერთი აყლაყუდა იყო (ყოველ შემთხვევაში, დამჯდარი მთელი თავით მალაი ჩანდა დანარჩენებზე) და ცალი ლოყა გამობერილი ჰქონდა, — ეტყობა მთელი ქათამი ედო პირში. დანარჩენი ორი დაბლები იყვნენ და ერთმანეთს ჰგავდნენ, ოღონდ ერთს სათვალე ეკეთა, მეორეს კი — არა. პირველად უსათვალომ შეგვეამჩნია და ამხანაგებს რალაც გადაულაპარაკა. სათვალეანმა ხელი ჩაიქნია, ხოლო აყლაყუდა დაინტერესდა და უსათვალოსთან ერთად საექვოდ დავიწყო ცქერა.

„მთვრალეების აკიდება მაკლია ახლა?“

რალა მექნა, ვინმეს რომ ანგარიში ჰქონოდა გასასწორებელი ამ შტერ გივანტთან და აყალმაყალში გავრეულიყავი? როგორია მილიციის განყოფილებაში თავის ამოყოფა და ამავე დროს სრული შეგნება იმისა, რომ შენ მომავალ თაობას ზრდი?!

დავიმშვიდე თავი, მთვრალეებს, საერთოდ, სჩვევიათ უტიფრად ცქერა-მეთქი. და კუბეში შევყევი გივანტსა და ღირეკტორის მოადგილეს (თუ ეს ღირეკტორის მოადგილე იყო).

— დაბრძანდით და ახლავე ყველაფერი გაჩნდება, — დაგვიპირდა ღირეკტორის მოადგილე და გავიდა.

მეორე წუთს კუბეში შემოვიდა ოფიციანტი, ახალგაზრდა ბიჭი.

— გამარჯობათ.

— გამარჯობათ.

ეს მე ვიყავი. გივანტი არ მისალმებია, პირდაპირ საქმეს შეუდგა:

— აბა, რით გვასიამოვნებ?

— წიწილები გვაქვს...

— ახალი.

— ახალი. მწვადი შეგვიძლია შევწვათ. წენიანს ხომ არ ინებებთ?

— წენიანი შენთვის შეინახე.

ოფიციანტს ფერმა გადაეკრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ეტყობა, ღირეკტორის მოადგილემ სათანადო ინსტრუქცია ჩაუტარა.

ამ დროს მეორე ოფიციანტი შემოვიდა, ქალი, და ორი ბოთლი რვა ნომერო ღვინო შემოიტანა.

— ეს რა არის? — იკითხა გივანტმა.

— გამოგიგზავნეს.

— ვინ?

ქალი უკვე გასვლას აპირებდა.

— არ ვიცი, გვარი არ უთქვამთ.

გივანტმა გამანადგურებელი თვალით შეხედა ოფიციანტ ქალს და წამოდგა.

— აბა, მაჩვენე!

გივანტი და ოფიციანტი ქალი გავიდნენ.

— დიდი ხანია აქ მუშაობთ? — ვკითხე ახალგაზრდა ოფიციანტს.

— ორი წელიწადია.

„ნეტა გივანტი როგორი ოფიციანტი იქნებოდა?“

ამ დროს გივანტი შემოვიდა და ოან შემოჰყვა ის სამი ტიპი, წელან რომ საექვოდ გვითვალვალვებდნენ.

— ორი კაცი კი კაცი, მაგრამ ხუთი კაცი მთლად უკეთესი! — თქვა გივანტმა, — იცნობდეთ, ჩემი სკოლის ამხანაგი და ბავშვობის მეგობარი. ოცი წელიწადია არ მინახავს.

შემოსულეებმა ხელი ჩამომართვეს და



გულდასმით შემათვლიერეს.

— ასე... — ხელეები მოიფშენიბა გიგანტმა, — ახლა შეიძლება კარგი ქართული ქეიფი. ტკბილი და უვნებელი. აბა, ბიჭო, — მიუბრუნდა ოფიციატს, — კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი. ორი ბოთლი ხომ არის აქ? არის. ესე იგი: ჯერჯერობით რვა ბოთლი რომ მოგვითანო კიდევ, რამდენი იქნება?

— რვა ბოთლი... — გაიმეორა ოფიციატმა და ფანქრით ჩაინიშნა წიგნაკში.

— რამდენი იქნება? — არ მოეშვა გიგანტი.

— აბა, თქვი, თუ ბიჭი ხარ, რამდენი იქნება? — აუბა მხარი მეგობარს აყლაცულამ.

— ათი ბოთლი იქნება, — მშვიდად მიუგო ოფიციატმა.

— ცოდნია! — ახარხარდა აყლაცულა და, სიცილით რომ გული იჯერა, განაგრძო, — ახლა ეს გვითხარი: ტარანახევარი ღირს კაპიკანახევარი, რა ეღირება ათი ტარანი?

ოფიციატი აიღეწა. მე კი ვიჯექი და ხმას არ ვიღებდი.

სამაგიეროდ სათვალთან ჩაერია: — ნუ გაუწყალეთ ბიჭს გული! გამოჩნდა ენამახვილი ხალხი!

— ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ გვემსახურება, — შეედევა უსათვალო.

— გვეყოფა, — ხელი ასწია გიგანტმა, — ესე იგი, — მიუბრუნდა ისევ ოფიციატს, — რვა ბოთლი. რვა ნომერია, რვა ნომერი იყოს. წიწილები...

— რამდენი?
— რას ჰქვია რამდენი?! რამდენიცა ვართ, იმდენი.

— აბა, რამდენი ვართ? — ისევ ახარხარდა აყლაცულა, რომელიც, ეტყობა, ჯერ კიდევ წიდანდელი ოხუნჯობის ეშში იყო. მაგრამ ამჯერად აღარავინ აყოლია.

— ხუთი წიწილა.. — ჩაინიშნა ოფიციატმა.

— საუზმე ხომ იცი? სულგუნე, მხალი, ხიზილალა, ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგი. მერე: სამწვადე ხორცი

მზად გქონდეს და, როგორც კი განიშენებ, მაშინვე შეუკვეთე. გასაგებია?

— ნესტორ კონსტანტინოვიჩი, — მიუბრუნდა გიგანტს უსათვალო და აყლაცულაზე მიუთითა, — ამისთვის კველაფერი ორ-ორი თავი მოიტანოს, თორემ ვიცი, დესერტად მე დამაყოლებს.

— შენს ზორცს ძალდი არ შექამს! — დაიცვა თავი აყლაცულამ.

— მერე შენ და ძალდი ერთი ხართ? — დიხად შენიშნა სათვალთანმა.

— არ მიაქციო ამთ ყურადღება, — მითხრა გიგანტმა, — ესენი სულ ასე კბენენ ერთმანეთს.

მე თავაზიანად ვავიდიმე.

...ოფიციატმა სურსათ-სანოვავე შემოიტანა.

გიგანტმა ხელახლა მოიფშენიბა ხელები. ასევე მოიქცა აყლაცულაც...

სუფრის ერთ თავში გიგანტი იჯდა. მეორეში აყლაცულა. აქეთ მხარეს მე და უსათვალო ვიჯექით, ჩემს პირდაპირ — სათვალთან.

— ვახსენოთ ღმერთი... — დაიწყო გიგანტმა.

— რომელსაც ზოგი ჩვენგანის განქნაში მონაწილეობა არ მიუღია, — დიხად ჩაუბრუნა სათვალთანმა. სათვალთანს ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა და თავისი ორი ამხანაგისაგან განსხვავებით, გიგანტთან ურთიერთობისას, არ ახსენებდა საწყალ კოსტიას.

— დაიწყო ახლა ამან თავისებური! — თქვა გიგანტმა, — თუ შეგვარგოს, აბა, ლუკმა!

— კუთხეში დავაყენოთ! — წამოიძახა გახარებულმა აყლაცულამ და მართათვითონ გაიციანა.

— აღარ ვვარგვივართ ქართველები, — გამოიტანა განაჩენი გიგანტმა, — ყველგან კი არ უნდა ღრეკვა. ქართული სუფრა, ძმაო, ის კი არ არის... ეს წმინდა აზბავია. გაუმარგოს ქართულ სუფრას, ღმერთი შეგვეწიოს.

— ღმერთი შეგვეწიოს, — დაუღასტე

ჯამბო მარჩაძე
გიზანბი



რა აყლაყულამ. ჩემი აზრით, მას მართლა სჭირდებოდა ღვთის შეწევნა.

— გაუმარჯოს ქართულ სუფრას. გაგვიმარჯოს, — დალია უსათვლომაც.

— ქართულ მადას გაუმარჯოს, — თქვა სათვლიანმა.

— ნუ გიყვარს შენ ყველაფრის გამასხარავება! — უკმაყოფილოდ შენიშნა გიგანტმა.

— გაგვიმარჯოს, — დავილოცე მეც და ნახევრამდე დავცალე ჭიქა

— აპა-პა-პა-პა-პა! ახლა ღვინოს არ ვსვამო და რალაცებები არ დამიწყო, — მითხრა გიგანტმა და ახლო მომიჩოჩა ჭიქა, — ყურძნის წვევია, ბიჭო, ვენაცვალე ამის დამწურავს კოჭებში. ქართულ სუფრაზე ქართულად უნდა დილიოს. აბა, მიდი!

— ნესტორ...

— არ ვიცი მე „ნესტორ“! ჭიქა დაცალე და მერე მითხარი, რაც გინდა.

არა მაქვს წინააღმდეგობის უნარი. დავცალე ჭიქა.

— აი, ეს უკვე სხვა საქმეა, — მოწიზარუნდა სათვლიანი, — ახლა სრულფასოვანი ქართველი ხარო, ეჭვს ველარავინ შეიტანს.

— არ იქნება ამ კაცის გაჩერება დღეს?! — ვითომ გაჯავრდა გიგანტი (სეკი მგონია, ამ „ვითომ გაჯავრების“ უკან არ იყო მაინცაღამაინც სავითომოდ საქმე).

— ახლა, მეგობრებო, — საზეიმო კილოთი დაიწყო გიგანტმა, — მე მინდა ერთი ტკბილი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. შეიძლება ამით ქართულ სუფრის წესს ცოტა გადაუხვიოთ...

— ქართული წესიდან გადახვევა ქართველობიდან გადახვევაა, — ჩაუბრუნდა სათვლიანმა.

— მოუხერხეთ ამ კაცს რაღაცა! — ისეც „ვითომ“ გაჯავრდა გიგანტი.

აყლაყულამ ყური აუწია სათვლიანს და მარტო თვითონ გაიცინა. გიგანტმა კი განაგრძო:

— დახ, შეიძლება ქართული სუფრის წესს ცოტა გადაუხვიოთ, მაგრამ დღევანდელი დღის სულსკვეთება, რო-

მელიც დღეს ოცი წლის უნახავი გიგანტის ბარი შევიძინე და ჩემი გული საესეა ამ სიხარულის სულსკვეთებით, გვეპატიება ცოტა გადახვევა. მე მინდა, დიდი გრძნობით და დიდი სიყვარულობით შემოგთავაზოთ ჩემი ტკბილი მეგობრის, ჩემი ძმის, ჩემი საყვარელი გოგონის სადღეგრძელო. როგორ გადის დრო! გუშინდელივით მახსოვს, ბოლო ვაპოცდა რომ ჩავაბარეთ, მთელი ღამე ვიჭეიფეთ და კარგადაც მოვიღბინეთ. ასე ვიჭეიფით მაშინაც მე და ჩემი გოგია და აგერ ოცი წელიწადი გავიდა და ერთმანეთი არ გვინახავს. დღეს ჩვენ ვნახეთ ერთმანეთი და ქართულ სუფრას მოვაშურეთ, რომელიც სიყვარულობა და სულსკვეთება ყველაზე უკეთესად ქართულ სუფრაზე გამოიხატება. ჩემს გოგიას გაუმარჯოს! მის ხასიათს ვენაცვალე მე! არ იცნობთ თქვენ გოგიას, მაგრამ დღეის ამას იქით ჩვენი წევრი გახდა. დიდთან რომ დილია, პატარასთან პატარა, მტერთან მტერი და მოყვარესთან მოყვარე. ჩემს გოგიას გაუმარჯოს თავისი პატარა ტკბილი ოჯახით, თავისი პატარა ქეთი-ნოთი, ჩემი ძმაცაცით, და თავისი ოჯახობით, რომელიც ჩემი ტკბილი და, ჩემი ნუნუ, ნამდვილი ქართველი ქალია, ვენაცვალე სულში. შენ ვენაცვალე, ჩემო გოგია, მოდი, ახლა გაკოცო, თორემ მერე სიმთვრალეს დააბრალებენ.

მე და გიგანტმა საზეიმო ვითარებაში გადავკოცნეთ ერთმანეთი.

აყლაყულამ ჭიქა აიღო და მომიბრუნდა:

— გაგიმარჯოს, ჩემო ძმაო! რაც მეტი ვიქნებით ქართულ სუფრაზე, სიხარულიც მეტი იქნება. კეთილი იყოს შენი ფეხი, მე ასე ვიტყვოდი, ჩვენს ოჯახში. იმიტომ რომ ეს ჩვენი ოჯახია. ერთ მრუდე კაცი კი გვირეგია, — სათვლიანს დაჰკრა ბეჭზე უშველებელი ზელი, — მაგრამ გული ამასაც კეთილი აქვს. გაგიმარჯოს და კარგად იყავი იმ შენი კაი ოჯახით.

სიტყვა აიღო უსათვლომ.
— რომ დავინახე რესტორანში შენისული, მაშინვე მივხვდი, კაი ბიჭი იქნე-

ბოლი. იმიტომ რომ სხვანაირად არ შეიძლება, ნესტორ კონსტანტინოვიჩის მეგობარი ჩვენი მეგობარიცაა. ვინც ნესტორ კონსტანტინოვიჩის მეგობარია არაა, ის არც ჩვენი მეგობარია.

— რკინისებური ლოჯიკის კლასიკური მაგალითი, — ჩაილაპარაკა სათვალისანმა.

— მაცალე, კაცო! — გაუწყრა უსათვალო. მერე ერთხანს პირდაღებული შომჩერებოდა, ეტყობა დაავიწყდა, სად გაჩერდა, — ჰო... შენ რომ ნესტორ კონსტანტინოვიჩის მეგობარი ხარ, ამისათვის შენ ვაგიმარჯოს შენი ოჯახით, შენი ნათესავებით, ყველა შენი კეთილის მღობით.

ბოლოს სათვალისანმა აიღო ჭიქა.

— ვაგიმარჯოთ, — მითხრა მან, — ბედნიერებას გისურვებთ. ჩვენი ენამჭევრი თამადა რომ ოცი წელია არ გინახავთ, ამით, რასაკვირველია, არაფერი დაგიკარგავთ. არც იმით შევიძენიათ რაჰე, რომ ოცი წლის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს, ნახეთ...

— უხ, შენი! — თქვა გიგანტმა. აყლაცულა ისევ წაწვდა ყურში სათვალისან და ისევ გაიცინა, უსათვალომ კი ხელეზი გაშალა და მხრები აიჩჩა, ვინაა ეს კაცი, გამაგებინეთო.

— კარგად იყავით. თქვენს ოჯახს ვაუმარჯოს, — დაამთავრა სათვალისანმა.

ჯერი ჩემზე მოდგა.

— მაღლობელი ვარ ჩემი და ჩემი ოჯახის დღეგრძელობისთვის. ვაგიმარჯოთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ამის შემდეგ საუბრის თემა ერთ ხანს ჩემი და გიგანტის ბავშვობა გახდა.

— მთელ ქალაქს ამის ნიჭიერება ჰქონდა სალაპარაკო, — შეუდგა გიგანტი ჩემს ქება-დიდებას (ალბათ იმედი ჰქონდა, პატივისცემას პატივისცემით გადავუზღიდო), — არ იყო ამოცანა, ამას რომ არ ამოეხსნა. მასწავლებლები რომ თავს იმტვრევდნენ, დაჯდებოდა ეს და ხუთ წუთში ამოხსნიდა, როგორც ჩვენ ახლა ამ ღვინოს დავლევთ. ვადარეული იყო მთელი ქალაქი. ნწუ, ნწუ, რა ვუთხრა მე ამ ცხოვრებას, ასე ბრუნდად რომაა მოწყობილი, თორემ ამის ნიჭის პატ-

რონს მასწავლებლობა კი არა, დირექტორობა არ ეკადრებოდა.

— ნწუ, ნწუ... — თქვეს აყლაცულა და უსათვალომ.

— ასე უკადრისი საქმეა მასწავლებლობა? — იკითხა სათვალისანმა.

— უკადრისი რატომაა?! ჩვენი მომავალი თაობის, ჩვენი პატარა ყვავილების აღზრდა! ძალიან სანაქებო საქმეა, მაგრამ... — გიგანტმა აღარ განმარტა „მაგრამ“ და ისევ წარსულს დაუბრუნდა. — ერთხელ ერთი ძნელზე ძნელი პავალითი ამოხსნა და ალგებრის მასწავლებელმა შუბლზე აკოცა. უუჰ! ღმერთივით ქალი კი იყო ის მამაძალი! ვახსოვს, გოგია, რა ტანი ჰქონდა? ხო-ხო-ხო-ხო! თქვენი არ ვიცი და მე იშვიათად მინახავს, ძმაო, იმისთანა ქალი. მივიღა, კაცო, ამ გოგიასთან, გადახვია ხელი და არ აკოცა?! დედა, ვადავირეთ! ეს გაწითლდა. შერცხვა სასტიკად. პატარები კი აღარ ვიყავით, მეშვიდე კლასში ვიქნებოდით. მეშვიდეში არ ვიქნებოდით, გოგია?

— მეექვსეში ვიყავით.

— მეექვსეში, მეექვსეში. მაინც კი ტალიკ-ტალიკი ბიჭები ვიყავით. დედა! რაც ჩვენ მაშინ ვემასხრებოდით! ვახსოვს? როდის აწერთ ხელს-თქვა, რას შერება შენი შეყვარებული, როგორაა-თქვა, ე, ბიჭო, მიპროტექტორე შენს მეუღლესთან, ამ მეოთხედში ორიანს ნუ გამომაყოლებს-თქვა. დედა! რა დღეში გყავდა საწყალი ბიჭი! მე მაინც მაგნაირი საქმე გამეგო და რაღა მომასვენებდა.

— შენთვის არავის უკოცნია? — პკითხა სათვალისანმა.

— უკოცნია კი არა, ყოველ მეორე ვაკვეთილზე გარეთ მაგდებდა. ჩემისთანა ამრევს ვინ აკოცებდა! იმ ქალის საგანს მაინც სულ მასხრად ვიკვებდო. არა, ღმერთივით ქალი კი იყო, ნეტავი იმის ქმარს!

— ზარმაცი ბრძანდებოდით, ნესტორ

ჯემალ მარჩაძე
ბიზანტი



კონსტანტინოვიჩ? — შეეკითხა უსათვალო.

— ზარმაცი და მერე რანაირი. არ მესმოდა, ბიჭო, რა საჭირო იყო მათემატიკის სწავლა $x^2 + y^2 +$ რაღაცა კვადრატ... რაში გამომადგება-მეთქი, ვფიქრობდი. წიგნი არ ამიღია ხელში.

„როგორ არ ავიღია, შე გიგანტო! ტვენს კი არ ანთხევდი ზედ?! მაგრამ არ შედიოდა შენს გასიებულ თავში $x^2 + y^2 +$ რაღაცა“.

— რა ვართ მაინც ეს ქართველები! — შესძახა უსათვალომ, — გვეზარება ყველაფერი. მაგრამ თუ დაგვეჭირდა!..

— თუ დაგვეჭირდა? — დაინტერესდა სათვალიანი.

— თუ დაგვეჭირდა, ერთი წლის თავსამტვრევს ერთ დღეში ვისწავლით. ისე მეკითხები, ვითომ არ იცი.

— თუ მართლა ასეა, მაშინ შენი ქართველობა საექვოა.

— წადიიი!..

— ერთი ხანობა გოგვის მიმბარეს მათემატიკაში სამეცადინოდ, — ხელასლა ამოქეჩა გიგანტმა თავისი სახელოვანი წარსული, — რაც ჩვენ მაშინ გავწვალდით ორივე! ხათრს ვერ ვუტეხდი, ძმაცაი იყო. კაცი მონდომებულა გამეცადინოს და რა სინდისით გინდა არ მიხვიდე. მივდიოდი, მაგრამ, როგორც ახლა ეს კედელი გვისმენს ჩვენ, ისე ვუსმენდი მაგას. მიხსნიდა, მიხსნიდა, მიჩიჩინებდა, იწურებოდა ოფლში. მე ვიჯექი ჩემთვის, ისეთი სახე კი მქონდა, ვითომ ვუსმენდი, მაგრამ სინამდვილეში ხან ფეხბურთზე ვფიქრობდი, ხან გოგობზე, ხან რა ვიცი...

— რა ყოფილხართ, ნესტორ კონსტანტინოვიჩ, რა ყოფილხართ! — გაუბრწყინდა სახე უსათვალოს.

სათვალიანი უსათვალოს უეკურებდა და ილიმებოდა.

— კარგი, გვეყოფა ახლა, დაგვიგვიანდა სადღეგრძელო.

— დაგვიგვიანდა, დაგვიგვიანდა... უყოყმანოდ დაეთანხმა უსათვალო.

გიგანტმა ჭიქა ასწია და სინათლეზე გახედა. მეორე ხელით ზარი დარეკა.

— მეგობრებო! ამ პატარა სასტუმროში მაგრამ დიდი გრძნობით და დიდი სიყვარულით, მე მინდა შემოგთავაზოთ ერთი ლამაზი სადღეგრძელო, — ამ დროს ოფიციალტი შემოვიდა. გიგანტმა ხელით ანიშნა ოფიციალტს, იდექი მანდ და ფენი არ მოიცვალოო, და განაგრძო, — ძე ვსვამ ჩვენი კოპწია საქართველოს სადღეგრძელოს, ჩვენი პატარა, წალკოტოვანი საქართველოს სადღეგრძელოს, რომელიც დღეს ამ სუფრაზე ჩვენი ვალია, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ და დიდი სიყვარულობით და დიდი გრძნობით მოვილხინოთ. დღევანდელი ჩვენი სულისკვეთება გამსჭვალულია ამ დიდი სიყვარულით, რომელიც ჩვენ ჩვენი მამული გვიყვარს და იმის ოჯახი დიქცა, ვისაც თავისი მამული არ უყვარს. სად მოდის სხვაგან ასეთი წვენი, მე ამის დამწურავს ვენაცვალე კოჭებში! ჩვენი ვაჟაცობა, რომელიც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვიგვრიებდით ურიცხვ მტერს და არ შევეჭამეთ, ვაჟაცურად მოვიტანეთ აქამდე ჩვენი ქართული სულისკვეთება და მამა-პაპის სამარე. ჩვენი ვალია, თავი შევწიროთ საყვარელ სამშობლოს და შევარცხვინე მე ისეთი ქართველი, რომელიც ქართულ სუფრაზე დაჯდება და საქართველოს სადღეგრძელოს არ შესვამს. გაუმარჯოს საქართველოს! თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, სულში!

აღლევებულმა გიგანტმა დაცალა ჭიქა, გადმოაბრუნა იმის ნიშნად, რომ წვეთიც არ დაუტოვებია, და მომიბრუნდა:

— ალავერდი შენთანა ვარ, ჩემო გოგია.

ის, რაც მე ვთქვი, თავისუფლად გამოდგებოდა სახელმძღვანელოში ჩასაწერად, როგორც უტაქტობის საუკეთესო ნიმუში.

— მართალია, ღვინის სმა ჩემთვის მძიმე შრომაა, მაგრამ მაინც ვაგვებდავ და ვიტყვი, რომ, საერთოდ, ღვინის სმა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე სამშობლოს სიყვარული.

— ნამდვილად, ნამდვილად, — დამეთანხმა გიგანტი.



სათვლიანმა გაიღმა.

მე განვაგრძე:

— სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, არის საქმე. მე ვსვამ საქართველოს სადღეგრძელოს და ვისურვებ, რომ ყოველ ქართველს, თავისი ძალ-ღონის შესაბამისად, გაეკეთებინოს პატარა რაიმე და ამით დაემტკიცებინოს სამშობლოს სიყვარული.

გივანტმა შეფიქრანებული იერით დამიქნია თავი, ეტყობა, მაინცადაშიანც კმაყოფილი ვერ დარჩა ჩემი ქადაგებით. მერე ოფიციალს მიუბრუნდა:

— აგერ ცარიელი ჭიქა.

ოფიციალი ვერ მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან.

— შეავსე.

შეავსო.

— აბა, გისმენთ. ხომ იცი, საქართველოს სადღეგრძელო ბოლომდე უნდა დაილიოს.

— გმადლობთ, მაგრამ ღვინოს არა ვსვამ, — თავზიანად იუარა ოფიციალი.

— აბა რას სვამ?

ოფიციალი მხრები აიჩეჩა.

— საქართველოს სადღეგრძელოს არა სვამ?

— ღვინოს არა ვსვამ.

— იქნებ არ გიყვარს საქართველო?

— ავის მომასწავებლად დაუწია ხმას გივანტმა.

— ღვინო არ მიყვარს, ბატონო.

— ამას არ უყურებთ, რამდენს ბედავს?! — გულწრფელად გაიკვირვა გივანტმა და თანამესუფრეებს გადმოგვხედა.

— წავაცლი თავს, თუ გნებავთ, — შემოიტანა წინადადება აყლაყულამ.

— დაანებე, ნესტორ, თავი, თუ არ უნდა, — გამოვექმამაგე ოფიციალი.

— რას ჰქვია, თავი დავანებო! შენისთანა პატრიოტი კაცი როგორ მეუბნები მაგას, გოგია?! ჩვენ, ძმაო, გუშინდელი ბავშვები აღარა ვართ. მივდივართ უკვე ამქვეყნიდან ნელ-ნელა. ეგ ახლა მოდის. მაგას თუ არ ეყვარება სამშობლო, აბა, ვილას უნდა უყვარდეს!

— საქმე ისაა, ნესტორ, — ოღონდ გივანტმა იღიმა სათვლიანმა, — რომ შენ ორ სხვადასხვა ცნებას ურევ ერთმანეთში. სამშობლო უყვარს ამ ყმაწვილს. სახეზე ეტყობა, საქციელში ეტყობა, ლაპარაკში ეტყობა. სამშობლო უყვარს, მაგრამ ღვინო არ უყვარს.

თუ ინტელიცია არ მღალატობს, სათვლიანმა განზრახ მისცა თავის ნათქვამს მეცნიერულ-პოლემიკური ტონი. გივანტი დაუყოვნებლივ აპყვა და ერთბაშად გამოაშუქურა მთელი თავისი გივანტობა:

— აბსურდს ამბობ ახლა შენ, — შეედავა სათვლიანს, — რამ გაყო სამშობლოს სიყვარული და სამშობლოს სადღეგრძელო! თუ სამშობლოს სიყვარული გაქვს, სადღეგრძელოსაც დალევ, თუ არადა, არა. ლოკიის ამბავი არ არის?! — და რაკი, ამგვარად, დისკუსია თავის სასარგებლოდ დაამთავრა, ისევ ოფიციალი მიუბრუნდა, — აილე, ბიჭო, ეგ ჭიქა და დალიე, სანამ გავჯავრებულვარ.

— აილე და დალიე! — შეაშველეს სიტყვა გივანტს აყლაყულამ და უსათვალღომ.

ოფიციალი აიღო ჭიქა, საქართველოს გაუნარჯოსო, თქვა და ნახევრამდე დაცალა.

— ბოლომდე დალიე, სანამ გავჯავრებულვართ! — უკვე უსათვალწამოიქცა.

გივანტი ოფიციალი უყურებდა და თითქოს ეუბნებოდა: მოთმინების ფილა მეცხება და, იცოდე, ჩემი სულსიკვეთება და სიყვარულობა განზე დამჩნებო.

ოფიციალი ჭიქა დაცალა და უხმოდ გავიდა.

„არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, ეს წესიერი ბიჭი ყოფილიყო სუფრის თამადა და შენ ყოფილიყავი ოფიციალი, ჩემო გივანტო. უსინდისო კაცი ვიყო, უფრო დავშვენდებოდა.“

ჯემალ ქარახაძე
გივანტი



როდესაც საქართველოს სადღეგრძელო ჩამოთავდა, უსათვალომ მრავალყმიერი წამოიწყო. გიგანტი და აყლაყულა აჰყვნენ. არც ერთი არ უფრთხილდებოდა არც ფილტვებს და არც ყელის ძარღვებს. მაგრამ, მე თუ სიმღერის რამე გამეგება, ეს ლმუილი იყო.

...ღირექტორის მოადგილემ მოგვინახულა, ერთი ჭიქა ღვინო დაგვიღია და გვკითხა, ხომ ყველაფერი რიგზეაო. გიგანტმა დაამშვიდა.

— ბიჭი კარგად გემსახურებათ?

— დამაკმაყოფილებლად. — მოილო მოწყალეობა გიგანტმა.

— ახალგაზრდაა, — მოიბოდიშა ღირექტორის მოადგილემ, — გამოცდილება აკლია, — მერე კართან მოტრიალდა და დაგვიბარა, — თუ რამე მოგინდეთ. აქა ვარ.

მე კარგა ხანია მომინდა რამე (რასაკვირველია, ეს „რამე“ სრულიად არ შეეხებოდა ღირექტორის მოადგილეს), მაგრამ გზა არ ვიცოდი და თავს ვიკავებდი.

...სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა... დედამამიშვილები, მშობლები, ხელის გულზე შემწვარი ერბოკვერცხი. წინაპრები... და გიგანტის გასიებული თავი დროდადრო უკვე ორ გასიებულ თავად მეჩვენებოდა...

უსათვალომ თქვა, ერთი სადღეგრძელოს ნება თუ არ მომეცით, მეწყინებაო. გიგანტმა მეფუფური ქესტიით მისცა ერთი სადღეგრძელოს ნება.

— ქართული სუფრის წესია, — თქვა უსათვალომ და ოფიციალტი გამოიძახა. — თამადა ბოლოს იქნას ნადღეგრძელები. მაგრამ მე ვფიქრობ, ყველა აქ დამსწრის სურვილს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ დღეს ამ წესს უნდა გადავუხვიოთ, — გიგანტმა გააპროტესტა, მაგრამ უსათვალომ, თავის მხრივ, გიგანტის პროტესტი გააპროტესტა და განაგრძო. — ჩვენს ძვირფას ნესტორ კონსტანტინოვიჩს გაუმარჯოს!..

ბევრი ირატრატა უსათვალომ, მაგრამ, რამდენი არ ვეცადე, ვერ იქნა და

ვერ მოვისმინე. აშკარად აღარ მივხვალელებოდა თავი.

— ნესტორ კონსტანტინოვიჩ!..

ღმერთო, მიშველე! ეს მე ვიყავი...

— კაი, თუ ძმა ხარ, ოფიციალობას თავი დაანებე!

— ჩემო ნესტორ! შენ შესანიშნავი, დიდბუნებოვანი ადამიანი ხარ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შენი ძველი მეგობრები არ გავიწყდება (მე, მე ვლაპარაკობდომას!). მე ერთი საწყალო კაცი ვარ. მე, პარიკმახერთან რომ ვზივარ, იმსაც ვერ ვეუბნები, როგორ გამკრიჭოს. თავის ნებაზე ვუშვებ. ბიჭო, იქნება არ მინდა ასე მოკლედ შეჭრა! მაგრამ ვერ ვეუბნები. ყველა თავის გემოზე მკრეჭს. შენ კი... ჰო! მე კი მქონდა რაღაცა ნიჭი. მასწავლებლები ამბობდნენ, ა, დაიმახსოვრეთ ეს ბიჭი და ნახეთ, რა გამოვამაგისგანო. მაგრამ ცხოვრება სხვანაირად აეწყო. შენ მე არ დამივიწყე, იმიტომ, რომ შენ ოქრო გული გაქვს.

არ ვიცი, გადავჯარბე თუ არა უსათვალოს, ის კი მახსოვს, რომ ძალიან ბევრი ვიბეჭუტებ.

მე რომ დავამთავრე, უსათვალომ ოფიციალტი მიაწოდა ჭიქა.

— ჩვენი ნესტორ კონსტანტინოვიჩის სადღეგრძელოა.

— არ შემიძლია, ბატონო, ღვინის დალევა.

— კი შეგიძლია, — მოკლედ მოუჭრა უსათვალომ.

— გაგიმარჯოთ, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა ოფიციალტმა და ჭიქა დადგა, — ღვინოს ვერ დავლევ.

— დალიე!! — დაიღრიალა ვილაცამ.

ეს ვილაცა მე ვიყავი.

ოფიციალტმა შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— წავაცალო თავი? — იკითხა აყლაყულამ.

— წააცალე, — ჩავიქნიე ხელი.

— მოიცათ! — შეგვაჩერა გიგანტმა.

— მოეშვიოთ.

ეს იყო თავმდაბლობის გიგანტური ნიშანი.

ოფიციალტი გაათავისუფლეს.

სათვლიანმა აღდგარძელა გიგანტი და რაღაც სასაცილო უთხრა. რა უთხრა, აღარ მახსოვს. მერე ჭიქა დაცალა და წამოღდა.

— ერთი წუთით გავალ, — თქვა მან და ჟესტით აუხსნა თანამესუფრეებს, რომ მას იგივე „რამე“ უნდოდა, რაც მე უკვე ორი საათია მაწვავლებდა.

მეშველა, როგორც იქნა. მეც მოვიბოდიშე და გავყვივი სათვლიანს, თან სრულიად უნაყოფოდ ვცდილობდი, სწორად მეველო.

— კარგი გულის ბიჭია ნესტორი, — ვუთხარი სათვლიანს, როდესაც დანიშნულების ადგილს მივადწიეთ.

— კი, — მიპასუხა სათვლიანმა, — შესანიშნავი, დიდბუნებოვანი ადამიანია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ძველი მეგობრები არ ავიწყლებს.

— ნამდვილად.
ჩვენი კუბედან ღმუილი ისმოდა. მაგრამ ღმუილისა და სიმღერის ერთმანეთისაგან გარჩევა სადღა შემეძლო! დავჯექი გიგანტსა და უსათვალოს შორის. ორივეს ხელი ვადავხვიე და მთელი ხმით აყვივი. სიმღერა რომ დავამთავრეთ, ჯერ ერთს ვაკოცე ლოყაზე, მერე მეორეს.

სათვლიანი იღიმებოდა. ქეიფის მომდევნო ეპიზოდები აღარ დამრჩა მეხსიერებაში. მარტო ის მახსოვს, რომ ერთხელ გიგანტმა გამაღვიძა და მეორედ უსათვალომ.

გარდა ამისა, მახსოვს ფინალური სცენა.

ოფიცინტმა დანახარჯი იანგარიშა და, რადგან არ იცოდა, ვის უნდა გადაეხადა, უმისამართოდ გამოაცხადა:

— ორმოცდახუთე მანეთი.

ყველამ ჯიბეზე გავიკარით ხელი (მეც!). მაგრამ, როდესაც გიგანტმა კატეგორიულად მოითხოვა, აბა, აბა, არ დამიწყოთ ახლათ, ყველამ ცარიელი ხელები ამოვიღეთ ჯიბიდან.

გიგანტმა თავის მხრივ, ორი ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და წინ დაუყარა ოფიცინანტს. ოფიცინანტმა ხურდა გაუწოდა.

— ეს რა არის? — იკითხა გიგანტმა.

— ხურდა, — მიუგო ოფიცინანტმა, ხუთი მანეთი.

— ხურდას არ იღებს, ბიძიკო, ნესტორ სურგულაძე: ჩაიღე ჯიბეში.

— არც მე ვიღებ ზედმეტს, ბატონო.

— ჩაიღე ჯიბეში! — დამარცვლა გიგანტი.

— ჩაიღე ჯიბეში, — დავმარცვლეთ მე, აყლაყულამ და უსათვალომ.

სათვლიანი პაპიროსს ეწეოდა და იღიმებოდა.

— არ ვიღებ მე ზედმეტს. — გაიმეორა ოფიცინანტმა.

— ვის უბედავ, შე ლაწირაკო?! — დაჰკრა მუშტი მაგიდას გიგანტმა.

— ვის უბედავ, შე ლაწირაკო?! — დავცხეთ მუშტები მაგიდას მე, აყლაყულამ და უსათვალომ.

ხმაურზე დირექტორის მოადგილე შემოვიდა.

— რა მოხდა?

რის ვაივავლახით გავაგებინეთ, რომ მოხდა ისეთი რამ, რაც ჩვენს თავმოყვარეობას შეურაცხყოფდა.

— როცა გაძლევენ, უნდა აიღო. წესია. — მკაცრად აუხსნა დირექტორის მოადგილემ ოფიცინანტს.

— რად მინდა სხვისი ფული, — გავითტა ოფიცინანტი, — მათხოვარი კო არა ვარ!

— რაო?! — გადაირია გიგანტი.

— რაო?! — გადავირით მე, აყლაყულა და უსათვალო.

სათვლიანს პაპიროსი ჩაქრობოდა და უკიდებდა, თან ღიმილით გვიყურებდა.

— წადი! — უთხრა დირექტორის მოადგილემ ოფიცინანტს და, როცა ოფიცინანტი გავიდა, მოგვიბოდიშა, — ზვალდიან მაგის დუხი აღარ იქნება ამ დაწესებულებაში.

— მაგის დუხი აღარ იყოს აქ ზვალდიან! — თქვიეთ მე, აყლაყულამ და უსათვალომ და სიყვარულით შევხედეთ შეურაცხყოფილ გიგანტს. /

ჯამალ მარჩხაძე
ბიზანტი



მაგრამ გიგანტი სხვა აზრისა აღმოჩნდა ამ საკითხზე.

— გაგდება ადვილია, — ღრმააზროვანი კილოთი თქვა მან, — აღზრდაა ძნელი. — მერე დირექტორის მოადგილეს მიუბრუნდა, — ნუ ვკრავთ ხელს ახალგაზრდა კაცს. ჯერ ვცადოთ, იქნებ აღზარდოთ.

— ცოტა ძნელია, — ვითომ ისტიბარი არ გაიტეხა დირექტორის მოადგილემ, — მაგრამ ცდას არ დავაკლებ, თუკი რამე გამოვა.

— გამოვა, — ვუთხარი მე, — ცხოვრების უპირველესი პრინციპი არის აღზრდა. უნდა აღზარდოთ, ეს თქვენი წმინდა ვალია.

მე და დირექტორის მოადგილემ მხურვალედ ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

როდესაც რესტორნიდან გავდიოდით, კიდევ ერთხელ მივუბრუნდი დირექტორის მოადგილეს, მაგრამ ამჯერად ხელის ჩამორთმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენი სიყვარულობისა და სულისკვეთების გამოსახატავად და ამიტომ დიდი გრძნობით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— მე მომეწონა თქვენი რესტორანი. აწი სულ თქვენთან ვივლი, — დავპირდი მე და ორივეს გული აგვიჩუყდა.

გიგანტმა ტაქსი გააჩერა და ჩემი მისამართი უთხრა შოფერს. მე გავიქაჩე, ჯერ თქვენ უნდა დაგაბინავოთ-მეთქი, მაგრამ გიგანტმა ბეჭზე მომიტათუნა ხელი.

...ტაქსიდან რომ გადმოვედი, სათითაოდ გადავკოცნე ოთხივე.

სათვლიანმა მითხრა:

— სამწუხაროა, რომ აინშტაინი ვერ

გამოხვედით. თუმცა მე თქვენს ხელს არ ვინაღვლებდი: ნესტორ სურგულაძის მეგობრობა აგინაზღაურებთ ამ დანაკლისს.

ტაქსი თვალს მიეფარა, მაგრამ მე კიდევ დიდხანს ვიდექი და ნაღვლიანად ვაცქეროდი უკაცრიელ ქუჩას.

...უნუქა ფეხაკრეფით გადის ოთახიდან.

— ნუნუქა!

— არ გძინავს?

— შემოსასვლელში სპილო დევს, ქალღმერთი შეხვეული.

— ვიცი, ვნახე.

— გახსენი?

— არა.

— არ გახსნა. ასევე შეხვეული გადავადე.

— გადავადე?

— ზეგ ხელფასი იქნება.

— კარგი, დაიძინე.

— ახლავე გადავადე. ქეთინომ არ გაიგოს, რომ აქ არის.

— გადავადე.

— ნუნუქა!

— გადავადე.

— მაგას არ გეუბნები... მოდი, დაბადების დღე გადაუხადოთ ქეთინოს. კოსტუმს მერე ვიყიდი, რა მეჩქარება.

— კარგი, დაიძინე, მერე ვილაპარაკოთ.

— სპილოს გადაგდება არ დაგავიწყდეს.

— ჰო.

მართლა დავიძინებ ახლა, თუ დამეძინა, თორემ ასე რა ჩაატარებს გაკვეთილს, — გასკდომაზე მაქვს თავი.



გიორგი ხეჩაძე



რომანი

ნაწილი მესამე

1

დიდი ზარ-ზეიმით შეგვხვდნენ ყამირელებს. თბილისის სადგურში მატარებლის ჩამოსვლისთანავე ერთი რიარია და ხვეენა-კოცნა გაჩაღდა. მე, ზაურმა, მამიამ და სულთანმა რის ვივივლაზით გავარდვიეთ ხალხი, ტროლეიბუსში შევეცივიდით და სტუდენტლექისაკენ გავწიეთ. უნივერსიტეტს რომ ჩავუარეთ, ზაურმა ვერ მოითმინა, გავიგებ, ახალი ხომ არაფერიათ, თქვა და ძირს ჩაბტა.

კორბუსის შესასვლელში თემური დავინახეთ. მორიგე ყოფილიყო. მაგიდას უჯდა. წინ ქაღალდები და რვეულები ეწყო. თავი ასწია და გაოცებული იქვე გაშეშდა. თვალს არ უჯერებდა.

— რაო, არ გველოდი? — ჰკითხა მამიამ.

თემური ადგილიდან წამოვარდა და მაგიდა კინალამ გადააბრუნა.

— არ გველოდი? — კვლავ ჰკითხა მამიამ, როცა ხვეენა-კოცნას მოვრჩით.

— უნივერსიტეტში ამბობდნენ, საღაზოს, ან ხვალ დილით ჩამოვლენო. რომ

მცოდნოდა, ახლა ჩამოხვიდოდით, მთელ ფაკულტეტს ორკესტრით მოვიყვანდი სადგურზე, არავინ დაგხვედრიათ?

— ჩვენ არავინ დაგხვედრია. ისე, რამდენიმე კაცი კი დავინახეთ სადგურში, ალბათ ვეღარ მოითმინეს საღამომდე.

— ხომ ვითხარით, — თქვა თემურმა, — ყველანი საღამოს ელოდნენ ყამირელებს.

მამიამ გაიცინა.

— კარგი ჰქენით. რომ არ წამოხვედით. სადგურზე მაინც არ იყო ტევა.

— რას ამბობ? — გულწრფელად გაიკვირვა თემურმა.

ბოლოს და ბოლოს დავუჯერეთ, რომ შეუადლისას არ გველოდა.

— ზაური სად არის? — გვკითხა თემურმა.

— უნივერსიტეტში შეიარა.

თემურმა ჩანთები გამოგვართვა და წინ გაგვიძღვა.

— ისევ იმ კვანძში ვართ...

— შენთან?

თემურმა მოიხედა.

— ერთად უნდა ვიყოთ? — გაუმეთრა კითხვა სულთანმა.

— აბა?

— წერილზე რატომ არ გვიპასუხე?

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 11, 12.



— ისეთ წერილებს არასდროს არ ვპასუხობ.

— ბევრი გწერს ისეთ წერილებს?

— არც ისე, — თქვა თემურმა. მე რე დაუმატა, — დღეს მანაც ნუ შემეპიბო. დამაცადეთ ცოტა...

ოთახში შევედი. ჩანთები თემურმა საწოლქვეშ შეჰყარა, არავინ დაინახოსო. უცებ ყველას გაგვითავდა სათქმელი. ერთმანეთს ველოდით, რას იტყვილი. თემურს გაახსენდა, რომ სამორიგეო მიატოვა.

— ჩავალ, ცოტა ხანს გავჩერდები. მალე შემეცვლილიც მოვა. თქვენ კი დაისვენეთ, ნამგზავრი ხართ.

— კომენდანტი სად იქნება? — ჰკითხა მამიამ.

— თავის ოთახში. წელან დავინახე.

— მაშინ ჩვენც ჩამოვალთ, ბარემ ჩემოდნებსა და ლოჯინებს ამოვიტანთ.

მე მარტო დავრჩი. ფეხსაცმელი გავიხადე და თემურის ლოჯინზე გავიშოტე. ბევრი რამ მქონდა მოსაფიქრებელი და მიხაროდა, მარტო რომ დავრჩი. ბინაზე უნდა მეფიქრა, ბინაზე და ფულზე. სად უნდა ვიშოვო ფული, რომ ბინა დავიქირაო? ათიოდე მანეთი დამრჩენოდა. საშველი არ იყო.

ვიღაცამ კარი შემოაღო და ზღურბლზე შეჩერდა. თავი ავეწიე: სტუმარი ჩემი ხნის ბიჭი იქნებოდა.

— გამარჯობა, — მითხრა მან, — თემური სად არის?

— მორიგეა.

— თემური მეგონე, — თქვა მან, შემოვიდა და დაჯდა.

— თემური მორიგეა. — გავუმეორე.

— მართლა, წელან დაბლა დავინახე. — ბიჭი გაჩუმდა და ისე გულმოდგინედ დაუწყო ოთახს თვალიერება, თითქოს მუზეუმში ყოფილიყო. მე ვდუმდი. ისევ თვითონ დაარღვია სიჩუმე, — ვიფიქრე, სიგარეტი ექნება-მეთქი.

— არა მაქვს, — ვუთხარი მე.

— არ ეწევი?

— ვეწევი, მაგრამ ეს-ესაა გამითავდა, — ვიცრუე რატომღაც.

— ახლავე ვიშოვი, აქვე, მეორე

კვანძში, — ბიჭი ადგა, — თუ გინდა, შენც მოვიტან.

— კარგი...

გავიდა და წუთიც არ გასულა, ორი ცალი სიგარეტი მოიტანა. ერთს თვითონ მოუკიდა. მეორე მე მომაწოდა.

— გმადლობთ, — რაღა გზა მქონდა, უნდა მომეწია.

— რომელ ფაქულტეტზე სწავლობ? — მკითხა.

— გაის სტუდენტი ვარ, — მივუგე უყოყმანოდ.

ბიჭი წამით ჩაფიქრდა. მე რე თითქოს მიხვდა.

— მე უნივერსიტეტში ვსწავლობ. პირველ კურსზე. ეურნალისტიკის განყოფილებაზე...

— კარგია, — მოვუწონე.

— აქ იცხოვრებ?

— არ ვიცი.

— თემურს იცნობ?

— როგორ არა.

— კარგი ბიჭია. მარტო იყო ამხელა ოთახში. მე მგონი განგებ მოაწყო ასე, ყამირელების ოთახში შემომძვრა, ერთი გოგო დაუღის სტუმრად.

— გოგო? — ძალიან გამიკვირდა. ესეც ჩვენი თემური. სასიძოც ასეთი უნდა.

— ლექციები როდის გაქვს? — მკითხა ბიჭმა, — დღისით თუ საღამოს?

— გათენებისას... ხანაც ნაშუალამევს.

— კარგი ერთი, — ბიჭი გაბრაზდა. შევატყვევ, ხუმრობის მოყვარული არ უნდა ყოფილიყო.

— საღამოს.

— რა გქვია?

— მერაბი.

— მე რეზო... ქუთაისიდან ვარ. ნახვაძის.

გავიდა. თვალი გავაყოლე. გვერდით ოთახში შევიდა. ამ დროს ზაურიც შემოვიდა.

— ბიჭები სად არიან? — მკითხა.

— ბარგის ამოსატანად წავიდნენ. რაო, რა გაიგე?

— ერთი კვირით გავგათავისუფლეს. ვისაც გინდათ, შეგიძლიათ წახვიდეთო.

ამალამ შინ მივდივარ.

— მამია და სულთანიც წავლენ?

— ალბათ... ჰო, მართლა, დაბლა მა-
მაშენი გიცდის. წაიღე შენი ჩანთა და
ჩოლსევი.

ავდექი.

— მამაჩემი? — კარს ზურგით მი-
ვეყრდენი.

— რატომ გაგიკვირდა? მანქანით
გიცდის დაბლა.

ნეტა საიდან გაიგო, რომ ჩამოვედი
და აქა ვარ?

თემურმა თუ დაურეკა. უეჭველია,
თემური გააგებინებდა.

— მართლა ქვევით მიცდის?

— გიცდის-მეთქი, ხომ გითხარი.

ზაურმა მიიხედ-მოიხედა. მერე სა-
წოლქვეშიდან ჩანთა გამოათრია და მო-
მაწორდა.

— შენ მაინც გააგებინე, რომ ჩვენ
არაფერ შუაში ვართ.

— გითხრა რამე?

— დაიწყო რაღაც...

— არ მინდა ჩანთა... იყოს.

— წაიღე. თავის ბარგი-ბარხანით ჩა-
მოვიდესო.

— მაგდებ?

ზაურმა ჩანთა მოიქნია და კვლავ
საწოლქვეშ შეაგდო. გაბრაზებული იყო.
არაფერი უთქვამს.

მამაჩემი კორპუსის შემოსასვლელში
იღვა. თემურს ელაპარაკებოდა. გარეთ,
ზედ კართან, მანქანა იღვა.

— წავიდე, — მითხრა, ახლოს რომ
მივედი, გავიდა. მეც გავყევი. მანქანას-
თან შეჩერდა და ხელი გამომიწოდა.
ჩამოვართვი.

— არც ისე უსუსური ყოფილხარ, მე
რომ მეგონა, — მითხრა ღიმილით, —
გაზრდილხარ, — დაუმატა მერე.

დაბნეული შევყურებდი.

— მოიარე ქვეყანა?

— ჰო.

— კმაყოფილი ხარ?

— ძალიან.

მამაჩემმა გაიცინა.

— არაფერს არ ნანობ?

არა-მეთქი, ვუთხარი.

— გეყოფა მოგზაურობა. ახლა შინ
წამოდი.

შუბლზე მოვისვი ხელი. თავბრუ მეს-
ხმოდა. თითქოს ხილზე ვიდექი და წყალს
ჩავცქეროდი. ხილი ტორტმანებდა და
იზნიქებოდა.

— ასე ცარიელ-ტარიელი ხარ? არა-
ფერი გქონდა წაღებული? თუ, მაშინ-
დელი, უკაცრავად პასუხია, ლაშქრობი-
სა არ იყოს, ყველაფერი წყალს გაატა-
ნე?

— ჩანთა მქონდა. ზევით დავტოვე.

— ადი, ჩამოიტანე.

ვლუმდი.

— გელოდები... მერე ხომ არ მოაკით-
ხავ?

— არც მერე და არც ახლა.

— კარგი. ჯანდაბას შენი ჩანთა. ჩა-
კექი. არ მცალია.

— შენ წადი.

— რაო? — მომიბრუნდა გაკვირვე-
ბული.

— მე არ წამოვალ.

თვალი ავარიღე. თან ოდნავ კარისკენ
დავიხიე.

— აქ რა უნდა გააკეთო? — მკითხა
მშვიდად.

— არ ვიცი.

მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიხურა.

— შინ არ შემოივლი?

— ენახოთ, რა ვიცი.

მანქანა დაიძრა.

კარი შევალე. მაგიდასთან მივედი. ისე
ვიყავი ქანცაგაწყვეტილი, ფეხზე ძლივს
ვიდექი.

— ცუდად ხომ არა ხარ? — მკითხა
თემურმა.

— არა... არა მიშავს...

თემურის გვერდით დავჯექი.

— რატომ წავიდა? — მკითხა თე-
მურმა.

პასუხის მაგივრად ავდექი, კიბე ავი-
არე. ოთახში შევედი და საწოლზე და-
ვეშვი.

— წავიდა? — მკითხა ზაურმა.

გიორგი კეზაბლაძე

ჩემი პატარა ლანდი



თავი დავუქნიე.

— ჩვენთან დარჩები?

ისეე დავუქნიე თავი.

— ჩვენ ერთ კვირაში დავბრუნდებით. იქამდე თავი რომ გაიტანო, ფული გაქვს?

— მაქვს.

— აქვე, სტუდენტალაქის სასადილოში შედი ხოლმე. აქ უფრო იაფია საჭმელი. საწოლი თავისუფალია. რომელზეც გინდა, დაწე და დაიძინე. დანარჩენზე რომ ჩამოვალთ მერე ვიფიქროთ.

მამია და ზაური იმ დამესვე წავიდნენ. სულთანმა დილაზე გადარღვა გამგზავრება.

სალამოს შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ მამაჩემთან შეხვედრას მოვერიდე და სტუმრობა დილისთვის გადავდე. ზურის სანახავად წავედი, მაგრამ შინ არ დამხვდა. სალამოთი ჰქონოდა ლექციები. ნატოს დავურეკავ და შევუბრუნებდი. ვიფიქრე; ავკრიფე კიდევ ტელეფონის ნომერი, მაგრამ უეცრად ისეთ ცუდ გუნებაზე დავდექი, ყურმილი სწრაფად დავკიდე და სტუდენტალაქისაკენ გამოვწე. ჯაბას ნახვა მინდოდა და იმაზეც ჩავიქინე ხელი. კვანძის კარები რომ შევადე, რეზო დავინახე. ჩვენი ოთახის კართან ატლუზულიყო.

— არ შეხვიდე, — მითხრა ჩურჩულით.

— რატომ?

— ის გოგოა.

— რომელი გოგო?

— თემურისთან მოდის-მეთქი, რომ გითხარია.

რეზოს უცნაურად უთრთოდა ხმა.

გამოვბრუნდი.

— იცი, რა გოგოა? — განაგრძობდა რეზო, — დიდებული...

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

— მეტი არა მაქვს. ნახევარს შენ დავიტოვებ.

— არ მინდა. აღარ ვეწევი.

დერეფანში ვიტრიალე ერთხანს. მერე ძირს ჩამოვედი. ვივარსემ და დავბრუნდი. კიბეზე რომ ავდიოდი, ზევი-

დან მომავალი თემური და ნუნუ დანიხე.

— ძლივს! — დაიძახა ნუნუმ და მომვარდა, — სადა ხარ აქამდე?

— შენ სად იყავი? — ძლივს ვიპოვე ენა.

— ზევით გელოდებოდი.

აი, ვინ ყოფილა ის „დიდებული გოგო“...

თემური მოშორებით იდგა და გვერდზე იხედებოდა.

უსიტყვოდ, ნელი ნაბიჯით აყვები კიბეს.

— რა მოგივიდა? — მომესმა ნუნუს გაკვირვებული ხმა.

— დღეს სულ ასეთ გუნებაზეა, — უთხრა თემურმა.

კართან რეზო იდგა.

— დანიხე? — მკითხა მან, — ხომ კარგი ვინმეა?

ხელი მოვიკიდე, გამატარე-მეთქი. ვერ მიმიხვდა, თუ არ უნდოდა ჩემი გაშვება, ერთი კი იყო, კარებში გახირულიყო და ადგილიდან არ იძვროდა.

ხელი ვკარი. ვერ მოვზომე. რეზომ თავი ვერ შეიკავა, გადაქანდა და პირდაპირ საპირფარეშოში შევარდა. მე ოთახში შევედი და კარი ჩავიკეტე.

ცოტა ხნის შემდეგ კარის ბრახუნს მომესმა. რეზო ეჯაჯურებოდა და გამწარებული ილანძლებოდა.

— რა ამბავია? — დაიძახა ვილაცამ მეორე ოთახიდან.

— გჟია ეს ოხერი!.. გჟია!

— ვინაა?

— რა ვიცი, ვინაა. აქ შევარდა და კარი ჩავიკეტა.

— თავი გაანებე. არ გამოვა გარეთ? ქუთაისელმა გამეტებით დააზილა კარს წიხლი. თან დამეტუქრა, გირჩევნია გარეთ ცხვირი არ გამოჰყო.

იმ დამეს სულთანს გვიან დაბრუნდა. თემური კი სულ არ მოსულა. სულთანმა თქვა, ქალაქში ნათესავეები ჰყავს და სადმე შერჩებოდაო. დაწვა. მე ტანგაუდელი ვიწევი. არ მეძინებოდა. სულთანმა ერთხანს წიგნი იკითხა. მერე მითხრა, ტანსაცმელი გაიხადეო. ავდექი და

გავიხადე. სულთანმა სინათლე ჩააქრო. დავწეჭი. ძილი არა და არ მომეკარა. არც სულთანს ეძინა. მერე ადგა, სინათლე კვლავ აანთო და კითხვა განაგრძო.

— ხვალ ვარეთ გასვლა არ მიწერია, — ვუთხარი მე.

რა თქმა უნდა, რეზოს მუქარა სულაც არ მაწუხებდა. თემურზე და ნუნუზე ვფიქრობდი, მაგრამ ამას სულთანს ვერ გავუმხელდი:

— რატომ?

— რეზო გადამეკიდა. ქუთაისელი ბიჭი რომაა მეორე ოთახში. პირველ-კურსელი. არ იცნობ?

— არა, არ ვიცნობ. რა მინდაო?

— საპირფარეოში შევაგდე. ხელი ვკარი და შევარდა. რაღაც იტკინა მგონია. კინალამ შემოამტვრია კარი.

— რატომ?

— კარში იდგა და არ მიშვებდა. მაგარი ბიჭი ჩანს.

— ნუ გეშინია, მე შეგარიგებთ.

სულთანთან ლაპარაკში თანდათან მომეშვა გულზე.

— თემურს კარგად იცნობ? — ვკითხე.

— ჰო, რა იყო?

— რა კაცია?

— რატომ მეკითხები?

— უსინდისო ხომ არაა?

— არც ისე... რატომ მეკითხე?

მე გაგჩუმდი. აღარაფერი ვუთხარი.

— არა, სინდისგარეცხილი არაა. თუმცა, ვინ იცის... ასეც რომ იყოს, შენ ნუ გეშინია, ჩვენ აქ არა ვართ?

ხომ არ მიმიხვდა?

შეშინებულმა მაშინვე შევეცალე საუბრის თემა.

— რა ვქნა, წავიდე შინ თუ არა?

— რა ვიცი. ეგ შენი საქმეა.

— შენ წახვიდოდი?

არაფერი უთქვამს.

— წახვიდოდი? — გავუმეორე კითხვა.

— ალბათ არა. თუმცა სახლიდან წამოსვლაც არაა ადვილი. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი.

დღემილი ჩამოვარდა.

— დავიძინოთ, — მითხრა სულთანმა, — ჩააქრე სინათლე...

● შორიდან ვუთვალთვალეზღი ჩვენს ეზოს. მამაჩემის მანქანამ რომ ჩაიარა ქუჩაში, საფარიდან გამოვედი და შესასვლელში შევევარი. პირველად სამზარეულოში შევიხედე. მეგონა, იქ ბებიის დამხვდებოდა. სამზარეულოში ციციო ტრიალებდა. გრძელი, საშინაო ხალათი ეცვა. დადიოდა და ფოსტლებს დაფრატუნებდა. რომ დამინახა, თეფში კინალამ გაუფარდა ხელიდან. ასე გახარებული ჩემს დღეში არ მენახა. ისე მეხვეოდა, კინალამ დამახრჩო. წამდაუწყუმ შეკითხვებს მაძლევდა, მაგრამ პასუხს არ მაცლიდა, კვლავ მეხვეოდა და მკოცნიდა. მოკვლედ ვუამბე ყველაფერი. თუმცა ბევრი რამ ზურისგან სცოდნოდა. თურმე, მიიღებდა თუ არა ზური ჩემს წერილს, მაშინვე აქ მოარბენინებდა. გამოგიტყდებოდა, რომ ამას მაშინაც ვგრძნობდი, ზურის წერილს რომ ვწერდი. ვიცოდი, ზური ასე მოიქცეოდა და მინდოდა, ასეც გაეკეთებინა. თუმცა საკუთარ თავთანაც არ ვღიარებდი ამას. წერილი რატომ არ გამომიგზავნი-მეთქი, ვკითხე ციციოს. ღირსი არ იყავიო, მიპასუხა. არც ვიყავი. რატომ არ უნდა გამომიგზავნა შინ წერილი? კაცმა რომ თქვას, ორჯერ-სამჯერ დავწერე კიდევ, მაგრამ მაშინვე დავხვი.

— დათო, ადექი, მერაბი მოვიდა! — გასძახა ციციომ დათოს. აქ მოვიდესო, მიუგო დათომ. მე რომ შევედი, დათო უკვე იცვამდა. „შენ ახლა სულ ასე ადრე დგები?“ — ვკითხა, როცა ხელი ჩამოვართვი. ჰო-მეთქი. გაფუჭებულხარო, თქვა და გაიცილა. „მე კი ისევ ძველებურად ვცხოვრობ“. ერთბაშად დავიბნე და სათქმელი ვერაფერი მოვიგონე. რაც თავი მახსოვს, დათოს ჩემთან სერიოზულად არ უღალატებია. სულ

პიორგი კახაილაძე
ჩემი პატარა ლანდი

მეხუმრებოდა და ხშირად დამცინოდა ხოლმე. ის ხუმრობისა და დაცინვის კილო ახლა უკვალოდ გამქრალიყო. თითქოს სულ ცოტა, ათი წლის წინ დაცვილებოდი ერთმანეთს. „კარგად დაისვენეთ?“ — კვითხე. რაღა დროს დასვენებაზე ლაპარაკი იყო, მაგრამ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და რაღაცა ხომ უნდა გვეთქვა. დათომ ხელი ჩაიქნია: „სულ დასვენებული არა ვარ? რა დასვენება მინდა...“ „მუშაობას არ იწყებ?“ შემომხედა და ნაღვლიანად მიპასუხა: „გადავგვარდი...“

ერთხელ არ უხსენებია ჩემი გაქცევა. თითქოს ეს სრულებით ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო. უხერხულად აღაგებდა ოთახს და ბუტბუტებდა, ბოდინებს იხდიდა ნახევრად ხუმრობის კილოთი, რაც ძველის ინერცია იყო და არა დაცინვა და ხუმრობა. ბოდინობდა, რომ ასე არეულ-დარეული იყო ყველაფერი; გაოცებული ვიყავი.

თავს ვიმტვრევდი, რა მოხდა-მეთქი და ერთბაშად ყველაფერს მივხვდი: დათო გრძნობდა, სახლიდან იმიტომ სულაც არ გავქცეულვარ, მამაჩემმა სილა რომ გამაწნა. დათომ მშვენიერად იცოდა, რატომაც არ ვბრუნდებოდი. სწორედ იმიტომ იყო, რომ არაფერს ამბობდა ამის თაობაზე. ასე ემართება ხოლმე დამარცხებულ მოჭიდავეს, როცა იგი ჭიდაობაზე ლაპარაკს ერიდება.

დათოს რცხვენოდა ჩემი. ჯიბიდან სივარეტი ამოიღო და მოუკიდა.

- ისე, ხომ კარგად ხარ?
- კარგად. გამდლობთ.
- სად ცხოვრობ?
- სტუდენტალაში...
- მგონი თემურიც იქ ცხოვრობს, არა?
- იქ ცხოვრობს.

უცებ შეწყვიტა ლაპარაკი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა და ბოლო წამს გადაიფიქრა.

- რატომ მკითხე?
- ისე, ტყუილად... თემურს ვიცნობ.

ნუნუმ გამაცნო, — გაჩუმდა და ხნის შემდეგ დაუმატა. — ნუნუ ძალიან გაბრაზებული იყო შენზე, ძალიან უცნაურად შეხვედრიხარ. არც კი შემომხედაო... ნუნუს რაღას ერჩოდი?

ციცინო შემოვიდა. ოთახი მიალაგა და მითხრა:

- ნუნუ გაბრაზებულია შენზე.
- წადი, დროზე შეურიგდი, — მითხრა დათომ.
- უკვე გაიღვიძა?
- ახლახან ადგა.

გამოვედი და ნუნუს ოთახისაკენ გავწვიე. ვცდილობდი, რამე მომეფიქრებინა ჩემი გუშინდელი ახირებულობის გასამართლებლად.



ზური არც დღეს დამხვდა შინ. უნივერსიტეტშიაო, მითხრა დედამისმა. ფეხით გამოვწვიე უნივერსიტეტისკენ, იქნება სადმე შევხვდე-მეთქი. პირველ კორპუსთან რომ ჩავიარე, ნატოს მოეკარი თვალი. თავის ამხანაგებთან ერთად მოდიოდა. ხუთნი თუ ექვსნი იქნებოდნენ. მარტო გოგოები. ულამაზოები არც სხვები იყვნენ, მაგრამ ნატო მაინც ყველაზე ლამაზი ჩანდა. ხმამაღლა იცივნოდა და ისე მოაბიჯებდა, თითქოს მოცეკვავსო. ხან ერთ მხარეს მიბარუნებდა ლამაზ თავს, ხან მეორე მხარეს. არც ელაპარაკებოდა გოგოებს და არც უსმენდა. უბრალოდ, გრძნობდა, რომ უხდებოდა ის, რასაც აკეთებდა. სულ ტყუილა კისკისებდა. ძალიან ლამაზი კი იყო, რაც მართალია მართალია. თუმცა ახლა ჩემზე სულაც არ მოქმედებდა მისი სილამაზე. იმიტომ რომ მეტიმეტად გამოცვლილი, შორეული და უცხო მეჩვენებოდა. რატომაც სულ არ ჰგავდა იმ ნატოს, ერთ საღამოს თავისი სახლის შესასვლელში რომ ვაკოცე. არაბუნებრივი და ნაძალადევი მეჩვენებოდა მისი სიცილი, სიარული, ლაპარაკი და ყველაფერი — დაწყებული მაღალქუსლიანი ფეხსაცმლიდან აბუებულ თამაღე.

გვერდით ბიჭებმა ჩაიარეს და მერე თვალი გამოაყოლეს გოგოებს. რაღაც იხუმრეს, მაგრამ მე არ გამოიგონია. ნატომ მიიხედა და გაიცინა.

წასვლას ვაპირებდი. მაგრამ უცებ ნატომ დამინახა, ჩემკენ გამოქანდა: — მერაბ!..

მისი ამხანაგები შეჩერდნენ და დამაკვირდნენ, შემდეგ, თითქოს არაფერი იყო, გზა განაგრძეს.

ნატოს თვალეში შევხედე და ერთბაშად ვადამაფიქვდა, რაც წყენა და უსიამოვნება იყო როდისმე ჩვენს შორის. ჩემს წინ ახლა ისევ ის ლამაზი, თვალებგაბრწყინებული გოგო იდგა, მიყვარხარ-მეთქი, რომ ვუთხარი ერთხელ. გაქრა ის სიუცხოვე, მისი ახლად ნასწავლი სიარულის დანახვისას რომ ვიგრძენი. ახლა იგი ისევ ის უბრალო და გულუბრყვილო, ისევ ის შეუღამაზებელი გოგო იყო, ჩემთან რომ იჯდა ხოლმე მერხზე.

— გინდა კინოში წავიდეთ? — ვკითხე.

— წავიდეთ, — სიხარულით დამთანხმდა. მერე დაუმატა, — ერთი ლექცია მქონდა დარჩენილი, მაგრამ არა უშავს, გავაცდენ.

ფეხით წავედი. ნატოს გვერდიდან შევყურებდი, ერთი სული მქონდა, როდის შევიდოდი კინოში და ბნელ დარბაზში დავსხდებოდი.

— სად იყავი? რას აკეთებდი? — უკვე მერამდენედ მეკითხებოდა იგი. მეც ვპასუხობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ნატო გულისყურით არ მისმენდა.

— ახლა? — მკითხა ბოლოს, — ახლა რას აკეთებ?

მხრები ავიჩიე.

ნატო უცებ კვლავ იმ გოგოდ იქცა, ხელისგულზე დაყრილი ქალღალდის ნაკუწები რომ ვაჩვენე და სულელი ხარო, რომ წამოიძახა. თითქოს ახლაც მომესმა ის სიტყვები.

— მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — ვუთხარი მე, — კარგი? ნატომ შემომხედა. ღუმდა.

უცებ მინდოდა მეამბნა ლიდაზე. რაზე ოცნებობდა ხოლმე და რა კარგი გოგო იყო. ამ გახსენებამ გული ერთბაშად გამიბოო და ნატოც უფრო კარგი და ახლობელი მეჩვენა.

ბოლოს თავის ამხანაგებზე და ლექტორებზე დაიწყო ლაპარაკი. ჯგუფში ცამეტნი ყოფილან. ერთი ბიჭიც არ ჰყოლიათ, თურმე. სულ თბილისელები ვართო. მარტო ერთი გოგოა სოფლელი და ჯერ კიდევ ნაწნავებით დადისო.

ნატო ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა — ბევრი რამ მიაშმო. ძალიან უხალისოდ ვუსმენდი. არ მაინტერესებდა ის, რასაც მიაშმოებდა და, რა მექნა. ენათმეცნიერებაში ვიღაც ქალი ჰყოლიათ ლექტორი. აღტაცებული მიყვებოდა ნატო, თუ რა დიდებული მანერები ჰქონია იმ ქალს, ახლა ლაპარაკი ნულარ იტყვი. ვიფიქრე, ერთი პრანჰია ქალი იქნება-მეთქი. ვიღაც ბიჭი ასწავლით თურმე ისტორიას (ალბათ ორმოცი წლის მაინც იქნება ის „ბიჭი“)... ახლა მის ქებას მოჰყვა. „გასაგიფებელი“ დიქცია აქვსო (არც ის იქნება ნაკლები პრანჰია). ათასი სისულელე და აბდაუბდა მიაშმო. ძალიან მწყდებოდა გული, რომ ნატო ამ წვრილმანებს ასე დიდ ყურადღებას აქცევდა. აღტაცებული რომ იყო ამ სისულელებით. გული მწყდებოდა და უცებ მივხვდი, რომ ისიც, რაც მე ვუამბე ნატოს. მისთვის ასევე უმნიშვნელო, წვრილმანი და სისულელე იყო. ალბათ მასაც ჩემსავით წყდებოდა გული, როცა მე ვლაპარაკობდი.

კინოში შევედი. აღარ მქონდა სურვილი ნატოს ხელს მოფერებოდი. შევატყვე, არც მას უნდოდა ეს. გაუნძრევლად იჯდა და ეკრანს შეჰყურებდა.

ფილმი არ მოგვეწონა. ისეთი იყო, ღუმილით რომ გამოდიხარ დარბაზიდან. გარეთ რომ გამოვედი, ნატომ საათზე დაიხედა, მაგვიანდებო, თქვა, დამირეკო, დამიბარა და წავიდა.

გიორგი კეზაბაძე
ნიმნი პატარა ლანდი

არ გამიცილებია. აზრადაც არ შომსვლია, რომ უნდა გამეცილებინა.

2

ჩვენს ოთახში არავინ დამხვედრია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვილაც მაღალი კაცი შემოვიდა. კარზე არ დაუკაკუნებია, შემოაღო და შემოვიდა.

— მაჩვენე შენი საბუთები, — მითხრა იმ კაცმა.

ცოტათი შემეშინდა, რამე შარში არ ვიყო გახვეული-მეთქი.

— რატომ? — ვკითხე.

— საბუთები მომეცი, რომ გეუბნები.

პასპორტი ვაჩვენე. დახედა და კომოდის თავზე დადო.

— რომელ კორპუსში ცხოვრობ?

— აი, აქ ვცხოვრობ...

— ამ ოთახში?

— დიახ.

— სად არის კვანძის მამასახლისი?

მამასახლისი თემური იყო. ეს წინა ოთახში კედელზე გაკრულ ფურცელზე ეწერა.

— არ ვიცი სად არის. მე ახლახან მოვედი და არავინ არ დამხვედრია.

კაცი ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს ჩემი შეჭმა ჰქონდა განზრახული და მიზეზს ეძებდა.

— შენ ვის ატყუებ, ბიჭო?

— არ გატყუებ. დღეს სულ არ დამინახავს. არც წუხელ გაუთევია ამ ოთახში.

— მაგას არ გეუბნები.

— აბა?

თანდათან დამიბრუნდა სითამამე, ვინც არ უნდა იყოს ეს კაცი, დაშვებით არაფერი დამიშავებია და ვერაფერსაც ვერ დამაკლებს-მეთქი.

— შენ ამ ოთახში ცხოვრობ, ბიჭო?

— რა ვიცი. წუხელ აქ გავათიე და ამაღამაც აქ ვაპირებ დაძინებას.

— ამაღამ ვერ მოგართვის.

— ვითომ რაო? შენ ვინ ხარ?

შემომიბღვირა. მაგრამ შემატყო, რომ მართლა არ ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე.

— კომენდანტი...

— სტუდენტია?

— ამ კორპუსის.

არც ისე დიდი ვინმე ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე და თავისუფლად ამოვისუნეთქი.

— იყავი მერე, — ვუთხარი მე, — ვინც გინდა, ის იყავი.

უაზრო და ცივი თვალებით მომამტერა.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ახლაც აიბარგე აქედან.

კარი გაიღო და რეზომ შემოჰყო თავი. შევეკრთი, ვითუ სამაგიერო გადამიხადოს-მეთქი.

— გესმის თუ არა?

— არსადაც არ წავალ.

— რაო?

— არ წავალ.

— ხელს მოგკიდებ და მილიციაში ჩაგათრევ...

— მაშინვე მედალს მოგცემენ.

კომენდანტმა ჩემკენ წამოიწია. ამღვრეული თვალები გადმომიტრიალა. ცხადი იყო, მუქარას მართლა შეასრულებდა.

მაგრამ ცოტა ხნით თავი შეიკავა და რეზოს მიუბრუნდა:

— ვინაა ეს ბიჭი? რა კაცია?..

— მე რას მეკითხები. ეგ არის, რასაც ხედავ.

„ყოჩად რეზო!“.

— სტუდენტი?

— ჰო.

— ახლა შენც მატყუებ ვითომ? მე არ ვიცი, ვინ არის სტუდენტი და ვინ არა?

უტეც თავში გამიელვა, რომ ამ ამბავში მამაჩემის ხელი იქნებოდა გარეული. შეიძლება ნუნუმ დაავალა თემურს, როგორმე მოეხერხებინა ჩემი გაძევება სტუდენტულადან. მაშინ სადღა უნდა წავსულიყავი, თუ არა შინ? ამის გაფიქრებაზე ისე ამიტანა ბრახმა, ცახცახი დამაწყებინა. კომენდანტმაც შემატყო ალბათ, ჩემს თავს კარგი რომ არ იყო, შევეცოდე და დაყვავებით მითხრა — თუ კი საერთოდ შეეძლო ამ კაცს დაყვავებით ლაპარაკი:

— რას იზამ... ვისაც მოეპრიანება აქ დამის გათევა, ყველა რომ შემოვუშვათ, სასტუმრო ყოფილა და არა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. ისედაც ძალიან პატრონს ვერ სცნობს, ისე ამირიეს საქმე ამ ყამირელებმა.

ავდექი და კარისკენ წავედი.

— ბარგი?

— სადა მაქვს ბარგი.

— იცოდე, შუალამეზე ჩამოვივლი და ოთახებს შევამოწმებ. ისევ თუ დაგიჭირე, ვერ გადამიჩივბი. მილიციასი წაგათრევე.

● ხომ უსინდისო ბიჭია ჯაბა. თავხედი და უტიფარიც. ამას, სხვათა შორის, პირშიც ვეუბნები ხოლმე. მაინც მიყვარს: ზურიზე ნაკლებ არც ის მიყვარს. თუმცა, ნაკლი რამდენიც გინდა, იმდენი აქვს. არც მე ვარ უნაკლო, მაგრამ ჯაბასავით უსინდისო არა ვარ. ისე კი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჯაბასთანა კეთილ ბიჭს ვერ ნახავთ. ამხანაგისთვის რას არ გააკეთებს. თუ გინდა, პერანგს გაიხდის და ჩავაცმევს. ამიტომ მიყვარს. ზური ხომ არის და არის. ზური რომ არ გიყვარდეს კაცს, არ შეიძლება.

ორივე ერთად რომ დავინახე, მაშინვე გადაიყარა, რაც გულზე დარდი მაწვა. დამავიწყდა კიდევ, ახლახან სტუდენტალაქიდან რომ გამომაგდეს და დამის გასათევი არსად მქონდა.

ჩემს სანახავად რომ მოდიოდნენ, ამაში ეპვიც არ შემპარვია. უამისოდ ჯაბას და ზურის ერთად ვერ დავინახავდი. კარგა ხანია, ისინი მისალმებისთანავე ემშვიდობებინა ერთმანეთს. ხუთი წუთითაც რომ შეყოვნდნენ, ღრენასა და კბენას დაუწყებენ ერთმანეთს. რას იზამ, ამგვარი ხასიათი აქვთ. ჯაბა ვერ იტანს, რომ ზური ასეთი წესიერი ბიჭია. ზური კი ჯაბას უტიფრობას ვერ უძლებს.

პირველად ჯაბამ დამინახა. წამით ადგილზე გაშეშდა, მერე მისებურად აუროია, ზურის მიუბრუნდა, მუჯღუჭუნი ჰკრა და დაფეთებულობით გამოვარდა

ქუჩაში. კინაღამ გაიტანა მანქანამ. ზური მწერდა, ჯაბამ მუშაობა დაიწყო და მგონი ცოტა მოჭკვიანდაო. რას ამბობთ, ვის ეღირსება ჯაბას მოჭკვიანება!

წამიც და ორივენი მომვარდნენ. ბურჯანა დამიწყეს. ჯაბამ კილაობა გაიმიმართა შუა ქუჩაში.

შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეზოში შემათრიეს, სკამზე დამსვეს და აქეთ-იქიდან შემომისხდნენ.

— აბა, მოჰყევი ახლა, — მითხრა ჯაბამ და ვითომ სმენად იქცა. — არაფერი გამოგრჩეს.

— მოდი, ჰო, — მითხრა ზურიმ, — ყველაფერი გვიამბე, თავიდან ბოლომდე.

უკვე მომბეზრდა „ყველაფრის“ მოყოლა. თვითონ მომაბეზრეს, ვითომ ძალიან აინტერესებთ, ამდერღავენ სალაპარაკოდ, და სწორედ მაშინ, ლაპარაკის ეშვში რომ შევალ, ვხედავ, სულაც არ მისმენენ. დროდადრო კი ისეთ უადგილო შეკითხვას მოგცემენ, ხელად მიხვდები, ერთი სული აქვთ, როდის მორჩები ქაქანს.

— თავი დამანებეთ, რამე სხვა მოვიფიქროთ.

— სხვა? — გახარებული ჯაბა წამოხტა, — აბა, წავიდეთ!

— სად? — ჰკითხა ზურიმ.

— ეგ მე ვიცი.

მივხვდი, სადაც გვეპატიებოდა. ზურიც მიხვდა. მალე სულ გალოთდება ჩვენი ჯაბა. ნეტა მართლა ასე უყვარს ღვინო თუ ტყუილად იღებს თავს? ჯიბეზე ხელს ისვამდა. აქაოდა, ნუ გეშინიათ, თქვენს კაპიებს არ მოუწყეს დახარჯვა, ფული მე მაქვსო.

— ლუდი დავლიოთ, — გვითხრა ბოლოს, როცა შეგვატყო, მაინცადამაინც არ გავგზარებია მისი წინადადება, — მარტო ლუდი.

— ნუ იცი თავის გამოღება, — უთხრა ზურიმ.

ამიტომაც არ ღირს ხოლმე სამივეს ერთად ყოფნა. ჯაბა ღიდი მსმელივით

ვიორბი კახალაძე
ჩემი პატარა ლანდი

მუდამ ასე იქაჩება, წამოდით, დავლიო-
თო. ზური კი მარტო წყალს და ლიმო-
ნათს სვამს. ზური რომ არ ყოფილიყო,
ახლა ლუდის დასაღვეად მაინც წავეყვ-
ბოდო ჩაბას. მე და ზურიც არ მოვი-
წყენდით, ბოლოს და ბოლოს ჩემს თავ-
გადასავალს ვუამბობდი. იგი ალბათ
ერთადერთი კაცი იყო ქვეყანაზე, ვისაც
ჩემი ამბები აინტერესებდა. მიწერილი
სულ ცოტა რამ მქონდა. ავი გითხარით,
წინასწარ ვგრძნობდი, ჩემს წერილს
ზური ჩვენებთან მიიტანდა-მეთქი.

— იუზა სად არის? — ვიკითხე მე.

— ვერც ის მოხვდა, — დანანებით
თქვა ჯაბამ.

— ჩვენი კლასიდან, — მითხრა ზუ-
რიმ, — მარტო მე და ნატო მოვხვდით.

— ნატო ნახე? — მკითხა ჯაბამ.

— ჰო.

— ძალიან გალამაზდა... ბიჭები ეხვე-
ვიან. ფრთხილად იყავი, თორემ გაგი-
ფრინდება.

— გოგოებმა ასე იციან, — თქვა ზუ-
რიმ, — უცებ ისე გალამაზდებიან, ვერ
იცნობ.

— მაგრად მოჰკიდე ხელი, — მარი-
გებდა ჯაბა, — თორემ მერე გვიანი იქ-
ნება.

„გვიანია“.—გავიფიქრე მე. ლიდა გა-
მასხენდა; ძალიან მინდოდა რამე მეთქვა
ლიდაზე.

სულთანი ამბობდა ხოლმე: შენთვის
მხოლოდ ერთი გოგოა გაჩენილი ქვეყა-
ნაზე და ძალიან ფრთხილად უნდა იყო,
რომ ის გოგო არ დაჰკარგო. შეიძლე-
ბა ერთის მეტად ვერც შეხვდეთ. თუ
შენი დოცლობით დაჰკარგე ის გო-
გო, თავისუფალი ხარ, მერე სიყვარულ-
ზე ტყუილად იოცნებებო. იქნებ უკვე
შემხვდა ის გოგო? ვინ იყო, ნატო თუ
ლიდა? თუ ნატო იყო, უკვე დაკარგუ-
ლია.

— რას აკეთებ? — ვკითხე ჯაბას, —
მართლა მუშაობ?

— ჩავიჭერი თუ არა, იმ დღესვე წა-
მიყვანა ჩემმა ძმამ თავის ქარხანაში...

ფეხით მივყვებოდი ქუჩას. ჯაბამ ური-
კა დინახა, მივიდა და სიგარეტი იყიდა.

— ეწევი? — ვკითხე მე, როცა
გვეწოა.

— რას იზამ...

— ამას ვერ ვუძლებ, — ჩაილაპარაკა
ზურიმ, — ხომ ვიცი, როგორ გეზიზ-
დება, რას ექაჩები ნეტა ვიცოდე. —
ზური მე მომიბრუნდა, — ვითომდა
თქვენზე უკეთესი ბიჭი ვარო.

— დაწყნარდი, — დაარია ჯაბამ, —
ნერვებს ნუ იფუჭებ.

ჯაბა სკოლაშიც ეწეოდა ხოლმე მა-
ლულად. ახლა სულ გამოიმუჭვარტლავს
გულ-მუცელს. ალბათ ძმამ არ იცის,
თორემ ასწავლის ჭკუას.

— მეც მინდა მუშაობა, — ვუთხარი
ჯაბას.

გაჩერდნენ და შემომხედეს.

— რატომ გაგიკვირდათ?

არაფერს ამბობდნენ.

— სხვანიირად არაფერი გამოდის.
შინ ვერ მივალ.

ერთხანს მდუმარედ მივაბიჯებდით.

— ჩემთან წამოდი, — მითხრა ბო-
ლოს ჯაბამ.

სწორედ ეს მინდოდა, ეთქვა.

— საგზური ხომ გაქვს? გახსოვს, საგ-
ზურები რომ მოგცევს სკოლაში, ხომ
არ დაგიკარგავს? თუ დაკარგე, მიდი,
ახალს მოგცემენ. მივიტანთ და სიტყვა-
საც არ გეტყვიან, ისე მიგიღებენ.

— ხვალ დილით, რვა საათზე, კოლ-
მეურნეობის მოედანზე დამხვდი. არ
დაგავიწყდეს. მთელი საათი უნდა ვი-
ჩაქჩაქოთ აეტობუსით...

— რვა საათზე?

— რაო, არ შეგიძლია რვაზე ადგო-
მა?.. რვაზე კი არა, შვიდზე უნდა ად-
გე... რას იზამ, ასეა ცხოვრება.

არა, ამაზე არ ვწუხდი. თუნდაც ექვს
საათზე ჩავიდოდი კოლმეურნეობის
მოედანზე. ის მაფიქრებდა, ხვალ დი-
ლით საგზურის მოძებნა როგორ მო-
ვასწრო-მეთქი. ისევე დღესვე უნდა წაე-
სულიყავი. ახლაც, სანამ მამა დაბრუნ-
დებოდა საავადმყოფოდან.

— აბა, კარგად იყავით, — მაშინვე
დავემშვიდობე ორივეს და შინისაკენ
მოვეკურცხლე.

მაინც დავაგვიანე. მანქანა ეზოში
ოდგა. ცხადია, მამაჩემი შინ უნდა ყო-
ფილიყო. ერთხანს ვიცადე, იქნებ სად-
მე წავიდეს-მეთქი. ბოლოს ფრთხილად
ავედო კიბეზე და ჩემს ოთახში შევიბა-
რე.

ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემმა კარი შე-
შალა და შემოვიდა. მე წიგნებში ვი-
ქექებოდი.

— გამარჯობა, — თქვა და მაგიდას-
თან მივიდა.

სალამზე ვუპასუხე და საგზურის
ქებნა განვაგრძე.

მამაჩემი სკამზე დაჯდა მაგიდასთან.

— დაბრუნდი?

— არა.

— არა?

ხმაზე შევატყვე, დარწმუნებული იყო,
რომ საბოლოოდ დამამარცხა. არაფერი
მითქვამს, საგზური ვიბოვებ, დავკეცე და
კიბეზე ჩავიდე.

— ახლა ვისღა უნდა მიეკედლო, იმ
შენ ზური ინაურს ხომ არა?

აშკარა იყო, მისი წყალობით გამომა-
ძვევს სტუდენტობიდან.

დილით, შინ რომ ვიყავი, ნუნუსაც
შევკრიგედი და არც იმ ორმოცდაათი
მანეთის ამბავი დამიმალავს, მამაჩემს
მამიას ვალი რომ ჰქონდა. ეჭვი არ იყო,
მამაჩემმაც გაიგო, მისი სიდიულმოო რომ
გამეძღვნა. ეს თვალეზზეც ეტყობოდა,
ლაპარაკზეც. რას იზამ, აღრე თუ გვიან
ეს ასე უნდა მომხდარიყო.

— ვის მიეკედლე?..

— არავის.

— ამა ვინ გარჩენს, ვის აზიხარ კი-
სერზე?..

— სხვამ რატომ უნდა მარჩინოს?

მამაჩემი მიყურებდა და იღიმებოდა,
თითქოს ამბობდა, რაც არ უნდა გამო-
იღო თავი, ხომ ვიცი, ვინცა ხარ, მე-
რაფერს გამომაპარებო.

— წავედი, — ვუთხარი და გარეთ გა-
ვედი. სწრაფად ჩავირბინე კიბე. მოვ-
დიოდდი და გული მიძაგძაგებდა.

რატომ? ნუთუ ასე მეშინია მამაჩე-
მის? თუ ეს შიში სულაც არ არის?

სტუდენტობაში, რომ მივედი და ჩვენს
კორპუსის კარი შევაღე, მაშინღა გა-
მახსენდა, რომ წასასვლელი არსად მქონ-
და და სწორედ ამიტომ იყო, ისეთ კი-
ლოზე რომ მელაპარაკებოდა მამაჩემი.

თემური, რა თქმა უნდა, დაურეკავდა,
რომ სტუდენტობაში ფეხს ველარ დავად-
გამდი.

სასიძოა. როგორ შეიძლება ხელიდან
გაუშვას ასეთი კარგი შემთხვევა სი-
მამრის გულის მოსაგებად.

შევყოყმანდი. ავიდე თუ არა ზევით?
ავალ-მეთქი, გადავწყვიტე. ხომ შეიძ-
ლება კომენდანტს უკვე დავიწყებული
ვყავდე?

ამ დროს კომენდანტიც დავინახე. ეშ-
მაკმა იცის, საიდან გამოტყვრა. ალბათ
იჭდა და მიდარაჯებდა? არაფერი არ უნ-
და გაგიკვირდეს კაცს.

— სად მიდიხარ?

— არსად.

— აქ რა გინდა?

— ისე მოვედი... შემოვიხედე.

— ხომ არ დავაგვიწყდა, რაც გითხა-
რი?

— არა.

— ხომ შემოიხედე. ახლა გაბრუნდი,
არ დავინახო მეტი.

გამოვედი. მეტი რა გზა მქონდა.
სტუდენტობის შესასვლელთან გავჩერ-
დი.

„შინ მაინც არ წავალ, აქ გავათევ და
შინ მაინც არ წავალ“.

ვასო დავინახე. ყავარჯნის ჩლახუნით
ძოდოდა.

„იქნებ მართლა ზურისთან წავიდე?..“

— გაუშარჯოს! — ვასო მოვიდა და
ზნარზე დამკრა ხელი. — როგორ ხარ?

— კარგად.

კილომეტრიდან შემატყობდა კაცი,
რა გუნებაზეც ვიყავი. ვასო დამაკვირ-
და. ახლა მე დავასწარი შეკითხვა:

— შენ როგორ ხარ?

— კარგად.

გიორგი კეკელიძე
ჩემი პატარა ლანდი

— ფეხი როგორ გაქვს? ისევ ყავარჯ-
ნით დადინარ?

— მირჩება წელ-წელა. ყავარჯენს მა-
ლე გადავავლებ.

ნეტა თუ იცის, რა ძვირი დაგვიჯდა
კლუბის სახურავიდან მისი გადმოვარდ-
ნა? ახლა ის ორმოცდაათი მანეთი რომ
შქონოდა, უფრო დამშვიდებული ვიქ-
ნებოდი.

— მოტოციკლეტი ხომ არ გიყიდა?

— რა მაჩქარებს. ჯერჯერობით ეს
არის ჩემი მოტოციკლეტი, — ჯოხი გა-
მომიშვირა. — აქ რას დგახარ? წამოდი.

— შენ წადი.

— ელოდები ვინმეს?

— არა.

— აბა?

— გამომაგდეს.

— რას ამბობ? ვინ გამოვაგდო?

— კომენდანტიმა.

— აა...

ვასო ჩაფიქრდა.

— ცუდი ამბავია. საიდან გიცნო?
რამდენი ახალი სტუდენტია ჩვენს კორ-
პუსში, წლის ბოლომდე ვერ გაიცნობს
ყველას.

მხრები ავიჩეჩე.

— შინ აღარ მიდინარ? წადი შინ.

— შინ არ მივედივარ.

ვეცოდებოდი. მეც მეცოდებოდა ჩე-
მი თავი. ლამის გული ამჩუყებოდა.

— წამოდი, — მითხრა მერე, — მე
ვეტყვი: რამეს მოვახერხებთ. ისიც კა-
ცია. ვერაფერს შევასმენთ ვითომ?

— არაფერი ვამოვა, — ვუთხარი
მე, — ამ საქმეში მამაჩემის ხელი ურე-
ვია.

— მაშინ ჩუმაღ შემოიბარები და ჩემს
ოთახში გაათევ. წამოდი. კომენდანტი
ყოველ ოთახს ხომ არ დაივლის შუალა-
მეზე...

ის ღამე ვასოს ოთახში გავათიე. მე-
სიზმრებოდა, თითქოს თვალებამღვრე-
ული კომენდანტი მალვიძებდა, საწოლი-
დან მომათრევდა და კინწისკვრით მიე-
ყავი მილიციაში.

ავტობუსი ხალხით იყო გაჭედილი.
კუთხეში ვიყავი მიჭეჭვილი. ცალ ფეხ-
ზე ვიდექი. ჩემს წინ ჯაბას ძმა იდგა.
იგი გულგრილად იცქირებოდა სარკ-
მელში. ეტყობა, მიჩვეული იყო ამ ზე-
დახორას. ზურგიდან ჯაბა მაწვეებოდა.
წამდაუწუმ უხეიროდ ოხუნჯობდა.

ავტობუსი რომ დაიძრა, ჯაბას ძმამ
შემომხედა და გაჯავრებულმა თქვა,
რამდენი მარშრუტია, ავტობუსები ცა-
რიელი დადის, აქ კი მუდამ ასეთი
ჯგლეთააო. რატომღაც ისეთი შთაბეჭ-
დილება დამრჩა, რომ ამით ჯაბას ძმა
ჩემთან იხდიდა ბოღიშს.

ცალ ფეხზე დგომა, დიდად არ მსია-
მოგნებდა, მაგრამ ამაზე ფიქრისთვის
მაინც არ მეცალა. იმ ახალ ცნობრებაზე
ვფიქრობდი, დღეს რომ უნდა დამეწყო.
ელეავდი და მეშინოდა კიდევ. თან ძა-
ლას ვგრძნობდი, მოზღვავებულ ძალას.

ეს იყო პირველ დღეს. შემდეგ კი მეც
სხვებივით ვწუხდი ხოლმე, თუ ცალ
ფეხზე მდგარს მომიწევდა მგზავრობა.
ხანდახან ვჯავრობდი და ვილანძღებო-
დი, დროდადრო, ჯაბასი არ იყოს, უად-
გილოდ წამოვიწყებდი ოხუნჯობას და
სხვას თუ არა, ჯაბას მაინც ავიყოლიებ-
დი ხოლმე. ყველაზე მეტად მაშინ მე-
მართებოდა ასე, თუ ვინმეს შევატყობ-
დი, რომ პირველად მოდიოდა ჩვენს
ქარხანაში. ოხუნჯობა რომ მომბეზრდებ-
ოდა, ჯაბას ძმასავით იმათ ლანძღვას
მოვეყვებოდი, ვისი მოუსაზრებლობითაც
ზოგან ავტობუსები დილდლილობით ცა-
რიელი დადის. აქ კი მუდამ ასეთი ჯგლე-
თაა.

სალამობით მე და ჯაბა საღმე კავებს
წინ ავეყუდებით უსაქმური და უღარ-
ღელი კაცებივით.

ვდგავართ ასე და გამვლელ-გამომე-
ლულს ვათვლიერებთ. თვალს წყალს
ვასმევთ. ზოგი მეტისმეტად საქმი-
ანი კაცის იერით მიჩაქჩაქებს და იმის
ღირსადაც არ გვთვლის, წამით თვალი
შეგვაგლოს. ზოგი კი ისეთი თვალებით
შემოგვხედავს, თითქოს ახლახან მარა-
დიული ძრავა გაეკეთებინოს და გულ-



წრფელად ვეცოდებით, რომ ასე უაზროდ ვატარებთ ცხოვრებას. ზოგიც აშკარად ზიზღითა და დაცინვით შემოგვხედავს. „აი, უსაქმურები!“ — წაიკითხავ მათ თვალეში. ჩვენ გუნებაში გვეცინება და ვფიქრობთ: „ნურას უკაცრავად, ვერ გამოიციანი...“ ვფიქრობთ ამას და რაღაც გვიხარია.

მერე ამით გულს რომ ვიჭერებთ, ერთმანეთს ვემშვიდობებით. მე სტუდენტალაქისკენ მიმჩქარება.

ჩემმა ძმაკაცებმა მართლა „მოუხვიეს თავი“ კომენდატს და ძველებურად არაღლეგალურად ადარ ცვსოვრობ. ჯერჯერობით კვლავ ვასოს ოთახში ვიძინებ. ჩემს ძმაკაცებთან აღვილი არ არის.

უნვერსიტეტს რომ მივუახლოვდები, ტროლეიბუსიდან ჩამოვდივარ და მერე ფეხით მივაბიჯებ. ფეხზე მძიმე, სქელ-ლანჩიანი ფეხსაცმელი მაცვია. მივაბიჯებ და არც მარჯვნივ ვიხედები, არც მარცხნივ. არავის არ ვუყურებ, თვალებს არ ვაცეცებ, ვითომდა სულაც არ მცალია საამისოდ, არც არავისი მშურს რამე, არც მეხარბება.

თავდაჯერებული მივაბიჯებ. აქა-იქ გოგოებს მოვკრავ თვალს. ეშმაკურად გაღმომხედავენ, ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებენ, მერე განგებ ხმამალა გაიციინებენ და იოტისოდენა ყურადღებას რომ არ მივაქცევ, წყენით ჩაილაპარაკებენ: „რაო ვითომ?... დიდი ვინმე კი ბრძანდება“.

მე გუნებაში მეციხება. მივდივარ და მძიმედ მივაბრახუნებ ფეხსაცმელს. იმ გოგოებზე ვფიქრობ და თან ჩემს თავს ვარწმუნებ: „მე თქვენზე სულაც არ ვფიქრობ... სად მცალია თქვენთვის...“

კვირაობით ხან ვასოს მივყვები საკომისიო მღაზიების შემოსავლელად, ხან მე და მამია კიროვის პარკში მივდივართ და ქანცის გაცლამდე ვთამაშობთ მაგილის ჩოგბურთს. ხანაც ზაური წამთრევს საჰიდრაკო კლუბში (მაშინ, როცა მამია არ გაჰყვება). იქ მოწყენილი შეეყურებ, როგორ ებრძვის ზაური პირველთანრიგოსნებსა და ოსტატობის კან-

დიდატებს. კანდიდატებთან უმეტესად აგებს ხოლმე და უკან მომავალი გზადაგზა მიხსნის, რომ კუ „დ“ ხუთზე რომ დაესვა, ან ეტლი „ც“ სამზე, ყამის მიღწევდა. ან შეიძლება სულაც მოეგო პარტია. მან, რა თქმა უნდა, მშვენიერად იცის, რომ მისი „დ“ ხუთი და „ც“ სამი ჩემთვის ჩინურია.

ნატოს შორიდან მოვკარი თვალი. ქუჩის მეორე მხარეს იღვა და ისე იხედებოდა ირგვლივ, თითქოს ვილაცას ეძებოდა. მე რომ დამინახა, მაშინვე ქუჩა გადმოტრა და ჩემთან მოიბრუნა.

— სადა ხარ აქამდე? — მკითხა გაჯავრებულმა.

გამიკვირდა, რას მიჯავრდება-მეთქი.

— აქა ვარ...

— ათი წუთი დაავიანე.

მართლაც დამავიანდა ათი წუთი. მაგრამ ნატოს რა უნდოდა ჩემთან, ვერ გავიგე — მე ზომ ჯაბას ველოდი. სად არის აქამდე ჯაბა? იქნება უკვე იყო და წავიდა?

— ახლა აქ უნდა ვიდგეთ მთელი დღე? — მკითხა ნატომ.

— ცოტა ხანს კიდევ მოვუცდი.

— ვის მოუცდი?

— ვისაც ვუცდილი... ჯაბას.

— ჯაბას ელოდი?

— ჰო, რატომ გავიკვირდა?

— მე არ მელოდი?..

— შენ?... შენთვის რატომ უნდა მო-

მეცადა?

— აბა რატომ დამირეკე? გაკვირებული ვუმზერდით ერთმანეთს.

უცებ ყველაფერს მივხვდი.

დღეს ისე უცნაურად ილიმებოდა ჯაბა, უნდა მივმხედარიყავი, რასაც მიწყობდა. აკი მითხრა, თხუთმეტი წუთით თუ დამავიანდეს, ნულარ მომიცდიო.

თხუთმეტი წუთიც გავიდა.

ხმამალა გამეცინა.

ვიორგი კეხელაძე
ჩემი პატარა ლანდი



ნატო გაოცებული მიმზერდა. სასაცილო რა ნახაო, ფიქრობდა. ბრაზისაგან, როგორც იცის ხოლმე, ყურებიც კი წამოენთო.

— მაპატიე, — ვუთხარი მე, — ვიხუმრე.

— კარგი ხუმრობაა.

მკლავში მოვიკიდე ხელი.

— წავიდეთ.

ნელა მივიდიოდით. ნატოს მალე გაუარა ბრაზმა და ენაც ამოიღვა. მთავრობის სასახლეს რომ ჩავუარეთ, შეჩერდა;

— წამოდი, ბაღში დავჯდეთ.

— წამო...

ბაღში შევედი და სკამზე დავსხედით. ნატომ ლაპარაკი განაგრძო. თავის ამხანაგებზე მიყვებოდა რაღაც სისულელეს. ამას წინათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები გაუცვნიათ და საღამო გაუმართავთ. ერთი ბიჭიც არ გვყავს ჯგუფში, აბა, რა უნდა გვექნაო. იმ სტუდენტებს მხოლოდ ერთი გოგო ჰყოლიათ ჯგუფში და ისიც ისეთი უშნო, თურმე გოგოები დასანახავად ენატრებათ. ჰოდა, ადგნენ და ერთად იქეიფეს, რომ ერთმანეთი გაეცნოთ; ცეკვავდნენ თურმე. მერე თამაში დაიწყეს, რაღაც სულელური თამაში რომაა, კოცნაზე. საბოლოოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ბიჭები ერთმანეთზე უკეთესები ყოფილან და ნატოს ამხანაგები მერე კვირაა, მხოლოდ მათზე ლაპარაკობენ.

— შენც? — ვკითხე მე.

— რა მე?

— შენც იმათზე ლაპარაკობ?

— რა უცნაური შეკითხვაა. ხომ არ ეჭვიანობ?

ვერც კი მიხვდა, რომ დავცინოდი მის სულელ ამხანაგებსა და მასაც. ნატოს კი ჰგონია, რომ ვეჭვიანობ. იმიტომ ხომ არ მიაბზო ყველაფერი ეს, რომ დამეკვიოს?

— არ ვეჭვიანობ.

— ერთი ყოველდღე მელაპარაკება ტელეფონით. კინოში შეპატიყება.

ცხადია, ნატოს უნდა, რომ ვეჭვიანობდე. ვერ მიაბრუნებ! შეიძლება სულაც არ ვეხატები გულზე, მაგრამ იმიტომ არ მიცილებს, უნდა ბევრი თავყანისმცემელი ჰყავდეს.

— მერე რა? არ წაჰყევი?

— წავყოლოდი?

ხელად შევატყვე, რომ ნატო იმ ბიჭთან უკვე იყო კინოში.

— წავყოლოდი. ეგ რა დიდი ამბავია. რამდენი გოგო წამიყვანია კინოში.

— კიდევ რომ დამპატიყებს, წავყვები.

ეს ისე თქვა, აქაოდა, იმ ბიჭთან კინოში წასვლა არაფრად მეპიტნავება, მაგრამ შენს ჯიბრზე წავყვებიო. ვლუმიდით.

— ერთხელ ხომ იყავი მასთან კინოში?..

ნატოს არაფერი უთქვამს.

— ხომ იყავი?

— მერე?..

— არაფერი...

მე სულაც არ ვეჭვიანობდი და ნატოც გრძნობდა ამას. ძალიან სწყინდა, სახეზე ეტყობოდა, რომ სწყინდა. რა უცნაური არიან ეს გოგოები. შეიძლება სძულდე კიდევ, მაგრამ მაინც სულით და გულით უნდათ, რომ გიყვარდეს და იტანჯებოდე.

ლიდა მომაგონდა. მასაც ხომ უნდოდა, რომ მყვარებოდა. იქნებ ყველა გოგო ასეთია?

— დღეს წერილი მივიღე, — დავიწყებულე, — ერთი გოგო მწერს. ლიდა ჰქვია. ის გოგო იქ დარჩა... ახლა იქ დიდი თოვლია. გზები თოვლითაა ჩაკეტილი და ახალგაზრდები ძალიან ცოტანი არიან. ზამთრობით საშინელი მოწყენილობაა თურმე... მაინც უძლებენ.

ისე, მართლა კარგი იქნება, ერთ დღეს ლიდას წერილი რომ მივიღო. თუმცა ეს შეუძლებელია. მან ჩემი მისამართი ხომ არ იცის. კიდევ რომ იცოდეს, პირველად ალბათ არ გამომიგზავნის. სანამ მე არ მივწერ წერილს, არადრისიღებთ არ გამომიგზავნის.

ნატო თვალბეჭდით მიმზერდა.

— მერე რაო, რას გწერს?

— მოწყენილი ვარო.

— ადექი, გაუგზავნე წერილი და გაერთობა... ნუ მოაწყენ.

კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა გავუგზავნო? მართლა გავუგზავნი.

— უკვე დავეწერე, მაგრამ არ გამიგზავნიან. გინდა მოგიყვე, რას ვწერ? თუ გინდა წაგაკითხებ, აქა მატქეს...

ხელი ჯიბისკენ წავიღე.

ვიცოდი, არ იკადრებდა სხვისი წერილის წაკითხვას. არადა, სადაც ამდენი ტყუილი ვთქვი, იქ არც იმის თქმა გამიჭირდებოდა, წერილი ოთახში დამჩინებია-მეთქი.

— არ მინდა... რაც გინდა ის მისწერე. თუ გინდა, ჩამოდო, მისწერე, მაშინვე ჩამოირბენს, რახან იქ ასე მოწყენილია. იქნებ იმიტომაც გწერს წერილს, წამოსვლა უნდა. შენს მოპატივებას ელოდება.

— არ ჩამოირბენს...

— რატომ დამირეკე? — მკითხა ნატომ.

— მე არ დამირეკავს.

— როგორ? შენ არ მელაპარაკებოდი დღეს ტელეფონზე?

— არა. ალბათ ჯაბა გელაპარაკებოდა. მე არც ვიცოდი, შენ რომ მოხვიდოდი. მე ჯაბას ველოდი.

ნატო ადგა.

— უთხარი, არ დამენახოს.

— ვეტყვი.

— მშვიდობით ბრძანდებოდე.

— კარგად იყავი.

სწორედ მაშინ გივდებოდეს შენთვის როცა გგონია, ჰირივით ვძულვარო.

ჩვენს კლასში იყო ერთი გოგო, ვიღაც სტუდენტი უყვარდა და უსახელო წერილებს სწერდა ხოლმე. მერე არ იტყვი, რას სწერდა? ლანძღავდა, თათხავდა, ავიწყებდა. ხან მახინჯს უწოდებდა, ხან ვირს, ხან აქლემს და იხვნიკარტას. რას არ უსურვებდა: ციებას, ცხელებას, ტიფსა და შავ ჭირს, ჯანდაბასა და ათას უბედურებას. გოგო ასეთ წერილს რომ მოგწერს, დაიჯერებ, ვუყვარვარო? მას კი უყვარდა ის ბიჭი. სტუდენტი კი შეიძლება აზრზეც არ იყო და გულზე სკდებოდა, წერილებს რომ ღებულობდა, ნეტა ვის რა დავუშავე, ასეთ სისაძაგლეს რომ მწერენო... ჰოდა, ხომ შეიძლება, ნატოსაც რომ უყვარდე?

კორპუსის შესასვლელში ნუნუ შემეფეთა. არ შეჩერებულა, თვალი ამა რიდა და უსიტყვოდ ჩამიარა გვერდით. შევატყვე, ნამტირალევი იყო. დავწვიე და მკლავზე ვტაცე ხელი.

— რა მოხდა? — ვკითხე.

— არაფერი, ხელი გამიშვი.

სახეს მარიდებდა.

— თემურთან იყავი?

არაფერი უთქვამს. უსიტყვოდ გაიბრძოლა. მაგრამ მე მაგრად მეჭირა მისი ხელი.

— რა გატირებს?

— თავი დამანებე! — დამიყვია ვაბრაზებით, — მომშორდი!

ხელი გავუშვი.

ნუნუ წავიდა. მე შესასვლელში შევეარდი და კიბეზე ავირბინე. თემური ოთახში დამხვდა. ფანჯარასთან იდგა და გარეთ იცქირებოდა. გაფთვრებული იყო. ტუჩებს იკვებდა. იქვე სულთანა და მამია ისხდნენ.

სამივენი ღუმიღნენ.

— ნუნუ აქ იყო? — ვკითხე თემურს.

მარტო ვბრუნდებოდი. ვერ გეტყვით, ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი-მეთქი. თვალწინ მედგა ნატოს ალექსილი სახე, ბრაზით ანთებული თვალები და სინდისი მქენჯინდა: ბოლოს დაბოლოს მე დავიწყე ეს თამაში, და ვინ იცის, იქნებ მართლა ვუყვარდი ნატოს? სიყვარულს ასე ადვილად რას გაუგებ კაცი. იგი ალბათ იმდენნაირია, რამდენი ადამიანიცაა ქვეყანაზე. ალბათ ყველას თავისებურად უყვარს და ყველა თავისებურად გამოხატავს. გოგოებისთანა უცნაურ ხალხს მაინც სად ნახავ. შეიძლება

ხმა არ გაუტია.

— არ გესმის?

კომოდთან მივედი და ყველაზე სქელი წიგნი ავარჩიე. თემურმა, მგონი, იგრძნო საფრთხე, შემობრუნდა და ხმადაბლა მითხრა:

— ნუ ყვირი.

— ნუნუ აქ იყო?

— აქ იყო.

— რატომ ტიროდა?

— ხომ გითხარი, ნუ ყვირი-მეთქი.

— რატომ ტიროდა? — მივუბრუნდი მამიას და სულთანს.

— ჩვენ ახლახან შემოვედით, — მიპასუხა სულთანმა.

— რატომ ტიროდა? — ვაუშვიერე კითხვა თემურს.

— რატომ ტიროდა და ცოლად შემირთო! — ახლა თემურმა დაიწყო ყვირილი. — ამიტომ ტიროდა!.. შევირიო?!.

წიგნი იატაკზე დავახეთქე.

— აიღე, — მითხრა თემურმა.

— ავიღებ და თავში ჩაგარტყამ.

— მაშინ ნუ აიღებ, — მითხრა სულთანმა, ადგა და ხელი მომიკიდა, — დეჯექი... დაწყნარდი...

— აიღოს, — უთხრა მამიამ, — ჩართყას...

თემურმა წიგნი აიღო, თავის ადგილას დადო, მერე კი კართან მივიდა, გააღო და მოაჯახუნა.

წამოგვარდი, კარადა გამოვადე. იქ ზაფხური თავის მოკლეთარიან ჩაქუჩს ინახავდა ხოლმე. ჩაქუჩი ადგილზე დამხვდა. ხელი ვტაცე და კარს ვეცი.

სულთანმა ხელი მომიკიდა.

— აბა, აბა, ტერორი არ იყოს...

— დაწყნარდი, — მითხრა მამიამ, — ყველაფერი მოგვარდება, ნუ გეშინია.

4

მაღე ყველაფერი მოგვარდა.

მაგრამ ვისთვის მოგვარდა და ვისთვის აირია!

სალამო იყო. მე და ჯაბას ქარხანაში შეგვაგვიანდა. მერე სრულიად შემთხვევით საღვურში გამოვიარეთ. მგონი,

ნი, ჯაბას გამოვყევი, ვილაცას უნდა შევხებოდეთ, თუ ვაეცილოთ. კარგად არც მახსოვს.

გაზეთის კიოსკთან დათო დავინახეთ. ხელში ჟურნალი ეჭირა და ფურცლავდა.

ახლოს მივედით.

— აქ რას აკეთებ? — ვკითხე.

— მუშათა კლასს გაუმარჯოს! — დათომ ხელი ჩამოგვართვა, — როგორ გიკითხოთ?

პასუხს აღარ დავუცადა, ჟურნალი იყიდა, გზაში წავიკითხავო, მერე ხელი გადაგვხვია.

— აბა, მომეყვით, მუშებო...

მოსაცდელ დარბაზში შევედით. დარბაზის სიღრმეში ერთი სკამისკენ გაიწვდინა ხელი. იქ ციციწო იჯდა. ციციწო ნაღვლიანად შეჰყურებდა იქვე კედელივით აღმართულ ჩემს დენებს.

— იცანი? — მკითხა დათომ.

— საღ მიღიხართ? — ვკითხე გაოცებულმა.

— აბა, თუ გამოიცნობ.

— მართლა, მართლა!

დათოს მხიარულად უციმციმებდა თვალები. ამან კიდევ უფრო გამოაცა. რა უხაროდა ასე? ან ციციწო რატომ იჯდა ცხვირიჩამოშვებული?

— არაფერი გაგიგია? — მკითხა დათომ.

— არა. მოხდა რამე?

— რამე?.. რამე კი არა, ქვეყანა გადატრიალდა. შენ ჭურში ხომ არ ზიხარ?

— თქვი, თუ ამბობ...

— მამაშენი აჯანყდა. გადმოგვივადო გზის ფული და კინწისკერით გამოგვეყარა ქუჩაში, არ დამენახოთო. ახლა მართლ ზის იმხელა სახლში და ლოთობს... — ლოთობს?!

მამაჩემი ათასში ერთხელ თუ დათვრებოდა ხოლმე. სადაც არ უნდა წასულიყო წვეულებებში, როგორც არ უნდა დაეძალებინათ ღვინო, არასდროს არ გადააქარებდა.

— მარტო ზის. ბებიაშენის გარდა. ყველანი გარეთ გამოგვეყარა. საწყალი

ქალი შეედავა, სად მიერეკები ამ ბავშვებსო და ლამის ისიც გამოაპანდურა...

— ნუნუ?

— შენ როგორც გატყობ, მართლა ჭურში გძინებია, — დათომ ხელი გამოძლო. — წამო, დავსხდეთ. შენი ბრალი ცოცხალია.

— მე წაყალ, — თქვა ჯაბამ.

დათომ შეხედა.

— როგორც გინდა.

ჯაბას არ უნდოდა ჩვენი ოჯახური ამბები მოესმინა. სულ ერთი არ იყო: თუ რამე საინტერესო მოხდა, ხვალ მაინც გაიგებდა ჩემგან. ამიტომ ვაცლა ამჯობინა, რომ უხერხულად არ გვეგრძნოთ თავი.

ჯაბა დაგვემშვიდობა და წავიდა. დათომ რესტორანში შემოიყვანა და ლუდი მოატანინა.

— პირველი ხელვასი დახარჯე?

ჰო-შეთქი, ვუთხარი.

— როდის?

უბედურებაა დათოსთან ლაპარაკი. სულს ამოგზდის და სათქმელის დამთავრებას არ გაღირსებს.

— კარგა ხანია. რატომ მეკითხები?

— უსინდისო ყოფილხარ. სიძეს არაფერი უყიდე? ან მაიკოს? დებისთვის მაინც გერჩქებინა რამე.

— ნუნუ სად არის?..

— ახლა გამახსენდა. ნუნუ გათხოვდა. გილოცავ ახლა სიძეს.

— კარგი ერთი, — ლუდიანი ჭიქა დავდგი.

— ორი სიძე გყავს, უბედნიერესი კაცი ხარ.

— მეორე ვინდაა, თემური?

— ჰო...

დათომ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მომაწოდა.

— არ მინდა.

— დაანებე თავი? ყოჩად... მე კი ვერ იქნა და ვერ გადავეჩვიე.

— რატომაა ჩემი ბრალი?

— რაც შენ წახვედი, მერე აურია. სულ გვიბღვერდა და გვთათხავდა. თუმცა პირადად მე არც ადრე მაკლებდა

ხელს. რად უნდა ლაპარაკი. შენი ბრალია ყველაფერი.

— ნუნუ როდისღა გათხოვდა? მე რატომ არაფერი ვამიგია?

— დამაცადე, ახლაც ვიამბობ... ვხედავ, მოდის შენი თემური. დაფეთებული შეიძურწა მამაშენთან. გარეთ კი ნუნუ დგას და გაფაციცებული უსვენს. ჰოდა, მეც შემაძლინა ეშმაკმა, ვეღარ მოვითმინე და შენი ოთახიდან მეც მივეუგდე ყური. მშვენიერი დიალოგი მოვისმინე. რა გინდაო, ჰკითხა სასიამაოო; სასიამოო მიუგო, შენი ქალიშვილი მიყვარს და უნდა მომათხოვო. ამას ისეთი ხმით ამბობდა, ნაღდი იყო, ათასწილად ერჩინა, უცოლოდ დარჩენილიყო. „დარწმუნებული ხარ, რომ გიყვარს?“ — ჰკითხა მამაშენმა. ძველი ეშმაკია, მიხვდა, რომ იმ ბიჭს სულაც არ ეკიდებოდა სიყვარულის ხანძარი. დარწმუნებული ვარო, მიუგო თემურმა. მამაშენი ადგა და სასიძოს ცივი წყალი გადაასხა: „მერე იცი, რომ მე ვერ ჩამომისახლდები? სად წაიყვანა?“. „ბინას დავიჭირებ“ — ამოღერდა სასიძომ. არც ფულს მოგცემო, უთხრა სასიამაოო. არც მინდაო, უთხრა თემურმა. მერე გვერდით მოისვა და ისეთი მამაშვილური დარიგებები მისცა, ჩემთვის რომ გაემეტებინა მეათედიც კი, დღეს შენი სიძე ნამდვილად არ ვიჭნებოდი. არ მინდა, რომ ნუნუ შეირთო. ეგ ისეთი ფუქსავატია, ისეა გაზრდილი, სიცოცხლეს გაგიმწარებსო... ერთი სიტყვით, მე ნებას არ გაძლევთ და თუ ძალიან მონდომებული ხარ, ადექი და წაიყვანე. თუ არ იცი, როგორ უნდა მოაწყო ეს საქმე, ჩემს პირველ სიძეს ჰკითხე, გამოცდილიაო. მერე უცებ ლანძღვა დაუწყო, კარგი კაცი არც შენ იქნებო. ერთი რამ აშკარა იყო, ბერეკაცი შეზარბოშებული ჩანდა.

დათომ ლუდი დალია და ჭიქა მაგიდაზე დადო.

— მერე?

გიორგი კვალაშვილი
ჩემი პატარა ლანდი



— რაც მოხდა, მერე მოხდა. წამოხტა და ერთი ისეთი დაუღრიალა სასიძოს, მეგონა კედლები ჩამოინგროდა. არ ვიცი, რამ გაახელა, ალბათ რაღაც უთხრა თემურმა ისეთი. მე ვერ გავიგონე, რა უთხრა. ჰოდა, შენი თემურიც გაფრინდა, უკან არ მოუხედავს...

მე მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ცალი ავიღე და მოვუქიდე.

— მერე შემოვარდა ნუნუ. ქვითინებდა. თავში ხელს იცემდა. ეგ რა ჰქენი, როგორ გააგდე, ძლივს დაიციოლიე, რომ მოსულიყო. ამაზე სულ გაცოფდა კაცი. თავმოყვარეობა შეელახა. როგორ თუ ძლივს დაიციოლიე, სახვეწარი რა უნდა გქონოდაო. ნუნუს ბევრი აღარ დაუყოვნებია, ქვითინ-ქვითინით დაედევნა გაქცეულს.

დათომ კვლავ დაისხა ლუდი, მერე სიგარეტი გამომართვა და საფერფლეში ჩასრისა:

- ნუ ლელავ... დაწყნარდი.
- მერე?
- არაფერი. ასე ვიშოვე ქვისლი.
- სად ცხოვრობენ?
- სადღაც ძლივს ვიშოვეთ ერთი ოთახი. შენი მეგობრებიც ძალიან მოგვეხმარნენ.

- როდის მოხდა ეგ ამბები?
- დღეს... საღამოს კი, ეს საქმეები რომ მოვაგვარეთ და შინ დავბრუნდით, მამაშენმა გზის ფული მოგვიგდო და გარეთ გამოგვყარა.

დათო არაჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზე იყო.

— დღეიდან მამაშენის ერთადერთი მემკვიდრე შენ გახდი. დამითმია მისი სრა-სასახლე და ოქრო-ვერცხლი.

- ავდექი. ციცინოს ნახვა მინდოდა.
- არ დაენახვო, — შემაჩერა დათომ, — თორემ თვალებს ამოგკორტნის. კარგად იცის, ვინც არის მისი ამდენი უბედურების მიზეზი. შენ კი არა, ვერც მე ვეკარები ახლოს, ასე შორიდან ვუთვალთვალე.
- ახლა სად მიდიხარ?
- სოფელში. ჩემ სახლში.

— იქ იმუშავებ?
— ადექი და შენც წამოდი. რას ნეტავი?

— მე ხომ ვმუშაობ.
— ჩემთან იმუშავებ. თანაშემწედ ავიყვან... არადა, დაჯექი და წიგნები იკითხე. მე გარჩენ. ბოლოს და ბოლოს სიძე ვარ.

— არ შემიძლია. მე აქ ვმუშაობ.
— როგორც გინდა. არ გაძალე.

მატარებელი რომ ჩამოდგა, მაშინდა მივედი ციცინოსთან. თვალები არ ამოუკორტნია ჩემთვის, მაგრამ არც ხელგაშლილი შემხვედრია. ბარგი მატარებელში შევატანინე და დავემშვიდობე ახლალა გამცა ხმა. მაკოცა და სახე ცრემლებით დამისველა. შემეცოდა. დათო შორიახლოს იდგა და იღიმებოდა. ბედნიერი იყო.

— რა ვაციენებს, შე უბედურო, — შეუბღვირა ციცინომ, — რა გიხარია, ნეტა ვიცოდე.

— ხვალ ჩემს ბებრებს ვნახავ, პატარა ამბავია?..

ციცინოს არაფერი უთქვამს.
— შენ მალე მოუღებ იმ საწყლებს ბოლოს, — განაგრძობდა დათო, — მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს. შენმა მამიკომ ქუჩაში გამოგვყარა და ვის შევეჩხინოთ...

მატარებელი რომ დაიძრა და სადგურიდან ქუჩაში გამოვედი, მამაჩემი დავინახე. თავისი მანქანის წინ იდგა.

— წავიდნენ? — მკითხა, ახლოს რომ მივედი.

- ჰო.
 - რაო? რას ამბობდა?
 - არაფერს.
 - ნუნუ გათხოვდა.
 - ვიცი.
 - ჩაჯექი, წავიდეთ.
- ჩავსხედით. პირდაპირ სტუდენტალაქში მიმიყვანა. გააჩერა. გადმოსვლა რომ დავაპირე, მითხრა:

— ჯერ ადრეა, იყავი. მანქანა მოაბრუნა. მამაჩემს სახეში

შევხედე და შევატყვე, რომ ნასვამი იყო. მთვრალი არ ეთქმოდა, მაგრამ ნასვამი რომ იყო, აშკარად ეტყობოდა.

საერთოდ, დათოსი არ იყოს, გამოცვლილი მეჩვენა.

კაფე „გაზაფხულის“ წინ მანქანა გააჩერა და გადმოვიდა.

— წამოდი, — მითხრა და წინ გამიძღვა.

კაფე ხალხით იყო სავსე. ძლივს ვიპოვეთ თავისუფალი მაგიდა. მამამ მწვადები და ორი ბოთლი ღვინო დაუკვეთა.

— თითო ბოთლ ღვინოს დავლევთ, — მითხრა მან, — კარგი?

— დავლიოთ.

— ზომ არ დავატორობს?

— არ ვიცი.

— დამთვრალხარ ჯერ?

არ მინდოდა მეღიარებინა, რომ მთავში არაყით დავთვერი, შემდეგ კი ღვინით, ჯაბასთან. არც ის მინდოდა, ჩვენი საუბარი ტყუილით დაწყებულიყო.

— ორჯერ.

— ძალიან?

— არა, ისე...

— ცოტა ღვინის დალევა ხანდახან შეიძლება, — მამაჩემმა გაიცინა, გადმოიხარა და ლოყაზე მომისვა ხელი. მამაჩემს ალერსი არ ეხერხებოდა და ძალიან უხერხულად გამოუვიდა. გული უცნაურად ამიჩუყდა.

ამასობაში საჭმელი და ღვინო მოგვიტანეს. მამაჩემმა ჭიქები შეავსო, მშვიდობა იყოსო, თქვა და დალია. სვამდა და თან თვალს არ მაცილებდა.

— ამის შემდეგ რიგრიგობით ვთქვათ სადღეგრძელო, — მითხრა მან, — ჯერ მე, მერე შენ. თანახმა ხარ?

— კარგი.

ღვინო დაასხა.

უსიტყვოდ მიიღო პირზე ჭიქა. ერთი წვეთიც არ დაუტოვებია, ისე დაცალა.

— სადღეგრძელო დავაგიწყდა?

მამამ გაიცინა:

— გულში ვთქვი. ასე ხანდახან მეტი ძალა ჰქონია.

მეც გამეცინა. ჩვენ, შეიძლებოდა,

კარგი მეგობრები ვყოფილიყავით-მეთქი, გავიფიქრე. ძალიან ვგავდიოთ ერთმანეთს.

— ხომ მიხვდი, რა ვთქვი?

— კი.

— აბა სამადლობელი დალიე.

სანახევროდ დავლიე და დავდგი. მამამ ჭიქა ისევ ამაღებინა ხელში.

— ნურას უჟაცრავად! ბოლომდე...

დავცალე, მეტი რა გზა მქონდა.

— აბა, ახლა შენ თქვი სადღეგრძელო.

— ახლა შენ გავიმარჯოს, — ვუთხარი მე და სწრაფად დავცალე ჭიქა.

მამამ გაიღიმა, კარგი ასე იყოსო.

თავბრუ მესხმოდა. მეტს აღარ დავლევ-მეთქი, გავიფიქრე. მამაჩემს უკვე დაეტყო სიმთვრალე. თვალეზზე შეეტყო. მამაჩემმა სვას რამდენიც უნდა. მე არ დავლევ. მეც რომ დავითვრე, მანქანას ვინ წაიყვანს?

შემდეგი სადღეგრძელო ისევ მამაჩემს ერგო. მან ჭიქები აავსო, ჩემკენ გადმოიხარა და ხმადაბლა დაიწყა:

— შეილებს გაუმარჯოს! შეილებს და მამებს!.. იმ ჯაჭვს, რომლის რგოლები მე და შენ ვართ...

მეზობელ მაგიდაზე ერთი საძაგელი ტიპი იჯდა და უსინდისოდ გვისმენდა. ჩვენკენ ცერად იხედებოდა და საზიზღრად იღიმებოდა. მამაჩემს დასცინოდა. მე მამაჩემისკენ გადავიხარე, რომ საშუალება მიმეცა, უფრო ხმადაბლა ელაპარაკა.

— ორასი წლის შემდეგ, — განაგრძობდა მამაჩემი, — არც მე ვიქნები ამ ქვეყანაზე, არც შენ. ზომ მართალია?

— მართალია-მეთქი, — ვუთხარი.

— შეიძლება არც შენი შვილთაშვილი იყოს, ზომ შეიძლება?

თავი დავუქნიე.

— და მაინც, ახლა რომ გავიგოთ, ორასი წლის შემდეგ ქვეყანაზე სიცოცხლე არ იქნებაო, ჩვენ ორივეს, და ყველას, ვისაც აქ ხედავ, — მამაჩემმა ხე-

პიორი კვალიაძე
ჩემი პატარა ლანდი

ლები გაშალა, — თავზარი დაგვეცემა, თითქოს სიკვდილი მოგვისაჯესო. ჩვენი ცხოვრება ერთბაშად უაზრო გახდება...

მივიხედ-მოვიხედე. ისევ გვიმზერდა ის ტიპი. კვლავ ილიმებოდა.

ბოლოს და ბოლოს რას ამბობდა მამაჩემი სასაცილოს? არაფერს. თუმცა მე ვერაფერს მივმხვდარიყავი, რისთვის დაიწყო ასე შორიდან, მაინც არა მგონია, რომ მამაჩემი რამე სასაცილოს ამბობდა.

— მიხვდი, რისი თქმა მინდა?

თავი დავუქნიე. თუმცა, აკი გითხართ, ვერაფერს მივმხვდარიყავი.

— მიხარია, რომ შენ კარგი ბიჭი ხარ, — მითხრა მამაჩემმა, — ვამაყობ. არაფერი მითქვამს.

— შენ კი არაფერი გაქვს საამაყო, ხომ მართალია? პირიქით, გრცხვენია.

თავდახრილი ვიჯექი, მაგიდას დავყურებდი და ჭიქას ვაწვალებდი.

— რომ მამა ვარ შენი... ხომ ასეა?

— არა, — ამოვღერღე მე.

— აბა რატომ გაიქეცი სახლიდან?

მამაჩემმა ახლოს მოიწია, ხელი გადამხვია და შუბლზე მაკოცა. ამის მეტად მამაჩემის კოცნა არ მახსოვდა. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვგავართ. ალერსი არც მას ეხერხებოდა და არც მე. სულ პატარა რომ ვიყავი, მაშინ ალბათ კი მკოცნიდა ხანდახან, მაგრამ მე ეს არ მახსოვს.

ჰოდა, ახლა მაკოცა.

არ იფიქროთ, ეს მთვრალი კაცის კოცნა ყოფილიყო. შეიძლება, მამაჩემს რომ არ დაეღია, არ ეკოცნა ჩემთვის,

მაგრამ მთვრალი კაცის კოცნა სულ სხვაა.

— ცხოვრებაში ისე ხდება, — მითხრა მამაჩემმა, — რომ ზოგჯერ აგერევა კაცს კარგი და ცუდი...

თავი ავწიე და მივიხედ-მოვიხედე. ის ტიპი აღარ დამინახავს. წასულიყო. რატომღაც გული დამწყდა.

— შენ არ აგერევა კარგი და ცუდი. არ უნდა აგერიოს...

სუფრიდან პირველი მამაჩემი ადგა: ოფიციალური დაუძახა და დანახარჯი გადაიხადა. მე აღარ დავუცადე და გარეთ გამოვედი. აღარ დავუცადე; იმიტომ რომ წელანდელივით ამიჩვილდა გული და თვალეზე ცრემლი მომადგა. სასწაული იყო პირდაპირ, მაგრამ რას ვიზამდი. არ მინდოდა, ვინმეს დაენახა ის ცრემლი. თურმე მართლა შეიძლება კაცი სიხარულისაგან ტიროდეს. ჩემს დღეში არ განმეცადა ასეთი რამ.

მანქანაში ჩავჯექი. მამაჩემი მოვიდა, კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. თვალეებში შემომხედა, მაგრამ მე მაშინვე ავარიდე სახე. მიყურა, მიყურა და მითხრა:

— შეგიძლია მანქანა წაიყვანო? ხომ არ დავაგვიწყდა?

— შემიძლია, — ვუთხარი და ადგილები გავცვალეთ.

ნელა, ძალიან ნელა მიმყავდა მანქანა. ვგრძნობდი მამაჩემის დაჟინებულ მზერას. გვერდიდან მიმზერდა და ილიმებოდა. მივხვდი, საჭესთან იმიტომ დამსვა, უნდოდა შინ მისვლამდე ასე თვალმოუშორებლად ემზირა ჩემთვის.



კრიტიკა და პოეტიკა

გიორგი ხუნდაძე

დაშვებული ფარდის აქეთ...

ქართული პოეზიის ცას თითქმის ზედმეტად მოწყდა ორი ვარსკვლავი: გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი.

მათი ამოუშრეტელი ნიჭიერების სინათლე ახლა პირადი არქივებიდან, სამუშაო კაბინეტში მიმოკარგული ხელთნაწერებიდან აღწევს ჩვენამდე. უფრო მეტიც: „მკვდართა მზის“ მკრთალ განათებაში მოქცეულ წიგნებს, რომელთაც ასე შეგჩვევივართ პოეტის სიცოცხლეშივე, უცებ სულ სხვა იერი დაჰკრავს, სულ სხვა გამოსხივების უნარი შეუძენია. დრო და სიკვდილი რაღაცით ცვლიან ჩვენთვის სისხლხორცეულად მახლობელ მხატვრულ სამყაროს. მით უფრო სხვა ძალა აქვს ყველაფერ იმას, რაც პოეტის სიკვდილის შემდეგ ქვეყნდება. ს. ჩიქოვანის „გამოუქვეყნებელი ლექსები“ („მნათობი“, № 4) და გ. ლეონიძის პოემა „ფიროსმანი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 28) სწორედ იმას ცხადყოფენ, რომ მათი პოეტური ცხოვრება კვლავაც მძლავრად გრძელდება.

ეს არის პოეტის ახალი სიცოცხლე სიკვდილის დაშვებული ფარდის აქეთ...

...ვინ იცის, რამდენ წელიწადს დაეძებდა გიორგი ლეონიძე ლეგენდაში დაკარგულ კაცს. ეძებდა გაბნეულ ფოლიანტებში, მწიგნობართა მოგონებებში, იმ უბედური თუ ბედნიერი მხატვრის

დაბერებულ ნაცნობებში. მიყვებოდა დაწყვეტილ ბილიკებს, საოცრად მართალი ტილოების ჩარჩოებს მიღმა დარჩენილი სიცარიელის ამოვსებას ესწრაფოდა და ეძებდა... ეძებდა უდიდეს მხატვარს, რომელსაც ბედმა არგუნა სიკვდილი ხელმოკლეობასა და დაიწყებაში. ეძებდა უთვალავი სახეების მხატვარს, რომელსაც ბედმა დასცინა და რომლის უბრალო ფოტოსურათიც კი არსად დარჩა. ბარათაშვილის მსგავსად, მის სახესა და გარეგნობას მხოლოდ თანამედროვეთა ზეპირი აღწერით აღადგენდნენ. ეძებდა ხელოვანს, რომლის საფლავიც კი დაიკარგა. ამ ქიზიყელი გლეხკაცისა და ძველი თბილისელი ინტელიგენტის ხასიათში, ტალანტში, აზროვნების უბრალო-სიმართლეში ჩანდა ხალხი, იმ ერთში გამოკრთოდა მრავალათასი. გიორგი ლეონიძე ეძებდა ფიროსმანის დაკარგულ კვალს. დღეს ეს დამქანცველი ძიებაც წარსულია, ისტორიაა. და საოცარია: ეს ძიება ედო საფუძვლად პოემა „ფიროსმანს“, რომელიც საფლავს გადაღმიდან გააგონა ქართველ მკითხველს გ. ლეონიძემ. პოემაც პოეტის არქივში იპოვეს მისმა ახლობლებმა და გადასცეს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას.

თუ ვისმეს ბოლომდე შერჩენია ლო-



ნიერი, გაუხუნარი სიტყვა, ეს პირველ-ყოველისა ითქმის გიორგი ლეონიძეზე. ის იყო სიტყვაზე შეყვარებული, სიტყვის მაძიებელი, სიტყვის მესაიდუმლო და მეჭაწნიე. ეს იცის ყველამ, ვინც მის თუნდაც ბოლოდროინდელ ლექსებს აკვირდებოდა, ან პოეტის ახალი მოთხრობების სიტყვაკაზმულობასა და მძაფრი კოლორიტის ლეონიძისეულ სურნელებას გრძნობდა. გ. ლეონიძისთვის სიტყვა არა მარტო „საგანს მიგვანიშნებდა“, არა მარტო ხმა იყო, სიტყვას ჰქონდა ფერიც, სურნელიც, გემოც. სიტყვები აღმოცენდებოდნენ ხოლმე გარე სამყაროში და მწერალი მათ სამყურნალო ბალახებივით ავროვებდა. გ. ლეონიძის ხელში ქართული სიტყვა ვაზის ლერწვივით ელასტიური ხდებოდა, ზოგჯერ ამ მხრივ აჭარბებდა კიდევ, მაგრამ უმთავრესად ოსტატის ნაჭედობა იგრძნობოდა მის ორნამენტულ პოეტურ ლექსიკაში. „ფიროსმანის“ ფრაგმენტების კითხვისას ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო მძაფრდება და შესაძლოა ამ საოცრად ეროვნული მხატვრისადმი ასეთი ინტერესი ფერწერული და სიტყვიერი ფორმების უჩვეულო სინთეზისკენ პოეტის მისწრაფებითაც აიხსნას.

ლეგენდად ქცეული ფიროსმანი ოციანი წლებიდან შემოიჭრა ქართულ პოეზიაში და ლიტერატურული ბოჰემის ცენტრალურ ფიგურად იქცა. ამ პრიმიტივისტი მხატვრის მარჯვენით მოხატული თბილისის დუქნები და სამიკიტნოები, მისი ახირებული ხასიათი და ტრაგიკული ბედი, ბოლოს, არნახული აღიარება და აწ უკვე ცხოვრებიდან გასული კაცის ძებნა ქართული პოეზიის ორგანულ თემად იქცა. ეძებდნენ ფიროსმანის სურათებს, ფიროსმანის ძმაკაცებს, ფიროსმანის ნაკვალევს. „დაანებე ფიროსმანას სევდიანი ტვირთები“. „მიეთოვოს-მოეთოვოს კედლებს ფარშევანგები“, ვკითხულობთ გალაკტიონთან, რომელიც თავისებურ ევროპულ ელფერს ანიჭებდა „სამხრეთულ მოტივებს“. კედლებიდან გადმოდიოდნენ სირაჯხანების განუყრელი ნატურმორტი-

ბი, ტიციან ტაბიძის თბილისურ ჩანახატიებს, ჩოფურაშვილის დუქანში არდნის ტირილში ფიროსმანის ლანდთან გათეულ დამეებს აცოცხლებდნენ. იშვიათია ჩვენში პოეტი, რომელსაც „ფიროსმანის ნათელმირონით“ არ მოენათლოს თავისი პოეტური სიტყვა. ბოლოს, სულ აგერ თბილისის ქუჩებში მოსიარულე ლადო ასათიანს „ყოველ დღით“ ხვდებოდა ფიროსმანის ქუჩაზე „ნიკალას ლანი“. ახლა უკვე თბილისში ქუჩა იყო იმისი, ვისაც საკუთარი სახლიც არ ჰქონია და სადღაც ჭუჭყიან სარდაფში განუტევა სული. „ტვირდათხვეული და არეული ჭიქა არაყით მოიკლავს მადას, მერე ადგება ვით მივარეული და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს“. ასეთი მოჩანს ფიროსმანის ფიგურა ლადო ასათიანის ლექსებში. მტკვრისპირას, ხარფუსხა და ორთაჭალაში ძველ მედუქნეებთან, მეტეზნეებთან, მეპურეებთან თუ მეღვინეებთან. — ფიროსმანის ძველ ნაცნობებთან მიდიოდნენ ამ საოცარი კაცის თაყვანისმცემლები. მისი კბილა ბერიკაცები გაფანტულად ყვებოდნენ ფიროსმანის ამბავს, თან გაოცებულნი თავიანთ თავს ეკითხებოდნენ: „ნუთუ ასეთი დიდი ვინმე იყო მხატვარი ნიკალა?“ შეიძლება ითქვას: ფიროსმანის ძებნაში მესისტორიეებზე და ხელოვნებათმცოდნეებზე არა ნაკლები დვაწლი მიუძღვით ქართველ პოეტებს. მათ შორის პირველთაგანია გიორგი ლეონიძე. ეტყობა, მასალების სიმრავლეში პოეტი დიდხანს ეძებდა ფიროსმანის მისეულ პორტრეტს, ხანგრძლივად, მოთმინებით მუშაობდა პოემაზე, გამოსაქვეყნებლად იოლად ვერ იმეტებდა.

მაგრამ მარტო „ღვთის კაცზე“ შექმნილი ლეგენდის იდუმალება არ იყო გ. ლეონიძის შთაგონება. ფიროსმანს იგი თავისი ხალხის ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და მის ტრაგიკულ ბედში ერის დიდებულ კაცთა ტრაგედიას ხედავდა. ისტორია გ. ლეონიძისათვის მუდამ თანამედროვეობაში ცოცხლობდა და მკაცრად დადგენილი მიჯნა არ არსებობდა. მაინც რატომ იყო ასე?

ტყვეობაში ეწამა დავით გურამიშვილი. განჯაში მარტოდმარტო, მეგობარ-ნათესავთ მოწყვეტილი გარდაიცვალა სულით თბოლი ბარათაშვილი. ჩარგალში ნაკვერჩხლების შუქზე ქმნიდა გენიალური ვაჟა თავის პოემებს, კერიის კვამლით თვალბდაწყვილანებულს ბოლოს ციმბირის წყლული შეეყარა და მთებს მონატრებულმა დალია სული... და სულ ავერ ფიროსმანი „ისპანკის“ მსხვერპლი. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე საამაღლოდ დამარხული... ნუთუ ყველაფერ ამაში არის კანონზომიერება? ნუთუ ასეთია ქვეყნის უკეთეს შვილთა ხვედრი? ნუთუ მუდამ მომავალმა თაობამ უნდა ამოხსნას წარსულის მწარე გამოცანა? ალბათ ყველაფერი ეს აფიქრებდა და აღლეგებდა „ფიროსმანის“ ავტორს. და ეს კითხვები გაჩნდა მაშინ, როცა ფიროსმანი ვახდა საოცრად პოპულარული, მოდადაც კი იქცა. უპირველესად პოემის ავტორს სურს დაიჭიროს „ფიროსმანისეული კოლორიტი“, მისი ცხოველყოფილი მიწიერი სილამაზე, მისი კეთილი თვალით დანახული ქვეყანა; ქვეყანა, რომელმაც ვერ გაუგო მას, ვინც ყველაზე მეტის მოტანა შესძლო სამერმისოდ, ვინც დამწვარი სული მიიტანა მის კულტურულ დიდებათა პანთეონში. აქ თავს იჩენს „ნინოწმინდის ღამისა“ და „ყივიჩალის პაემანის“ ძლიერი ვენება და ტემპერამენტი, სიტყვიერი ფერწერის უბადლო ოსტატობა.

„რქაწითის ქიქას
კახეთისა აღვას ნათელი,
ყანწი, შამფური...
ტოლუმბაშის სიტყვა ტრიალებს.
ბასტურმა, თევზი.
ხაშის ქვაბი ღამენათევი,
ამ დუქნის ბულში
ოცნებას ვინ გაიმტვრიანებს?“
ან:
„ჩარქვა, ხონჩა
ხოხბის ბაღჩა. ჯოგი მსუქანი.
გადმოფარჩული გაზაფხული
აღდგომის კვერცხით.
ტივი ჩირაღდნით.
დუდუკი და თეთრი დუქანი,
ვაზ შემოკრული ეკლესია
ყურძნის ნაკვერცხლით“.

ეს ფერები ფიროსმანის ტილოებზეა აკრეფილი.

გ. ლეონიძემ დამწვინებული, დინჯი საუბარი არ იცოდა. იგი მუდამ ბუხუნებდა, ომახიანობდა. ლექსებში ადვილად იცნობდით მკითხველთან შეხმაურებისა და იმავე დროს „ინტიმური გაბაასების“ ამ ტონს. ერთთან იგი მუდამ სხვების გასავონად საუბრობდა ხოლმე და სხეულის სიღრმეებიდან წამოსული მისი ბოხი ხმა გულუხვად ხიარებოდა. ფიროსმანთან საუბრის ინტონაცია ამ ხმამაღალ ყიყინას ეფუძნება. აქ არ არის ანალიზი მოვლენებისა, არის მხოლოდ შედეგი, რეზულტატი. „შენ ხარ იგი ხეათას წელში ერთხელ რომ ყვავის“ — გასაღებია პოემის პათოსის, მისი ზეაწეული ღაღადისისა. ეს თითქოს ჩუმმა, უენო ფიროსმანმა ამოიდგა ენა მუხთალ საწუთროზე თავისი მართალი საყვედურის სათქმელად. „ფიროსმანი“ საუბარია დაკარგული მხატვრის ლანდთან, პოეზიის იდუმალი ძაფების გაბმაა გაწყვეტილ დროსთან. ამ „დროთა კავშირის“ აღდგენაში იგრძნობა ამოცანა დღევანდელი მკითხველის შინაგანი შეძვისისა. მისი ზნეობრივი ამალღებისა, მისი პატრიოტიზმის ახალი სინედლით გამოკვებისა... ფიროსმანი მარტოა, ფიროსმანი ბარათაშვილივით წუხს: „ცხოვრების ქარო, რად დამიხშე კარი ურდულით?“ და მაინც, ფიროსმანი ბედნიერია უზუნაეს ხილვათა გამო. ქვეყნიერების წინაშე იგი ამაყი, მშვენიერი და პატიოსანი დგას. იცის მისი მზის ფასი, მისი ფერების საიდუმლო. იგი თითქოს მიწასთან აზავებს მზის დათესილ ფერადებს და შავ მუშამბაზე სიცოცხლის ხაზები დაჯერებული ხელით გამოკაყავს. მან იცის სამყაროს არსებობის უზოგადესი პრინციპები: დღე და ღამე, კეთილი და ბოროტი, თეთრი და შავი. გ. ლეონიძე ყოველივე ამის პოეტურ ამბავს ქმნის. ფიროსმანის ირგვლივ ფონი ვანგებ დაბნელებულია. პოეტის წარმო-

გიორგი ხუზაშვილი
დაზვიავული ფარდის აქიშ...



გენაში მხოლოდ ნიკალა ანთია სანთელივით და ეს სანთლის წყარო იხარჯება მის სურათებზე. შემოქმედი თითქოს სიცოცხლეს წვეთწვეთად ანაწილებს თავის პალიტრაზე და საკუთარ სულს წებოსავით ამარგრებს მუშაობაზე. „ჭვარტლში ავურევ ჩემს ტანჯვებს და მითვიმხატვარებ, ავფერავ, მიწვე მშობლიურო, რაც შთამაგონე...“

ფიროსმანის სიმარტოვე შეუცნობელი ტალანტის სიმარტოვეა. იგი თითქოს ათეული წლით აღრე დაბადებულა, ვიდრე უნდა დაბადებულიყო. თითქოს იმ კუნძულზე მოხვდა, სადაც მის ენას გვიან ისწავლიან, გვიან მიხვდებიან მისი კეთილი ცხოველების თვალებიდან გამოშორალ სიკეთეს, ლურჯი, შავი და თეთრი ფერის უჩვეულოდ შეზავების სილამაზეს. ყველაფერი ეს ზოგადად ცნობილია. ცნობილია თითქოს მარგარიტასთან მისი სევდიანი რომანიც და მანც; პოეტურ სიტყვაში ამ ფაქტებს სულ სხვა ემოციური ძალა ემატება. სადაც ქიზიყში დარჩენილი ბავშვობის ძახილი და ქალაქური ცხოვრების კონტრასტები ერთმანეთს ენაცვლება და ჩამუქებული სამიკიტნოს წილში შეღვინიანებული „დაბნეული და უღმერთოდ გზადაბურდული“ მხატვრის სახე ჩნდება.

„აღე, ნიკალა.
დამხატე: რთველი, ქორწილი.
თამარი, შოთა, მთვარის წარბი,
ზე დაკორძილი.
და მარგარიტა,
სამოთხეში რომ ირგო წილი,
ოქროს ბუშტები,
ჯიქანი და მსუყე თაველი...
კალო ბზიანი,
სახედარი ბავშვის თვალებით.
— დაეხატე, მაგრამ...
არაყზე გაქვითებული...
— დოვლათდამწვარო,
სარდაფი გაქვს ავიდებული,
შენ კი დაგვებს ალაზანზე
ხობის ყვირილი,
ჩანჩქერების გადამხვილი.“

გ. ლეონიძე მძაფრად გრძნობს ფიროსმანის პეიზაჟებისა და ნატურმორტების სულს, გრძნობს მის პირველყო-

ფილ უშუალობას, მისი ხაზებში ფორმების საკვირველ გულწრფელობას. მაგრამ ფიროსმანი უპირველეს ყოვლისა მთლიანი ხასიათია, ორიგინალური ფილოსოფიური ხედვაა სამყაროსი. გლუხკაცური სიბრძნე და სიმარტივე მის ბუნებაში შინაგან დახვეწილობასა და სინატიფეს ერწყმის. მაწანწალაში ცხოვრობს მეფური სიამაყე. ამ მხრივ, ხასიათის სიდიადის მხრივ ფიროსმანი, მისი სამყარო, მისი შეგრძნებანი და ფილოსოფია ქვეყნიერების მინდიასებურ გაგებას უახლოვდება. აქაც ქვეცნობიერი ძიებაა სიკეთისა. ეს ისეთი სიმალღაა, სადაც მარტონი აღიან ხოლმე. ვერც ქალის სიყვარული; ვერც მეგობარ-ნაცნობთა თანაგრძნობა ვერ აპყვება ამ სიმალღეზე ასულ „ღვთის კაცს“. ასეთია ლეონიძის ფიროსმანი.

„მარგო სად არი,
სად წასულა, ვის გაყოლია,
დახურულია ეს ქვეყანა
განა ჩალითა?
შემოფრინდება ოქროს მტრედი
ორთაქალიდან,
მხარს დააფდება,
გადმოაბნევს თურ მავნოლიას...“

ამ სიმარტოვეში ცხოვრობს ფიროსმანის ამაყი სული. „მე ღმერთსაც ვხედავ! ამას ვამბობ ნიკო ფიროსმანი!“ ეს სასოწარკვეთილ გამოუვალობაში ამოხეთქილი ყოყინაა. ფიროსმანის დრამა ამავე დროს არ არის მეშინაური უკმაყოფილება უკეთესი, დალხინებული ცხოვრებისკენ მსწრაფი, ან პირიქით. პოზა დიოგენური გაცვლიდა თავის სიმარტოვეს და სხვათა მსუქან, კმაყოფილებით სავსე კარიერას არ დაეხარებოდა. თავისი ბნელი სარდაფის უჩვეულო სიმალღეზე იგი მშვიდი იყო, ალბათ სავსე იმ წინათგრძნობით, რომ მის ნახატებს ოდესმე სხვა სინათლე მიაღდებოდა. („ნუ ამაყენებ, ღვინო ჩამრჩა მღვრია ჭიქაში, შიგ ჩემს ოცნებებს ფრთები მინდა ჩავაბანინო“). ეს შტრიხები მხატვრის ხასიათისა კრისტალიზირებულია უთვალავი მოგონებებიდან, და-

წერილი თუ ზეპირი გადმოცემიდან, არქივებიდან, და მაინც ყველაზე მეტად ფიროსმანის გადარჩენილი სურათებიდან, რომელიც მხატვრის ბიოგრაფიის ყველაზე გულმართალ მთხრობლებად დარჩინენ.

ასე ცხოვრობს, ბორგავს, სვამს და ქმნის ფიროსმანი პოემაში. და იქ, „სადაც ბავშვები ქვებს ესვრიან მის სიღარიბეს“, კელაპტარივით ანთია რწმენა მომავლისა. საოცარია, მაგრამ ასეა. „იციოთ, ჩემ სახელს რომ იცნობენ რუსეთს, საფრანგეთს... გამაქცრებული გადაავლებ თვალს ამ ყვინებს, მაგრამ წუთიერ... და არავის არ აწყენინებ“. გ. ლეონიძე არ ცდილობს ფიროსმანის ფსიქოლოგიური პორტრეტის დეტალურ დამუშავებას, ეს დაარღვევდა პოემის ლირიულ აღნაგობას, მის შეკრულ კომპოზიციას. და მაინც, ორად ორი, თითქმის აბსტრაქტული შტრიხი საცნაურს ხდის მხატვრის ამიღლებულ ხალხურ ბუნებას: „თავმდაბალი ხარ ყანასავით შენმა ცხოვნებამ“. „მართალი იყავ გუთანივით უკუნისამდე“. ეს უკვე ფიროსმანის გლუხიკაცური ფესვებისა და ზნეობის გამოხატვაა, და მხატვრული ეფექტი ამ ორი შედარებისა განუზომლად დიდია.

პოემის დრამატიული სული ბოლოს მაინც ხელოვანის უკვდავების რწმენას გამოხატავს. ცხადყოფს „სიკვდილის ძლევას“, რაღაც უფრო მაღალ არსებობაში გადასვლას. ამ მოტივებით პოეტი თითქოს საკუთარ გზებსაც გასცქეროდა და ბუნებრივი დასასრულის იქით გახედვას ცდილობდა. სიკვდილ-სიცოცხლის რთულ პრობლემას იგი ფიროსმანის პიროვნების ტრაგედიაში ჰკრეტდა. მაგრამ თვით მხატვრის უკვდავებაში დაჯერებული, სადაც საკუთარ შინაგან კითხვებს „მომავლის ბურუსში“ გახედვისას პასუხს აძლევდა. პოემის ზეაწეული დაღადისი დროდადრო ელეგიური ტონით იცვლება და „კრუ საწუთროს“ სამედურავში გამყდარებული ეპიკები თუ ტკივილები შემოქმედის ფაქიზი სული-სადმი მეტი ყურადღებისთვის აფხიზ-

ლებს ყოველდღიურობაში ჩაძირულად ადამიანებს.

„დიდო ოსტატო,
შწარე ბეღმა ღუქანს მიგლურსმა!
ვერ გაგახარა
საქართველოს ცათა ფირუზმა;
ვერ დაიტიოს
ვერც ეტრატმა,
ვერც პაპირუსმა,
ეკლუბი, რითაც
დავისერეს გული ფიროსმანი“

და ეს საყვედური, მოურჩენელი ტკივილი თუ სევდა მაინც იცვლება დაგვიანებული, მაგრამ ბოლოს მაინც ღირსეული აღიარებით.

„შენ დიპლომატი,
შენ გადადნი ხალხში უჩინრად,
როგორც მწვერვალი დნება ხოლმე
ბინდში ხვეული,
რომ განთიადზე აღიმართოს
ახალ სიმაღლით,
შედგებულნი ბურუსიდან
ამორხეული“.

აქ ისევ მალღდება პოემის ოდნავ მიუხეხილი ხმები, მძაფრდება პათოსი და ფიროსმანის ამაყი ლანდის გარშემო თითქოს ზარები რეკენ... და ეს ყველაფერი მაინც, ეტყობა, ვრცლად გამიზნული ნაწარმოების ფრაგმენტებია. ჩვენ ის გვახარებს, რომ ამ ფრაგმენტებშიც აღდგა დიპლომატი ფიროსმანი. გვაოცებს ისიც, რომ სიჭარბეაში შესულ პოეტის სიტყვას ოდნავადაც არ დაკლებია ენერჯია, არც ფორმის გრძობას და არც სმენას უღალატნია მისთვის. მით უფრო ბრალია მისი უღროოდ სიკვდილი...

* * *

სიმონ ჩიქოვანს ფერწერის თვალი ჰქონდა პოეზიაში და უცნაურია ბედისწერა: სწორედ მხედველობამ უმტყუნა, თანდათანობით მოსწყვიტა გარესამყაროს. რადგან ქვეყნიერებასთან ურთიერთობის ხედვითი გზები ჩაიხერგა, ხელოვანის სულში ბუნებრივად გაიღვიძა

გიორგი ხუხუხიძე

დაზვიავული ფარდის აბით...



სიკვდილის ძღვევის კეთილშობილურმა, ადამიანურმა იმპულსებმა. „გამოუქვეყნებელი ლექსები“ თითქოს პოეტის ცხოვრების რეკვიემია მისი სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილი. ამ ლექსების უმრავლესობა საერთო თემითა და განწყობილებით სიბნელეში დარჩენილი პოეტის სულში ანთებული გონების თვალის უჩვეულო ხილვები და მძაფრი წინაგრძნობებია.

ს. ჩიქოვანი მის მეგობრებს, ახლობლებსა და ნაცნობებს, გარდა პოეტური ნიჭისა და უბადლო ინტელიგენტობისა, რასაც ბრწყინვალე ერულიცია მუდამ ამშვენებდა, უყვარდათ ადამიანის, მოქალაქის მაღალი თვისებების გამო. სულიერი ვაჟკაცობა მას არც თვალისჩინწართმეულს დაუკარგავს. „გამოუქვეყნებელი ლექსების“ კითხვისას ასე მგონია, პოეტი მხოლოდ თავის თავს კი არ იმშვიდებდა, თავისი სულის გასაყუჩებელ სამკურნალო ბალახებს კი არ დაეძებდა, არამედ თითქოს იმათზე ზრუნავდა, ვისაც ადრე თუ გვიან სიკვდილთან შეხვედრა უწევს. იგი თითქოს სულის უჩვეულო სინათლით წაგვიძღვა სიკვდილის იღუმელ წიაღშიც და ამ შეუცნობელ მდიმებს ხელებით მოეფათურა. სიცოცხლის მოჩახჩახე ფერებზე შეყვარებულმა მხატვარმა სიკვდილთან ფილოსოფიური კამათი გამართა და სიცოცხლის დასასრულს ისევ ნედლი რტოების შრიალი გაიგონა. „გამოუქვეყნებელი ლექსებში“ არის მშობლიური მიწის ამღერებული ფერების ისეთი ვარიაციები, რომლის გრძნობა ალბათ უკვდავების წყალს ასხურებდა მომაკვდავ პოეტს და უფონებდა მის ტკივილებს. აქ თითქოს შემთხვევითი არც ყოფილა გენიალური ვაჟას აჩრდილის გახსენება, ვაჟასი, რომელიც სიკვდილის წინ ბალახებს ეხუტებოდა და ბუნების სუნთქვაში გახვეული ასე უბრუნდებოდა ბუნებისაკვე წიალს. მიწასთან, ბუნებასთან ამგვარ კავშირს, უფრო ზუსტად ბუნებისშვილობას ფილოსოფიურად ჩამოყალიბებული რწმენის იერი დაჰკრავს და იმედინობის მარადმწვანე ხედ ჰყვავის პო-

ეტის ლექსებში: „თუ დამიფენ ლრეთქო ბალახს, კიდევ გავწევ სოფლის უღელს“, თითქოს იმ წყაროსავით ამომშრალი სულის უკანასკნელი ძახილია, რომელიც წვეთ-წვეთად მიმოფანტა მშობლიურ მიწა-წყალს. რაც უფრო დიდი იყო ეს სიყვარული მიწიერი მშვენიერებისა, მით უფრო მძაფრია განშორების სევდა. მაგრამ თუ პოეზიას აქვს უნარი შეინახოს სულიერი თრთოლვა ხელშეუხებლად, დაურღვევლად, მაშინ პოეტს შეუძლია მონახოს სულიერი უკვდავების თუნდაც ყველაზე ლამაზი იმედი, სწორედ იმედი და არა ილუზია იმედისა. და თემცა პოეტმა იგრძნო, როგორ „ააცოცდა იქვი ყაჭივით“, მას არ დაუკარგავს სიცოცხლის სურნელების შეგრძნება, გათანგულ შუბლზე უგრძენია სიმწვანის სივრილე. „ხევში, გვალვაში ეწვევარ დაქრილი და მუხის ჩრდილი მოძმე მგონია“, „... ამე მუხის ჩრდილი არსად მშორდება საკუთარ ლანდზე უფრო ერთგული“... აქ თვით მუხის მეტაფორული წარმოსახვა ფესვებმაგარი, უბერებელი მშობლიური ბუნების ხილვაა და მის მარადისობასთან შეერთების სურვილია გამხელილი. ვინც ადრეინ გაზაფხულზე თუ გვიან შემოდგომაზე ქალაქგარეთ გასულა და უჩვეულო ფერების ზეიმში უხეტიალია, იმას უგრძენია ეს სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა. ბუნების დიდებულ სიჩუმეში, რომელსაც წყალივით სვამ თითქოს, ძალდაუტანებლად გაჩენილა აზრი მარადისობასთან შერწყმისა და შენს მიწაწყალთან განუყოფელი სისხლ-ხორციელი ნათესაობისა. და არსად ისე დამაჯერებლად არ ძღეულა სიკვდილის შიში, როგორც ამგვარი ჰარმონიული უნაპირობის განცდისას. როცა გრძნობ: როგორ „შრიალებს დიდი ქადარი და ის ღვთის სახლზე უკეთესია“. ბუნების შთაგონებული მლოცველივით გაიმეორებ იმას, რაც სიბნელეში მარტო დარჩენილი პოეტის სულს წარმოეთქვამს: „არ დამიხუთონ ძილში მამული, მუნა არ მოჭრან საქართველოში“. ეს მშობლიური ბუნების რომანტიულ, ზეაწეულ განც-



დასთან ერთად საკმაოდ ღრმა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც ემყარება. „მე ვარ მლოცველი ერთი ჭადარი და მეგვირება ხმით ეკლესია“...

ს. ჩიქოვანის პოეტურ სახეებში, მის საოცრად თავისებურ ფერწერაში ჭადარის შრიალი ადრეც ისმოდა, სამეგრელოს საღამოების თუ მზიანი ქართლის სურათების ცენტრალურ პეიზაჟურ დეტალად იკითხებოდა. მუხაც, მითოსში გაბნეული პოეტური სიმბოლიკის მსგავსად, საყვარელი მიდამოების სულს განსახიერებდა და მის შრიალს პოეტის სუნთქვაც უერთდებოდა. ამგვარი „თანდაყოლილი პანთეიზმი“ ქართველი კაცისთვის, ვაჟა ფშაველას ნათესავი კაცისთვის ორგანულია და თუ მთლიანად არაა, ნაწილობრივ მაინც ანელებს სიცოცხლესთან განშორების ტკივილებს. ალბათ იშვიათია გონიერი ადამიანი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის ურთულეს კითხვებს არ ჩაღრმავებია და არ უძებნია ძნელად მისაგნები პასუხი. ს. ჩიქოვანის პოეზიაში ადრეც გაისმა სიკვდილ-სიცოცხლის პაექრობა და დავით გურამიშვილის ტრაგიკული ფიგურა საწუთროზე ანთებული ფიქრების სინათლეზე შემოიხაზა. „როგორც ყოველთვის დღეს მოსდევს ღამე. სიკვდილი ავრე მარჯაოდ მახსავს“, ეს უკვე „გამოუქვეყნებელ ლექსებიდან“ გვეხმის. ამას ადრე უძღოდა უშანგი ჩხეიძის უკვდავი ჰამლეტის ნაღვლიანი ფიქრების გამოძახილი ჰარმაგობამდე დაწერილ ლექსებში. ახლა ეს მწვავე ფიქრი თითქოს კრეფს პოეტის ბიოგრაფიაში ჩამომჰქნარი შემოდგომის გაფანტულ ფოთლებს, თავს უყრის ერთ ნაღვლიან მელოდიაში, რომელსაც გამოსცემს სიკვდილის ფრთავაკრული სულის შრიალი. და აქაც, არაობის იდუმალ კარიბჭესთან დგას ამაყი, ძლიერი ადამიანი. მას ისე გაუვლია სიცოცხლის რთული გზა და ბილიკები, ახლა არ მოყვება შეძრწუნებულ ჩივილს, არც სიკვდილის აპოლოგის პოზას დაემორჩილება. იგი თითქოს თავისიანებს ამხნევეს ალსასრულის წინ, „დასტოვებ ძვლები, გამხმარი თიხა-ო“ და

ეუფლება შეგარძნება დაცარიელებული ქურჭლისა, რომლიდანაც ყველაფერი ის, რაც არ არის მხოლოდ არაორგანული თუ ფიზიკური, რაც აზრისეულია, გადაღვრილა ნაწერებში ადამიანებთან, საუკუნეებთან, მომავალთან სალაპარაკოდ. ამიტომაც არ გაკრთობს ამ ლექსებში სიკვდილის პანიკური შიში და გზიბლავს დაუმორჩილებელი ადამიანური ძალების ვაჟკაცური შემართება.

„მე დავიჭერი და მართლა გეტყვი, რომ შევეუერთდე არ მინდა ყამისი. პეშვი ამივსე მიწით და ფეტვით, არ გამაგონო სიკვდილის ამინ. მომიხაზულებს მწუხარე ცოლი, წამწამს მოშრობს თეთრი თითები. და შემოდგომა ჩემივე ტოლი თავს დამადგება სახე ვიდელით.

ცოლი დახრილი დამხედავს შიშით, შუბლს გამიგრისებს მართოლვარე კონით. არ გამაგონოთ ვი და ვეში, ისე წაიღებ სული და ხორცა“.

ასეთი სიმშვიდით სიკვდილთან შეხვედრა მხოლოდ რელიგიურ ექსტაზში მყოფ მორწმუნეებს თუ შეუძლიათ. და როგორც ჩანს, ამგვარი სულიერი სინათლით გადადიან არაობის ბნელში ისინიც, რომელთაც იწამეს ამქვეყნიური სიცოცხლის მაღალი აზრი. ამ შემონახული სულიერი სითბოთი ნელდება უძილო ღამის მძაფრი ტკივილები და უბრალო სიტყვებით გამოხატული მძიმე განწყობილება გაურკვეველი მოლოდინისა: „რა დიდი დროა გათენებამდი და ზამთრის ღამეს რა გაათენებს“, აღარ არის შემადრწუნებლად აუტანელი. და ამ უჩვეულო რეპორტაჟს სასიკვდილო სარეცელთან საოცრად აკეთილშობილებს სიმარტოვის დამარღვეველი რწმენა მაღალი სიყვარულისა. ეს სიყვარული ზოგადია, ხან მიწის უბერებელი მშვენიერებით საზრდობს, ხან ცოლის მაღალი სათნოებით. და აქ, ამ კონტაქტში ზედმეტად ზეაწეულად არ ქდერს: „მე სიყვარულის ოსტატი მქვია და უდაბნოში მწირი მავალი“.

გიორგი ხუზაშვილი
დაუზვიავლი ფარღის აქმთ...



სარეცელს მიერთული ადამიანის ინერტულობაში თითქოს უცებ იღვიძებს მოძრაობის მძაფრი სურვილი. და ახლა, დაუძღვრებელი, მხედველობადაკარგული სხეულისთვის არსებობს მხოლოდ უსაზღვრო და უსწრაფესი მოძრაობა აზრის მეშვეობით. მოგონებები გამოვლილი გზებისა, სახეები სადღაც დარჩენილი მეგობრებისა უცებ ქმნის ამ ილუზიას. „მწუხარში არხვევენ ჩრდილებს წიფლები, მთვარემ დაყარა ხიდზე იები...“ „არ დამაძინებს გრძელი მანძილი...“ „მე ვარ მთვლემარე მთების ნაწილი და მთის სიზმრებში მგონი გავები...“ „გასწი, მიხმობენ მგონი ღრუბლები და მთის ავსილი ძუძუ მაწოვე“... „მეც მხრებით ტვირთი უნდა ავწიო და მთის წყალივით ვიყო თამაში“ („დაბრუნება თბილისში“). ამ სტრიქონებში ვლინდება დაუოკებელი მოქმედების მძაფრი სურვილი. ალბათ მოძრაობის, ბედთან უკანასკნელი შებრძოლების ამგვარმა სურვილმა წამოიღო სარეცელიდან გენიალური ლევ ტოლსტოი ზამთრის ერთ ღამეს, ალბათ სივრცეებში გაქროლების ამგვარმა შინაგანმა ვნებამ დააწერინა ბარათაშვილს უკვდავი „მერანი“. ეს არის სიცოცხლის უკანასკნელ წვეთებში მოქცეული ხმები. და ამ წვეთებში ჩაწნეხილი ენერჯია პლანეტების მოძრაობას უტოლდება. არა იმიტომ, თითქოს ს. ჩიქოვანის ამ სტრიქონებს პირდაპირ ვუკავშირებდეთ ბარათაშვილისა თუ ტოლსტოის გენიას, არა. მხოლოდ სულიერ მდგომარეობათა ნათესაობაზე მიგვანიშნებს თვითონ „გამოუქვეყნებელი ლექსების“ ავტორი. მას შველის კიდევ აზრის ამ ტიტანების უკვდავი სიბრძნე თუ გამოცდილება, ეთაყვანება იმათ ლანდებს. იქნებ ამიტომ ისმის ამ ლექსებში მერანის თავგანწირული ქროლვის ხმაური და ჩანს „ტოლსტოი წვერმოშვებული ცვრით რომ ქამარს ეთამაშება“? ან იქნებ სიკვდილთან ავბედითმა სიახლოვემ შემართა მის წინაშე ტრაგიკულად დაღუპული პაოლო იაშვილის ლანდი. „შენ ღვინით საესე ქილა ასწიე, ჭერს მიახალე

და დაამსხვრიე“, „შენ მკერმეტველი და ახოვანი ხნულზე დავარდი, ხარი წითელი“... ან იქნებ გამხნევებასავით გაიღვიძა პოეტის ლექსში საუკუნეების წიაღში სიკვდილზე დაფიქრებული წინაპრის ნათქვამის — „ბინდისფერია სოფელი“ — ვარიაცია: „ბინდისფერია მთაში საწუთრო და ვერ გაფანტავს შენი ღიმილი?“

ს. ჩიქოვანის სულის ძალაზე მეტყველებს ისიც, რომ მან ფხიზლად შეხედა სიცოცხლის დასასრულს და ყოველგვარი პოზის გარეშე შესძლო გამოთხოვება ყველაფერთან, რაც უსაზღვროდ უყვარდა. ამ გამოთხოვებაში მან არსად დასტოვა ადგილი შიშისა და სასოწარკვეთისათვის. ასე კვდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც სცოდნია სიცოცხლის ნამდვილი აზრი და სილამაზე. „სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები“. „მე მამა-პაპას ძვლები გავუთბე“, „კიდევ, მინდოდა თხელი ნისლივით შემოგხვეოდი საყვარელ მხარეს“, აქ ადგილი არსად რჩება სიკვდილის ბიოლოგიური სახისთვის, და თვით საგანთა ისეთი კონტურებია შემოხაზული, რომელთა წიაღში არსებობს მხოლოდ ფერისცვალება და არა უიმედო მელანქოლიით აღვსილი კვდომა.

„საფლავს ჩემ სხეულს თვითონ აფორჩევ, ბინად აფორჩევ მთაში იალღს. მშვიდობით, ჩემო ლექსის საუნჯევ, ჩემო პატარა გულის ფაღავე.“

მან ყველაფერი მისცა პოეზიას და პოეზიაშივე ჰპოვა უკანასკნელ უამს სანუკვარი ნუგეში... „მე ჩემი თეთრი მიმინო მყავდა და წმინდა გული აქამდე ვკვებე“, თითქმის ცენტრალური სახეა პოეტის რექვიემულ მონოლოგში. ამ „თეთრი მიმინოს“ ფრთების ფრთქიალი უკანასკნელ წუთამდე ესმოდა ალბათ. და პოეზიის მაგიურმა ძალამ იგი წამიერად გადაახედა შორეულ ბავშვობაში, მის წინაშე პირველად ხილული ქვეყნის უბრალო სილამაზე გაცოცხლდა. და ასე მგონია, ამ სტრიქონების ჩურჩულში მიიძინა კიდევ.

„ტყვია სტვენს თუ ყური წივის,
ველარ ვარჩევ განთიადს და ლამეს.
შენატრება შხეფი წვიმის
და ღრუბელი ჰგავს რძეგამშრალ კამეჩს.

მეჩვენება ყურძნის კრფა,
პაპა სინჯავს სახელადე თიხას.
შორით მესმის ძაღლის ყუფა
და ჭიშკრიდან გადმომძახის ვიღაც.

მითამაშებს თვალის ჩინი,
მუხის ქედზე დარჩენილი ჭრილი.
მაფარია ჭადრის ჩრდილი,
წყლისფერი და წყაროსავეთ გრილი“.

ამბობენ, სიკვდილის წინ მღეროდაო
ვანო სარაჯიშვილი, ქართული სცენის
მომაკვდავი აბესალომი. ამაზე თვით ს.
ჩიქოვანს აქვს ნათქვამი. მერე მას თვი-
თონ მოუხდა ვაჟკაცურად ეთქვა თავი-
სი გედის სიმღერა. მერე?.. და ერთხელ
კიდევ ცხადყო უბერებელი ქეშმარიტე-
შა იმაზე, რომ პოეტები არა კვდებიან,
პოეტები მხოლოდ გარდაიცვლებიან.

„მაგრამ შრილებს დიდი ჭადარი
და ის ღვთის სახლზე უეეთესია“.

პიკასო წერს: ჩემი სურათები დღი-
ურებია ჩემივე ცხოვრებისაო. თუ ეს
ფერწერაზე ითქმის, სადღა დარჩა პოე-
ზია — ადამიანის ყველაზე იდუმალი,
ინტიმური ცხოვრების, მისი მძლავრი
სიხარულის თუ ტკივილების გამოხატვა.
„გამოუქვეყნებელი ლექსები“ პოეტის
ცხოვრების სანუკვარი დღიურებით
იკითხება... ეს დრამატიული მონოლო-
გი სიცოცხლეში ითქვა, მაგრამ სიკვდი-
ლის ფარდის გადაღმიდან მოვიდა ჩვე-
ნამდე. ახლა, როცა ამ ლექსებს კითხუ-
ლობ, ხედავ მთაწმინდის ჩუმი ხეების
შეყვითლებულ ფოთლებზე მიყუჩებულ
შემოდგომას და ჯერ კიდევ თბილ საფ-
ლავზე ჟღერს იდუმალი მუსიკა სული-
სა. „გამოუქვეყნებელი ლექსების“ ხმე-
ბი თითქოს მთაწმინდის მყუდრო წია-
ღიდან მოისმის. ამ ხმებს თან ახლავს
სევდა ნაადრევი სიკვდილისა და გაგ-
რძელებული სიცოცხლის სიხარული.



ბიორგი ქველამე

ერთი საბავშვო წიგნის თარგმანის გამო

ბოლო დროს ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ბევრი საინტერესო საბუნებისმეტყველო მეცნიერულ-პოპულარული წიგნი მიიღო, რომელთაგან ზოგი ორიგინალურია, ზოგი — ნათარგმნი. ასეთ წიგნებს განეკუთვნება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1966 წელს დასტამბული ა. დოიარენკოს — „გასართობი აგრონომია“. წიგნი თარგმნილია მეორე რუსული გამოცემიდან (1963). (მთარგმნელი ლ. თოლორაძეა, რედაქტორი — თ. ჯინჯინაშვილი).

სარეცენზიო ნაშრომი განეკუთვნება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ავტორს გულმოდგინედ შეურჩევია სახალისო ცდა-დაკვირვებები, პრაქტიკული სამუშაოები, რომლებიც შუქს ფენენ მცენარეთა სასიცოცხლო პროცესებს და ბავშვებს აღუძრავნ სურვილს — ჩასწვდნენ და გაეცნონ ამ მოვლენების ბიოლოგიურ არსს.

ვფიქრობთ, ასეთ წიგნებს ინტერესით წაიკითხავენ არა მარტო აგრონომიის საკითხებით გატაცებული მოსწავლეები და ბიოლოგიის მასწავლებლები, არამედ საზოგადოდ ყველა ბუნებისმოყვარული. ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 1967 წელს მოწყობილ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ კონკურსზე („ნორჩ ნატურალისტთა დახმარება

სკოლას“) მონაწილეობა მიიღო 19 000-ნორჩმა ნატურალისტმა, მოწმობს ნატურალისტური მოძრაობის ზრდას და, ცხადია, ჩვენ ვალდებული ვართ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი, უზრუნველყოთ ისინი საინტერესო და მიმზიდველი წიგნებით. ამასთან გვსურს მკითხველებსა და მთარგმნელს, გაუფიქროთ ჩვენი შენიშვნები სარეცენზიო თარგმანზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ წიგნში აღწერილი ცდების მისაწვდომობის შემოწმების მიზნით მან ნაშრომი გადასცა „юннатам города Кирова“ (გვ. 5), რის შემდეგ მასში შეიტანა გარკვეული შესწორება-ცვლილებები, რისთვისაც „Я приношу искреннюю благодарность кировским юннатам и посвящаю им эту книгу“ (იქვე). სიტყვა юннат ასეთ თარგმნილი: „უმაწვილებო“ (გვ. 5). საქმე ის არის, რომ юннат კომპოზიტია (юный натуралист) და ქართულად ნიშნავს „ნორჩ ნატურალისტს“. როგორც ჩანს, юннат გაიგივებულია юный-სთან.

სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავის სათაურია: „რა როლს ასრულებს წყალი მცენარის ცხოვრებაში“ (გვ. 6). ორიგინალში ვკითხულობთ: „Вода в жизни растений“ (გვ. 6). მოგეხსენებათ, „ცხოვრება“ სოციალური ცნებაა.

და იგი ნიშანდობლივია მხოლოდ ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოებისათვის. ცხოველები და, მით უმეტეს, მცენარეები კი არ ცხოვრობენ, არამედ ცოცხლობენ, არსებობენ, ბინადრობენ და სხვ. სამწუხაროდ, ქართულ საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში არის არასასურველი ტენდენცია და შემთხვევები იმისა, როდესაც ცხოველის ან მცენარის სიცოცხლის ამა თუ იმ მომენტის გამოსახატავად გამოყენებულია გამოთქმა „ცხოვრება“. რუსულად ЖИЗНЬ გამოიყენება როგორც „სიცოცხლის“ ისე „ცხოვრების“ აღსანიშნავად და მას კონკრეტული გააზრება წინადადების კონტექსტში ეძლევა. ЖИЗНЬ-ის ქართულად თარგმნის დროს საჭიროა აზრისა და მნიშვნელობის შესატყვისად ითარგმნოს ხან „სიცოცხლედ“, ხან — „ცხოვრებად“. შეიძლება გვითხრან, რომ ეს გადატანითი მნიშვნელობითააო, მაგრამ ამას არა აქვს გამართლება არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით მისი გამოყენებისას. რა არის გადატანითი მნიშვნელობით აღსანიშნავი სამეცნიერო ლიტერატურაში, როცა გვინდა ცოცხალი არსების ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების ერთობლიობა — სიცოცხლე გამოვხატოთ? უდაოდ გაუმართლებელია ვლადიმერ ბრძოლის ან ქათმის ცხოვრებაზე, მით უმეტეს მცენარეზე ვავრცელებდეთ ამ ცნებას და ვამბობდეთ, რომ კომბოსტო ან ხაბი ცხოვრობს. დედანში ლაპარაკია „მცენარის სიცოცხლეზე“ და არა „მცენარის ცხოვრებაზე“, როგორც ეს თარგმანშია.

აქვე ავტორი ჩამოთვლის მცენარის ძირითად სასიცოცხლო პირობებს და პირველ რიგში ასახელებს სინათლეს (Свет). თარგმანში კი ვკითხულობთ „შუქს“ (გვ. 8). საზოგადოდ ქართულ ბოტანიკურ ლიტერატურაში „სინათლის“ ცნებაა დამკვიდრებული. ცხადია, свет-ის შესატყვისი მნიშვნელობებია სინათლეც და შუქიც, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც. შუქი სინათლის ზოლს გამოხატავს.

იმ თავში, რომელიც მცენარეთა ახალ

ჯიშებისა და ფორმების გამოყვანას ზღვრება, შემთხვევითი არაა ცნება—Отбор-ის ხშირად ხსენება. სამწუხაროდ, იგი თარგმნილია როგორც „შერჩევა“, რაც არასწორია: მაგალითად, „путем постепенного отбора“ (გვ. 170), „путем массового отбора“ (იქვე), თარგმნილია: „თანდათანობით შერჩევის გზით“ (გვ. 180), „მასობრივი შერჩევის ეს საშუალება“ (იქვე). საქმე ის არის, რომ отбор ქართულად ნიშნავს „გადარჩევას“ და არა „შერჩევას“. შერჩევა რუსულად იქნება подбор. „გადარჩევა“ და „შერჩევა“ სულ სხვადასხვა შინაარსის ცნებებია და ბუნებრივია განსხვავებული პროცესებიც. თითოეულ მათგანში სელექციონერი გარკვეული სახის მოქმედებას გულისხმობს. ვარდა ამისა, ქართულ სასწავლო ბიოლოგიურ ლიტერატურაში ეს ცნებები მათი შინაარსის შესაბამისად არის დიფერენცირებული. თარგმანში ერთ-ერთი ქვეთავი ასეა დასათარგმნული: „ახალ მცენარეთა ძიება და ჯიშების გაუმჯობესება შერჩევის გზით“ (გვ. 188). ვინაიდან отбор თარგმნილია „შერჩევად“, ეს გაუგებარს ხდის ამ ქვეთავის შინაარსს, რადგან ავტორს გადარჩევა („отбор“) აქვს მხედველობაში და არა შერჩევა („подбор“).

კარტოფილი ბევრი ცდა-დაკვირვების ყველაზე ხელმისაწვდომი და მრავალმხრივ გამოსაყენებელი ობიექტია. ამიტომ დედანში „Клубень картофеля“ ხშირადაა მოხსენებული. ქართულად იგი თარგმნილია ხან „კარტოფილის გორგლად“ (გვ. 91, 94, 96 და სხვ.), ხან „კარტოფილის ბოლქვად“ (გვ. 112, 113, 114 და სხვ.). მაგალითად, ერთი ქვეთავი დასათარგმნულია ასე: „როგორ მოვიყვანოთ ერთი გორგლიდან კარტოფილის რამდენიმე ბუჩქი“ (გვ. 94), ხოლო მეორე — „კარტოფილის ბოლქვი მიწისზედა ღეროზე“ (გვ. 113). ორივე შემთხვევაში რუსულად „Клубень картофеля“ არის ნაგულისხმევი. ქართულ სამეცნიერო ბიოლოგიურ ლიტერატურაში ამ-

ბიორბი ქველავი
ერთი საბავშვო წიგნის თარგმანის ვაჟი



უამად დამკვიდრებული ტერმინია „კარტოფილის გორგლი“ (ძველად იყო „კარტოფილის ტუბერი“) და არა ბოლქვი (ეს შეცდომაა, ალბათ, მომდინარეობს რუსულ-ქართული ლექსიკონის I ტომიდან (1956), რომლის 596-ე გვერდზე სიტყვა Клубень-ის განმარტებისას მოყვანილია მკვლელობის „Клубень картофеля—კარტოფილის ბოლქვი“). გორგლი ღეროს სხეცვლილებაა, ბოლქვი — ფესვისა. სხვათაშორის ტექსტშიც ასეა: „ეს ნამდვილი ღეროსეული წარმონაქმნია და არა ფესვისეული“ (გვ. 113).

არასწორად მიგვაჩნია, როდესაც „...на тонких корешках“ (გვ. 65) ნათარგმნია—„წვრილ ყუნწებზე“ (გვ. 68). აქ ყუნწებზე როდია ლაპარაკი, „Корешок“ ქართულად კნინობით ფორმაში ნიშნავს „ფესვასკ“, წვრილ ფესვს და არა ყუნწს. ყუნწი რუსულად არის черешок, черенок.

დედანში ვკითხულობთ: „Поэтому свежаеубранный картофель не простаеат“ (გვ. 88). თარგმანშია: „ამიტომ ახლად გადაადგილებული კარტოფილი არ ღვივდება“ (გვ. 92). რა შუაშია აქ „გადაადგილება“?

სწორად არ არის ნათარგმნი ერთ-ერთი ქვესათაურიც — „Картофель из семян“ (გვ. 90). ქართულად ვკითხულობთ: „თესვით მიღებული კარტოფილი“ (გვ. 94). ჩვენი აზრით, არ იყო საჭირო ასეთი ღრმა კორექტივების შეტანა.

«Затеняя растения (покрывая их ящиком без щелей) на 2 часа до захода солнца и снимая ящик через 2 часа после восхода, мы создадим короткий южный день» (გვ. 99). ავტორის მიერ სავესებით ნათლად გადმოცემული წინადადება მართებულად არ არის ნათარგმნი: „თუ დავჩრდილავთ მცენარეს (გადავაფარებთ მკიდრო ყუთს) ორიოდ საათით მზის ამოსვლამდე (?) და მოვხსნით ყუთს მზის ამოსვლის 2 საათის შემდეგ, ამით შევქმნით სამხრეთის მოკლე დღეს“ (გვ. 103).

„როცა ხილი ბევრია, ყრიან სარდაფ-

ბის განყოფილებაში“ (გვ. 106). „Их мешают“ (გვ. 102) არ ნიშნავს „ყორიან“. საკვებ პროდუქტებზე ასე არ ლაპარაკობენ. ბავშვებთან საუბრის დროს ამასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ავტორი როცა ჰოტას ახასიათებს, იგი აღნიშნავს: „Его очень красивые крупные одиночные пурпурные цветки...“ (გვ. 125). თარგმანში ვკითხულობთ: „ჰოტას მეტად ლამაზი ფართო ეული წითელი ყვავილები...“ (გვ. 130). აქ რამდენიმე უზუსტობაა. ავტორს სურს გვითხრას, რომ ამ მცენარეს აქვს „დიდი“ („Крупные“) ყვავილები და არა „ფართო“. „Одиночный — ერთეული, ცალკეული ყვავილის აზრითაა მოხსენებული და არა „ეულისა“, ხოლო „пурпурный“ მუქი მეწამული ფერია არა „წითელი“.

არქიმედის კანონის ქართული ფორმულირება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ თარგმანში ვკითხულობთ: „წყალში ჩადებული ყოველი სხეული...“ (გვ. 154). ამავე გვერდზე „ნულის“ ნაცვლად ორჯერ წერია „ნოლი“.

ავტორი წერს: «Подогнав к широкой трубке две хорошие пробки, делают в каждой из них два отверстия: одно в центре для длинной трубки, а другое несколько сбоку для трубок, приводящих и отводящих воду» (გვ. 166). ეს წინადადება ისეა ნათარგმნი, რომ ბავშვს გაუძნელდება გაგება, რისი გაკეთებაცაა საჭირო: „ფართო მილს უნდა მოვარგოთ ორი კარგი საცობი და თითოეულ საცობში დავტოვოთ ორი ნახვრეტი: ერთი ცენტრში გრძელი მილისათვის, მეორე რამდენიმე გვერდის ადგილისათვის, (?) რომლებშიც წყალი შედის და გადის“ (გვ. 176). ეს წინადადება, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, გარდა იმისა, რომ არ შეესაბამება დედანს, ისედაც გაუგებარია.

ერთ-ერთი ცდის აღწერისას აღნიშნულია: „საცობი ორად უნდა გაიჭრას და ორივე ნახევრის ცენტრში ამოიჭრას ნახევრად მრგვალი კვალი მცენარის დასაკავებლად“ (გვ. 16). „бороздка“

(გვ. 14) თარგმნილია „კვალის“ მნიშვნელობით, მაგრამ ნოროზკა მუდამ კვალს როდი ნიშნავს. ამ შემთხვევაში ნოროზკა-ში ღარი იგულისხმება და რუსულში მას ეს მნიშვნელობაც აქვს. საცობში უნდა ამოიჭრას ნახევრადმრგვალი ღარი და არა კვალი. ამასთან „მცენარის დასაკვებლად“ კი არა, არამედ „მცენარის ჩასამაგრებლად“. იქვე აღნიშნულია, რომ „ასეთი ცდისათვის მცენარე ჯობია ამოვიღოთ ყვავილის ქოთნიდან“. აქ „ამოღებაზე“ როდია ლაპარაკი, არამედ „აღებაზე“ („лучше брать“). ამასთან არა „ყვავილის ქოთნიდან“, არამედ „საკვავილე ქოთნიდან“ („из цветочного горшка“).

190-ე გვერდზე წერია „...შეიძლება გამოვიყვანოთ ახალი ფორმა — ჯიში, რომელიც მაღალ და წმინდა სელს მოგვცემს“. აქ გაუგებარია „მაღალის შეფარდება წმინდასთან“. ეს იმიტომ, რომ тонкий ნათარგმნია „წმინდად“. ავტორი აღნიშნავს, რომ წლების მანძილზე მაღალღეროიანი სელის მცენარეთა გადარჩევის და მათი შეჯვარების შედეგად შეიძლება მივიღოთ მაღალი და წვრილი („тонкий“) ღეროს მქონე სელის მცენარე და არა „წმინდა“ სელის მომცემი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს მცენარის მორფოლოგიურ მხარეზე, იმაზე, თუ რა სახის და ფორმის უნდა იყოს ეს ახალი მცენარე. კერძოდ, იგი ხაზს უსვამს ამ მცენარის წვრილღეროიანობას და არა მის თვისებრივ მხარეს.

ავტორისეულ ტექსტში დასახელებული სიტყვები: красивый, форма, порция, рыхлый ზოგიერთ შემთხვევაში ნათარგმნია პირდაპირი მნიშვნელობით, სახელდობრ: „ლაშაზი“, „ფორმა“, „პორცია“, „ფხვიერი“. ასეთი კალკით აზრი ქართულად არასწორად გადმოიცა, ანდა გაბუნდოვანდა. რუსულში ყველა ზემოაღნიშნულ სიტყვებს გარდა პირდაპირი გააზრებისა სხვა მნიშვნელობაც აქვთ. რაც წინადადების კონკრეტულ შინაარსში ვლინდება. კერძოდ, Красивый-ს გააზრებითი ასპექტი მრავალგვ-

რია. მაგრამ სიტყვის პირდაპირი თარგმანით მივიღეთ კალკი: „ლაშაზი გართობა“ (გვ. 81); „ლაშაზი მკითხაობა“ (გვ. 84), მაშინ როცა პირველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო „სასიამოვნო“, მეორეში — „საინტერესო“.

„მათ საწვავი ნივთიერების ფორმით დააკონსერვეს მზის სხივი“ (გვ. 36). ან კიდევ „ცილის ყველაზე სუფთა ფორმაა ხაჭო და კვერცხის ცილა“ (გვ. 165). ცხადია, რუსულ სიტყვა ფორმა-ს ქართულად მუდამ „ფორმა“ არ შეესატყვისება. ზემომოყვანილ ორივე შემთხვევაში ფორმა უნდა თარგმნილიყო „სახის“ გაგებით. უნდა ყოფილიყო „მათ საწვავი ნივთიერების სახით დააკონსერვეს მზის სხივი“, „ცილის ყველაზე სუფთა სახეა ხაჭო და კვერცხის ცილა“. ასევე არაა სწორი „плотная корка“ (გვ. 37) ითარგმნოს: „სქელი ქერქად“ (გვ. 39). უნდა იყოს „მკვრივი ქერქი“.

ასევეა სიტყვა порция, რომელიც თარგმანში თითქმის ყველგან „პორციადაა“ გადმოქართულებული. მაგალითად, „...высадите две порции семян“ (გვ. 84), თარგმნილია: „ჩათესათ ორ პორციას თესლს“ (გვ. 87). ამ შემთხვევაში „პორციაზე“ მითითება ბავშვისათვის გაუგებარი იქნება. порция რუსულში ნაწილის, წილის მნიშვნელობასაც გამოხატავს. ავტორი აღნიშნავს, რომ თესლის ერთი ნაწილი ჩაითესება ქილის განათებულ მხარეს, ხოლო მეორე ნაწილი მის საპირისპიროდ (ჩაბნელებულისაკენ).

თარგმანში ვკითხულობთ, რომ „ცომი ნახშირმყავას გავლენით (დუღილის დროს) აფუვდება, ფოროვანი, ფხვიერი გახდება, ხოლო გამოცობის შემდეგ ინარჩუნებს ფხვიერ სტრუქტურას“ (გვ. 165). ჩვენი აზრით, აქ სწორად არ არის ნათარგმნი სიტყვა рыхлый („ფხვიერი“). რა თქმა უნდა, ამ სიტყვას ქართულში „ფხვიერიც“ შეესატყვისება, მაგრამ მოყვანილ წინადადებაში ლაპარაკია ცომის არა „ფხვიერ“, არამედ

გიორგი ჯვალაძე

ერთი საბავშვო წიგნის თარგმანის გაყო



„ფაშარ“ სტრუქტურაზე. ავტორს უნდა გვეთხრას, რომ ნახშირმჟავას გავლენით ცომი ფუვდება, ფოროვანი, ფაშარი ხდება და ასეთსავე ფაშარ სტრუქტურას ინარჩუნებს გამოცხობის შემდეგაც.

გვინდა შევეხოთ ქიმიური ცნებებისა, თუ ტერმინის თარგმნის საკითხს. თარგმანში ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო შინაარსის საკითხებთან ერთად განხილულია ქიმიური მოვლენები და პროცესები, დასახელებულია მრავალი ქიმიური რეაქტივი, სხვადასხვა ნაერთი. ქიმიური ცნებები და ტერმინები ძირითადად სწორად არის თარგმნილი, მაგრამ აქა-იქ შეინიშნება ცალკეული უზუსტობა.

მცენარეში წყლის მოძრაობის განხილვასთან დაკავშირებით ავტორი ეხება სითხეებში („жидкость“ — გვ. 20) კაპილარულ მოვლენებს. თარგმანში კი ლაპარაკია „ხსნარზე“ (გვ. 22). 45-ე გვერდზე ავტორი მკითხველს ესაუბრება მცენარისათვის ამა თუ იმ ელემენტის საჭიროებაზე. თარგმანში მოხსენებულია „ნივთიერება“ (გვ. 47). მე-2 თავის ერთ-ერთი ქვეთავის სათაურშია „фосфорит“-ი (გვ. 56), თარგმანშია „ფოსფორი“ (გვ. 58), რაც არაა სწორი, ვინაიდან ფოსფორი ელემენტია, ხოლო ფოსფორიტი — მინერალი. თარგმანის 59-ე გვერდზე ლაპარაკია პოტაშზე („то есть углекислой соли калия“). ნათარგმნია ასე: „(ანუ კალიუმის ნახშირორჟანგის მარილი)“ (გვ. 62). უნდა ყოფილიყო „ნახშირმჟავა კალიუმის მარილი“. „сернистая кислота“ (გვ. 155) თარგმნილია „გოგირდმჟავად“ (გვ. 163). ნაცვლად გოგირდოვანი მჟავისა. „Пахнут сернистым газом“ (გვ. 155), ნათარგმნია: „აქვს გოგირდის გაზის სუნი“ (გვ. 164). უნდა იყოს — „აქვს გოგირდოვანი გაზის სუნი“.

სწორად არ არის ნათარგმნი „Белки их хорошо усвояемы“ (გვ. 158). „მათ ცილებს კარგი შეთვისების უნარი აქვთ“ (გვ. 167). აქ იმაზე კი არ არის ლაპარაკი, თუ მათ ცილებს როგორი შეთვისების უნარი აქვთ, არამედ იმაზე, რომ მათი ცილები კარგი შესათვისებელია.

ალაგ-ალაგ სათარგმნელი წინადადებებიდან სიტყვები გამოტოვებულია. ზერ მთელი წინადადებები, ცალკეულ შემთხვევაში აბზაცებიც კი. რა თქმა უნდა, თარგმანში შეიძლება გამოტოვოთ რომელიმე დედნისეული სიტყვა, თუ ეს არ არღვევს ან არაფერს აკლებს გადმოსაცემი აზრის შინაარსს, მაგრამ ჩვენს მიერ შენიშნულ შემთხვევებში სიტყვის უთარგმნელობა სწორედ აზრობრივ ლაფსუსებს იწვევს. მაგალითად: „Эти цветы можно в любое время зны достать из-под снега застывшими в цветущей фазе“ (გვ. 119). თარგმანში სიტყვა — „застывший“ — არაა ნათარგმნი და მივიღეთ: „ეს ყვავილები ზამთრობით ყოველთვის შეიძლება ამოვიღოთ თოვლიდან აყვავილების ფაზაში“ (გვ. 123). ცხადია, აქ არ ჩანს, თუ რამდგომარეობაში იქნებიან ეს ყვავილები. დედანში ვკითხულობთ: „Но мало кто знаком с самим растением“ (გვ. 98). თარგმანშია: „მაგრამ ცოტა თუ იცნობს თვით მცენარეს“ (გვ. 102). „мало кто“ არ ნიშნავს „ცოტას“. დედნის 125-ე გვერდიდან, სადაც რქათავა რქანის ყვავილის აგებულება აღწერილი, გამოტოვებულია „собранными в редкую кисть“. რა თქმა უნდა, ამით მკითხველს არასრული წარმოდგენა შეექმნება ამ მცენარის ყვავილზე. დედნის მე-16 გვერდიდან ასევეა გამოტოვებული შემდეგი: „зажимают каучук под воронкой“, რაც გაუგებარს ხდის თარგმანში ცდის მსვლელობას. თითქმის ნახევარ გვერდზე მეტი მასალა გამოტოვებულია ორიგინალის 51-ე გვერდიდან. აქ კი საინტერესო და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხებია გაშუქებული.

ავტორი წერს, რომ „Арахис возделывается на полях Кубани. в Азербайджанской ССР, Грузинской ССР и является ценной пищевой и кормовой культурой“ (გვ. 98). თარგმანშია: „არაქისი მოჰყავთ ყუბანში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, და ძვირფასი საკვები კულტურაა“ (გვ. 102). გაურკვევე-

ლია, რა მოსაზრებითაა თარგმანში გამოტოვებული ჩვენი რესპუბლიკა? ვითომ ჩვენში არ მოჰყავთ არაქისი? დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-17 ტომის (1952 წ.) მე-17 გვერდზე, სადაც ჩამოთვლილია საბჭოთა კავშირში არაქისის გავრცელების რაიონები, სულ პირველად საქართველოს სსრ არის დასახელებული (სხვათა შორის სამეგრელოში არაქისის უწოდებენ „დიხაში თხირი“. იხ. ა. მაყაშვილის — ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ. 12). გაუგებარია, რას უნდა მიეწეროს თარგმანში ეს ლაფსუსი? მეორეც, ავტორისეული ტექსტიდან ჩანს, რომ არაქისი წარმოადგენს, როგორც ადამიანის, ისე ცხოველთა ძვირფას საკვებ კულტურას. ეს აზრი არაა გატარებული თარგმანში.

თარგმანში ვხვდებით ენობრივად გაუმართავ წინადადებებსაც. მაგალითად, „ფესვის გარშემო ნიადაგში ძალიან სუსტი ნიადაგის ხსნარია, სწორედ ამ ხსნარის წყალი ისწრაფვის მცენარისაკენ ფესვის გარსის გავლით დიდი ძალით...“ (გვ. 18); „დაუმატეთ ცოტა-ცოტა წყალი, შეაჩღრიეთ ფრთხილად, რაიმე ძალიან გლუვი წვრილი წკრით ან ფრთით...“ (გვ. 20); „თუ მცენარის ამ მოდელს გრძელ ჰორიზონტალურ მილს გავუკეთებთ, დავინახავთ, როგორ „სვამს“ იგი წყალს, ანუ რა ხდება ცოცხალ მცენარეში, და ოსმოსური წნევის როლს წყლის შთანთქმის რთულ პროცესში“ (გვ. 21); „...მცენარის მიერ წყლის ასე სწრაფად შეწოვისას ნიადაგი მალე მიაწვდის წყალს ყველა შრიდან, რომლებიც ფესვების გარშემოა განლაგებული. და (ხაზგასმა აქ და შემდეგ ჩემია—გ. ქ.) მაშინ საჭირო გახდება წყლის მიწოდება უფრო ღრმა შრეებიდან. და მართლაც, ნიადაგი, განუწყვეტლივ აწვდის წყალს ფესვებს სხვადასხვა შრიდან და ასე კვებას მცენარეს წყლით“ (გვ. 22); „ამაში დარწმუნება ძნელი არ არის, ვინაიდან **ზემოდან** გაუფხვიერებელი ნიადაგი რამდენიმე ხნის შემდეგ საფსებით გაშრება, ხოლო **ზემოდან** გაფხვიერებული ნიადაგი **ზემოდან** გამშრა-

ლი თხელი ფენის ქვეშ დიდხანს იქნება ტენიანი“ (გვ. 25); „მაშინ ამ ნიადაგის მორწყვა, რომლის კაპილარებში ჰაერი აღარ არის, აღარ დაშლის კომტებს და არ გამოიწვევს დატბორებას“ (გვ. 39); ერთ-ერთი გაზის შესახებ ნათქვამია: „...რომელიც ძაბრით შევა წყლით სავსე ბოთლში...“ (გვ. 106); „ერთი ბოლოთი წყალში ჩაშვებული ქაღალდი სველდება და წყალი საქმოდ მალა მისწრაფვის ქაღალდით...“ (გვ. 22); ანდა „...წყალი ნიადაგი მილში ავა...“ (იქვე); „ყველაზე სერიოზული ყურადღება დავუთმობ...“ (გვ. 122).

თარგმანში აქა-იქ ვხვდებით აგრეთვე არასწორად გამოთქმულ სიტყვებსაც. მაგალითად, „უამრავურ“ (გვ. 17); „განაკვეთი“ (გვ. 15); „ცეცის შტანგა“ (გვ. 33); „V-ებრი“ (გვ. 37); „ზორტები“ (გვ. 141). ნაცვლად იმისა, რომ ყოფილიყო: მრავალჯერ, ცეცის შტანგი, V-სებრი, ჰრილი, შესაკრავები და სხვ.

ორიგინალის ტექსტში ზოგჯერ მასალა გადმოცემულია გრძელი წინადადებებით. ქართულად მათი უცვლელი კონსტრუქციით გადმოტანა გააძნელებდა საკითხის შინაარსში გარკვევას. ამიტომ მთარგმნელი სწორად მოქცეულა როდესაც ზოგიერთი წინადადება დაუყვია მოკლე წინადადებებად და ამით უფრო გასაგები გაუხდია წასაკითხი მასალა. მაგრამ მიუხედავად ამისა, დედნის გავლენით მაინც საქმოდაა გრძელწინადადებებიანი (6-7 სტრიქონიანი) ტექსტები (გვ. 18, 19, 134, 139, 143, 146, 148, და სხვ.), რომელთა გაგება გაუჭირდებოდა ბავშვებს.

თარგმანში ვხვდებოდა კორექტურული (გვ. 27, 39, 60, 147, 160 და სხვ.) ლაფსუსები, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს.

ორიოდე სიტყვა წიგნის მხატვრული გაფორმების (მხატვარი ლ. ქურდიანი) შესახებ. არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბავშვო წიგნების (განსაკუთრებით სამეცნიერო-პო-

ვიოზგი შველაძე
მთელი საბავშვო წიგნის თარგმანის გამო

პულარული ლიტერატურის) ილუსტრირებას მასალის შეგნებულად გავება-ათვისებისათვის. ეს ყველასათვის ცხადია. ამიტომ მით უფრო გაუგებარია, რომ ორიგინალს 33 ნახატიდან (მათ შორის 2 ფერადი ნახატი ჩანართის სახითაა) თარგმანის ტექსტში მხოლოდ 26-ია გადმოტანილი. მაშინ, როცა გამოუყენებელ ნახატებთან დაკავშირებული მასალა სრულადაა ნათარგმნი და მათი გათვალისწინება (მაგალითად, „მარცვლოვანთა გამოცნობა“, ნახ. 6; „იაროვიზაციის გავლენა საშემოდგომო ხორბლის განვითარებაზე“, ნახ. 23; „სინათლის გავლენა სხვადასხვა თესვის განვითარებაზე“, ნახ. 25; და სხვ.) უფრო გააადვილებდა ტექსტის შინაარსის გაგებას.

რაც შეეხება თვით ნახატებს, შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ისინი დედნის ასლებია, მაგრამ მინც დიდად განსხვავდებიან ორიგინალებისაგან შესრულების ხარისხით. ორიგინალში გრაფიკული ნახატები შესრულებულია აკურატულად, წმინდა ხაზები და ზომიერად გაკეთებული ჩრდილები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ. გამოსახატავსაგანზე ან ამა თუ იმ ცდა-დაკვირვებაზე. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი თარგმანის ილუსტრაციებზე. თითქმის ყოველი ნახატი მოკლებულია ასეთ სიფაქიზეს. ხაზები მეტად მსხვილია, ზოგიერთ ნახატზე ბუნდოვანია რიცხვები და ასოები, ჩრდილების მაგიერად შავი ლაქებია, რაც ტლანქ შეხედულებას აძლევს ყოველ ნახატს. გარდა ამისა, მე-17 ნახატი უკუღმაა დაბეჭდილი. მე-3 ნახატს აკლია ასოთი აღნიშვნები, ტექსტში კი მითითებულია ამ ასოებზე. მე-7 ნახატზეა მუშოს ტუმბოს სქემატური გამოსახულება, მაგრამ გაურკვეველია, რა არის დახატული „ვ“ მილის ძირში. 25-ე ნახატზე გაურკვეველია კაუჭის მდებარეობა და სხვ. ჩვენი აზრით, წიგნის ყდაზე გამოსახული უნდა იყოს ყვავილების სქემატური ჭრილი, მაგრამ საკეცია, რომ ავგვარად გამოსახულმა

ყვავილებმა რაიმე ერთუზიანში იწვიოს ბავშვებში.

ორიოდე სიტყვა წიგნის სახელწოდების („Занимательная агрономия“) ქართული თარგმანის („გასართობი აგრონომია“) თაობაზე. ამ შემთხვევაში **занимательный**-ს ქართულად თარგმნის დროს სიტყვის მართო სემანტიკური მნიშვნელობები როდი უნდა გავითვალისწინოთ, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ისიც, თუ რა მიზანსა და შინაარსს გამოხატავთ მისი საშუალებით. მართალია, **занимательный**-ის ქართული მნიშვნელობებია გასართობი, შესაქცევარი, თავშესაქცევი, საინტერესო და სხვ., მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი ზუსტად არ ასახავს იმ შინაარსს, რასაც წიგნის რუსული სახელწოდება. ქართულში **занимательный**-ს შესატყვისი, რომელიც ამავე დროს წიგნის დანიშნულებასაც ზუსტად მიესადაგება, არის „სახალისო“ და რა „გასართობი“. ავტორს ბუნებისმოყვარულ მოსწავლეთათვის შეურჩევად ისეთი ცდა-დაკვირვებები, რომელთა შესრულება ნორჩი ნატურალისტისაგან მოითხოვს სერიოზულ, მიზანსწრაფულ შრომას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ბავშვისათვის სულ ერთი არ არია, როგორი იქნება მისი შრომის შედეგი, რაც ჩვეულებრივ გასართობისთვისაა ნიშანდობლივი. ამასთან, საზოგადოდ, უკანასკნელად ქართულად გამოცემული ასეთი სახის წიგნები „სახალისოს“ სახელწოდებით გამოდის. პოპულარული ავტორის ი. პერელმანის ცნობილი წიგნები, პირველად მართლა „გასართობის“ სახელით იბეჭდებოდა, მაგრამ შემდეგ ამ წიგნების შინაარსის აპოწურავი სისრულით გამოხატავ ცნებად „სახალისოს“ იქნა მიჩნეული. მაგალითად, „გასართობი გეომეტრია“ (1937), „სახალისო გეომეტრია“ (1938); „გასართობი ფიზიკა“ (1937); „სახალისო ფიზიკა“ (1949); ამავე ავტორის „სახალისო ასტრონომია“ (1956) და სხვ. ამდენად, ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა „სახალისო აგრონომია“.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი შენიშვნა.



ანდრია აბრამივილი

ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი ანდრია გელისადგი

ტიციან ტაბიძესა (1895—1937) და მის მეუღლეს — ნინო ალექსანდრეს ასულ მაცაშვილ-ტაბიძისას (1900—1965) მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ნინოსა და ტიციანის შეუღლების დღიდან (1920 წ.) მათი ოჯახი ერთგვარი ლიტერატურული სალონი იყო თბილისში, სადაც მოწინავე ქართველი კალმოსნების გვერდით ხშირად იკრიბებოდნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და საბჭოთა ქვეყნის სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ტაბიძეების სასურველი სტუმრები იყვნენ: ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, ილია ერენბურგი, ბორის პასტერნაკი, ლეონიდ ლეონოვი, იური ტინიანოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პავლე ანტოლოვსკი, პეტრე პავლენკო, ვიქტორ გოლცევი, ბენედიქტე ლივსიცი, კუსმა პეტროვი-ვოდკინი, ვლიმე ჩარენცი, მიკოლა ბაჩანი და ბევრი სხვა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (დაწერილებით იხ. ტაბიძის არქივი და 1964 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი: „წერილები, ნარკვევები, მიმოწერა“).

ტიციან და ნინო ტაბიძეებმა მეტად გულთბილი, შესანიშნავი ნარკვევები და მოგონებები გამაჰქვეყნეს ქართულ და რუსულ ენებზე. პირველმა თავისი ნარკვევები მიუძღვნა: ალ. გრიბოედოს, ალ. პუშკინს, ვლ. ბრიუსოვს, ალ. ბლოკს, ლ. ტოლსტოის, ან. ბელის, ვლ. მაიაკოვსკის, ს. ესენინს, ბ. პასტერნაკს, საიათ-ნოვას, თ. თუმანიანს, ალ. შირვან-ზადეს, ავ. ისაკიანს, არ. ლაისტას და სხვებს (იხ. ზემოთ დასახელებული ტ. ტაბიძის წიგნი, აგრეთვე ზისი თხზულებათა სამტომეული). ნინო ტაბიძემ: ვლ. მაიაკოვსკის, ს. ესენინს, ბ. პასტერნაკს, ი. ტინიანოვს, ბ. პავლენკოს, ბ. ავახილს, ნ. ტიხონოვს, თ. ფორსს, ნ. ზაბოლოცკის, და სხვებს (იხ. „მათობი“, 1964 წ., №№ 5, 8; „Литературная Грузия“ 1965, № 10). ნინო ტაბიძეს განზრახული ჰქონდა მოგონებათა ვრცელი წიგნების დაწერა, მაგრამ სიკვდილმა ადარ დააცალა.

თავის მხრივ ნინო და ტიციან ტაბიძეებიც სასურველი სტუმრები იყვნენ მეგობრებისათვის. მოსკოვსა და ლენინგრადში ჩასვლისას ისინი ყოველთვის ნახულობდნენ თანამოავალმებებს, ერთგულ მეგობრებს და ხშირად მათს ოჯახებში ჩერდებოდნენ ხოლმე ბინად. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა ტიციანის ზემოთ დასახელებული წიგნები, აგრეთვე მისი მეუღლის მოგონებებში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც აადვილებენ ტიციან ტაბიძის მიერ ანდრეი ბელისადმი მიწერილი წერილის შინაარსის გაშიფვრას. ტიციან ტაბიძის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგაც კი მისი მეგობრების კარები ყოველთვის ღია იყო ნინო ტაბიძისათვის, როგორც თბილისში, ასევე მოსკოვსა და ლენინგრადში. „მოსკოვში რომ ჩავედი, — წერს ნინო ტაბიძე — ბორის ლეონიდის ძე პასტერნაკის ოჯახში გაგჩერდი“. ეს ამბავი მეტად ბევრის მთქმელია იმ დროისათვის.

სხვა ადგილას ნინო ტაბიძე წერს: „მასთვის ტინიანოვთან და ქართველ მწერლებთან ერთად გამაგზავრება წინადადობი, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სადალს მივუსხედით, საერთო სიცილი და ხარხარი იყო, როცა ტინიანოვს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეტამა ხინკალი“ (1933 წ.). თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ჩვენთან მწერლები. ინტერესით უსმენდნენ ისინი ტიციანს, რომელიც უკითხავდა მათ თავის ჩანაწერებს შამილზე მის მიერ შეკრებილ მასალებიდან (ტიციანი აპირებდა შამილზე რომანის დაწერას) და ი. ტინიანოვს პუშკინის ბიოგრაფიის ახალ მასალებზე, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მწერლის რომანს პუშკინზე“. (1933 წ. მიწურულში) „ზაბოლოცკი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა საქართველოს. ჩვენც, რაც შეგვეძოდა მას პინძლობას არ ვაკლებდით. გეყავდა კახეთში — წინანდალში... მერე გ. ლეონიძემ პატარძელში წაიყვანა, და სხვა მრავალი საინტერესო დეტალები. ტაბიძეების მეგობართა და ახლო ნაცნობთა წრე მეტამეტად ფართო იყო და ამიტომ სტუმრების სა-



სიამოვნოდ მასპინძლები ყოველთვის ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნავი ადგილები ეჩვენებინათ — მცხეთა, თბილისი, ალავერდი, წინანდალი, ბორჯომი, ახალი ათონი, საჩხერე, ქუთაისი, საქართველოს სამხედრო გზა, გორი...

სწორედ ტიციან ტაბიძის ენერგიული მოწადინების შედეგი იყო, რომ ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებები რუსულ ენაზე ითარგმნა. მასთვის ორი ასეთი სასიამოვნოდ მოსაგონებელი შეხვედრა. ეს იყო 1937 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, — ლენინგრადში ჩატარდა ორი ქართული ლიტერატურული საღამო. ორივე საღამო ტიციანის აქტიური მონაწილეობით გაიმართა და მიმდინარეობდა. პირველი საღამო ტიციან ტაბიძის პოეტურ შემოქმედებას მიუძღვნა, რომელზედაც ჯერ ავტორმა წაიკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი რუსულ ენაზე, შემდეგ კი მისი ლექსები რუსმა პოეტებმა წაიკითხეს. ტაში და ოყავია დარბაზში დიდი იყო. საღამო შესავალი სიტყვით ნ. ტიხონოვმა გახსნა და იგივე ხელმძღვანელობდა ბოლომდე. მეორე საღამო, რომელსაც კლავ ნ. ტიხონოვი ხელმძღვანელობდა მიეძღვნა ქართველი რომანტიკოსების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის ნიკ. ბარათაშვილის და ვახ. ორბელიანის ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნის ნიმუშების განხილვას. ხსენებულ საღამოებს კ. დ. და ვ. დ. დონდუბთან და იმ დროისთვის ლენინგრადში მცხოვრებ და მოსწავლე სხვა ქართველებთან ერთად ამ სტრიქონების ავტორიც ესწრებოდა. საღამოების ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე დარბაზში სერიოზობის დროს ჩვენმა მასწავლებელმა პროფ. კ. დ. დონდუამ გამაცნო ტიციან ტაბიძე და მისი რუსი მეგობრები: ნ. ტიხონოვი, ი. ტინიანოვი, ნ. ზაბოლოცკი. იქ პირველად მოვისმინე ამ ცნობილ ადამიანთა შინაარსიანი გამოსვლები და მათ შორის ტიციან ტაბიძის პათოსით აღვსილი სიტყვა. ტიციანმა მაღალი და ობიექტური შეფასება მისცა მოძვერუსი პოეტების თარგმანებს. მართლაც, დასახელებულ საღამოებზე წაიკითხულმა ქართველი პოეტების ლექსებმა მალე იხილეს შვის ნათელი.

„ქართველი რომანტიკოსების“, ასევე „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიერისას“, ჯაფა-ფშაველას უკვდავი ნაწარმოებების, ქართველი პოეტების ანთოლოგიის და ზოგიერთი სხვა ქართველი კლასიკოსის შემოქმედების რუსულად თარგმნისა და გამოცემის პირველი ინიციატორი ტიციან ტაბიძე იყო. იგი ერთნაირად დიდ მზრუნველობას იჩენდა, როგორც რუსული ენიდან ქართულად თარგმნაში, ასევე პირიქით. ტიციან ტაბიძე გულსხმიერებით ვეიდებო-

და საბჭოთა ქვეყნის სხვა მოძვერუსისა და უცხო ქვეყნების ლიტერატურული ნიმუშების თარგმნის საქმესაც. დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ტიციან ტაბიძე, რომელმაც თავისი შესაძლებლობის მხოლოდ ტანხის დატოვება მოასწრო, ყოველ ახალ წამოწყებას ენთუზიაზმით ეგებებოდა და მისთვის ჩვეული ენერგიით ასორციელებდა კიდევ, — სულ ერთია, მხატვრულ ლიტერატურას ემბროდა ეს, ისტორიას, ეთნოგრაფიას, ენათმეცნიერებას, მუსიკის მოწყობას, სახვით ხელოვნებას, თეატრალურ საქმიანობას, მეგობრებზე ზრუნვას, თუ სხვა რაიმეს. თამადაობაში და სუფრაზე დროს გატარებაში სომ მაღალი არ ჰყავდა. ტიციანთან და პაოლო იაშვილთან ერთად სუფრაზე დროს ტარება ანდრეი ბელიმ ლაკონურად ასე გამობატა: «Научен: сыт не мясом, а — знанием, пьян не вином, а душевной игрой всех сидящих» («Ветер с Кавказа», стр. 193).

ანდრეი ბელი მაღალ შეფასებას აძლევს ტიციანს: «Табидзе — сердечный вулкан, бьющий пламенем в мысль» (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 166) ანუ «Воздушный Табидзе: громами гремит. изливается ливнями» (იქვე, გვ. 170).

ტიციან ტაბიძე და მისი თანამოკალმეები პაოლო იაშვილი, გიორგი ლვინიძე, ბესარიონ ქვინტი, სიმონ ჩიქოვანი და სხვა ქართველი პატრიოტები იყვნენ მიზეზნი, რომ ანდრეი ბელი თავის დღიურში ჩაუწერია: «Да, Грузия переполнялась культурой... они старше; нам — надо учиться во многом у них; и учили: в застольных речах, поминая любезные символы: Лермонтов, Пушкин; а я?» (იქვე, გვ. 191).

ტიციან ტაბიძის ღირსეული დაფასება მომავალი მკვლევარების საქმეა. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა მოლიანად გამოქვეყნდეს მეოსნის პირადი მდიდარი არქივი, მეგობრებთან გაგზავნილი წერილები, რადგან ტიციანის სამტომეული და «Статьи, очерки, переписка» მის მიერ დატოვებული ლიტერატურული დოკუმენტის მხოლოდ მცირედ ნაწილს შეადგენს.

აი, ტიციან ტაბიძის მიერ 1933 წლის 16 აგვისტოს ანდრეი ბელისადმი გაგზავნილი წერილის მოლიანი ტექსტი, რომელიც 1964 წ. რუსულ ენაზე გამოცემულ ტიციან ტაბიძის წიგნში „წერილები, ნარკვევები, მიმოწერა“ — შესული არ არის:

«16 августа 1933 г. Тифлис

Дорогой Борис Николаевич!
 Давно и до Вашего письма собирался писать — но три года, что Вас не видел, заставляют робеть и я все мучительно откладывал.
 Мы так привыкли к Вам, что без —

конечной казалась простота встречи — а теперь труднее, все больше забывается Борис Николаевич, и с далека видим Андрея Белого, понятно потому, как мы хотим видеть Вас

в Грузии и опять почувствовать близко.

А тут и писать нечего: Все будет устроено — нужно договориться только о деталях — что мы и сделаем в Москве во время Съезда писателей.

Паоло вчера выехал в Москву, поговорите обо всем.

В Цинандалах можно устроиться, я говорил с кем надо, но думаю, что в конце ноября там будет холодно — можно устроиться и на Новом Афоне.

Братъ лишних вещей не надо, тут все достанем, в Тифлисе же поговорим о характере вашей работы на грузинском материале или же договоримся в Москве на съезде — с председателем нашей делегации.

Главное, чтобы вы отдохнули, а для нас важнее, чтобы отдохнули в Грузии.

Хлопот и усилий нам это не будет стоить, все просто устроится.

В Абастумане отдыхает Кузьма Сергеевич Петров-Водкин, летом мы не могли встретиться, разошлись на вокзале,

в конце августа он заедет ко мне на несколько дней и тогда вспомним Детское Село.

Хочу сообщить об одной моей работе: мне поручили организовать большой музей на станции Казбек — передали два больших дома, в 17 комнат (быв. дворец Казбеков) — работа очень интересная, тут и естественный музей народов Кавказа,

И альпинизм и Пушкин и Врубель —

и почти вся русская литература — собираю обширную литературу кавказоведения,

хочу год посидеть и поработать над историческим романом — «Имам Шамиль» —

В Москве расскажу подробно обо всем, может быть удастся в будущем году видеть Вас и себя в гостях в Казбеке и вспомнить, как первый раз проезжали В. Груз. дорогу.

Завидую Паоло, что он Вас увидит раньше — передайте наш привет дорогой

Клавдии Николаевне, и особую просьбу непременно приехать в Грузию.

Н. К.

ТИЦИАН ТАБИДЗЕ

ეს წერილი, რომელიც ტიციანის სულითაა დაწერილი ორად მოკეცილი ფურცლის პირველ და მესამე გვერდზე, დაეკურთხა ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (ანდრე ბელის პირად არქივში). ჩვენი აზრით, იგი პასუხია იმავე, 1933 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ანდრე ბელის წერილისა, რომელშიაც რუსი მწერალი ტიციანს სთხოვდა დახმარება აღმოეჩინა იმეამად საქართველოში მყოფ მხატვარ კუზმა სერგეის ძე პეტროვი-ვოდკინისათვის კავკასიის ვაცნობაში: «Оказав ему посильную помощь, Вы окажете содействие культуре, той куль-

тура, которая над всеми народами, как купол, составляющий один народ, в котором я, Вы, Сарьян и Водкин, как Рембо, Верлен, Ницше и т. д.—братья» (იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, ტ. ტაბიძის არქივი).

ანდრე ბელის აღარ დასცალდა, კიდევ ერთხელ დაეპატიჟებინა ტიციან ტაბიძე, ანდა თვითონ მას, 1933 წლის მიწურულში, წინანდალში ან ახალ ათონში დაესვენა. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა (8 იანვ. 1934 წ.) ტიციან ტაბიძე ძალიან დააპწუხრა. ნაცვლად საქართველოში მოპატიჟებული სტუმრის მასპინძლობისა, მას მეგობრის ვრცელი ნეკროლოგის დაწერა ხვდა წილად. ჟურნალ „მნა-



თობისა 1934 წ. იანვარ-თებერვლის გაერთიანებულ ნომერში ტიციან ტაბიძემ კარგად დაახასიათა ანდრეი ბელის მეტად რთული და ფრიად ნაყოფიერი ცხოვრება და შემოქმედება. ლაკონური მიმოხილვის შემდეგ ქართველმა მკვლევარმა ასე დამთავრა თავისი შინაარსიანი ნარკვევი-ნეკროლოგი: „ანდრეი ბელიმ, მსგავსად რუსეთის სხვა დიდი მწერლებისა, ერთი პოეტური ვალიც მოიხადა — უკანასკნელ წლებში ის ძალიან დაუახლოვდა საქართველოს. თავის წიგნში «Ветер с Кавказа» მას მოთხრობლი აქვს, თუ როგორ შედის პუშკინის შემდეგ საქართველო რუსეთის პოეზიაში.

1927 წელს რეჟისორ ვსევოლოდ მეიერჰოლდთან ერთად ის პირველად ჩამოვიდა საქართველოში და დარჩა მთელი ზაფხული; ამ ზაფხულს მან დაწერა ზემოხსენებული წიგნი. მეორედ იყო 1929 წელს, აგრეთვე მთელი ზაფხული, ცხოვრობდა საჩხერეში, აკავი წერეთლის სახლში, და კოჯორში, სადაც წერდა „მთების სიმფონიას“, რომელიც ჯერ გამოუქვეყნებელია.

1931 წელს ფიქრობდა რამდენიმე წლით თბილისში დაბრუნებას, მაგრამ შემთხვევით მოსკოვიდან დეტსკოე სელოში გადასახლდა და არ მოუხერხდა თბილისში ჩამოსვლა.

შარშანდელი შემოდგომა მას ეწადა გაეტარებინა კახეთში, წინანდალში, მაგრამ სწორედ გამომგზავრების წინ დაეცა პირველი წვეთი და სამი თვის შემდეგ კიდევ გარდაიცვალა.

სხვა დროისთვის გადამიდგია ჩვენი შეხვედრების ამბის დაწერა. თუნდაც ჩემსავით გარეშე მოწაფისათვის ძნელია ამ უდიდესი ოსტატის და შესანიშნავი ადამიანის ღია საფლავთან მოგონება — ეს არის ის უძვირფასესი, რაც თვითონ რჩება სიკვდილის წინ მოსაგონებლად“ (ტ. ტაბიძე. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 230).

ტიციან ტაბიძეს არ გაუმართლდა, სისრულეში მოეყვანა ჩანაფიქრი, რადგანაც ტრაგიკულმა სიკვდილმა ნადრედად მოაცილა ამ ქვეყანას. სხვათა შორის, ანდრეი ბელის ლიტერატურულ შემოქმედებას ერთი ვრცელი სტატია ტიციან ტაბიძემ ჯერ კიდევ 1927 წლის 1 ივლისს მიუძღვნა („Заря Востока“). ხსენებული ნარკვევის დაბეჭდვა ტაბიძეების ოჯახში ანდრეი ბელის სტუმრობას დაემთხვა. რატომღაც ეს ნარკვევი შემდეგში ტიციან ტაბიძის წიგნებში აღარ დაბეჭდილა.

პირველად ანდრეი ბელი პაოლო იაშვილმა გაიყონ 1927 წლის 10 ივნისს, ციხისძირში, ხლო 28 ივნისს კი თბილისში ტიციან ტაბიძე წარადგინა ანდრეი ბელის წინაშე. იმ დღიდან

მოყოლებული, ორივეს დაუმეგობრდა. ტიციან ტაბიძე პაოლომ ჯერ მთელი თბილისი გააცნენ ანდრეი ბელის, შემდეგ კი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები მოახილვინეს. სხვა ქართველ მწერლების თანდასწრებით ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა ანდრეი ბელი ორჯერ (1927 წ. 30 ივნისს და 3 ივლისს) საქართველოს სამხედრო გზაზე ამოგზავრეს და ამიტომაც იმდროინდელ ამბებზე გადაჯვარეს ტიციან ტაბიძე ანდრეი ბელის. ტიციანის ზემოთ მოყვანილი წერილი ანდრეი ბელის წიგნის — „Ветер с Кавказа“ მოკლე გამოძახილსაც უნდა წარმოადგენდეს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ანდრეი ბელისადმი გაზავნილ წერილთან ერთად ტიციან ტაბიძე იმავე დროს „სალიტერატურო გაზეთში“ (1933 წ. 30 სექტემბერი, № 20, გვ. 4) ათავსებს ვრცელ სტატიას სათაურით „კულტურის კარები დარიალთან (ყაზბეგის სამხარეთმცოდნეო და სალიტერატურო მუზეუმი)“. იქვე ავტორი ნარკვევს ურთავს ფოტოსურათს შემდეგი წარწერით „ალ. ყაზბეგისეული სახლი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მუზეუმი“. საინტერესოა, რომ ამ სტატიის მოკლე შინაარსს ტ. ტაბიძე ნაწილობრივ ანდრეი ბელისაც აცნობს 16 აგვისტოს გაგზავნილ წერილში.

ტიციან ტაბიძის სამტომეული მესამე ტომში ეს ნარკვევი შეტანილია ასეთი სათაურით: „ასე იღება კულტურის კარი დარიალთან“.

ტიციან ტაბიძის მიერ ანდრეი ბელისადმი გაგზავნილ წინამდებარე წერილში მოხსენებული პირებისა და წამოჭრილი საკითხების მოკლე კომენტარები ასეთია:

ადრესატი ბორის ნიკოლოზის ძე ბუგაევი (1880—1934) ეს თვითონ ანდრეი ბელის ნამდვილი სახელი, მამის სახელი და გვარია, ანდრეი ბელი XX საუკუნის რუსეთის მწერლების უფროსი თაობის ერთ-ერთ დიდ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნოდა. ტიციან ტაბიძის სიტყვით, მისი ნაწარმოებების რაოდენობა 47 ტომს შეიცავს.

ბორის ნიკოლოზის ძე თანდათან მივიწყებას ეძლევა და ანდრეი ბელის კი მხოლოდ შორიდან ვხედავთ. ამიტომ ტიციანი სთხოვს მას, კვლავ ესტუმროს საქართველოს და აქ დაისვენოს — გინდ წინანდალში და გინდა კიდევ ახალ ათონში. ყველაფერი მოგვარებულაო, განაგრძობს ტიციანი, ვისთანაც საჭირო იყო, მოველაპარაკე. ზედმეტ ნივთებს და ჩასაცემელ-დასახურს ნუ წამოიღებთ, აქ ყველაფერს ვიშვითო. პაოლო იაშვილის 15 აგვისტოს მისკოვში გამგზავრებასაც ატყობინებს, დაწერილებით ყველაფერზე მანდ მოილაპარაკეთო. იქვე წე-

რილში ლაპარაკია ქართულ ლიტერატურულ მასა-
ლებზე; ამის შესახებაც დაწვრილებით მოსკოვში
მწერალთა ყრილობაზე (9134 წ.) მოვილაპარაკოთ,
ახლა მთავარია თქვენი დასვენება და ისიც საქართ-
ველოში.

აბასთუმანში ისვენებს კუზმა სერგეის ძე პეტრო-
ვი — ვოდკინი, რომელსაც სადგურში გაეშორდი, აგ-
ვისტოს ბოლო რიცხვებში ჩემთან მოვა სახლში რამ-
დენიმე დღით და მაშინ ყველაფერზე მოვილაპარა-
კებთ და დეტსკოე სელოსაც გაიხსენებთ. აქ ლა-
პარაკია რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვა-
წეზე მხატვარ კ. ს. პეტროვი-ვოდკინზე (1878—
1939), რომლის შესახებაც ანდრეი ბელი ტიციანს
სთხოვდა, დახმარება აღმოეჩინა კავკასიის გაცნობაში.

ტიციან ტაბიძე ანდრეი ბელის ატყობინებს ორი
თავისი ახალი სამუშაოს შესახებ: დამავალეს სადგურ
ყაზბეგში ახალი მუზეუმის მოწყობა, გადმომცეს ორი
დიდი სახლი 17 ოთახით (ყოფილი ყაზბეგების სა-
სახლე), სამუშაო მეტად საინტერესოა, რადგანაც აქ
კავკასიის ხალხთა ბუნებრივი მუზეუმიც არის, ალ-
პინიზმიც, პუშკინიც, ვრუბელიც და თითქმის მთელი

რუსული ლიტერატურაო. ვაგროვებ დიდძალ
რატურას კავკასიისმცოდნეობაზე, მინდა ერთი წე-
ლიწაი ჩავუჯდე და „იმამ შამილზე“ (ისტორიულ
რომანზე) წავიმუშავო, დაწვრილებით ყველაფერს
მოსკოვში გიამბობთ. თან იქვე სთხოვს — შეიძლება
მოვახერხოთ და მომავალ წელს ორივენი ყაზბეგში
მოვხვდეთ და გაიხსენოთ იქ, პირველად როგორ ვი-
მოგზაურეთ საქართველოს სამხედრო გზაზეო (აქ ტი-
ციანს მხედველობაში აქვს 1927 წლის 30 ივნისის
და 3 ივლისის მოგზაურობა). დაენატრი პაოლო
იაშვილს, რომ ჩემზე ადრე გნახავთ. გადაეცით ჩვე-
ნი მოკითხვა ძვირფას კლავდია ნიკოლოზის ასულს,
ე. ი. ანდრეი ბელის მეუღლეს ბუგაევას, და განსა-
კუთრებული თხოვნა, უთუოდ საქართველოში დაისვენ-
ნეთო. წერილის დასასრულს ტიციან ტაბიძე უფროს
მეგობარს — ანდრეი ბელის და მის მეუღლეს კლავ-
დია ნიკოლოზის ასულს თავის მდაბლად დახრით
ესალმება.

დაბოლოს საინტერესოა თვითონ წერილის ფორმა:
დაწერილია და იკითხება როგორც ლექსი, და ჩვენც
საგანგებოდ ვადმოვიწერეთ ასე.



წიგნაკის საყურადღებო ნაშრომი

გურამ მეგრეელი

საყურადღებო ნაშრომი

ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის მეცნიერული გამოკვლევები ხშირად, ავტორის უდიდესი სურვილის მიუხედავად, ფაქტობრივი მასალების ქსოვილში ეხვევა და წიგნს ფართო ინტერესს უკარგავს. ამ მხრივ გამოჩაჩის წარმოადგენს ლევან მენაბდის ვრცელი მონოგრაფია — „ვახტანგ მეექვსე“, რომელიც გამოცემილია „ნაკადულმა“ გამოსცა სერიით — „გამოჩენილ აღამიანთა ცხოვრება“.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ავტორმა კარგად გაართვა თავი ქართველი ჯანიშინის ირგვლივ თავმოყრილ ლიტერატურულ თუ საისტორიო-საარქივო ხასიათის წყაროებს და ქრონოლოგიურად სწორად წარმოგვიდგინა ამ მეტად მრავალმხრივი და, ამავე დროს, უაღრესად რთული პიროვნების მოღვაწეობის ამსახველი სურათები.

ვახტანგ მეექვსეს ჯერ კიდევ ადრე, სპარსეთში ყოფნის დროს, საფუძვლიანად შეუსწავლია სპარსული, არაბული და ლათინური ენები, უფრო მოგვიანებით კი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და ლეთისმეტყველება. ვახტანგს შესანიშნავი პირობები ჰქონია სწავლისათვის. იგი თავისუფლად სარგებლობდა სამეფო კარის მდიდარი წიგნსაცავით, ეცნობოდა უძველეს ხელნაწერებს და, რაც მთავარია, იზრდებოდა მწერალთა და მეცნიერთა წრეში (მეფე-ბატონიშვილები, პოეტი არჩილი და სხვ.).

ვახტანგ მეექვსის სწავლასა და აღზრდაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს. ვახტანგის ცნო-

ბით, სულხანი მის „მამა-ბიძათა ზედა დიდად ნამსახური და ვარჯილი იყო“.

სულხან ორბელიანი წლების განმავლობაში მხარში ედგა ვახტანგს, როგორც მასწავლებელი, მეგობარი და მრჩეველი. ვახტანგიც თავის მხრივ თანაუგრძნობდა მამის ბიძაშვილს და თავიდან არ იშორებდა სულმნათ ბრძენს.

მონოგრაფიის მომდევნო თავში ლ. მენაბდე მიმოიხილავს, ერთი მხრივ, იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას — ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლას, გიორგის გამეფებას, ხოლო, მეორე მხრივ, არჩილის მიერ იმერეთის ტახტის დაბრუნების ცდას, რომელიც მარცხით დამთავრდა. აქვე აღწერილი ვახტანგ მეექვსის ქორწინება ჩერქეზი ბატონის ასულ რუსუდანზე, ირანის შაჰის მზაკურული ჩარევა საქართველოს გამგებლობაში, ტახტიდან მეფის გადადგომა და ერეკლე პირველის გამეფება. მაგრამ ირანის შაჰმა უკანასკნელიც გადააყენა მეფობიდან და ქართლს ახალ გამგებლად ლევან ბატონიშვილი (ვახტანგის მამა) მოუდგინა. ლევანს შაჰისაგან გარკვეული დავალება ჰქონდა — ქართლის „ღაშლილ საქმეთა“ ვარიგება და ირანს ქართლის ჯარის გაგზავნა. მალე შაჰმა ლევან ბატონიშვილიც გაიწვია ისპანის და ქართლის გამგებლობა ახალ ნაცვალს (ჯანიშინს) ვახტანგს ჩააბარა.

ლ. მენაბდე თანმიმდევრულად აგვიწერს ქართლის ახალი გამგებლის — ვახტანგ VI პოლიტიკურ-სოციალურ მოღვაწეობას.

ვახტანგი პირველ რიგში სასტიკად გაუსწორდა ერეკლეს მომხრეებს, დასავა და თანამდებობიდან გადააყენა, გიორგის ერთგულნი კი



„ველ უფლებებში აღადგინა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შექმნა „მცველთა ჯარი“, მშობლიურ კერას დაუბრუნა კახეთს გახიზნული ქართული გლეხები, შეაჩვენა და დაემო საქართველოში საქაოლ გავრცელებული მიწენ სენი — ტყვის სყიდვა-გაყიდვა, ალაგმა თბილისელი ყიზილბაშების თარეში, აავო და აღადგინა სარწყავი არხები, ხილები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები (თბილისის სიონი, მცხეთის სვეტიცხოველი, ურბნისი, გარეჯის სავანე და სხვ.). განსაკუთრებით გაშენდა და გალამაზდა თბილისი. ქალაქებს შორის გაჩაღდა ფართო ვაჭრობა, წიაღისეულ სიმიდღართა დამუშავება. ქვეყანა ევროპიურად გაქოიერდა, მაგრამ ყოველივე ეს, — სამართლიანად შენიშნავს, ლ. მენაბდე, — შრომელი მოსახლეობის შევიწროებისა და გაძლიერებული ექსპლოატაციის ხარჯზე ხდებოდაო.

ვახტანგის მოღვაწეობა პოლიტიკური ღონისძიებებით როდი ამოიწურებოდა. იგი იყო შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი და მრავალი კულტურული წამოწყების იდეური ხელმძღვანელი. 1709 წ. ქართლის გამგებებმა დააარსა სტამბა. ეს იყო პირველი სტამბა საქართველოს სინამდვილეში. ამ სტამბაში აიწყო და დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული ვარიანტი. სტამბაში დაახლოებით ოცი სხვადასხვა დასახელების წიგნი გამოიცა.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის დადგენისა და ვახტანგისეული შენიშვნების ანაღზის დროს ლ. მენაბდე იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ღრმა ინტერპრეტაციას.

ცნობილია, აგრეთვე, თუ რა აღდგო უკავია ვახტანგს ერთიანი მართმსაჯულების პრიციპების შედგენასა და დამუშავებაში. აი, რას ამბობს ვახტანგის თანამედროვე: „იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველი წიგნი სამართლისანი, რომელიც უძმათ ვითარებითა თვითუელად მიმობნეული იყო სხვათა სამეფოთა, გინა თუ ქართლსა შინა. ესე ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა, მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა მიიღო“. თავის თანამოღვაწეებთან ერთად ვახტანგმა შექმნა და ჩამოაყალიბა სამართლის წიგნთა კრებული. — აღსანიშნავია, — მიუთითებს ლ. მენაბდე, — რომ ამ სახის კრებული სხვა ენაზე არ არსებობდა, ამდენად მას საერთო ხასიათი აქვს საქართული ეროვნული სამართლის ისტორიის შესწავლით როდი ამოიწურება. ჰქვე დეჰქენთ: ვახტანგის სამართლის კრებული თავისთავად არ აღმოცენებულა. სამართლის კრებულის შედგენის დროს გამოყენებულ იქნა (შესაძლოა, ჩართული...) გიორგი ბრწყინვალის, აღბუღა ათაბაგის, დომენტი კათალიკოზის, აგრეთვე ებრაული, ბერძნული და სომხური სამართლის კანონები. არა ნაკლებ საყურადღებოა ვახტანგისეული ძეგლი „დასტურლამაი“ (ჯარიგება...), რომელიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1871 წელს,

ხოლო 1883 წელს პეტრე უმიკაშვილმა ცალკე წიგნადაც გამოსცა. აღსანიშნავია აგრეთვე ვახტანგის მონაწილეობა „ქართლის ცხოვრების“ შედგენა-დამუშავებაში.

კარგი იქნებოდა წიგნში აღგვენიშნა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ხელნაწერების სახით აღრტვ არსებობდა. მაგ. მეცამეტე საუკუნეში „ქართლის ცხოვრებას“ მოიხსენიებს სიუნიის ეპისკოპოსი სტეფანე ორბელიანი. მასვე მიაწერენ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის შედგენას, სადაც იგი (ე. ი. სტ. ორბელიანი) წერს: მასალები ქართლის ცხოვრებიდან ამოკერიბეთ. გარდა ამისა, არსებობდა „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი ვგზგმალარი, გადაწერილი როსტომ მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის თხოვნისა. სხვათა შორის, ეს ხელნაწერი შესწავლილი აქვს ისტორიკოს დ. ბაქრაძეს.

ისტორიული სინამდვილის ღრმა ცოდნით აარს განხილული ვახტანგ მეექვსის როგორც მთარგმნელიბითი, ისე მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ვახტანგს სპარსულიდან უთარგმნია ვრცელი მეცნიერული ნაშრომი „ვარკიკელა-პრიციხეველი“, „ცხენის კარაბაღანი“ და „ქილია და დამანას“. საყურადღებოა, რომ „ქილია და დამანას“ თარგმანი მანამდე არსებობდა, კერძოდ, XII საუკუნეში, მაგრამ მონღოლების შემოსევის დროს, ალბათ, მრავალ ეროვნულ კულტურულ ძეგლთან ერთად ეს ხელნაწერიც განადგურდა... ვახტანგმა გარკვეული მუშაობა ჩაატარა „თალი მასალის“, იმავე „სტროლობის სასწავლებელი წიგნის“ ქართული თარგმანის რედაქტირებისა და სრულყოფისათვის. ასევე დიდი დამსახურება მიუძღვისო მას, — განაგრძობს ლ. მენაბდე, — ქართულ ლექსიკოგრაფიაში, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ შედგენა-დამუშავებაში. არ ღარჩენილა მეცნიერებს არც ერთი დარგი, ასტრანომია იქნებოდა ეს, ფიზიკა თუ ქიმია, სადაც თავისი სიტყვა არ ეთქვას ქართლის გამგებელს. საინტერესოა ისიც, რომ მისი პირადი ინიციატივით, სტამბის მსგავსად, საქართველოში გაიხსნა პირველი სამედიცინო აფთიაქი... ერთი სიტყვით, ძნელია ვახტანგის პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სარეცენზიო წერილში წარმოადგენა. მენაბდის წიგნში მკითხველი ინტერესით გაცნობა ვახტანგის მოგზაურობას სპარსეთში, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას ევროპაში და ბოლოს ასტრახანში დასახლებული სასოწარკვეთის ქართული მეფის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს...

დასასრულ, ორიოდ შენიშნავც, რომელიც სრულებით არ ამცირებს წიგნის საერთო მნიშვნელობას.

გურამ მებრძველი
საპუბლიცისტი ნაშრომი

მონოგრაფიაში გარკვევით არ ჩანს ის პოლიტიკური შუღლი, რომელმაც თავი იჩინა ქართლის მოწინავე წრეებში, რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აქტიურობდა ვახტანგის შვილი ბაქარი. ცნობილია, რომ ბაქარს არ მოსწონდა მამის დაჟინებული რუსული ორიენტაცია, იგი ლალატის გზას დაადგა და ყაენთან დაკავშირება განიზრახა. შემდეგ ვერ შეეგუა ურჯლოების ძალმომრეობას, კვლავ მამის მხარეზე გადავიდა და მასთან ერთად პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა მუსლიმან დამპყრობთა წინააღმდეგ. წიგნის ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ქართლი XVII საუკუნეში“, მოცემულია საქართველოს ისტორიის წარსული ეპოქის ზოგადი მიმოხილვა. ამ პერიოდის

შეფასების დროს უგულვებელყოფილი ნაკლებ ობიექტური ფაქტორების მნიშვნელობა. ავტორი წერს: XVII ს. ზღუდრულე გამოჩნდნენ სამშობლოს უანგარო სიყვარულით აღვსილი მამულიშვილები და მხოლოდ მათ აჩვენეს მომხდურთ (იგულისხმება ირანი, ოსმალეთი) თავისი ძალა და ქართველთა სამუდამოდ დამონებაზე ხელი ააღებინესო. გარდა ამისა, არ უნდა დაგვაწყყდეს ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის ძლიერი დაწოლა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, აგრეთვე, ამ ქვეყნებს შიგნით წარმოშობილი ღრმა ეკონომიურ-პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც გადაწყვეტი როლი ითამაშა და საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.



ნიმუ მახათაძე

„ი. პოლონსკი საქართველოში“

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა ი. ბოგომოლოვის წიგნი „ი. პოლონსკი საქართველოში“ (რუსულ ენაზე). ი. პოლონსკი იმ რუს პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი საქართველოში გაატარეს, მოიხიბლენ ჩვენი ქვეყნის ბუნებით, მისი უმველესი კულტურითა და ტრადიციებით, გაიყენეს და შეიყვარეს ქართველი ხალხი.

საქართველოსთან პოლონსკის ურთიერთობამ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში მიიქცია ყურადღება. სწორედ იმ დროს დაიბეჭდა „სოვრემენიკის“ ფურცლებზე პირველი გამოხატულება პოლონსკის ქართული ციკლის ლექსებზე. მას შემდეგაც რუსული პერიოდიკის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება წერილები ი. პოლონსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამ წერილებში აქა-იქ საქართველოსადმი მიძღვნილი ციკლიც იქცეოდა ხოლმე მსჯელობის საგნად. მაგრამ ი. პოლონსკის კავკასიაში ცხოვრების პერიოდის ფაქტური შესწავლა დაიწყო საბჭოთა ეპოქაში, როდესაც ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეებმა ხელი მოჰკიდეს პოლონსკის მდიდარი შემოქმედების მრავალხრივ მეცნიერულ გაშუქებას.

საქართველოში ი. პოლონსკის ყოფნასა და ქართულ კულტურასთან მისი ურთიერთობის საკითხისადმი მიძღვნილი ი. ბოგომოლოვის ზემოხსენებული წიგნი.

იშვიათია თემა, რომელიც აგრთიანებდეს და თავს უყრიდეს ეპოქასთან დაკავშირებულ იმდენ საჭირობოროტო საკითხს, რამდენსაც პოლონსკის და საქართველოს ურთიერთობა აღძრავს. ამიტომაც არის საინტერესო და მრავალფეროვანი ი. ბოგომოლოვის ეს ნაშრომი. იმდროინდელი თბილისი და პოლონსკის მეგობრები, პოლონსკი და 40—50-იანი წლების თბილისის პრესა, პოლონსკის დამოკიდებულება ქართულ თეატრსა და ფოლკლორთან, პოლონსკი და ქართველი ხალხის ისტორიული წარსული, საქართველო პოლონსკის მხატვრობაში, პოლონსკის ქართული ციკლის ლექსები, პოლონსკის პროზაული ქმნილებები საქართველოზე, — აი,

საკითხები, რომელთა საფუძვლიანმა ანალიზმა ახლად გამოვლენილი მდიდარი საარქივო მასალის საფუძველზე საშუალება მისცა ავტორს სრული სიღრმითა და სისრულით წარმოედგინა მკითხველისათვის პოლონსკის და საქართველოს ურთიერთობა.

ავტორი საქართველოს შესახებ პირველ ნარკვევად სრულიად სამართლიანად მიიჩნევს პოლონსკის ვრცელ წერილს გუტმანსტალბთან. პოეტს ხიბლავს ძველი თბილისი, მისი მრავალფეროვანი მოსახლეობა, ქართველი ქალები, კოლორიტული ქართული საყრავები და ქალაქის დამახასიათებელი სხვა მხარეები. შემდეგ წიგნის ავტორი ეხება პოლონსკის სტატისტიკური ხასიათის ნაშრომებს თბილისისა და მისი მიდამოების შესახებ. ი. ბოგომოლოვი აღადგენს იმდროინდელი თბილისის საზოგადოებრივ ფონს: რუსი და პოლონელი პოეტები, მირზა ფატალი ახუნდოვი, მხატვრები გ. გაგარინი და ე. ბაიდემანი, არქიტექტორი დ. გრინი, პოეტი ვ. ა. სოლოგუბი, კავკასიაში მყოფი რუსი ქურნალისტები — ასეთია ის წრე, რომელიც საქართველოში ვაის აკრავს პოლონსკის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველი მათგანის კავკასიაში მოღვაწეობასთან დაკავშირებით ი. ბოგომოლოვი იძლევა მდიდარ ახალ მასალას. პოლონსკის ახლო მეგობართა წრეში დიდი ადგილი უჭირავს ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ალ. ჭავჭავაძეს, მთავო ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს, პლატონ იოსელიანს, მიხეილ ჩილავეს (ცილაშვილს). ილია ორბელიანს, ვ. გურამიშვილს და სხვებს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ი. ბოგომოლოვი: „პროგრესულ ლიტერატურასთან სიახლოვემ, თბილისის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან მეგობრობამ, არსებული სინამდვილის ორმად შესწავლამ და დაკვირვებამ, ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო პოლონსკის იდეურ გარდაქმნას, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა მის კავკასიაში მოღვაწეობასა და ქართული ციკლის ლექსებში“.

ავტორის სპეციალურ თავად აქვს გამოყოფილი პოლონსკის და 40—50-იანი წლების თბილისის პრესის საკითხები, აგრეთვე თბილისის



თეატრთან მისი კავშირი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ინტერესი, რომლითაც ეკიდება წიგნის ავტორი ქართული პრესის საკითხს. ავტორი ჯერ განიხილავს საერთოდ ქართული პრესის მდგომარეობას იზხანად, შემდეგ კი პოლონსკის მოღვაწეობას „ზაკავაზსკი ვესტნიკსა“ და „კავკაზში“. როგორც ცნობილია, 1838 წ. თბილისში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „ზაკავაზსკი ვესტნიკმა“, გაზეთში იმუქდებოდა ოფიციალური განკარგულებები, ცალკეული ინსტრუქციები და მთავრობის სხვადასხვა ღონისძიებანი. გაზეთის ასეთი ხასიათი განაპირობებდა მის სქემატურობას და ხელისშემშვრელ სიმცირეს. საარქივო მასალების საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს, თუ რაოდენ დაინტერესებული ყოფილა პოლონსკი, გაზეთი ფართო მკითხველისათვის საინტერესო გამხდარიყო. მაგრამ აქ ავტორთან სასაყვედუროც გვაქვს: ამ საქმეში მან ერთგვარად დაჩრდილა პლ. იოსელიანის როლი. ცნობილია, რომ „ზაკავაზსკი ვესტნიკს“ მთელი სული და გული პლ. იოსელიანი იყო. განსაკუთრებით ფართო საზრიელი მიეცა მის მოღვაწეობას დაჩრდილად პლ. იოსელიანის ნაწილის გამოსვლის შემდეგ. საქართველოსა და მის მდიდარ წარსულზე მკითხველი ახლა უკვე ბევრ რაიმეს იგებდა „ზაკავაზსკი ვესტნიკს“ არაოფიციალური ნაწილიდან. წიგნში ყოველივე ამის ინიციატორად პოლონსკია წარმოდგენილი, ხოლო პლ. იოსელიანი წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ ხელისშემწყობი.

რაც შეეხება „კავკაზს“, აქ ავტორი მის მიერვე მოპოვებული საინტერესო საარქივო მასალების საფუძველზე კარგად აღწობს მკითხველს „კავკაზის“ რაობას, მის მრავალფეროვნებას და მნიშვნელობას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი იმდროინდელი რუსეთის მასშტაბით. ჩერდება რა „კავკაზში“ ატეხილ პოლემიკაზე რუსთველთან დაკავშირებით და „კავკაზშივე“ დაბეჭდილ პოლონსკის ლექსზე „Тамара и певец ее Шота Руставели“, ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ პოლონსკიმ თავისი ლექსით, ისევე როგორც სტატიებით, თავისი სიტყვა თქვა რუსთველზე და დ. ჩუბინიშვილისა და დ. ყიფიანის თვალსაზრისზე დაღვაძებულ თავში განიხილავს ავტორი პოლონსკის მრავალ ფელეტონს სხვადასხვა საკითხზე.

წიგნში პირველად შექმნილი პოლონსკის მიერ საქართველოში შექმნილი მხატვრულ ნამუშევართა რეპროდუქციები და განხილულია საკითხი: საქართველო პოლონსკის ნახატებში.

ავტორი სავანგებოდ ჩერდება პოლონსკის დამოკიდებულებაზე ქართულ მწერლობასა და საქართველოს ისტორიასთან. საქართველო-რუსეთის შეერთებას, როგორც ი. ბოგომოლოვი წერს, პოლონსკი მიიჩნევდა დიდად პროგრესულ ისტორიულ აქტად და როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე ცალკეულ სტატიებში გვეჩვენება ხალხთა ძმობის მოძღვრება.

ი. ბოგომოლოვი პოლონსკის სავსებურ მართლიანად აკუთვნებს იმ რუს მწერალთა ჯგუფს, რომლებიც საქართველოში მხოლოდ ეკსპოზიციურ მხარეს კი არ აქცევდნენ ყურადღებას, არამედ სწავლობდნენ და ღრმად აკვირდებოდნენ მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის ცხოვრებასა და მისწრაფებებს.

პოლონსკის ქართული ციკლის ლექსებმა, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, პოლონსკის პოეზიის საზღვრები გააფართოვა და მისი აღრიდელი შემოქმედების ვიწრო-კამერულ მოტივებს ახალი მიმართულება მისცა. საყურადღებოა ავტორის თვალსაზრისი პოლონსკის დამოუკიდებელ ნაწარმოებზე: „Восточная повесть“. მისი აზრით, მთელი ნაწარმოები შთაგონებულია ხალხური „არსენაით“. ბორჩალოელი ყაჩაღი ჰასანის ლიტერატურული სახე ამ სახალხო გმირის სახესთან რომ პოლონსკი ანალოგიას, ამის საწინდარად ავტორს მიანიშნა პოლონსკის სიახლოვე ქართულ ფოლკლორთან. აქ შეიძლება ავტორს მხოლოდ ერთ რამეში არ დავეთხნებოდეთ. თავისთავად სწორია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არსენას პიროვნებით დიდად დაინტერესებულა უნდა ყოფილიყო პოლონსკი, მაგრამ რომ თავის გმირად მან ბორჩალოელი ჰასანა გამოიყვანა და არა არსენა, ეს მხოლოდ იმით კი არ უნდა აიხსნებოდეს, რომ პოლიტიკური მიზეზით არსენას სხეულმა შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი აზრით ის, რომ არსენას გმირობით შთაგონებულმა მწერალმა ყაჩაღ ჰასანას სახე დახატა, მიუთითებს იმაზე, რომ არსენას სახე პოეტის რომელიღაც ერთ კონკრეტულ გმირს კი არ აღიქვამდა, არამედ არსენას მდგომარეობაში ჩაყენებულ მთელ სოციალურ ფენას.

წიგნში განსაკუთრებით ყურადღებას იმპრობის ანდვალეები, სადაც ავტორი მსჯელობს პოლონსკის კავშირზე ქართულ პოეზიასთან. ავტორის აზრით, ამ ციკლის ლექსებში უთუოდ იგრძნობა ქართული რომანტიზმის, კერძოდ კი ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის გავლენა.

ავტორის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართული ურთიერთობა პოლონსკისთან საქართველოდან მისი წასვლის შემდეგაც. საქართველოდან კარგა ხნის წასულ რუს პოეტს სიცოცხლის ბლო დღემდე არ მოჰკლებია ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა და სიყვარული. საქართველოს პრესა ხშირად იგონებდა მის დაუცხრომელ მოამაგეს, მე-19 საუკუნის ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა არაერთი თბილი და პოეტური სტრიქონი უძღვნეს მას. ი. ბოგომოლოვის შემოსწავნილი ნაშრომით კი ჩვენი დღევანდელი მკითხველი საზოგადოებრივ ცნობა იმ დიდ სიბოძასა და სიყვარულს საქართველოს მიმართ, რამაც პოლონსკის წარმოატქმევინა:

«О, здесь бы жить,
любить и наслаждаться!»

აქედან

პალი ტაყაიშვილი

სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს!

იუმორისტული რამორბათი

აი იგი მტკიცე ნაბიჯით მიემართება კათედრისაკენ. უკან იტოვებს შავი მოკასინების მონოტონურ ტრაქუნს. ტანსაც საგანგებოდ შეკერილი შავი კრების კოსტუმი უმშვენებს. გულის ჯიბიდან გულის თავივით მოუჩანს თეთრი ცხვირსახოცის წიბო. მას სადღესასწაულოდ მუდამ ბავშვივით უყვარდა ახალ ტანსაცმელში ხელ-ფეხის გაყრა. დღევანდელი დღე კი სხვაგვარად ვერც წარმოედგინა. ცალ ხელში ტყავის ვეება პორტფელი უჭირავს (პროფესორები და „საპროფესორო“ სტუდენტები რომ ატარებენ, ისეთი). ეტყობა პორტფელის სიძიმის (უფრო კი მეცნიერული პოზის) გამო ერთი მხარი მეტადა აქვს ჩამოგდებული. თვალეში ყაყაოსფრად უღვივის. წუხელ ზომ მთელ ღამეს იზუთხავდა ოპონენტების საპასუხო სიტყვას. არა, დაწერილიცა აქვს, მაგრამ ზეპირად იტყვის. ასე უფრო ეფექტურია!

ენერგიულად აიარა კიბის რამდენიმე საფეხური. ამ პატარა კიბით აუდიტორია თითქოს ერთგვარად გამოყოფილია პრეზიდენტიმისაგან. ქვემოთ დისერტანტის ახლობლები და გულ-შემამტკიცებლები არიან (თუ არ ჩავთვლით წინა რიგში მსხლდომ სამეცნიერო საბჭოს წევრებს), ზემოთ კი, მისი, ასე ვთქვათ, მოწინააღმდეგე ბანაკია. მან უნდა დაუმტკიცოს ამ ბანაკს, რომ რასაც ეძებს (ლაპარაკია საძიებელ ხარისხსა და მასთან დაკავშირებულ ერთგვარ წახალისებაზე), ეძებს სამართლიანად და დაყენებით, რომ ორი ოპონენტი კი არა, მთელი სამეცნიერო საბჭო რომ დაესოს კისრით, ამ კეთილშობილურ განზრახვას ვერ ჩაუხშობენ. იმიტომ, რომ ეს პაეროვით სჭირდება მას, მის გვარსა, და მის

ცოლ-შვილს. აგრეთვე მეცნიერებასაც, როგორც ამას თვითონ ფიქრობს.

დისერტანტი უკვე კათედრასთან დგას. წამით თვალი მოავლო დარბაზს და ვილაცას (უფრო კი რაღაცას) გაუღიმა. ყოველ დამსწრეს ჰგონია, ეს ძვირფასი ღმილი ეკუთვნის პირადად მას და ღმილითვე უბრუნებენ მზერას.

აუდიტორიასთან კონტაქტი რომ იგრძნო, დისერტანტმა იქვე სკამზე ჩამოაღდა პორტფელი და ტყაცანით გახსნა. პირველად მოზრდილი საღისურტაციო ნაშრომი ამოაძვრინა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ერთხანს პაერშიც კი შეაყოვნა, სანამ კათედრაზე დადებდა. მეორე ამოალავა და ამოალავა წიგნები, ლამაზუდინები, ძველები, ახლები. გვერდებში ყველას ათობით ვიწრო ქაღალდი აქვს გაჩრილი. ამ ფაქტს სხვებზე მეტად ოპონენტებმა მიაქციეს ყურადღება. იგი დისერტანტის საბრძოლო მზადყოფნაზე მეტყველებს.

ცოდნის ამ მოძრავი ქონების დემონსტრირებას რომ მოჩა, დისერტანტმა შეთხლებულ თმაზე ხელი გადაისვა, პალსტუხი გაისწორა, მოწვესრიგდა და სხდომის თავმჯდომარეს ოდნავი თავის დაკვრით ანიშნა, თქვენს განკარგულებაში ვარო.

სწავლულ მდივანთან საუბრით გართულმა თავმჯდომარემ ზარი ააწკარუნა (ალბათ თავისი თავის გასაჩუმებლად), დისერტანტს იმავე მეთოდით დაუბრუნა პასუხი და მზერა მხოლოდ წინ მსხლდომ საბჭოს წევრებს მიაპყრო, თითქოს დარბაზში მათ გარდა არავინ ყოფილიყოს.

— პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო



საბჭოს საჯარო სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგშია ერთი საკითხი — ჩვენი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი დიომიდ სოკრატეს ძე ქინქლაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „უზნეო ბავშვები და მათთან ბრძოლის მეთოდები“. ოფიციალურ ოპონენტებად გამოყოფილი არიან: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანდუყაძე ბექუელი და პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვასო წიგწიაძე (წიგწიაძე წამოიწევა). დისერტანტთან და დისერტაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას გაგაცნობს სწავლული მდივანი.

გოჭოეთი ჩამგრავლებულმა მდივანამაც თავის მხრივ ოდნავ დაუჭრა თავი თავმჯდომარეს, მუშაში ფაქიზად ჩაახველა და ხაზგასმული უცხო აქცენტით (ის ხომ სწავლული მდივანია!) დიწყო კითხვა:

— დიომიდ სოკრატეს ძე ქინქლაძე დაიბადა 1937 წლის პირველ მაისს, მახარაძის (ყოფილი ოზურგეთის) რაიონის სოფელ ნაყანებში, გლეხის, სოკრატე ორდანეს ძე ქინქლაძის, ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან აქვე, ნაყანების სოფლის სკოლაში მიიღო...

დისერტანტი პრეზიდენტისკენ ოდნავ შებრუნებული დგას და ყოველი სიტყვა მკალივით ესობა გულზე.

„მანინე რა ტუტუცურად გიხსენებენ ყველადღეს! რამდენს, ალბათ, თბილისელი ველონე აქ კი დამოწყეს, სოფლის სკოლაო, გლეხის ოჯახიო. დიომიდ რაღამ დაარქმევინა იმ ჩემი ცოდვით სავსეს?! მოკლედ, ეს ბერძნული ორიენტაცია დაღუპავს ამ გურულესს!“

დისერტანტმა მამამისის მხარეს წყრომით გააბარა თვალი. იგი კი ზის გამზდარი, ყაბალახიანი და დაკოვრილი ხელები ნიჩბებით უწყვიო მერხზე. აქვე ჩამწყრივებულან სოფლის დელეგაციის სხვა წევრებიც. სხედან გამშვებულები, როგორც ფოტოაპარატის წინ იციან და მზეში ტარანივით გამოყვანილ სახეებზე რაღაც შეუცნობლის ფიქრი აბეჭდვით.

მოპირდაპირე მხარეს დერუმბარილით ვაქედნთილი ქალაქი სუნთქავს. თეთრ ჩისუნჩის კიტელში გამოწყობილი სიმამრი იდაყვებით უკანა მერხზე გადაწოლილა, მუხლზე დისერტანტის პატარა ბიჭი დაუსვამს და ისე ამაყად იხედება, თითქოს ეს დისერტაცია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მანინე მისი დაწერილი ყოფილიყოს.

ბიჭი ჯერჯერობით ვატრუნულია, ზვერავს ვარემოს. მაგრამ თვალების ცეცებაზე ეტყობა. მან იტყვის საოქმელს. აქვეა დღემამისიც, თავზე თოვის ზეინივით რომ წამოთმვხვია თმა. ეს ვარცხნილობა (და, საერთოდ, ყოველი კოსმეტიკური დეტალი) საგანგებოდ დღევანდელი დღისადამია მიძღვნილი. გვერდს ნათესაეების ერთი წყება უმშვენებს. დანარჩენი სახლშია

დატოვებული. იმხელა სუფრას გაწყვეტენ და დატოვებული უნდა!

— ... სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. დემობილიზებისთანავე ახარებს მისადგ გამოცდებს და ხვდება პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სტუდენტობისას დიომიდ ქინქლაძემ თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ. სწავლასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას, უცვლელად რედაქტობდა ინსტიტუტის კედლის ვაზეტს „საბჭოთა პედაგოგის ხმას“, ორჯერ იყო ყამირული მიწების დალაშქების მონაწილე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი დატოვეს ასპირანტურაში, რომლის კურსიც წარმატებით დაასრულა. დაბეჭდილი აქვს (თეზისებად) რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი. ესენია:

1. რაზე ფიქრობს ბავშვი ძილის წინ?
2. პატარებს — მაღალიდერი სათამაშოები!
3. აკვანი, როგორც წარსულის გადმონაშთი...

დისერტანტს სიტყვის ეს მონაკვეთი იყენანასავით ჩაესმის. ახლა უკვე თამამად იყურება დარბაზისკენ. თავმომწონედ გადახედავს კუთხეში შეჯგუფულ ამხანაგებს. ერთი მათგანი ფეხებშუა გაჩრდილი ბანტიანი გიტარის თავს ამოუყოფს, მეორე ზევით აწვდილი მუშტით „ფესტივალურად“ მიესალმება: მიდი, მუ გეშინია, ჩვენ აქა ვართო. მერე დაიხრება და ბიჭებს რაღაცას ჩაუჩურჩულებს. ბიჭები უტიფრად გაიცინებენ.

„ნება რას იკრიკებიათ! ალბათ სუფრისთვის ენას და კიბეებს იღესავენ. მაგათ რომ ჰკითხო, ჯერ „დისერტაცია“ საჭირო. ჭამენ, სვამენ, იშტაზე მოკლენ და მეტე შეიძლება დაცვაზეც აღარ მობრძანდნენ!“

ეს ვინდა?!

დისერტანტმა მეორე ბოლოში განმარტოებით მკდომ ჩია კაცს მოკრა თვალი. უცნობს მისი ავტორიფერატი უჭირავს ხელში და რაღაცას ვაფაციცებით იწერს. ავტორს არ ეტყაშინია ეს აღმოჩენა. ცივად მოაცილა მჭერა. ახლა იმაზე ფიქრი აეკვირება, რა მოუხერხოს ამდენ ხალხს. დიდი ბინა რომ ჰქონდეს, იცოცხლე, არავის დაწყევლდა ვულს, მაგრამ რას იზამ ამ სასანთის კოლოფისხელა ოთახებში?! უბრალოდ, ზოგერთს ცალყბად უნდა შეგხადებო. თუმცა, როგორც ამბობენ, ცალყბად დაპატიცებული სტუმარი ორივე ყბითაც კარგად მიირთმევსო.

— ... ამ ბრძანების შესაბამისად პრესაში (საღამოს გაზეთი), 1967 წ. 2/წ, № 108) გამოქვეყნდა სათანადო განცხადება დისერტაციის დაცვის შესახებ და დაცვის ჩასატარებლად ა. წ. 13 მაისს, დღის 2 საათზე, მოწვეულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტის საეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა.

ექსტრაზუმი შესულმა მდივანმა ბოლო ფურ-



ცელი ხელში რამდენჯერმე შეატრიალა, რომ გელარაფერი იპოვა წასაკითხი, გულდაწყვეტილი დაჯდა.

— შესავალი სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს! დისერტანტმა, ყოველი შემთხვევისათვის, დაწერილი სიტყვა წინ დაიღო, ხელები კათედრის კიდეებს შემოაჭდო, გამშრალ ტუჩებს ენის წვერი გაუსვ-გამოუსვსა და ჭერში წერტილს ჩააფრინდა სამშერლად.

— დღეს ჩვენ დღიად გარდაქმნების ეპოქაში ვცხოვრობთ, — დაბალი, ჩახრწწილი ხმით დაიწყო მან. — ვიპყრობთ კოსმოსს, ვლაშქრავთ ბუნებას და ნელ-ნელა ეუხალოვდებით მომავალი უქალსო საზოგადოების კარიბჭეს. იქ აუცილებლად შეგლენ ჩვენი პატარები, ამ ახალი საზოგადოების ნამდვილი ბატონ-პატრონი. მომავალს კი სჭირდება არა უზუნოებითა და კაბრიზებით საესე არსებანი, არამედ ყოველმხრივ პარმონიული, საქმისათვის თავდადებული შვილები...

დისერტანტს ხმა თანდათან დაეწმინდა, სიტყვა დემორჩილა. გზადაგზა მოკლე, მრავალმნიშვნელოვან პაუზებს აკეთებს. ეს მეტ წონას აძლევს სათქმელს.

დარბაზში რაღაცამ გაიჩახუენა. ყველამ იქით მიაბრუნა თავები. ფანჯარასთან ატუზულ ფოტოგრაფს თვალზე მიუფუებებია აპარატი. იგი დისერტანტის ბიძაშვილის, საორგანიზაციო საქმეების შეფის, კუკურის მიერაა მოწყვეული. თვით შეივე გვერდზე უდგას და ჩურჩულით მორიგ დავალებას აძლევს. ფოტოგრაფმა ახლა დარბაზს დუმიონა აპარატი. ისევ გაისმა ჩხაქუნი. თავმჯდომარე იძულებულია ზარი ააწყარუნოს.

— ... აი ეს არის ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი. თუ როგორ დაეძლიეთ აქ დასმული საკვანძო საკითხები, ამაზე ჩვენი უღრმესად პატივცემული ოპონენტები მოგვახსენებენ.

დისერტანტმა თვლი მოწყვიტა ჭერში ამოჩემებულ წერტილს და თავი მორჩილად დახარა.

— სიტყვა ეძლევა ოფიციალურ ოპონენტს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანდუყაფარ ბეჟუელს!

ოფიციალურმა ოპონენტმა ფურტიარიდან სათვალე ამოიღო, ტუჩებს კვერცხისებური ფორმა მისცა და მინები ორივე მხრიდან ოსტატურად დაორთქლა, მერე ცხვირსახოცი დინჯად გააკრიალა, ბოლოს მაღლა დაიჭირა და კრიტიკულად გახედა. რომ დარწმუნდა, კარგი „ხედვითობა“ აქვსო, ხელად ცხვირზე წამოისკუბა. დარბაზს სათვალის ზემოდან გადახედა თვალდაჭყეტილმა, ბოლოს ხელში დაჭყერილ ფურტილსაც სათვალის ზემოდან ჩააქვერდა:

— დიომიდე ქინქლაძის საკვალფიკაციო ნაშრომი: „უზუნეო ბავშვები და მათთან ბრძოლის მეთოდები“ ჩვენი დღევანდელობის ერთ ფრიად

მნიშვნელოვანსა და აქტუალურ საკითხს ეხება ნაშრომი ბავშვები — ეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი ბაღია, ამოწოდები კი — მებაღეები, რომლებიც სამოთხად უდვიან და ახარებენ ამ ფეხვილებს. მათ ასი ყური უნდა გამოიხოს, ასი თვალი იქონიონ, რათა კარგად გამარგულ ბაღში (ანუ ოჯახში) სარეველა არ გავრითო...

დისერტანტი ერთხანს კომპლექსური უყურებს პატივცემულ ოპონენტს, თითქოს პირველად ესმის მისი სიტყვები. მერე მობზერდა თამაში, ერთი შეუშინველად დაამოქნარა კიდეც და მაგიდაზე ჩამწკრივებულ უცხოურ ეტიკეტთან „ბორჯომებს“ გააყოლა თვალი. არ სწყურია, მაგრამ ისე, „რეტლამისათვის“ მიინც ჩამოისხა, მოწრუბა და თავის ბიძაშვილ კუკურის მაცლიერად გადახედა.

თავრაცია „ბორჯომმა“ თავისი ქნა. წამიც დაწინა რიგის სხვადასხვა კუთხიდან მაგიდისაკენ ერთდროულად დაიძრა საბჭოს ორი წვერი, შედგნენ და ერთადერთი ჭიქისკენ ერთდროულად წაიღეს ხელი. დარბაზს მოკლე, ხმადაბალი სიცილი მოსწყვდა.

— ... შრომა დაწერილია შესანიშნავი ქართულით, გაწყობილია სხარტი, მრავლის დამტევი წინადადებებით, რომლებიც ავლენენ ავტორის მრავალმხრივ ერუდირებას, რაც გამოიხატება სამეცნიერო აპარატურის მომარჯვებაში და ბავშვების, ვითარცა ამ მართლ შესასწავლო ცოცხალი ობიექტის, ურთულეს ფსიქოლოგიურ ლაბირინთებში ღრმა და საფუძვლიან ჩახედვაში. ჩვენ მიერ გამოქმული ორიოდე შენიშვნა ჩრდილს ვერ აყენებს ახალგაზრდა ავტორის მზარდ ავტორიტეტს. ამდენად, თამაზად შეგვიძლავა ეიშუამდგომლოთ სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა დიომიდე სოკრატეს ძე ქინქლაძეს დამსახურებულად მიენიჭოს საძიებელი ხარისხი — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის საპატიო წოდება.

პატივცემული ოპონენტი ერთხელ კიდეც სათვალეს ზემოდან გადახედეს თავის ძველ მეგობარს — დისერტანტის სიმამრს, ხომ არაფერი სიკეთე დამიკლიაო. მერე მოიხსნის სათვალეს, უკვე როგორც უფუნქციო იარაღს და მკვირცხლად დაჯდება.

— საპასუხო სიტყვა ეძლევა დისერტანტს! — უღრმეს მადლობას მოგახსენებთ პატივცემულ ოპონენტს ჩვენი ნაშრომის ესოდენ გულდასმით წაკითხვისა და იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც ცოტა უზნებულადაც კი გვეჩვენება. ჩვენ აღფრთოვანებით ვეძებულობთ მის ყოველ საქმიან შენიშვნას, გავითვალისწინებთ შემდგომს მუშაობაში. მაგრამ გავკადნიერდებით და განმარტების სახით ორიოდ სიტყვას მოგაწვდით მათ თაობაზე. პირველი შე-

არლი თაქაიშივილი
სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს!



ნიშნა ეხება გენების როლს შთამომავლობის პროცესში. პატივემული ოპონენტი გვიკითხება, თითქოს ჩვენ გადაჭარბებულად ვაფასებდეთ იტალიელი იდეალისტი მეცნიერის ლომბროზოს ნაზარესს, რომლისთვისაც, ვთქვამთ, ჭურდის შეილა აუცილებლად ქურდი უნდა გამოვიდეს. სხვათაშორის, ეს თვალსაზრისი, ოღონდ ერთგვარად მოდიფიცირებული, გვხვდება ცნობილი ინდოელი კინორეჟისორის რაჯ კაპურის საკმაოდ განხილვებულ ფილმში „აკაი“.

პატივემული ოპონენტიმ ერთხანს გავიკრევებით უყურა დისერტანტს, მერე ადღეუვებული წამოიჭრა:

— შე არაფერს არ გიკითხებთ და, საერთოდ, არც მისხენება ლომბროზო! ეს რადიც ვაურკვევლობაა!

დარბაზი გამოფხიზლდა. თემგვლომარემ ზარის წყარუნს უხშირა. შემცბარი დისერტანტი ქალღლებში ჩაძვრა.

— ეს ჩემი შენიშვნა გახლავთ. — ამჟამად განაცხადა მეორე ოპონენტი. — ჩემი მეოთხე შენიშვნა...

— ზოღიშს ვიხდი. — გაითლდა დისერტანტი, თან საფეთქლებს დაუწყო სრესა. — პირველი პატივემული ოპონენტის პირველი შენიშვნა ეხება...

— სჯობს წაიციოთოთ. — შესთავაზა თემგვლომარემ. — დროსაც მოვიგებთ და...

— პატივემული ოპონენტის პირველი შენიშვნა, — ფხიზლად კითხულობს დისერტანტი, — ეხება ჩვენი დიდი მასწავლებლის მაკარენკოს პედაგოგიურ შეხედულებათა არასწორი გაგების საკითხს. ჩვენ ვესაბუთებთ, რომ მაკარენკოსათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვარემოს, სწორ აზრდას. ამის ნათელი დადასტურება მისი „პედაგოგიური პოემის“ მიხედვით შექმნილი ძველი ფილმი „ცხოვრების საგზური“, რომელშიც მჭრღბაცაცა, გზასადენილი მუსტაფა აღმიანური მოპყრობის შემდეგ საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი ხდება...

პირველი ოპონენტი კმაყოფილებით უქნევს თავს, თითქოს ეუბნებოდ, სად მაკარენკო და სად ლომბროზო. ნათესავეს გულზე მოეშვათ.

მამა გაუნძრევლად ზის და თვალს არ აცილებს ერთადერთ პირშივს. „ღამფასე ხომ, ბაბაია. სოკრატე ქინქლაძის სახელი გაამორებე ხომ ამ პატიოსან ხალხს. მაღადეც, ბაბაია. აწი თუ გინდა მოკვდე, არ ვჩივი“.

„არა, კარგი ქვენი, ქალიშვილი მეცნიერ მუშაკი რომ გავატანე. — ფქრობს სიმამრი და შვილაშვილს ისე უსვამს ხელს, თითქოს შაგარენის ტყავივით დაღვეულ სიძეს ეფერებოდეს. — „სულთა პროფესიაა, დაფასებული. მერე ალბათ სალოქტოროსაც ვეთამაშებ და მთელ ცხოვრებაში უზრუნველყოფილი იქნებიან“.

მემკვიდრეს კი, ეტყობა, არავითარი აზრი

არა აქვს მამის ნაშრომზე. ის უყვირს მხოლოდ ანდენი ხალხი ასე ჩუმად რომ ზის: არც სტუდენტს, არც ღრიალებს და არც ქულებს ისერის ზევით, როგორც ეს ფეხბურთზე უნახავს. იგი ერთხანს ხატვით ერთობა: თემგვლომარეს უყურებს და თან ცხრათავიანი დევი გამოჰყავს. მერე მოწყინდა ფურცელზე ჩხაპნა და ფანქარი წინ მჯღომის მელტო კეფაზე გადაანაცვლა. შეურაცხყოფილმა საბჭოს წევრმა სიყვარულით დაუქნია თითი (ის ხომ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორია), ბაბუამ კი შემხმარი თუთუნის ფურცელივით მოუსრისა ყური. ბავშვს დრიალის მებრ არაფერი დარჩა. ბაბუამ ახლა პირზე ააფარა ხელი. ბიჭმა ისეთი ხმები გამოსცა, თითქოს ტუნზე პირის გარმონი ჰქონდა მიდებული. გამწარებულმა ბაბუამ ბავშვს ნაძალადევად ვაუღიმა, ქეჩოში „მზრუნველობით“ ჩაავლო ხელი და კანისკენ წაატუნტულა. ბიჭმა ფეხების ბაყუნით შეასრულა ეს პროცედურა.

„თავისი ვერ გაუზრდია და სხვისაზე წერს დისერტაციას?!“ — აი კითხვა, რომელიც დარბაზში მყოფთა უმრავლესობას გაუჩნდა.

— ასეთია ჩვენი მოკრძალებული განმარტება ზოგიერთი საკითხზე. დასასრულ, ერთხელ კიდევ გვინდა მადლობა გადავუხადოთ პატივემული ოპონენტს ესოდენ საქმიანი შენიშვნებისათვის.

დისერტანტი მადლობის ინსცენირებას ისე ენერგიულად ასრულებს, ღამისა ცხვირი კათედრაზე დაარტყას.

— სიტყვა ეძლევა მეორე ოფიციალურ ოპონენტს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ვასილ წიფწიავას!

ახალგაზრდა ოპონენტი საქმიანად წამოადგება. დაბაზუს ამჟამი თავის დაკვირვით მივსალმება, როგორც რინგზე გამოსულმა მოკრივეებმა იციან. და მაინც არ იგრძნობა ის აჯადომიური სიღნიწე, რომელიც ასე მომადლებული ჰქონდა მის უფროს კოლეგას. არცა ვასაკვირი: იგი ხომ დღეს პირველად ოპონენტობს!

— ჩვენ არ შევეუდგებით საკვალიფიკაციო ნაშრომის შინაარსისა და არქიტექტონიკის დეტალურ გადმოცემას. — ამის დასადასტურებლად მან წინა ჩამდენიმე ფურცელი გვერდზე გადასცა. — ზედმეტად აიარ შეგაწყენთ თავს, რადგან ეს შესანიშნავად გააკეთა ჩვენმა პატივემული პირველმა ოპონენტმა. ჩვენ შევეცდებით ვილაპარაკოთ იმ პერსპექტივებზე, რაც პედაგოგიურ მეცნიერებას აღნიშნულმა ნაშრომმა დაუხასა. და აგრეთვე იმ ექვემზე, რომლებსაც ზოგიერთი საკითხის დისერტანტისეული ინტერპრეტაცია წარმოაჩენს. ბავშვის უზუნთობა და ხუმტურს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, მაგრამ როგორ ვებძობოლოთ მას? აი კითხვა, რომელიც დისერტანტს ადღეუვებს და რომელზეც მან სერიოზული პასუხი გასცა. ყოველი ბავშვი, ისე როგორც ყოველი ცოცხალი არ-



სება, სპეციფიკურ ყურადღებას მოითხოვს. და აქვე ჩნდება მასთან მიდგომის ორი რადიკალური გზა: პირველი — გაწყობითი, გაჯავრებითი და მეორე, შედარებით პროგრესული — მოფერებით-დაყვავებითი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქმის დისერტანტი იგნორირებას ახდენს მეორე, შედარებით პროგრესული გზისას და აქცენტს აკეთებს დაშინების მკაცრ მეთოდზე...

კარი ფართოდ გაიღო და აუდიტორიაში შემოფართოვდა თეორეტიკა, ყურში აპარატ-ჩადგმული პროფესორი. ხელში ჩემოდნისხელა პორტფელი უჭირავს. ერთი ბოლოდან წიგნებს ამოუყვით თავი, მეორიდან კი — მწვეან ხახვის ფორჩხა. ეტყობა საჯარო ბიბლიოთეკაში იყო და იქიდან ზაზარში გამოუვლია. სიარულის დროს (ეს უკვე ნაღდად პორტფელის სიმძიმის და არა მეცნიერული „სინდინჯის“ გამო) ცალი მხარი მეტადა აქვს ჩამოგდებული. ჯერ დაბნეულად გაიხედა აქეთ-იქით, მერე პრეზიდენტისკენ დაიძრა. სხდომის თავმჯდომარე დიმილითა და სკამიდან ზრდილობიანი წამოწევით მივიხალა. ასევე მოიქცა სწავლული მდივანიც, ამ განსხვავებით, რომ თან საბჭოს წევრთა სია გადმოაწოდა. პროფესორმა კათედრასთან მიაყუდა პორტფელი, ავტოკალამი მოიმარჯვა და კარგა ხნის ძებნის შემდეგ თავის გვარს მიაგნო. ხელი მოაწერა, ავტოკალამი ჯიბეში ჩაიღო და ახლა პორტფელს დაუწყო ძებნა. სწავლულმა მდივანმა თვავზინად ანიშნა, თქვენს ფეხებთან დგასო. პროფესორმა ინდიფერენტულად დაუქნია თავი, დაიხარა და პორტფელი სხარტად აიტაცა. საბჭოს წევრებმა მიიწ-მოიწიეს და მცხოვან კოლეგას ადგილი გაუთავისუფლეს.

პროფესორმა თვალების მოქუტვით შეათვალიერა დისერტანტი.

— რა გვარია ეს ყმაწვილი? — არც შეუხედავს გვერდით მჯდომისათვის, ისე, ყურზე ხელის მიღებით ჰკითხა ზნამაღლა.

— რომელი, ბატონო? — სცადა დაზუსტება გვერდით მჯდომმა. — რომ ლაპარაკობს?

— არა, რომ უსმენს.

— ქინქლაძე, ბატონო.

— ქინქლაძე, ქინქლაძე, — თავისთვის რამდენჯერმე გაიმეორა პროფესორმა. ჩანს, ვერ გაიხსენა — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია. მერე ადგა, მაკრიდოდან დისერტაციის ცალი აიღო უკითხავად, თავი ჩარგო შიგ და მერხს ბარბაცით დაუბრუნდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე დისერტანტს თვლი არ მოუცილებია მისთვის. „ალბათ მეც ეს დღე მეღოს, — გაიფიქრა და მწარედ გააყვიროლა. — არა, უბრალოდ არ ვიკითხავ ამდენს და ის იქნება! — დაიიმედა ბოლოს თავი.

— ... ვფიქრობთ, ჩვენი ათიოდე პრინციპული

შენიშვნა ხელს არ შეუშლის ავტორის საძიებელ ხარისხის მოპოებაში, მაგრამ მათი გათვალისწინება უდაოდ სარგებლობას მოუტანს ნაშრომის დაბეჭდვისას, თუ სურს, რომ იგი მივიღოს წიგნი ვახდეს ყოველი მშობლისა და პედაგოგისათვის, ვინც სისხლმორცეულადაა დაკავშირებული ბავშვების ბედთან და მომავალთან.

ახალგაზრდა ოპონენტმა თავისი „სასარგებლო“ შენიშვნები წინ დაუდო დისერტანტს, მერე საათზე დაიხედა და რეკლამენტის დაზოგვით კმაყოფილმა „ბოროტში“ ჩაჩქრილა ქიქში.

თავმჯდომარე თვალებით შეეკითხა დისერტანტს, რას ზამ, შეარჩენ რამეს თუ არაო. დისერტანტმა თავის გაქნევით უპასუხა, რას ბრძანებთ, რისი შემზრინე ვარო.

— ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის მეორე ოპონენტის (დისერტანტმა „პატივცემული“ გამოტოვა, სიტყვა „მეორე“ კი განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა) ესოდენ პრინციპული შენიშვნებისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მეორე ოპონენტი პირველ შენიშვნაში გვისაყვებურებს, თითქმის ჩვენ უგულებელყოფოდათ დაყვავების მითოდ. სინამდვილეში კი, მთელი ჩვენი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობით, ვიძლევით ბავშვებთან შეგნებული, დამრიგებლური დამოკიდებულებების ნიშნებს. ოღონდ ესაა, რომ ზოგჯერ, გარკვეული ფსიქიკური წყობის ბავშვების მიმართ დასაშვებად მივიჩნევთ დასჯა-დაშინების ხერხს. ამ გაბედულ თვალსაზრისზე რომ ვდგებით, ჩვენ გზის მანგვენლად გვეგულება დიდი რუსთაველის ბრძნული სიტყვენი: „შეიშო შეიქმს სიყვარულსა“...

კარი მძღვარად მიეხეთქა კედელს და მოსადღედიდან ორპირ ქართლად შერთად შემოიჭრა აღელვებული ხმები:

— მაშ, ჩისლენკო ჯობია მესხს!

— მე ძველ მესხზე არ გელაპარაკები!

— ბიჭო, სულ რომ მკვდარი იყოს მიშკა, სამი კაცი მაინც აყრული ყავს!

— იმიტომ წაიყვანეს ნაკრებში!

— თუ არ წაიყვანეს, კარგადაც ექნებოდა საქმე!

— კარგი, თუ ძმა ხარ, ეს ვიწრო ბატრიოტობა დაგვეტყუებს ბოლოს!

თავმჯდომარემ ზარი ააწყარუნა და ღია კარი-საკენ მიაპყრო მზრავ:

— მეგობრებო, ჩვენ აქ, მგონი, სერიოზული საქმისათვის ვართ მოსული და არა იმის გადასაწყვეტად, მესხი ჯობია თუ ჩისლენკო. ფეხბურთი ჩვენც გვიყვარს, მაგრამ ახლა პატივი

არლი თაყაიშვილი
სიტყვა ეპოქისის დისერტანტს!

მცემთ სამეცნიერო საბჭოს. თუ შეგვიძლია, დისერტანტს ვეკამათოთ!

მოსაცდელიდან ჩურჩულის ხმამ შემოაღწია, მერე გამოჩნდა ხელი, რომელმაც ფათურით მოკეპნა სახელური და ფრთხილად გაიხურა კარი. დისერტანტი ჩედავს, რომ ნახევარი დარბაზი თვლიდა, რომ ბევრს, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია უზნეო ბავშვებიც და მათთან ბრძოლის მეთოდებიც, მაგრამ შინაც პასუხობს. ასეა მიადებული: დედის რქე არ უნდა შეაჩინოთ ოპონენტს, მით უმეტეს ასე ყოყოჩურად თუ უჭირავს თავი!

— ... დასასრულ, ბოლო შენიშვნის თაობაზე. ოპონენტი გვიჩვენებს, უპირველესად ყოვლისა ნაცვლად ვინმართთ პირველ ყოვლის. ვფიქრობთ ეს სტილის საკითხია და მას, უპირველესად ყოვლისა, პირადი გემოვნების თვალსაზრისით უნდა მივდგომ. ასეთია ჩვენი მცირე განმარტებანი. შეორე ოპონენტის დანახვენი შენიშვნებს უკრიტიკოდ ვღებულობთ.

— თუ რამე დარჩა, კი... — ხუმრობით ახუსტებს თავმჯდომარე.

დარბაზში ელომებათ. ოპონენტი ერთხანს უხერხულად გრძნობს თავს. ადგაოღე ცეშკავს, თან ხელებს შლის უშეყო: რა უნდა ვთქვა, ერთი დისერტაციის დაცვა არ იყოს, გაჩვენებლით მათის სეირსო.

რაკი თავმჯდომარემ მოსალოდნელი შეხლა-შემოხლა აიცილა, სიტყვა ხელთ სწავლულ მდივანს გადასცა. სწავლულ მდივანსაც ეს უნდოდა:

— სადისერტაციო შრომასთან დაკავშირებით შემოხულია სათანადო რეცენზიები.

— წაიკითხეთ მხოლოდ დასკვნები! — გაუფუქეს გუნება მას.

— ... ჩვენი ღრმა რწმენით, ავტორი ასი პროცენტით ღირსია საძიებელი ხარისხისა. ამ დიდებულ შრომის ფასს დროთა ვითარებაში მეტად გაიგებენ პედაგოგიური ფრონტის მუშაკები.

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გაბრიელ კოჭლამაზაშვილი.

თელავის საკვლევი ინსტიტუტი.

— ... ეძიებდე და პოვებდე! — აი ამ ბრძნული ბიბლიური ფრაზით მინდა დავლოცო ჩემი ახალგაზრდა კოლეგა თავის ძნელ და საპატიო გზაზე.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი აშაკო აბლაძაძე.

სწავლულ მდივანს რეცენზიები შემოეღია. — მაგრად უშეშვია! — შემაჩამებლად გაისმა კუთხეში.

ეს ჩია კაცის ასეთივე ჩია ხმა იყო. ნათესავებს არ გაუგონიათ.

— ექნებ დისერტანტის ხელმძღვანელი, პროფესორი სერგო გავაშელი შემოგვეწვიეს ორიოდ სიტყვას?

ხელმძღვანელმა ჯერ შორს დაიჭირა ეს გამოწვევა: ოჰ, რა საჭიროა, როგორ გვეადრებათ, საკამარის იქნებო. მერე, ეტყობა, საღერღელი აქვსა და სწორედ იმ დროს, როცა თავმჯდომარემ მასთან ეკვრობა მოათავა, წამოღდა და განცლით დაიწყო:

— მე არ ვაპირებ დისერტაციის ღირსებებზე კრიტიკის დაძვრას. ამის შესახებ საკმაოდ ითქვა. თანაც შეიძლება ეს თავის ქებადაც ჩამეთვალოს (ხელმძღვანელმა აქ მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა). მე მსურს მხოლოდ მოვიგონო ერთი პატარა ეპიზოდი ჩემი და დომოდესი, იგივე ჩვენი ვაჟს, მეგობრული დამოკიდებულებიდან. ერთ მშვენიერ საღამოს, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მეუღლესთან ერთად თურქულად შემზადებულ ყავას შევქეცეოდი. უცებ; სად იყო და სად არა, აივანზე ჩვენი დომოდე, ანუ იგივე ვაჟი, ამოიჭრა და ხმაშაღლა მომთახვა:

— სირგვი პიტროვიჩი! სირგვი პიტროვიჩი! ბიჭი გამიჩნდა, ბიჭი!

მე სისხარულით კინაღამ ფინჯანი გამოვარდა ხელიდან.

— მამ, რაღა ფიშავს, თემისათვის შეგძენია ერთი ცდის პირი მეთქი. — გავხუმრე და ყუარი ავუწვი.

ჩემმა კენიამ „ნალიკა“ გამოგვიტუნტულა, აბა, თურქული ყავით ხომ არ დავლოცავდი ახალშობილს! სხვათაშორის, ის „ახალშობილი“ წყდან აქ რომ საამოდ ზღუტუნებდა, ის ცუბრუმელა გახლავთ!

ასე უყვარს ჩვენს ვაჟს, ანუ დომოდესს, ბავშვები. ამ სიყვარულმა დააწერინა ეს მშვენიერი დისერტაცია. აი, რაც მინდობა მეფეკა სულ. გმადლობთ ყურადღებლისათვის.

დისერტანტის ნათესავები სახეგაბარწყინებულნი შესტეეროდნენ ამ ღვთისნიერ კაცს, სხვებზე კი მისმა გამოსვლამ საკმაოდ არასერიოზული შთაბეჭდილება დატოვა.

თავმჯდომარემ ახლა პირველ რგვში მსხდომი მელოტა წყებას მიმართა:

— საბჭოს წევრებიდან ხომ აჩაივინ ინებებს გამოსვლას?

ზოგერთმა თავის კანტურით უმასხუა, მაგრამ ეს მხოლოდ ტყბილი ძილისპირული იყო...

— დამსწრე საზოგადოებიდან ხომ არაივინ სურს სიტყვის თქმა?

— მე მსურს!

დარბაზი ერთბაშად გამოცოცხდა. ყველა იმ კუთხეს მიაშტერდა, საიდანაც განმარტობით მჯდომი ჩია კაცი იწვედა ხელს. დისერტანტს სლოკინი აუტყდა.

— თქვენი გვარი? — არც თუ სიამოვნებით შეეკითხა თავმჯდომარე.

— სეფერთელაძე.



— ბრძანეთ, ამხანაგო სეფერთელადე!
ჩი კაცი წამოღა, დისერტანტი თვალი თვალი
ში გაუყარა და დინჯად, თავის თავში ღრმა
ღარწმუნებით, იკითხა:

— არის თუ არა თქვენს შრომაში რაიმე
სიახლე, და თუ არის, აქვს თუ არა რაიმე ღი-
რებულება მეცნიერებისათვის?

შეკითხვა ბოშივით გასკდა დარბაზში. ნა-
თესვეებმა თვალები დაუბრიალეს ჩი კაცს,
ნეიტრალური ხალხი კი საამოდ გაინაბა.

— ვინა? ვინა? — ატყდა ჩუჩრული მეტ-
ხებს შორის.

— ინტრიგანია, ვილადა! — ხმაამაღლა დაასკვ-
ნა დისერტანტის ბიძაშვილი კუჭური.

გაფითრებულმა დისერტანტმა თავმჯდომარეს
გადახედა საწყლად, რა ექნაო. თავმჯდომარემ
ხელით ანიშნა, შენ გაჩერდი, მე მოუვლი მა-
გასო. მერე უცნობისკენ არც გაუხედავს, ისე
მიმართა საბჭოს წევრებს:

— ჩვენ ვტივობთ, თვით დისერტანტის,
ორივე პატივცემული ოპონენტის, რეცენზენ-
ტების და ხელმძღვანელის მიერ აქ საკმაოდ
დასაბუთებულად იყო გადმოცემული, რა არის
დისერტაციაში ახალი და რა ღირებულება აქვს
მეცნიერებისათვის. თუ ვინმეს ეჭვი გაუჩნდებდა,
შეუძლია გულდასმით წაიკითხოს ნაშრომი.
ჩვენ არავის არ ვუმალოვთ მის!

ჩი კაცი ერთხანს გამომწვევად იღგა, ჩერე
მრავალმნიშვნელოვნად დასძინა:

— მდაა, ყველაფერი გასაგებია...
ხელი ჩაიქნია და დემონსტრაციულად დაჯდა.
თავმჯდომარემ ყასადად მიათვლიერ-მოათვა-
ლიერა დარბაზი.

— თუ მეტი შეკითხვა არ არის, ნება მომე-
ცათ გადავიდეთ ხმის დამთვლელი კომისიის
წევრების არჩევაზე. კანდიდატებად ვსახელებ
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორებს ვასილ
კვეჭერელს და ეკატერინე კავსაძეს, აგრეთვე
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ჯონდო
ჯიბლაშვილს!

ეს რატომღაც ყველაზე მხიარული მომენტი.
თავმჯდომარე მულამ ღომილით ამბობს ამ სიტყ-
ვებს, თან უტიფრად შესცქერის არჩეულებს.
ელიმებათ საბჭოს დანარჩენ წევრებს, რომლებ-
საც დღესდღეობით ასცდათ ის სასყელი. დამსწ-
რე საზოგადოება რომ უყურებს, მისპინილებს
ვლიმებათ, თვითონაც ხასიათზე დგება.

— შესვენება 10 წუთით!

ხალხი დერეფანში გამოეფინა. პაპიროსმო-
მარგვებულმა მამაკაცებმა მოსაწყევ კუთხეს მია-
შურეს. ქალები მარაოს ფრიალს უხშირებენ.
უფრო საგანგებოდ მორთულები ხელკავით და-
სერირობენ და ჩაცმულობის დემონსტრირებას
ახდენენ.

წლობით უნახავი ნათესავეთ ერთმანეთს
ეხვევიან, ამაყობენ.

დისერტანტის სიმამრი ახლობლებში დგას და

— აღუვებით ვგება მევილიშვილისა და მის ინცი-
დენტზე. იქვე მერსზე თვალებ და ყურებდღმ-
ებული დამანაშავე ზის.

დერეფანში სწრაფად ჩაივლის ჩი კაცი.
გზრობს, რომ ყურადღების ცენტრშია, ზიწლით
ფითითებენ, ლამისა თვალებით შეუჭომნ.

რებულივინც ესმის:

— აი, ესა ვართ ქართველები!

— მინიც, რამ გამაწრა ასე?!

— ეჰ, ინტრიგანი რომ დიბაღება კაცი!

ჩი კაცს მწარედ ეღიმება და გამარჯვებუ-
ლის ივით გადის გარეთ.

ყველაზე მეტი ხალხი მინიც დისერტანტს
ახევიდა. ამხანაგები მხარზე ურტყამენ ხელს,
ყურად, ლომი ხარ, რამდენხანს გაუძელიო. რა
თქმა უნდა, აქვეა მისი ბიძაშვილი კუჭური, დი-
სერტანტი გვერდზე გაიხმობს.

— როგორაა მოსაწვევების საქმე?

— ვერ მისწრებდა, მაგრამ ფული რომ ავე-
ტყაღუნე, წახალისდა.

ჯიბიდან ამოაქვს დაბეჭდილი ბარათების
დესტა. დისერტანტი ერთ-ერთ მათგანზე ხმა-
მანდა კეფთულობს:

„პატივცემული ამხანაგო
ამა წლის 13 მაისს, საღამოს 6 საათზე,
გთხოვთ გვეწვიოთ სადილად, რითაც დიდად
დაგვაფასებთ.“

ჩვენი მისამართია: II მასივი, III კვარტალი,
მე-13ა კორპუსი (მე-13ბ კორპუსის პირდაპირ)
II სადარბაზო, XIV საბჭოთა (ლიფტი მუშა-
ობს).

ბატონისციმით ვეჟ ქინქლაქი.“

— კარგი ვქნია, დომიდე რამ არ მივი-
წერია.

— მაგის ქაჯები ვართ ჩვენი?

— გვარები მინიც მოგხსენებია.

— ნეტი შენ. ახლა იუბილეზეც აღარ წერენ
გვარებს.

— საბჭოს წევრებს ვჩივი, თორემ სხვებს
თავში ქვა უხლიათ.

— შივაწერით მერე. სულ ოცი კაცი არ იქ-
ნება.

ფანჯრის რაფასთან მიღვებია. დისერტანტი
გვარებს მიაწერს.

— რომ მოთავდება ბაზარი, დახვლი კიბეს-
თან ყველას და გადაეცი. ცოტა ზრდილობია-
ნაღ...

— კაკ ნიბუდ მოვახერხებ.

დისერტანტს სევდიანად ეღიმება:

— იქნებ არც დაგვირდეს შეწუება...

— რას ამბობ, სიმონ, კლასიკურად ჩატარდა!

— ის უღღუერი მინიც ვინ იყო?

— აზრზე არა ვარ. მოვიცილი იმისთვისაც.

პრლი თაყაიშვილი
სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს!

— არაფერი არ უთხრა, შენი ჭირიმე. თავს მომჭრის, ხელეგნენი მომიგზავნავ.

ისმის ზარის ხმა. ყველამ დარბაზისკენ იბრუნა პირი. დისერტანტს ფეხები უკან რჩება. სადღა ის რწმუნა, თავდაპირველობა. სირცხვილს ვინ ჩივის, იმდენ გოჭინდაურს რა ეშველება! ნეტა სულ არ აეტება ეს დისერტაციობანა!

თავბრუ ესხმის. ბიძაშვილს დააყრდნო მხარზე ხელი. აი კარის ზღურბლიც. საბჭოს წევრთა მხიარული სახეები რომ დალანდა, ცოტა გულზე მოეშვა. მერე პრეზიდენტი გააპარა თავი. გოჭივით ჩამრგვალებული მდივანი უღიმის და ნაცნობი თავის დაკვრით ესალმება. მაშ, გაუშარჯოს კანდიდატობას!

დისერტანტს ძალა უბრუნდება. ენერგიულად აიღოს კიბეს და კათედრასთან გაიჯვრება.

— სიტყვა ეკუთვნის ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, პროფესორ ვასილ კვიციანიძეს!

თმა-ულვაშ და წარბ-წამწამ შედებილმა პროფესორმა ყელთან კოპწია „ბანტიკი“ გაისწორა და წვრილი ხმით, მეცნოსობრივად რომ ჩამოგავს, აუდიტორიას წაუშლევრა:

— პატივცემული მეგობრებო, პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ჰყავს ოცი წევრი. დღევანდელ სხდომას ესწრებოდა ოცივე. ამდენად, კენისისკისათვის გამოხადდა ოცი ბიულეტენი. ყუთის გახსნისა და ხმების დათვლის შემდეგ გამოირკვა, რომ დიომიდ სოკრატეს ძე ქინჭლაძისათვის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა ცხრაშვიდი წევრმა, წინააღმდეგი — ერთი! თავი არავის შეუკავებია!

დარბაზს სიხარულის ტალღამ გადალურია. თავმჯდომარემ დრო იხელთა და სიტყვა პირველ ხმასავით გამოსტაცა პროფესორს:

— ამრიგად, პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აღგენს: მიენიჭოს დიომიდ სოკრატეს ძე ქინჭლაძეს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება და ეთხოვოს სააკვეშირო უმაღლეს საატესტაციო კომისიას, რათა დაამტკიცოს მისთვის საძიებელი ხარისხის მინიჭება.

დარბაზს ახლა კი დაგუბებული ტაში მოსწყდა. ყველანი ფეხზე დგებიან. ნათესალებს სიხარულის ცრემლი უბრწყინავთ. იმედით უყურებენ თავიანთ ფალავანს. ის კი ღვას ამყი, ომ-გადახდობი და ოღნავი თავის დაკვრით იხდის მადლობას. სადღაც, გულის სიღრმეში ტკივილსაც გრძობს. „მინც ვინ იყო ის უსინდისო?

ველარ გაიმეტა თავისი წაწყვეტილი ხმა: „უშვავს, ახლავ გაიგებს, ვინც ვახლდათ!“

იწყება კონკრეტული ცერემონია. პირველი თავმჯდომარე ებღღვანა ტუჩებში, მერე ოპონენტები ჩაეფხვენენ. მათ მიყვა სწავლული მდივანი, ხმის დამთვლელი კომისიის წევრები.

დისერტანტმა მალე ქვემოთ ჩამოინაცვლა. რენტგენისებურად აკვირდება დანარჩენ წევრებს. ყველა გამორულად უძღვება ამ მზერას. სახეზე ღიმილს არ იცილებენ, მამაშვილურად ეხევიან. დისერტანტს ვერაფერი გაუგია.

ახლა დამსწრე საზოგადოებას მოაქვს იერიში. მის ახლოს უზარმაზარი რიგი გაიჭიმა. განსაკუთრებით მგრძობიარე მომენტებს ფოტოგრაფი ხელიდან არ უშვებს. მძაბიჭები მოშორებით ღვანენ და ქილიკობენ:

- აბა, რიგი დაიცვით!
- მაგას არ აკოცო, ვირუსული გრიბი აქვს!
- ქალიშვილო, არ გრცხვენიათ, მეორედ რომ მიღიხართ?

— აბა, ასეთ დროს კი არ დაგიძახებს, ბიჭებო, მომეხმარეთო.

— გელაპარაკები, მარტო ამისთვის ღირს დისერტაციის დაცვა!

როგორც იქნა, მიილია რიგი. მერე მეგობრებმა იჭრეს გული. ერთმა პორტფელს დასტაცა ხელი, განგებ წააბარა:

— ხელფასი დიდი გექნება და ბარემ „ნასელჩიკად“ ამიყვანე!

— აბა, პირდაპირ ჩვენთან მივდივართ! — ბანზე ავღებს სიტყვას დისერტანტი. — მეორეჯერ კი აღარ დავიცავ საკანდიდატო დისერტაციას!

— მეორეჯერ სადოქტოროზე მოვალთ, შე კაცო!

მხიარულად გამოდიან ეზოში. გარეთ მისის გაკვირებული დღე ღვას.

ქოშინით ამობრის დისერტანტის ბიძაშვილი.

— ჩქარა, ჩვენთვის ავტობუსი ვიჭირავ!

— საბჭოს წევრები?

— „ვოლგებით“ გავისტუმრე.

— რამდენი მოღის?

— მთლიანი შემადგენლობა!

— აბა, კიდევ ვერ გაგვიგია, ვინ მჭრიდა ყელს!

ფეხს აუჩქარეს და ჭიშკართან ჩამომდგარ დიდ ავტობუსს შეესივნენ. ავტობუსი დაიძრა. იქვე, ტრამვაის გაჩერებასთან, ბელურასავით მოწყენილი ჩია კაცი იღვა.



„სიხარის“ ჟურნალი

გადსუდებელი საქმე

საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ლიტერატურამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ძნელბედობისა და განუწყვეტელი თავდასხმების ცეცხლსა და სისხლის წვიმებში გამოატარა უდიდესი და უსათუთესი სულიერი საგანძური და გადმოსცა ჩვენს თავისუფალსა და ბედნიერ ეპოქას, როგორც მსოფლიო კულტურის საუნჯის საპატიო ნაწილი.

რა არის მკითხველისათვის იმაზე ძვირფასი, ვიდრე ერთად თავმოყრილი იხილოს მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები; ერთად შეკრებილს გაეცნოს როგორც ძველი, ისე ახალი ქართული საბჭოთა მწერლობის გამორჩეულ ნიმუშებს. ასეთი წიგნი მას დაანახებდა, თუ რა მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, როგორ განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის უკეთილშობილესი გრძნობა, თუ რა ევოლუცია განიცადა ტრადიციულმა თემებმა, პოეტურმა ფორმებმა, სახეებმა, თუ რა შთაგონებით უმღერიან ქართველი პოეტები საბჭოთა სამშობლოს უძლეველობას, ჩვენს სახელოვან წარსულს და გმირულ აწმყოს.

ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის ყველაზე საუკეთესო ძეგლთა კრებულს უხსოვარი დროიდან ანთოლოგია უწოდეს, რაც გადატანითი მნიშვნელობით ყვავილთა კონას, თაიგულს ნიშნავს. ვის არ მოგვრიდა უდიდესი სიამოვნებას ასეთი თაიგული...

ყველა კულტურულ ერს აქვს როგორც მშობლიური მწერლობის, ისე უცხოური ლიტერატურის ანთოლოგიები. რუსულ ენაზე სშირად გამოდის როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიის კრებულები. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ უმოკლეს დროში რუსულ ენაზე უკვე ორჯერ გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგიათა სქელტანიანი ტომები. ქართული პოეზიის ანთოლოგია არსებობს ინგლისურ და სხვა ენებზე; ასეთი ანთოლოგია გამოდის სომხურადაც.

ეს მეტად სასიხარულო და საამაყო ფაქტია. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ჩვენთან, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

საქართველო პოეზიის ქვეყანაა. ჩვენს ხალხს უყვარს მწერლობა, უყვარს ლექსი, კითხულობს და იზეიბრებს მას. მან იცის ჭეშმარიტი ლიტერატურის ფასი. სამწუხა-

რომ, რომ ჩვენმა გამოცემლობებმა დაივიწყეს და წიგნის თაროებზე იშვიათად თუ გამოჩნდება სხვადასხვა ქვეყნის თუ ხალხთა პოეზიის ანთოლოგიები. ამ მხრივ ჩვენი ბიბლიოთეკები ძალზე დაბნობილია. უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა ამ ოცი-ოდენ წლის წინ გამოსული „რუსული პოეზიის ანთოლოგია“, უმოკლეს დროში გაიყიდა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ძველი ბერძნული მწერლობის ანთოლოგია („ელადის მუსა“) და ა. შ.

უარესი მდგომარეობაა ქართული მწერლობის ანთოლოგიის არსებობის მხრივ. ჩვენი ეროვნული მწერლობის ანთოლოგიათა პირველ წინამორბედად კირილე ლორთქიფანიძის მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში შედგენილი და პეტერბურგში ქართულად გამოცემული „ჩანგური“ უნდა მივიჩნიოთ. აქ თავმოყრილი იყო XIX საუკუნის ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები და ამ კრებულმა დიდი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.

ანთოლოგიის ხასიათისა იყო ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მიხეილ გაჩეჩილადის მიერ შედგენილი და გამოცემული ძველი და ახალი ქართველი მწერლების გამორჩეულ ნაწარმოებთა კრებული „ჩანგისა“ და „ახალი ჩანგის“ სახელწოდებით. მიუხედავად მასალის დაღაგების ერთგვარი უსისტემობისა, ამ კრებულებმა გარკვეულად შეუწყო ხელი როგორც ჩვენი უძველესი ნაწარმოებების, ისე თანამედროვე და იმ დროისათვის ცოტა თუ ბევრად გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედების ცალკეული ნიმუშების გაცნობას.

1919 წელს ქუთაისში გამოცემლობა „კირჩხიბმა“ ქართველ მკითხველებს მიაწოდა „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, სადაც უმთავრესად ახალგაზრდა ქართველი პოეტების და მწერლების სამოცზე მეტი ლექსი, მინიატურა თუ პროზაული ნაწყვეტი გამოქვეყნდა. მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“, „მე და დამე“, „დედაო ღვთისა“, სანდრო შანშიაშვილის „კახეთის დედოფალი“, გ. ქუჩიშვილის „ქუჩის მელოდია“, ნაწყვეტი ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუდან“ და ა. შ. მასში წარმოდგენილი იყვნენ ახალი თაობის წარმომადგენლებიც: ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია; ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეთინძე, ალ. აბაშელი და სხვ.

1927-30 წლებში ცნობილი ქართველი მწერლისა და პედაგოგის ია ეკალაძის რედაქტორობით გამოვიდა „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ სამი ტომი. აქ თავმოყრილი იყო V საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის ჩათვლით 77 ქართველი მწერლისა და პოეტის შემოქმედების ნიმუშები. შესავალ წერილში რედაქტორი წერდა: „ჩვენი მიზანი იყო მიგვეწოდებინა ქართველი მკითხველებისათვის ისეთი წიგნი, რომელიც თვალწინ გადაუშლიდა მათ ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობის მთელ სივრცე-სივანესა და სიღრმეს და უჩვენებდა იმ შემოქმედებით ძალასა და კეთილ ზრახვა-იდევლების მარადიულობას, რომლებიც ჩამარხულია ჩვენი მწერლობის წიაღში და რომლებიც უნდა გადაფურჩქნონ და გამოამჟღავნონ ძველის ნანგრევებზე აღმოცენებულმა ახალმა გულისთქმამა და მისწრაფებამ ქართველი ერისამ“.

სახელგამმა 1936 წელს გამოსცა „ქართული მწერლობის ანთოლოგია“, სადაც 47 ქართველი საბჭოთა მწერლის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები შევიდა...

უკანასკნელად 1947 წელს „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“.

ოცზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ... ახალი თემებით, იდეებითა და სახე-
ებით გამდიდრდა ჩვენი მსატკრული შემოქმედება. ლიტერატურაში, განსაკუთრებით
პოეზიაში მოვიდა მაღალნიჭიერი, ახლის მაძიებელი და ახლებურად მომღერალი თა-
ობა. მოვიდა და მოიტანა ჩვენი დიდი სამშობლოს სიყვარულის უწრფელესი განცდა,
ჩვენი ძლევა-მოსილი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ახლებური ასახვის სურ-
ვილი და ძალა.


ქართული მკითხველი სამართლიანად ითხოვს და ელის, რომ მის მაგიდაზე
იდოს ქართული პოეზიის ანთოლოგია. მას სურს საშუალება ჰქონდეს, ერთად იხილოს
და გაეცნოს როგორც სახელოვანი წარსულის დიდ წარმომადგენელთა საუკეთესო შე-
მოქმედებით ნააზრევს, ისე თანამედროვე დიადი ეპოქის შთაგონებულ მესიტყვეთა
ნიმუშებს.

ჩვენი მკითხველის ამ სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება გადაუდებელი
საქმეა.

სიტყვა თქვენზეა, გამომცემლობის მუშაკებო...

ნო დ ა რ ა ლ ა ნ ი ა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ნო ნ ა
გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. დ ი მ ი ტ რ ი ე რ ი ს-
თ ა ვ ი — მხატვარი. ვ ი ნ ა რ ი ს ხ უ ლ უ ხ ი ა — სოციალისტური შრომის გმირი.
რ ა მ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე — არქიტექტორი. თ ა მ ა ზ გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე — ფილოლო-
გიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი. გ ო გ ი ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — რეჟისორი. გ ი ვ ი ბ ა კ უ რ ა ძ ე —
კომპაგზირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი. ჯ ე მ ა ლ მ ი ქ ე ლ ა ძ ე —
კალინინის რაიონის მილიციის უფროსი. შ ო თ ა ე ც ა დ ა შ ვ ი ლ ი — გორის რაი-
ონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ე ლ დ ა რ შ ე ნ გ ე ლ ა ი ა —
კინორეჟისორი. ნ ო დ ა რ კ ა ნ დ ე ლ ა კ ი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
კანდიდატი. ი რ ა კ ლ ი ჟ ო რ დ ა ნ ი ა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამეც-
ნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი.





პსკიდან

ლენგბტონ ჰიუზის უკანასკნელი წიგნი

1967 წლის 28 მაისს გარდაიცვალა თავისუფლებისათვის მებრძოლ ამერიკელ ჯანგთა დიდი ქომაგი, ცნობილი ჯანგი პოეტი ლენგბტონ ჰიუზი.

ამერიკელმა გამომცემელმა ალფრედ კნოფმა ახლახან გამოსცა პოეტის უკანასკნელი კრებული „ავაჯა და შოლტი“. კრებულში შეტანილია „შავი ამერიკის მომღერლის“ ძველი და ახალი ლექსები.

ლეონიდ ლეონოვის თხზულებათა კრებული

ბელგრადის გამომცემლობა „კულტურამ“ სერბიულ-ხორვატულ ენაზე გამოსცა ლეონიდ ლეონოვის თხზულებათა კრებული 12 ტომად.

კრებულს ერთვის წინასიტყვაობა, რომლის ავტორია პროფესორი მილოსავ ბაბოვიჩი.

ალუშინი მოღაჭი

ამერიკული ფილმი „ვინა ხართ თქვენ პოლი მაგო?“, რომელსაც პარიზის ეკრანებზე უჩვენებდნენ, ფრანგული მოდის სამყაროში

როში დიდი სენსაციით აღინიშნა. ფილმში დემონსტრირებულია ამერიკული ფირმის მიერ ალუმინისაგან დიდი მონღომებით დამზადებული ქალის ტანსაცმლის მოდელები.

მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი გამოფენა

პარიზის გარეუბნების თორმეტი მუნიციპალიტეტის ინიციატივით მოეწყო ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენა გააფორმა ალექსანდრ შემმა, ტექსტი და კომენტარები ეკუთვნის ელზა ტრიოლეს.

მრავალი ნახატი და ფოტორეპროდუქცია წარადგინეს გამოფენაზე საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირმა და მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმმა.

გამოფენა გაიხსნა საზეიმო ვითარებაში. გამოფენას დაესწრნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივანი ვალდეკ როზე, პოლიტიბიუროს წევრები ჟაკ დიუჟლო და როლან ლერიო.

დამსწრეთ უჩვენეს ფილმი „ქალიშვილი და ხულიგანი“, როგორც ცნობილია, ამ ფილმში მთავარ როლს მაიაკოვსკი ასრულებს. წა-

იკითხეს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები.

გამოფენა პოეტ-რევოლუციონერზე დიდი წარმატებით სარგებლობს.

ხელშეწყობის მოღვაწეობა მხმარებლის ვინაშისა

ოთხმოცდაათმა ჰოლანდიელმა მხატვარმა საჯაროდ გამოთქვა სურვილი დახმარებოდა ვიეტნამს. ჰოლანდიის რამდენიმე ქალაქში მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ქალაქ ამსტერდამში ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვართა გრაფიკული ნამუშევრები და ფოტოები. ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს 80 წლის მხატვარმა კომუნისტმა პეტერ ალმამ და ცნობილმა ფოტოგრაფმა კას ოორტხოიზმა.

ამსტერდამის ხელოვნების მუშათა კომიტეტმა მოაწყო „დუმილის დემონსტრაცია“ ვიეტნამში გაჩაღებული ომის წინააღმდეგ. მანუფესტში მხატვრებმა განაცხადეს, რომ ისინი გამოვიდნენ ქუჩაში, რათა სოლიდარობა გამოუცხადონ ვიეტნამელ ხალხს ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ამსტერ-



დავის თეატრმა „ტრეზიდელში“ დადგა პიესა „ვიეტნამი“ (პიესის ავტორი და რეჟისორია ანა მარია ტრინსი).

გაზეთი „ვარხელი“ აღნიშნავს, რომ „ეს არის იშვიათი მოვლენა პოლანდიის თეატრალურ ცხოვრებაში“.

**მერი მპარლი
სტინგეპის წინააღმდეგ**

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ქალმა მერი მპარლიმ სამ კვირაზე მეტი დაპყრო ვიეტნამში. დაბრუნებისთანავე ინგლისურ გაზეთ „ობზიორვერში“ გამოაქვეყნა სტატია. ამ სტატიაში იგი წერს: „უნდა გამოვტყუდე, რომ ვიეტნამში გავემგზავრე იმ მიწისთვის, რათა შემეგროვებინა მასალები, რომლებიც შეარცხვენდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციას, და მე მათ მივაგენი... მთელი მხარე გახვეულია ცეცხლში. მიწდევრები და საძოვრები საიგანოში სავსეა გვამებით“.

მერი მპარლი იყო იმ ადგილებშიც, სადაც ადრე სტინგეპი იმყოფებოდა. სტინგეპი ვიეტნამიდან დაბრუნების შემდეგ წერდა, თითქოს ამერიკელებმა დაბომბვისთანავე დაიწყეს სოფლებში სკოლების მშენებლობა და მერხებს ცისფრად ღებავდნენ.

„მერხები აქამდე ყრია ქუჩებში, მზის ქვეშ, — წერს მპარლი, — სკოლები ისევ ისე დამწვარი და დანგრეულია... ამ სოფლებში, როგორც ჩანს, იმ ჭადსუნურ დღეს, როდესაც იქ იმყოფებოდა სტინგეპი, ყველაფერი გაიყინა ისე, როგორც „მინარე მზეთ-

უნახავში“, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა“.

მერი მპარლი წერს რომანს ვიეტნამზე.



**საკვირველი
ავტობიოგრაფია**

გამოჩენილმა იტალიელმა მხატვარმა რენატო გუტუზომ სახვითი ხელოვნების ისტორიაში პირველმა გადმოსცა მხატვრით საკუთარი ავტობიოგრაფია.

„მხატვრის მიერ შესრულებული ყოველი სურათი თითქოს ცალკეული თავია ავტობიოგრაფიული რომანისა, რომელშიც ასახულია არა მარტო მხატვრის, არამედ მთელი მისი ხალხის ცხოვრება, ასახულია ის ბოლოქარი დღეები, იტალიამ რომ გამოიარა“, — აღნიშნავს გაზეთ „პაესე სერას“ კრიტიკოსი იოლენა ბალდინი.

ავტობიოგრაფიული ნახატების გარდა, მხატვარს შეუსრულებია სახელგანთქმული მხატვრების იმ ნამუშევრების ასლები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე.

„მე შევასრულე იმ ნახატების ასლები, — აღნიშნა მხატვარმა, — რომლებმაც ამა თუ იმ ეტაპზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს შემდგომ შემოქმედებაზე. მაგალითად, კურბებს „ქალი თეთრ წინდებში“, კარავაჯოს „ქრისტე“, პიკასოს „ქრისტეს ჭვარცმა“.

მხატვრის ერთ-ერთი საყვარელი თემაა — წიგნები. ამ წიგნებზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ მხატვრისათვის ყველაზე მეტად საყვარელ ავტორთა სახელები. მათ შორის — ლენინი, ესენინი, ანდრე ჟილი, პიკასო, ჰეგელი, ფოლკნერი, მანი,

უნგარეტი, ბლოკი, ლეოპარდი, პოლ ელუარი და სხვები.

გუტუზოს ნამუშევრების ახალი სერია მოთავსებულია მხატვრის სახელოსნოში, რომის საგამოფენო სასახლეში, ბალდინის გადმოცემით, ჭერჯერობით არ არის ცნობილი, როდის უჩვენებს ავტორი თავის ტილოებს ფართო საზოგადოებას.



ალბერტო მორავია

„ლიტერატურაშია გაზეტას“ კორესპონდენტი გ. გულია რომში ეწვია ცნობილ იტალიელ მწერალს ალბერტო მორავიას და ესაუბრა მას.

კორესპონდენტთან საუბარში ალბერტო მორავიამ აღნიშნა: „ვმუშაობ ახალ რომანზე. მეგონა წიგნი დამთავრებული მქონდა, მაგრამ გუშინ დილით დავიწყე მისი თავიდან გადაწერა... ასეთია მწერლის მძიმე ხვედრი...“

რომანში აღწერილია თანამედროვე აღამიანის საქმიანობა, მისი სამუშაო დღე. ხომ იცით ჩვენი ცხოვრება. დილით აღეკი, დღიე ყვა, წადი სამსახურში, ისაუბრე უცნობებთან ან ნაცნობებთან, მერე დავწეი... ან დამიწებ, ან უძილოობით დაიტანჯები. ერთი სიტყვით, საინტერესო ისეთი არაფერია... ჩემი გმირები მსჭელობენ იმაზე, თუ რა მოუვიდათ ან მოუვათ მათ ერთი საათის, ორის, ერთი ან ორი დღის შემდეგ.



ამ რომანის გარდა ვწერ კომედიას. ბევრ იტალიელს ჩვეულებად აქვს გადაქცეული გაზეთის ან ჟურნალის კითხვა საპირფარეოში. ჩემი კომედიის გამირი — ოჯახის უფროსი ზის საპირფარეოში, კითხულობს და თან ოჯახის წევრებს ესაუბრება ფანჯარიდან. აქაც განსაკუთრებული არაფერია, უბრალო ცხოვრებისეული დეტალია.



დაუწვარილი წერილები

„წერილები, რომლებიც არასდროს არ დაწერილა“ — ასე უწოდა თავის წიგნს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადო და თეატრალურმა მოღვაწემ, გერმანიაში ანტიფაშისტურ წინააღმდეგობათა მონაწილემ მაქს ბურგჰარტმა.

1988 წლის 20 ივლისს ნაცისტებმა აწამეს პირველი ანტიფაშისტი ქალი, 29 წლის ლიზელოტ გერმანი, ანუ ლილო, როგორც მას ეძახდნენ.

1938 წელს ნაცისტებმა ლილოს ქმარი მოუკლეს, მის პატარას მამა არასოდეს ენახა, ახალგაზრდა ლილოს მიერ განცდილი და გადატანილი გახდა ბურგჰარტის წიგნის მთავარი თემა.

წიგნის შესავალში ბურგჰარტი წერს: „ბევრმა მკითხველმა იქნებ იფიქროს, ციხეში ლილოს წერილები არც დაუწერიაო. რასაკვირველია, წერილები არსებობდა, მაგრამ რადგან ისინი ცენზურას უვარდებოდა ხელში, ლილო მხოლოდ უოველდლიურ საქმიანობაზე წერდა. „დაუწერილ წერილებში“ მე შევეცადე, გადმომეცა ყველა ის ფიქრი და განცდა, ყველაფერი ის, რასაც დაწერდა ლილო, რომ შეძლებოდა.“



ბულგარეთის მამობარი პოეტები

ბულგარეთში გამოცემულ ლექსების კრებულში „ბულგარეთის მეგობარი პოეტები“ წარმოდგენილია 28 ქვეყნის 120 პოეტის შემოქმედება. მათ შორის არიან საბჭოთა პოეტები პ. ან-

ტოკოლსკი, პ. ტიჩინა, მ. რილსკი, ე. ვეტუსენკო, ვ. სოლოუხინი, მ. ალიგერი და სხვები.

ლექსები თარგმნეს ცნობილმა ბულგარელმა პოეტებმა მ. გრუბეშლიევამ, ვ. ხანჩევამ, ე. ბაგრიანამ, ი. დავილკოვმა, ნ. ზიდაროვმა, ნ. ვილჩევამ და სხვებმა.



მწარლუბი პროტესტის აცხადება


ინდოელმა მწერლებმა პროტესტი განაცხადეს ვიეტნამზე ამერიკული ფილმების ჩვენების წინააღმდეგ ინდოეთში. მწერლების მონაწილეობით დელიში, ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამმართველოს შტაბის წინ, გაიმართა „დუმის დემონსტრაცია“.



პლაკატებზე წარწერილი იყო ლოზუნგები — „ამერიკული ფილმები ვიეტნამზე — ცოცხალი ტყუილია“, „სამარცხენოა ამ ფილმების ჩვენება“, „ლინდონ ჯონსონი არ არის მსოფლიოს ბატონი“, „ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი ესაქმება ვიეტნამში“.




საახალწლო შარჟი

პოეტ რეზო ამაშუკელს განზრახული აქვს, 1968 წელს დახატოს მთელი სერია: „ქართველი მწერლები“.
ვაჭვეყნებთ „მხატვრის“ პირველ ნამუშევრებს: გ. აბაშიძის, ირ. აბაშიძის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბაძის, კ. კალაძის, შ. ლებანიძის, კ. ლორთქიფანიძის, მ. მაჭავარიანის, შ. ნიშნიანიძის, ა. სულაკაურის, მ. ფოცხიშვილის, თ. ჩხეიძის, ვ. ჭელიძისა და თ. ჭილაძის მეგობრულ შარჟებს.







გარეკანი და ტიტული თ. შირვაშვილის, ო. ჭიშკარიანის

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ. მდივნის — 5-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ზეპლიოგრაფიის — 5-08-85, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-67 წ. ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 4394. უე 02369. ტირაჟი 22,500.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3560 60 353.

6264/12



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236